



განათლება

12

ფიზიკური



1948

ენათმეცნიერება



საქართველოს სახელმწიფო მწიგნობრობის
კავშირის უმცლესი სალიბრარო
სახელოსნო და საზოგადოებრივ-საკოლეჯიკო
ფონდი

წელიწადი ოცდამეხუთე

12

დოკუმენტი

★

თბილისი

1948

499

დავით ბაძრაძე — გმირთა სისხლით, ნარკვევი, გაგრძელება	26
ბიოგრაფიული აბაზანი — ტყისმცველი, ლექსი	26
ქონსტანტინე ბაშინაძე — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი შესავ. გაგრძელება	27
ალექსანდრე აბაშელი — სანდრო შანშიაშვილი, ლექსი	42
სოლომონ სიხაძე — შაისის განთავადი, რომანი, გაგრძელება	43
—	
ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება — ერა ბუჩიძე — შრომის ჯილდო (მოთხრობა); ზაქარია შერაზადიშვილი — ბეღტები (ლექსი); დავით გოგოჭერი — შეხვედრა (მოთხრობა); კონსტანტინე აშაშვილი — ვანაში (ლექსი); შოთა ლომსაძე — თაფარაენელ კაბუცს (ლექსი)	77—93
—	
ბიოგრაფიული აბაზანი — ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგიერთი საკითხისათვის, წერილი, დასასრული	94
ბასარიონ შაშინი — ლეო ქიარელი, დასასრული	122
პატრიკ შარია — დასავლეთის თანამედროვე ბერეკაზიული ფილოსოფიის ზოგიერთ მიმართულებათა მოკლე მიმოხილვა, წერილი	143
—	
ნიკოზ ბალაბაშვილი — ვალბი მონოგრაფია, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, წერილი	165
—	
ქერხა „მნათობის“ 1948 წლის ნომრების შინაარსი	170

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი შტაბი), იოსებ ბრეგვაშვილი, პავლე ნიგოროსეშვილი, სერგო კლდიაშვილი. ალიო შირაძეშვილი (მაგაზინი), ბასარიონ შაშინი, ბალაბაშვილი ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დავით შანშიაშვილი.

ბელოშვილი დასაბეჭდად 22/XII-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10¹/₄ ფ. № 17326.
შეკ. № 1724. ტირაჟი 6.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ლევით ბაქრაძე
სამკოთა კავშირის გმირი

გმირთა სისლით*



VXII

მეომარი მუღამ თავისი იარაღის მოვლაზე უნდა ფიქრობდეს. იარაღის წესრიგინობაზე, მის ნორმალურ მუშაობაზე დამოკიდებულია მეზობლის სიცოცხლე.

ვერაფერი მეზობლია ის, ვისი იარაღიც კარგად არ არის გაწმენდილი-გაზეთილი; ხოლო თუ ავტომატის, ან ტყვიამფრქვევის რომელიმე დეტალი დაზიანებულია — ასეთი იარაღის პატრონის იმედი არ უნდა გქონდეთ. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი წესდება ესოდენ მკაცრად ავალდებულებს მეზობლოს, რათა მან ყოველდღიურად თვალყური ადევნოს იარაღის წესრიგინობას. დამთავრდებოდა თუ არა ბრძოლა და სადმე დასასვენებლად დაებანაკდებოდით, იმ წუთშივე მოკლდებოდნენ ხის ძირში პარტიზანები, დაშლიდნენ იარაღს, ყოველი დეტალის წესრიგში ყოფნას გასინჯავდნენ, საგანგ-ბოდ გასწმენდნენ და ისევ ააწყობდნენ.

შევეს მთისათვის ბრძოლის დროს ძალზე დავიღალეთ. სხვა დროს ბრძოლის შემდგ საკუთარ იარაღს ჩემი ხელით ვწმენდი, ახლა კი ოცულის უფროსმა ბოკარევმა მითხრა:

— ამხანაგო უფროსო—თქვენ ძლიერ დაღლილი ხართ, კარგად მოგესხენებათ მე იარაღის დაშლა-აწყობა მეზარევება, ნება მომეცით თქვენი ავტომატი საფუძვლიანად გავწმინდო.

უარის სათქმელად გავეშაადე, მაგრამ ბოკარევის თავაზიანმა სიტყვამ შემაჩერა, ავტომატური იარაღის დაშლა-აწყობაში ბოკარევი კარგი ოსტატი იყო, მე ეს ვიცოდი და ამიტომ დავთანხმდი.

გულდასმით და ხანგრძლივად იმუშაეა მან ჩემს ავტომატზე, გაწმინდა ააწყო და გადმომცა.

— ქარხნიდან ეს ავტომატი პირველად რომ გამოვიდა, მაშინაც არ იქნებოდა ასეთ წესრიგში — მითხრა ბოკარევმა.

მე მას მადლობა გადაეუხადე, იარაღი თავქვეშ ამოვიღე და მაგრად ჩავიძინე.

დილის ოთხ საათზე მოულოდნელად გამომაღვიძეს და კოვბაკის ბრძანება გადმომცეს. ბრძანება ძალზე მოკლე იყო:

„მეცხრე ასეულის მეთაურს ბაქრაძეს საჩქაროდ მიეშველე მერე ასეულს, მტერს მარჯვენა ფლანგიდან შეუტეეთ და გაანადგურეთ“.

ფიცხლავ ფეხზე დავაყენე ასეული და გავეშურე. ფეხაკრეფით მივიღვართ, გზა-გზა ხეებსა და ლოდებს ვე-

* გავრქელება იხ. „მნათობი“ № 6, 7, 8, 10, 11.

ფარებით, დანიშნულების ადგილზე მისვლამდე შეუმჩნეველი მინდა დავრჩე. მოწინააღმდეგემ დაგვლანდა და ცეცხლი დაგვიშინა, უკვე აღმოგვაჩინეს, დაყოვნება არ შეიძლება, საპასუხო ცეცხლი გავაჩაღეთ.

სწორედ ამ დროს ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავევარდი, არასოდეს სხვა დროს რომ არ შემხედვარია. ის-ის იყო „გაშა“ დაეძახეთ, მთისკენ გადავშეთ, ავტომატი მოვიმარჯვე მაგრამ... შენც არ მომიკვდე, როდი ვარდება!.. რამდენჯერმე წალმა-უკულმა ხელში შევატრიალე ავტომატი, არა და არა, ეფექტს არ იძლევა! მოწინააღმდეგე მოგეძალა, გრიგალისებური ცეცხლი გააჩაღა.

წელიდან სასწრაფოდ ხელყუმბარები მოვიხსენი და ზედიზედ მტრისაკენ გადავისროლე.

მიმტყუნა მუდამ ერთგულმა ავტომატმა. ჩემმა მეგობარმა ბოკარევმა დათეური სამსახური გამოიწია. იარაღი მართალია კარგად გაწმინდა, მაგრამ მისი დეტალების აწყობის დროს, უყურადღებობის გამო, შეცდომა დაუშვა და კინალამ ამ დაუღვევრობის მსხვერპლი გავხდი.

ბრძოლაში ხელთ ვიგდე მტრის ავტომატი და ბანაკში ორი ავტომატით დავბრუნდი. ოცეულის მეთაური თავს იკლავდა, დანაზე ეგებოდა, შეცდომა ვერ ეპატიებინა თავისი თავისათვის. ამის შემდეგ ჩემი იარაღი არავისთვის მიმიცია გასაწმენდად.

ბრძოლის ველიდან ბანაკში დიდი ნადავლი მფევიდეთ. მათ შორის ერთ-ერთ ტომარაში ნაპარკვი ნივთები ვიპოვეთ. რა არ იყო აქ: ქალის კაბები, საცელები, საათები, ოქროს ბეჭდები და ათიათასობით ჩვენი ფული. ნივთებს შორის გერმანიიდან გამოგზავნილი წერილი აღმოჩნდა. გერმანელ ჯარისკაცს თავისი ცოლი სწერდა:

„ჩემო ჰანს! გიგზავნი წერილს, მაგ-

რამ არა მგონი მან შენამდე მოაღწიოს. მებუთე თევა, შენი არა-ფოტოგრაფიაც ცული წინაგრძობა ამეცხვრება! მისსვენებას არ მაძლევს, ვატყობ კარგად არ არის საქმე... ჩვენი ოჯახი დაიქცა, სახლი თვითმფრინავებმა გაანადგურეს, შიგ ჰენრიხი მოჰყვა და დაიღუპა, გუსტავი ქლეჩით დაავადდა, სანახევროდ ვშიშშილობთ, გაშიშვლებული ვართ მთელი ოჯახი. სული თუ გიღვია და ამ წერილმა შენამდის მოაღწიოს, რაიბეს მოწოდებაზე იფიქრე, შენი მამილდა. 1943 წელი, 15 აპრილი“.

და აი ჰანსიც გამოხმაურებია ცოლის მოწოდებას, მაგრამ მას შენაკვეთის ოჯახისათვის მიწოდება არ დასცალდა, ბედმა უმტყუნა.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ ჯერ ისევ სანგრებში ვიყავით, როდესაც ჩვენთან ცხენით მოიჭრა ვერშიგორა და გვითხრა: ცნობები გვაქვს, რომ მტერი ახალი შეტევისათვის ემზადება, მზად იყავით, გზები კარგად შეისწავლეთ, ყველა ვიწრო ბილიკი გადავტეთ, ყველგან გუშაგები ჩააყენეთ. მტერი შეეცდება დიდი ძალა მოგვაყენოს და ეს ტერიტორია ხელიდან გამოგვაცალოს. ვეცადოთ, რომ მტერს დიდ ძალად მოვაჩვენოთ თავიო, — ვერშიგორამ ეს სიტყვები დაასრულა თუ არა, ცხენი შეაბრუნა და სხვა ასეულებისაკენ გაქანდა.

მეორე დღეს, დილით სინიჩაზე გერმანელი მშვერაგები გამოჩნდნენ, მათი მოახლოება ჩვენმა მშვერაკებმა აღრე შეინიშნეს. დაუპატიჟებელი სტუმრები მალე ცეცხლით გავღანართ.

ჩვენ ცნობა გვქონდა, რომ სინიჩას ძირში, დაბლობში გერმანელების ტანკები დგანანო. სინიჩაზე გზა ამოდიოდა, რომელზედაც ტანკების ამოყვანა ადვილი იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ მთის დატოვება და აქედან დროულად გასვლა, რომ მტერს ალყაში არ მოვექციეთ. თვითმფრინავთა რიცხვი გაათ-

კედლა, ერთი ჯგუფი წავიდოდა და შემდეგ რიგში მას მეორე მოჰყვებოდა. პარტიზანებს თვალები სულ ცისაკენ ჰქონდათ აპყრობილი. ისიც იყო სინიჩიკიდან გამოვლდით, ერთი ახოვანი გუცული დაგვეწია და მოგვესალმა:

— ეინ არის აქ შეთაური? — მეკითხება გუცული.

— მე ვარ-მეთქი, — ვუპასუხე.

— მე აქაური მწყემსი გუცული ვარ, საქმე მაქვს თქვენთან.

— ბრძანეთ!

— მოთმინების ფილა აივსო, — დაიწყო მან, — აღარ შემიძლია ვუყურო, თუ როგორ თარეშობენ გერმანელები ჩვენს მიწა-წყალზე. ვეძებდი პარჯვე შემთხვევას იარაღით გავჭრილიყავი ტყეში, დღეს ეს შემთხვევა მომეცა, თქვენ შეგხვდით, ვახოვთ მიმიღოთ თქვენს რიგებში.

გუცული ძალზე გულწრფელი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— რატომაც არა, მიგიღებთ-მეთქი, — ვუთხარი, — მხოლოდ საჭიროა იცოდეთ, რომ პარტიზანის მოვალეობა მეტად რთული და ძნელია.

— გასაგებია ეს ჩემთვის: იარაღით ხელში მეც ისე უნდა ვიბრძოლო, როგორც თქვენი პარტიზანები იბრძვიან.

— ეგ აგრეა, მაგრამ შესაძლოა მრავალი გასაჭირი შეგხვდეს, მაგალითად, სიმშლილი, უძილო ღამეების ზედიზედ თევა და კიდევ ვინ მოსთვლის.

— მე მწყემსი ვარ, გასაჭირს ჩვეული, ჩემთვის აქ რა უნდა იქნეს ახალი, ვერ წარმოძიდვენია?... — სთქვა მან.

— მაშ მიგიღებთ, — გავუმეორე მწყემსს.

— ჩემს ერთგულებას მალე დაგიმტკიცებთ!

— რას ფიქრობენ სხვები, შენი მეზობლები, ვის თანაუგრძობენ?

— გერმანელები ჭირივით ეჯაგრებათ.

— პარტიზანების რიგებში რომ ეწე-

რები, ეგ მოსაწონი საქმეა, მაგრამ პირუტყვის ვის უტოვებთ?

— ბევრი აღარაფერს მწყემსი პირუტყვი გამიწყვიტეს და გამიჩანაგეს. ცოტალა დამრჩა, და ჩემს უფროს მძას გადავბარე, ისიც მწყემსია.

გუცულმა ირგვლივ არე-მარეს თვალი მიმოავლო:

— გრძნობთ როგორ ყარს აქაურობა? ხომ ხედავთ, ცხერის ლეშით გადათეთრებულია მთის კალთები. რამდენიმე დღის წინათ გაელიტეს და გაანადგურეს ცხერის ფარა თვითმფრინაეებმა.

— ეს რალათაო?

— იმიტომ, რომ ცხერით თქვენ არ გესარგებლათ. ვაიგეს გუცულები პარტიზანებს ცხერის ხორციით უმასპინძლდებიანო.

მართლაც ცხერის ლეშით იყო მოფენილი ყვეაილებით ამოქარგული მთის კალთები, სიცხეში გახრწნილი ცხერის ლეში საშინლად ყარდა.

— ჯერ იყო და ცნობა მოგვთხოვეს, თუ რა რაოდენობით მოგვეპოვებოდა პირუტყვი. სწორი ცნობა არც ერთ მწყემსს გერმანელებისათვის არ მიუცია. დეკედნენ დამყარობლები. „ცხერის სინსილას არ გავუშვებთ, თუ მთაში სადმე ფარას წაეაწყლებით, თქვენ კი ბაწარზე ჩამოგვიდებთ, კარგად ვიცით თქვენი ანგარიში, ვიცით რატომ და რისთვის მალავთ მთაში ცხვარსო“. ოთხი დღის წინათ თვითმფრინაეებმა მართლაც ამოხოცეს მთლიანად მთაში შეხიზნული ცხვარი.

XVIII

მეორე მსოფლიო ომის დროს მხრილავი აირი გერმანელებს ოფიციალურად არ გამოუყენებიათ. მხოლოდ მახსოვს, 1943 წელს, 31 ივლისს გერმანულმა თვითმფრინაეებმა ყუმბარები ჩამოყარეს იმ მილამოებში, სა-

დაც წინა დღით ჩვენ ვიდევით. შემდეგ გამოირკვა, რომ ის ყუმბარები აირით იყო შეზავებული.

გუცულმა შემდეგი ამბავი მოგვითხრო:

— იქ, სადაც გუშინ თქვენ დაბანაკებული იყავით, თვითმფრინავები მთელ დღეს ყუმბარებსა ჰყრიდნენ. საღამოჟამს, როდესაც მანქანები ვასცილდნენ იმ არე-მარეს, თვალწინ არაჩვეულებრივი სურათი დაგვიდგა: ირგვლივ ხეების ფოთლები გაყვითლებულიყო, ხის კანი წითლად შეფერადებული სჩანდა.

გუცულის ეს სიტყვები შემდეგში მწვერავებმა დაადასტურეს. ჩანდა მხრჩოლავი გაზები ეხმარათ გერმანელებს.

ბარში ყოფნის დროს თვითმფრინავების საშუალებით რეგულარული კავშირი გექონდა დიდ მიწასთან. თითქმის ყოველ დღე ვღებულობდით ეურნალ-ვახეთებს, მედიკამენტებს, საომარ მასალას. დროდადრო შენაერთის ბანაკში მოვლინებულ პირებს ჯილდოები მოჰქონდათ პარტიზანებისათვის. კარპატების მთებმა დიდ მიწასთან გავგთოშა, მხოლოდ რადიოთი უკავშირდებოდით მოსკოვს. თუ პირველ ხანებში პარტიზანები მოხიბლული იყვნენ მთის ბუნებით, ამ ბოლო დროს ყველას მოსწყინდა მთა; დუხჭირმა საარსებო პირობებმა პარტიზანებს გული გაუტეხა კარპატების მიმართ. ახლა მხოლოდ ბარზე ოცნებობდნენ ჩვენი ბიჭები, საათებს და წუთებს ითვლიდნენ, თუ როდის მიეცემოდათ ბარის მიწაზე ფეხის დადგმის საშუალება.

წინ შემოდგომა და ზამთარი გვედო. საზაფხულო სიფრიფანა ტანსაცმელის მეტი სხვა არა გავგაჩნდა—რა. ბარში სამხედრო ოპერაციებისათვის საჭირო იყო მჭიმე იარაღი, შენაერთის ხელმძღვანელები ამ საკითხებზე ბევრს

ფიქრობდნენ. იმედოვნებდნენ, რომ დიდი მიწიდან მოგვეჭრებოდა თავის დროზე ყველაფერი. ჩვენ დროს ერთი-ორი ბრძოლის შედეგად შევძლებდით ნადავლით დანაკლისის შევსებას.

ეს ის დღეები იყო, როცა წითელი არმია წინ მიიწვედა. დამარცხებული მტერი შინისაკენ გარბოდა. შტაბის რადისტო ქალი პარტიზანების პაპიროსების ბოლში ძლივს-ლა სჩანდა, პარტიზანები რადიო-აპარატს აღარ სცილდებოდნენ, ყოველი ახალი გამარჯვების ამბავს „ვაშას“ ყიყინით ხვდებოდნენ მეომრები, ირგვლივ საერთო ზეიმი იღვა.

1943 წლის აგვისტოს დამლევს უჩვეულო სიციხეები დაიჭირა. მთაშიც საგრძნობლად ცხელოდა და აბა დამლობში რა იქნებოდა, ბარი ალბათ იწვოდა.

ერთ საღამოს განმარტოებით ვზივარ. ამ დროს შტაბის მწვერავი ეორეოლიანი მომიახლოვდა, მომესალმა, ხის ძირში ჩამოჯდა.

— კარგა ხანია თქვენთვის ერთი საყურადღებო ამბავის სათქმელად ვემზადები, — მეუბნება ეორეოლიანი.

— რა იცი ასეთი, სთქვი!

— დიდი მითქმა-მოთქმაა თქვენს ირგვლივ შტაბში.

— რაო? მამაკებენ, მაქებენ?

— აბა რას ამბობთ. ძაგება რა საკადრისია. თქვენს ეაეკაცობაზეა ლაპარაკი.

— იასონ, მოდი ამ ლაპარაკს მოეში, შენ ეს პაპიროსი მოსწყი და სხვა ამბებზე მელაპარაკე, — ეუთხარი და პაპიროსი გავუწოდე.

— არა, მართალს მოგახსენებთ, თქვენი ქება მესმის შტაბში.

— იასონ! ესეც მეორე პაპიროსი, გულისჯიბეში ჩაიდე, გამოგადგება.

— სიტყვას ბანზე ნუ მრგდებთ, მართალს მოგახსენებთ, თქვენ უსათუოდ მალე საბჭოთა კავშირის გმირის სახე-

ლი მოგენიქებათ, მე ეს მწამს.

— შენ გეტყობა მესამე პაპიროსი გინდა გაიკრა!

— არა რას ამბობთ, მოიგონებთ ამ ჩემს სიტყვებს!

— კეთილი სურვილებისათვის გმადლობთ, მაგრამ ხომ ზედავ რა გააფთრებულ ბრძოლებში ვართ ჩამბული, ფიქრიც ჰქონს ზვალინდელ დღის გათენებაზე, — ვეუბნები ყორეოლიანს.

— ვისაც მოუტლავს, ის მოჰკლავს, — დასძახა იასონმა. ზეზე წამოხტა, ციბრუტივით შეტრიალდა და სირბილით შტაბისაკენ გაექანა.

მიწაზე პირალმა წამოეწეკი და ფიქრებში გადავეჭვი.

ცაზე აქა-იქ თეთრი, სიფრიდანა ღრუბლების ნაფლეთები ოდნავ შესამჩნევად იშლებიან და ლაყვარდ სივრცეში დნებიან. შორს დასაველეთისაკენ სქელი ბამბასავით თეთრი ღრუბლის ნაჭერია ცაზე გამოკიდებული. ვეებერთელა ვერძის გამოხატულება აქვს ამ ღრუბელს. ვერძს მარტო მეოთხე ფეხი აკლია, ამა მეოთხე ფეხიც ებმის — ღრუბლიდან გამოიყო, ახლა ნამდვილი ვერძია.

ვამჩნევ ძილი მეპარება, რა დროს ძილია, შორიდან ყრუდ ისმის არტილერიის ქუხილი. ნეტავი ვის ებრძვიან გერმანელები?

ეს კი ვიცი, ჩვენი შენაერთის არც ერთი ნაწილი ამ წუთში არ იბრძვის.

გუშინდელი ბრძოლა გამახსენდა. ბეწვზე გადავრჩი;

სანგრებში მაგარი ხელჩართული შეტაკება გექონდა. ფრიცის გაუბედავი თვალები სანგრის კიდესთან შევნიშნეთ, მას ჩემსკენ ეჭირა თვალი. ჯარისკაცმა უცებ ავტომატი ხელში შეატრიალა, განზრახვას მიეუხვდი.

ვეებერთელა ქვის ლოდს ამოვეფარე, ხელყუმბარა მოვიმარჯვე და სანგარში გადავისროლე, როცა ჯარისკაცს მიეუახლოვდი, ის უკვე კვდებოდა.

დავექვროდი და ვფიქრობდი:

„შენ გერმანიიდან მოდიხარ იმ-იმედით, რომ მემამულედ გინდოდა გამხდარიყავი, მაგრამ ზედმა გიმტყუნა, მარტო სამი არშინი მიწა დაიმკვიდრე. მე კი ჩემი სამშობლოს ღირსებისათვის ვიბრძვი“.

„სხვისი ერთი მტკაველი მიწა მე არ მინდა და ჩემი სამშობლოს ერთ გოჯ მიწას სხვას არ დავუთმობ“.

„ბევრმა შენმა ამხანაგმა გაქცევით თავს უშველა, შენ იარაღი ჩემზე მოიმარჯვე. კიდეც ცოტა და სანგარში შენს ადგილზე მოსალოდნელი იყო მე დავრჩენილიყავი. მე ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე ვიდექი და მუდამ ვიდგომები“.

ახლა სხვა ფიქრებს მივეცი თავი.

რუდნევთან დილის საუბარი მომეგონდა, უნებლიედ გამეცინა.

— მაგარი მეგრძოლი ხარ, დავით, მაგრამ როცა გაცხარდები, საომარი მასალის დაზოგვა გაციწყდებაო, — მითხრა სიმონ ვასილისძემ. მე ვუბასუხე: ბრძოლის გადამწყვეტ წუთებში, ჩემი შეხედულებით, მაგანიარ თადარიგზე ფიქრი ძნელი და სახიფათოც არის-შეთქი.

— არსებითად მართალი ხარო, — მითხრა რუდნევმა, მაგრამ კარპატების მთების პირობებში სამხედრო მასალის თადარიგისაგანაზე მეტი უნდა ვიფიქროთო.

ასე გადარბის გონება ერთი ფიქრიდან მეორეზე, მე კვლავ ვწეეარ და შევეცქერი კარპატების ღრმა და უძირო ცას.

XIX

პარტიზანული შენაერთისათვის ღამით სიარული მისწრებაა. შეგიძლია შეუმჩნევლად დაესხა მტერს, შეუმჩნევლად ილყა შემოარტყა...

მაგრამ როგორ გინდა იარო კარპატებში ღამით! ბილიკები ხანდისხან

უფსკრულებზე გადადის, დღისით კი მტრის თვისებრივანებები არ გვახევენ ბენ და მინც ხშირად ამ ხიფათსაც არ ვერიდებოდით, რისკზე მივდიოდით და დღისითაც ვმოგზაურობდით.

მთებში ლაშქრობას მცირეწლოვანი პარტიზანები ადვილად შეეჩვივნ. როგორც ქურციკები, ისე ხტოდენ კლდოვან ბილიკებზე ახალგაზრდა მეკავშირეები.

როცა კოვბაის რაზმი ბრიანსკის ტყეში იდგა, ჩვენთან სოფელ ვარგოლადან მოვიდა თოთხმეტი წლის ვასია პიროშკინი, ბავშვის დედამა გერმანელებს ჩამოეხრჩოთ. ამ საზარელი სურათის დამსწრე ბავშვს იმ წუთშივე შურისძიების გრძობა აღძროდა, მაგრამ როგორ მოეხერხებინა და ეძია შური ვერაგ მტერზე, არ იცოდა. გაიგო თუ არა ბრიანსკის ტყეში პარტიზანებიაო, ვასიამ მოიხრჩინა ჩვენთან და რაზმში ჩაწერის სურვილი განაცხადა. მიროშკინი მიიღეს რაზმში. მე ის ასეულის მეკავშირედ ავიყვანე. ვაბედული, ჭკვიანი და მარდი ბიჭი იყო ვასილი, ძალზე ჯანმრთელი. მს პუტივლელმა გლეხმა ბაჩა ცხენი აჩუქა. ახალგაზრდა ყმაწვალს ზედ არ ეძინა, თორემ სხვა დროს სულ ცხენზე იჯდა. „ვასიას რაში დღეღამეში სამ კილომეტრს გადისო“, — ირონიით იმახდნენ მისა ტოლები.

— ცხენი კი არა, ნამდვილი ტანკიაო, — ვასიას გასაგონად ამბობდნენ ბავშვები. ასეთ ირონიულ წამოძახილებს მიროშკინი ყურადღებას არ აქცევდა. თუ ვინიცობა პატარა მეგობრები თავისი ხუმრობით თავს მოაბეზრებდნენ, ის ცხენიდან გადმოსახებდა: „ბევრს დატოვებდით ასეთ ცხენებს სახლში დაბმულსო“.

მიროშკინი დავალებას ზუსტად და დროულად ასრულებდა, არ მახსოვს შემთხვევა, რომ მას ჩემი დავალება არ შეესრულებინოს. ცეცხლში გაძე-

რებოდა და დაბარებულ სიტყვებს ადგილზე მიიტანდა.

ეროვნული

ხშირად მეტყობდა *„ხტოდენი“* ცხენით: „ამხანაგო უფროსო, დროა აწი მევეტომატეთა რიგებში ჩამრიცხეთო“, თავის ცხენის შესახებ ამბობდა: „მე ეს ცხენი პუტივლში მის პატრონს უნდა მივევაროვო“.

არ დასცალდა პატარა ბიჭს პუტივლში დაბრუნება. ის ერთ-ერთ გააფთრებულ ბრძოლაში, მოვალეობის შესრულების დროს, გამირულად დაილუბა.

მაგრამ დაწვრილებით ამაზე ქვემოთ. ძალა ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმ პატარა მებრძოლებზე, რომლებიც ჩვენს შენაერთში ირიცხებოდნენ.

ისინი სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ სიდიხეში დიდებს გატოლებოდნენ. მაგრამ ხანდისხან ბავშვური სიცელქე წამოუვლიდათ ხოლმე.

აგერ დილით ადრე, ჩვენი პატარა მეკავშირეები ხელახლაკიდებულები, ყრიაშულით გარბოდ-გაპორბოდნენ ყვაილოვან მთის კალთებზე, შვლის ნუკრებივით დახტოდნენ ციკაბო კლდეებზე, მღეროდნენ და კისკისობდნენ. მაგრამ ისიც ხდებოდა, რომ ხანდისხან ჩხუბი მოუვიდოდათ და სიცილი ტირილად შეეცვლებოდათ ხოლმე. პატარა „ივან კუხშირი“ დაეტაკებოდა კოლია ჩეჩეტკინს, გამოსდებდა სარძას და ორივე ბეჭებით მიწაზე დააწვენდა. ამას მოსდევდა აყალ-მაყალი და ხანდისხან მუშტებზეც მიდგებოდა საქმე.

მაგრამ მეგობრები ნახევარი საათის შემდეგ ისევ შერიგებულები იყვნენ. „ივან კუხშირი“ და კოლია ჩეჩეტკინი კვლავ ერთად დახტოდნენ და ყირამალა გადადიოდნენ. ბავშვები აქ, მთაში არჩენილ გრძობდნენ თავს და ჩვენსავით, დიდებივით, ბარში ჩამოსვლაზე როდი ოცნებობდნენ.

XX

კარპატებში ბრძოლების დროს გერმანელები ისე დაიბნენ, რომ თითონაც აღარ იცოდნენ რას სჩადიოდნენ. ამ ენებერთელა მთაგრეხილზე და მის ქალთებზე ყოველ ბუჩქის ძირას პარტიზანი ელანდებოდათ, თითო კაცი ხუთად ეჩვენებოდათ, შიშით გული საგულეს აღარა ჰქონდათ და მაინც — დახეთ მათს უტიფრობას — ტრაბახით ქვეყანას აყრუებდნენ: პარტიზანები ისე გავანადგურეთ, რომ აქა-იქ პატარა-პატარა, ოთხი-ხუთი კაცისაგან შემდგარი ჯგუფები-ღა დარჩა და იმათაც თითო-ორულა ვაზნა გაჩნიათო. ახლა ის-ღა დაგვრჩენია, რომ კოვბაკი და რუდნევი ხელში ჩავიგდოთო.

ყველაზე სასაცილო ის იყო, თუ როგორ ეძებდნენ გერმანელები კოვბაკსა და რუდნევს. ყოველ გზაჯვარედინზე, ყოველ სოფელსა და ქალაქში, ტელეგრაფის ბოძებზე განცხადებები იყო გაკრული, უზარმაზარ ფულად ჯილდოს პირდებოდნენ მას, ვინც პარტიზანების მეთაურებს ცოცხლად მიჰგვრიდათ, აქვე განცხადებაში აღწერილი იყო გარეგნობა პარტიზანთა ხელმძღვანელებისა. და აი, ლაშქრობის დროს წაეწყლით ასეთ განცხადებას: მასში ერთომ „აღწერილი“ იყო კოვბაკისა და რუდნევის გარეგნობა; ვკითხულობთ: კოვბაკი სუფთად წვერ-გაბარსულია, კუპრივით შავი თმები და უღვაშები აქვს, ორმოცი წლისა იქნება, ხოლო რუდნევი სამოცი წლის ხმელ-ხმელი მოხუციო, პატარა ქალარა წვერი აქვსო.

ასე გააახალგაზრდავეს უცუნურმა ფრიცებმა ქალარა კოვბაკი, ხოლო რუდნევი ბერიკაცად დასახეს, ერთი სიტყვით რუდნევი და კოვბაკი ერთიმეორეში აღრიეს. რუდნევემა განცხადება რომ წაიკითხა — გადაიხარხარა, ბერიკაცი კი გაბრაზდა; საინტერესო იყო,

რომ გერმანელები კოვბაკს ფასს წელნელა „უმატებდნენ“. მისი შეპყრობისათვის ათასობით ხანეთსა პირდებოდნენ; ყოველი ლაშქრობის, ყოველი რეიდის შემდეგ ეს ფასი ზევით იწვევდა და კარპატებში კინაღამ ასტრონომიულ ციფრებადღე მიიღწია.

მიუხედავად ყოველივე ამისა — მტრის მუხანათური ხრიკები მუდამ მარცხით თავედებოდა. ეს იმიტომ, რომ ხალხის თანაგრძნობა ჩვენსკენ იყო.

ერთხელ, როცა მტრის თვითმფრინავეებმა სინიჩკას მთა დაბომბეს, პარტიზანებმა შეამჩნიეს, რომ ერთი წყება ყუმბარებისა ქალაქის ფურცლებით იყო ღატენილი. ამ ფურცლებზე ასეთი წარწერები წაეკითხეთ: „ჩეხოსლოვაკიის ხალხი თქვენთანაა, გაუმარჯოს წითელ არმიას!“

ხსენებული ყუმბარები ჩეხოსლოვაკიის ქარხნებში იყო დამზადებული და ეს ორიგინალური წარწერებიც იმას მოწმობდნენ, რომ ჩეხებს პირივით სძულდათ დამპყრობლები. ეს ასე იყო არა მარტო ჩეხოსლოვაკიაში; ყველგან, სადაც კი ფეხი შედგეს გერმანელებმა, პირველი დღიდანვე, მოსულებს და დამხდურებს შორის მტრული განწყობილება დამყარდა. გერმანელების ფეხქვეშ ყველგან მიწას ცეცხლი ეკიდებოდა.

წელან სინიჩკას მთის დაბომბვა ეახსენე. ამ თავდასხმისას გერმანელებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს. თვითმფრინავეებიდან გატმოყრილ ყუმბარებს არცერთი მეომარი არ დაუზიანებიათ. ჩვენ კვლავ განვაგრძეთ გზა. გათენდა კიდეც. მეომრებმა დაიწყეს ტოტემ-გაბარჯულუ ხეებს ქვეშ თავშესაფარების მოწყობა; პარტიზანები იმავე დროს დაუზარებლად ზრუნავდნენ, რათა ცხენები შეუნიღბენი არ დაჩენილიყვნენ და მტერს არ შეემჩნია ისინი. საცოდავე, დამოუღლი ცხენები ხმადაბლა ხეხვიენებდნენ მეომრის მიახლოებაზე ჰშიოდით ბედ-

შავებს. რაღაც ისე იცქირებოდნენ, რომ ასე შეგონა, ისინიც გრძნობდნენ იმ განსაცდელს, რომელიც მტრის ავიაციის თავდასხმას მოსდევდა. ვფიქრობდი, ალბათ ზედმეტიან-მეთქი, თუ რატომ არ გაგვყავს ისინი საძოვრად ბალახით გადაბიძინებულ მთის კალთებზე, რატომ არის, რომ ხელით ვაწვდით მწიფე დათავთავებული ბალახის ბლუჯებს; მაღიანად ახრამუნებდნენ ბალახს და თითქოს მაღლობის ნიშნად გონიერი ფართო თვალებით თვალეში ჩაგვქეროდნენ.

ყველა ჩვენთაგანი გრძნობდა ბარის სიახლოვეს, ეს უკვე გვაშხნევებდა და გეახარებდა. მოწინააღმდეგე ისევ კვლადაკვალ მოგვდევდა, ვინ მოსთვლის რამდენჯერ შევამთხვიეთ მას მარცხი ამ დადევნების დროს, მაგრამ გერმანელები მაინც თავის სიჯიუტეს არ იშლიდნენ. კვლავ გვისაფრდებოდნენ, მაგრამ ყოველ ახალ დღეს ისეთივე გამანადგურებელ პასუხს მიიღებდნენ ხოლმე, როგორც ადრე მიუღიათ.

აგერ შორს, ჩვენს უკან, ბურუსში დღურბინდებით ოდნავ გაეარჩიეთ ადამიანები, რომელნიც სინიჩკას მთის კალთებზე დაეშენენ. ეს ისევ მდევარია. დრო და დრო შექმფენ ტყვიებს ისერიან. მაგრამ მათი დანახვა ჩვენში შემფოთებას არ იწვევს: სანამ მტერი ჩვენამდე მოაღწევს, ამასობაში პარტიზანები სამშვიდობოზე გასვლას თავისუფლად მოვასწრებთ.

თადარიგისათვის მდევრის შესაჩერებლად გამოიყო და გაიგზავნა მეოთხე ბატალიონი, თუ ვინიცობაა მტერი დაგვეწია, ის ამ ბატალიონმა უნდა შეაჩეროს.

ამგვარი წინასწარი ზომების წყალობით ჩვენ ბევრჯერ ავიცილეთ მარცხი. და რაც უფრო მაგრად მოხვდებოდათ ხოლმე გერმანელებს ცხვირში, იმდენად უფრო ხმაძალდა გაჰკიოდნენ: პარტიზანები გაეანადგურეთო. შევკას მთის

ბრძოლების შემდეგ, სადაც მე და გორლანოვმა სასტიკი დამარცხება განვიცავეთ ფრიცებს, ჩვენდა განსაოცრად შერჩე დღეს ფურცლები დაგვყარეს თავზე: დაგვენბდით, თქვენი შენაერთი აღარ არსებობსო.

ერთი სიტყვით, ძველი ანდაზის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალი ჰყვებოდა და ჩვენი ქარაიანი მაინც მიდიოდა.

შევკას მთაზე დატყვევებულმა გერმანელმა გვიამბო:

— ჩვენმა მეთაურებმა გვითხრეს, რომ პარტიზანების ერთი წყება კარბატებში სიმშლით დაიხოცა და მეორე ავიაციამ გაანადგურაო.

— თქვენ ეს გჯეროდათ?— გვითხე მას.

— დღეს ეს, რასაკვირველია, აღარა მჯერა, ჩემი თვლით გიციქრით.

— იქნებ იყოღე, რად სჭირდებათ ეს ტყუილები თქვენს ხელმძღვანელებს?


— ვფიქრობ აგიტაციისათვის, მეომრების გასამხნეველად.

ჯარისკაცი არ სტყუოდა, გერმანელები კოვპაკის შენაერთის ვითომდა განადგურებაზე შეითხნილ ქორებს სააგიტაციო მასალად იყენებდნენ, ამ ხმებს ისინი ავრცელებდნენ, როგორც თავისი არმიის ნაწილებში, ისე მოსახლეობაში.

მოჰქონდა თუ არა ამ აგიტაციას მათთვის რაიმე ხეირი? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არავითარი; პირიქით, ამ ქორებმა თვით გერმანელები არაერთხელ შეაცდინეს და დააბნიეს. დაიმედებული იმაში, რომ პარტიზანთა შენაერთი განადგურებულაო, გერმანელი ჯარისკაცი თვითდამშვიდებას ეძლეოდა, სიფრთხილეს ჰქარავდა და ეს კი ჩვენთვის ხელსაყრელი იყო. გამოდიოდა, რომ თავისდა უნებურად გერმანელები წყალს ასხამდნენ ჩვენს წისქვილზე.

იმ ხანებში ქალაქ დელიატინს მიუახლოვდით.

დელიატინი დიდი რაიონული ცენტ-



რია. ქალაქს სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეს მთები აკრავს, ჩრდილოეთით და დასავლეთით — დაბლობები.

ამ ქალაქში იმიერკარპატელი უკრაინელები ცხოვრობენ, ქალაქზე რკინიგზის მაგისტრალი გადის, ხოლო ირგვლივ მიდამოები წიწვიან-ფოთლოვანი ტყეებითაა შემოსილი.

ქალაქის ფართო და სწორი ქუჩები კარგად მოვლილი და სუფთად შენახული იყო. ქალაქს გაძლიერებული სამხედრო გარნიზონი იცავდა. ამ უკანასკნელის განკარგულებაში იყო ტანკები და მძიმე არტილერია. აშკარა იყო, რომ დელიატინი შეუვალ ციხედ ექცია მტერს.

მზეერავებმა ისიც გვაცნობეს, დელიატინში სრული სიწყნარეა, მტერს წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ ჩვენ ასე ახლო ვართ ქალაქთან. ან და როგორ წარმოიდგენდნენ ჩვენს მოახლოვებას, როდესაც თვითმფრინავებმა პარტიზანების საბოლოოდ განადგურება ფურცლებით აუწყეს ქვეყანას.

ჩვენი მზეერავეები ქალაქის ქუჩებში შესულიყვნენ, მათ ისიც გავგოთ, რომ ქალაქში იმყოფებოდა დივიზიის შტაბი, რომელსაც მრავალრიცხოვანი მცველები იცავენო. დივიზიის ნაწილები ყველა მიმართულებით იყო დაგზავნილი და განლაგებული. კარპატების მთებში მოქმედი პოლკები და სხვა წვრილი განაყოფები დელიატინის დივიზიას ეკუთვნოდნენ.

გარდა ამისა, ქალაქის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში მზეერავებს ლიდალრი ავტომანქანები შეემჩნიათ. მდინარე პრუტი აღმოსავლეთიდან შედის ქალაქში და მას შუაზე ჰყოფს. მზეერავებმა ისიც გვაცნობეს, რომ ამ მდინარეზე ქალაქში ორი ღიდი ხიდია აშენებული, ორთავე ხიდს მცველები დარაჯობენ, ქალაქში ნორმალური ცხოვრებაა, და გერმანელები საშიშროების მოლოდინში არ არიანო.

ჩემი ასეულის მზეერავეების ნაამბო-

ბი სიტყვა-სიტყვით დაადსტურეს დელიატინიდან შემდეგ რაღაც დამატებულმა შტაბის მზეერავეებმა.

ის იყო დაბრუნდნენ მზეერავეები, როცა ჩემთან მეკავშირე მოვიდა. შტაბში შეძახოდნენ. დაუყოვნებლივ გავეშურე დანიშნულების ადგილზე.

სანამ შტაბში შევიდოდი, იქ მყოფმა ასეულის მეთაურებმა გვერდზე გამიხმეს და მითხრეს:

— ამხანაგო დავით, იცით, რომ ამაღამ დელიატინის ასაღებად მივდივართ? ბრძანება უკვე იმეკდება, შენც ამ ოპერაციასთან დაკავშირებით ხარ გამოძახებულიო.

ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან დელიატინი უნდა აგველო, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე სასწრაფოდ შევეტრევიდით ამ ქალაქის გარნიზონს. მზეერავეები სარწმუნოდ ამბობდნენ, ქალაქში მდგარი დივიზიის ნაწილები მთებში არიან წასულლებიო, მაგრამ მტერს საშუალება ჰქონდა, საჭიროების დროს რა რაოდენობითაც უნდოდა, გადმოესროლა ეს ჯარი ქალაქში. ამავე დროს თავისი მღებარეობით დელიატინი მეტად მნიშვნელოვან სტრატეგულ პუნქტს წარმოადგენდა, მამასაღამე, ქალაქის ალებისას ჩვენის მხრივ საგრძნობი მსხვერპლის გაღება იყო საჭირო.

შტაბში შევედი, ბრძანება უკვე მზად იყო. ერთი ეგზემპლარი გადმომცეს.

ბრძანებით გათვალისწინებული იყო შემდეგი თადარიგანობა: დელიატინს ჩვენი შენაერთი მთელი შემადგენლობით უნდა შესეოდა. ვისაც იარაღის ტარება კი შეეძლო, ყველას უნდა აეღო ის ხელში, დამკვრელ ნაწილში გამოყოფილი იყო მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ასეულები.

ეს ხუთი ასეული, მიეუახლოვდებოდით ქალაქს თუ არა ელვისებური სისწრაფით უნდა შეეჭრილიყავით ცენტრში და მტრისათვის შუბლში უნდა დაგვერტყა.

მეორე, მესამე და მეოთხე ბატალი-

ონებს და დანარჩენ ასეულებს ფლანგიდან უნდა შეეციათ. ბრძოლის ხელმძღვანელობა რუდნევის და ვერშიგორას ჰქონდათ პირადად დაკისრებული.

გავეცანი გეგმას, იგი მეტად გარკვეული და მოქნილია. ავტომატი მხარზე მაქვს გადაკიდებული და ბრძანებას ხელმეორედ ვკითხულობ. რუდნევი დამინახა და მითხრა:

— დავით, მზადა ვართ?

— როგორც ყოველთვის, — ვუპასუხე კომისარს.

— დელიატინის აღება, იცოდე აუცილებლად საჭიროა. რაც მთავარია, ამაღამ ჩვენ მტერი არ მოგველის, ეს გარეწოდა ქალაქის აღებას გაადვილებს, — მითხრა ეს და მერე შეძეკითხა: „როგორია მეომრების სულისკვეთება“.

— დიდი აღფრთოვანება ასეულში, წუთობით ითვლიან მთებიდან წასვლის ვადას, ისეთ ხასიათზე არიან მებრძოლები, ბერლინი, რომ ახლოს იყოს, იმაზედაც გაიწევენ; მარტო ერთი რამ მაწუხებს, — ვუთხარი ჩვენს გულისხმიერ კომისარს.

— მაინც რა?

— მებრძოლებს შიათ, თუმცაღა ამაზე არაფერს ამბობენ, მაგრამ, ძალიან შიათ!

— აქი დღეს დაეძებდი სურსათს, ღავინახე?

— დავეძებდი, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე!

— არც ასე ვარგა, რამე უნდა მოეხერხოთ, დაუძახე პავლოვსკის, — მიმართა კომისარმა ახლო მდგომ პარტიზანს, პავლოვსკი თვალის დახამხამებაში გამოცხადდა.

— ამხანაგო პავლოვსკი, რა სურსათი გაქვთ და რა რაოდენობით, — მიმართა შენაერთის მწეს რუდნევი.

— მხოლოდ ხელუხლებელი მარაგი მაქვს და ისიც მცირე რაოდენობით: ათი კილო ღორის ქონი და ოცდაათი კილო მჭადის ფქვილი.

რუდნევი ჩაფიქრდა, — ეგ ცოტაა, — სთქვა მან, — მაგრამ არაფერს ვუპასუხებ ვიშოვით, მიეცით მსალსა და ასეულს ოთხი კილო ქონი და ათი კილო ფქვილი.

ეს სურსათი ჩემს თანაშემწეს სუხოცკის გადავებარე და თან წინადადება მივეცი საჩქაროდ მებრძოლებისათვის გაეხაწილებინა.

ის იყო შტაბში კოვპაკიც შემოვიდა. როცა ბრძანება ყველა მეთაურმა წაიკითხა, კოვპაკმა სიტყვით მოგვმართა:

— დელიატინზე შეტევა, — სთქვა მან, — სწორედ, რომ ძალზე გაბედული ნაბიჯია, მაგრამ ჩვენი უპირატესობა ის არის, რომ მტერი დელიატინში არ მოგველის; ამიტომ მიზანშეწონილია დეფარტყათ იქ, სადაც არ მოგველიან. ისიც ვიცით, ამ ხანად დელიატინში გერმანელებს დიდი ძალები არა ჰყავთ. ეს მეორე გარემოებაც ჩვენს ბრძოლას წარმატებას მიანიჭებს. მთავარია ქალაქს შეუშინველად მივეპაროთ, ამას ჩვენ შევძლებთ. ხომ გახსოვთ, არტილერიის და აღალების ხმაურში ვახერხებდით ქალაქებში შეპარვას და დღეს, მით უმეტეს, ამ მხრივ დაბრკოლება არ არის მოსალოდნელი. მაშ ასე, დელიატინზე ფეხაყრფით მიპარვა და ელვისებური დარტყმა, ქალაქში შეჭრის პირველი წუთებშივე ხილების ხელთ ჩაგდება და აფეთქება, — აი ეს არის მთავარი. არ დაგავიწყდეთ, რომ წინამდებარე ბრძოლა მეთაურების პასუხისმგებლობას ერთი ათად ზრდის: მთებში წარმოებული წვრილწვრილი შეტაკებების შემდეგ დელიატინის იერიში ყველაზე ურთულესი იქნება. დელიატინი კარპატების ძირში მდებარე, მტრის ხელში მყოფ ყველა ქალაქზე უდიდესი და უძლიერესია. დელიატინზე მივდივართ იმ რწმენით, რომ უთუოდ გავიმარჯვებთ. წარსულში არსად და არასდროს თავისი გადაწყვეტილება პარტიზანებს სისრულეში მოუყვანელი არ დარჩენიათ, ახლაც ასე

უნდა იყოს. ჩვენ პარტიზანები ვართ, ჩვენს ბრძოლებს საბჭოთა კავშირი და მთელი მოწინავე კაცობრიობა თვალყურს ადევნებს, ალტაცებულია ჩვენი გამარჯვებებით. სიტყვა თქვენზეა, ამხანაგო მეთაურებო! დელიატინის ბრძოლები კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარება იქნება. ქალაქში მოკალათებულ მტერს უდარდელად სძინავს ამაღამ, ალბად სძინავს ისე, როგორც რასულნის ალების წინ ფრიცებს ეძინათ. მოდი ვეცადოთ, რომ ნულარ გაიღვიძებენ, ტყბილი ძილი—სიკვდილად ვუჭკიოთ. მჯერა თქვენი ვაჟკაცობისა, — დაამთავრა სიტყვა კოვაკმა.

კოვაკის შემდეგ სიტყვით გამოსულმა რუდნევა დეტალურად განმარტა წინამდებარე ბრძოლის ზოგი თავისებურება, მან მეომრების საღ სულიერ განწყობილებას განსაკუთრებით ზაზი გაუსვა და ბოლოს დაასკვნა:

— ამ ბრძოლაში სწრაფი, ელვისებური დარტყმა ჩვენს სასარგებლოდ გადასწყვეტს ბრძოლის ბედს. ზიდების დროულად ხელში ჩაგდება ბრძოლის გეგმის ოთხმოცი პროცენტის შესრულებას უდრის. ამ ბრძანებით ამხანაგ ბაქრაძეს ვვალება დელიატინის ალების შემდეგ მეხუთე, შერევი და მეცხრე ასეულებით სოფელ ბანიშის დაავება; ამას კიდევ მოგაგონებთ, ამხანაგო ბაქრაძე. მანქანებს გაოფრთხილდით, არ დასწვით, ნათავლ მანქანებზე დასხი მებრძოლები. სწრაფად გადალახეთ ზიდი და ბანიში გამაგრდით. ჩვენც მალე თქვენ შემოვიერთდებით.

რუდნევა სიტყვა დაამთავრა. მეთაურები ბრძანების ყოველ დეტალში საესებით გაერკენენ, მოხუცის განკარგულებით ყველანი საჩქაროდ თავთავის ნაწილებში დავებრუნდით.

მოვედი თუ არა ასეულში, მაშინვე როდი წავიკითხე ბრძანება, ჯერ ნიადაგის მომზადება ვცადე.

— რას იტყვით, ამხანაგებო, არის

განზრახვა ბარში ჩავიდეთ და შემდგომი ბრძოლები იქ გავაგრძელოთ.

— კარგია, კარგი, ამ განზრახვას ვესალმებით, მოგვებურდა მთა, — ერთხმად იმახიან მებრძოლები, ყველას თვალები აენთოთ და სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყოთ.

ამის შემდეგ დელიატინის მოსალოდნელ ბრძოლაზე წამოვიწყე საუბარი.

ბრძანება წავიკითხე. ყოველი მებრძოლი ცდილობს არცერთი სიტყვა არ გამოარჩეს. აღფრთოვანებაში მოდიან. როდესაც ვთქვი, ამაღამ დელიატინში უნდა შევიტრათ-მეთქი, კმაყოფილების გამომხატველი შეძახილები აღმოხდათ: ოლონდ ფეხი ბარის მიწაზე დავადგათ და გამარჯვება ჩვენზე იყოსო.

ახლა უკვე წასვლაზე ვჩქარობთ. საჭიროა დადევნებულ მტერს გავუსწროთ და ამ უქანასკნელთან ბრძოლაში არ ჩავებათ. ბიჭები სახელდახელოდ დაწერილ ფურცლებს ბილიკების მახლობელ ხეებზე აკრავენ. ამ ფურცლების შინაარსი ასეთია: „ხუთი დღე და ღამე შეუსვენებლად რომ გვდიოთ, მაინც ვერ დაგვეწვიოთ, ტყუილათ ნუ იწუხებთ თავს“. მეორე ფურცელში ეწერა: „გირჩევთ თქვენს ქვეყანაში წახვიდეთ, სანამდე ყველას ამოგწყვეტთ“ და ა. შ.

აღფრთოვანებული მეომრები თითქოს საზეიმო შეკრებაზე მიდიანო, ვარბი-გამორბიან, სამზადისში არიან. საუბრე სახელდახელოდ დამზადებინათ, ავიაციის შიშით ცეცხლის გაჩაღება ხომ შეუძლებელი იყო, ფქვილი ცოც წყალში გაეჭნათ, შიგ წერილ-ნაწილებად დაჭრილი ქონი ჩაეყარათ და ფაფაც მზად იყო. ჩემთვისაც შეენახათ ქვაბუნათი ეს უტბო სამხარი. დავნაყრდი. სული მოვიბრუნე, სულ არაჩაობას ეს მცირე საკმელიც სჯობია, ხელ დილით დელიატინი გავვიმასპინძლოდა.

შელამდა. არ წყდება ფუსფუსი პარტიზანთა ბანაკში. მხიარულება და

კმაყოფილებაა აღბეჭდილი მეომრეობის სახეებზე, ბარში ჩასასვლელად იჩქარიან ბიჭები. სხვათა შორის, ამ აღფრთოვანებას ამლამინდელ ბრძოლაში ჩვენი გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეომრების სიმხნევე ათასწილად გააძლიერა რადიოთი მოღებულმა ცნობამ: „წითელმა არმიამ ეურსკთან გერმანელების ფრონტი გაარღვია და ქალაქში შეიჭრა“; ამ აზბის გავონებაზე ბიჭებმა კინაღამ შესძრეს იქაურობა.

რუდნევეს ველარ ვცნობდით. ის მუდამ მხნე კაცი იყო, მაგრამ იმ დღეს მაინც მოლოდინს გადააჭარბა: კომიზარი ოფლში გაქაფულ თავის თეთრ ცხენს დააგლეჯებდა, შევარდნის თვალეებით დასცქეროდა მეომრებს და ხმადაბლა, დიდი პათოსით წარმოსთქვამდა:

— წითელი არმიის შესახვედრად, წინ, ამხანაგებო, გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას, გაუმარჯოს დიდ სტალინს!

დაღამდა, პაპიროსის მოკიდება აკრძალულია, ბნელა, ამ სიბნელეში ისმის მეთაურთა ბრძანებები: „ხმა ამოუღებლად გამოდით არაფერი დაგრჩეთ, სმენა!“... მხოლოდ ბილიკებზე ღორღის ხრაშუნი თუ გაგრძნობინებთ, რომ აქ აღამიანთა დიდი მოძრაობაა. „სმენას“ ბრძანებაზე კი ფეხის ზმაც წყდებდა. ათასოთხასი კაცის მოძრაობა ამ უკუნეთ სიბნელეში შეუძინვეელი რჩებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, მე დავებულე მქონდა ქალაქში შესვლისთანავე ნადავლ მანქანაზე დამესხა მებრძოლები და სოფელ ბანიშში წამეყვანა, იქ უნდა გვექამა ვახშამი. ჩემს ასეულეში პროფესიული მოფერი და მოხალისეები ბევრი იყვნენ. ეს უკანასკნელები უკვე ემზადებოდნენ, მეომრებს ეხვეწებოდნენ — „არა ჩემს მანქანაზე დასხედით, არა ჩემსაზეო“. ამაზეა ნათქვამი — „ღვინო არსად იყო და ტი-

კებს ბერავდნენო“. აეტოებით ბანიშში აღარ წაესულვართ ედუკაციამ სოფელში გვივახშამია, მგერამ: მისხეუშემდეგ.

სალაშქროდ გამგზავრების წინ რუდნევემა მაგრად ჩამომართვა ხელი და გამარჯვება მისურვა. ეს ჩემი უკანასკნელი ხელის ჩამორთმევა და დამშვიდობება იყო საყვარელ კომისართან.

დაღმართში დავეშვიტ, საშინლად ბნელოდა, თვალაბეულებივით მიედოლით, ვერც წინ, ვერც უკან ვერაფერს ვხედავდით, უეცრად გზის გაღმა-გადმოღმა ნათელი წერტილები შევეამჩნიე. გამოირკვა, რომ დამპალი ფულურო ხე უშვებდა ფოსფორულ სხივებს. რომელიღაც პარტიზანს ჩამოეტება ეს სხივოსანი ფულურო და წინ მომავალი ამხანაგისათვის ზურგზე წაესვა, ასე, რომ ახლა მეომრის ზურგზე აციალდნენ ნათელი წერტილები. წყარიაღში ახლა ერთმანეთს ბილიკზე მიმავალი პარტიზანები აღარ დაკარავდნენ. მალე დანარჩენებმაც მიჰბაძეს იმ პარტიზანს და გზაზე მძეტუტავი ფარნების ქარაფანი ვაიბა.

ამ უცნაორმა ფარნებმა დიდი სამსახური გააიწიეს. გზიდან აციდნა და ნაპრალებში გადაჩება თავიდან ავიცილით.

მკითხველი აღვილად წარმოიდგინს თუ რა დღეში იქნებოდნენ ის მეომრები, რომლებსაც ამ ჯოჯოხეთორო პირობებში დაქრილ-დაავადებულეები მოჰყავდათ. უბიოურება ის იყო, რომ ცხენებით დაქრილობის წამოყვანა ამ შავბნელ ღამეში საშიშიც იყო და შეუძლებელიც. დააჩინდაგიბოლ ცხენებით დღის სინათლეზეც სჭირდა ბილიკებზე სიაროლი და ოამით რომ ზედმეტი იყო ამაზედ ლაპარაკი: მძიმე ავადმყოფების ცხენებიდან ჩამოყვანა და ხელით ტარება აუცილებელი გახდა.

შინაერთის შამადვენლობა ბილიკებზე შემღიგი წარსრევით იყო განლაგებული: თავში, წინ, შტაბის მთავარი

მზერავები მიდიოდნენ, ყოველი ფეხის გადადგმაზე ისინი გზის უშიშროებას ამოწმებდნენ, მზერავებს რუდნევი და ვერშიგორა მიჰყებოდნენ, მათ მისდევდნენ მესამე, მეცხრე მეხუთე და მერვე ასეულები, კოვაკი შტაბთან და დაპირლებთან ერთად შუაში იყო მოქცეული.

დაწყებული ხელმძღვანელებით და დამთავრებული რიგით მეომრებით — ყველა ფეხით მიდიოდა. რუდნევეს წუთი არ დაუსვენია გზაში, ხან კოლონის ერთ თავში განხდებოდა და ხან მეორე თავში, ღამის წყვედიანი თითქოს მისთვის არ არსებობდა, კომისარი ამხნევებდა მეომრებს, გამარჯვების იმედს უწერგავდა.

— ჩვენი ყველა ბრძოლის გვირგვინი დელიატინი უნდა იყოს, — ამბობდა ის, — გერმანელებს უნდა დავანახოთ, რომ მათ მიერ მოჩმახულ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, პარტიზანები ისეთივე ძლიერნი არიან დღესაც, როგორც ეს მუდამ სხვა დროს.

ამასთან ერთად რუდნევი გზაში განუწყვეტლივ ავადმყოფებს დატრიალებდა თავს.

— ივანე, როგორ გრძნობ თავს? კოლია ხომ არაფერი გიჭირს? საშა გამხნევედი, საცაა ჩავალთ ბარში, — ისმოდა დროდადრო რუდნევის შეძახილები. როცა რომელიმე ასეული გზაში შედგებოდა, რუდნევი დაუყოვნებლივ იქ გაჩნდებოდა, გაიგებდა შეჩირების მიზეზს და დაბრკოლების სასწრაფოდ გადალახვის შემდეგ გზას განეგარძობდით.

დიდ აღმართებს მოკლე დაღმართი მოჰყავდა, გზის ამგვარმა შეიცვალა გამოაცოცხლა პარტიზანები, შემდეგ ისევ აღმართი დაიწყო. სასწრაფოდ ავირბინეთ და აგურ ქალაქიც, — მეომართა შორის თავშეკეცებული ჩურჩული გაისმა.

— დელიატინია! — წამოიძახა საცმად ხმაივალმა კოლონის თავში მოქცეულმა მზერავემა. უკვე ქალაქის სა-

ზღვარს მივადექით; როგორც ყველა ქალაქი ომის დროს, დელიატინიც ღამით შენიღბული იყო. ქალაქის კარებზე მას მხოლოდ ქუჩებში ორნავე მოციმციმე ელექტრონათურები ამელავნებდნენ. ამ ნიშნებით სჩანდა, რომ დელიატინი პატარა ქალაქი არ იყო.

პარტიზანებმა ნაბიჯი ააჩქარეს, საბედისწერო წუთები ახლოვდებოდა. ან გამარჯვება, ან სახელოვანი სიკვდილი ამაღამდელ ბრძოლაში, — გაიძახოდა კომისარი.

საცალფეხო ბილიკი შარა-გზას შეუერთდა. ეს გზა ქალაქს სამხრეთით ჩაუდიოდა. პარტიზანებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, შარა-გზაზე დადგეს ფეხი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა, სძინავს დელიატინს.

ელექტრონათურები ერთბაშად ჩაქრა, ეს რას ნიშნავს, ხომ არ შეგენიშნეს ნეტავი? არა, ისევ ხელმეორედ განათდა, ალბათ ვარჯიშობს ამ შუალდებისას ელექტრო სადგურის მონტიორი, ცეცხლს ვთამაშება. ან შესაძლოა ის ძილმორეული იყოს და ეინს იკლავდეს ამ ვარჯიშით.

ელექტრონათურების გაერთიანებულ მკრთალ შუქზე რძისფერად სჩანს ქალაქის ვრცელი ჰორიზონტი.

XXI

ათასობისი პარტიზანი სდგას ღამის წყვედიდში დელიატინის ვანაპირას. ხელმძღვანელები თათბირობენ ქალაქში შეჭრის საკითხზე.

ქალაქს კი სძინავს. მზერავეთა ჯგუფი გუშაგების სადგომს მიუახლოვდა და მცველები დახოცეს. ამის შემდეგ ქალაქის კარები ჩვენთვის ღია იყო. ცენტრში დადგნენ მეორე, მესამე, მეხუთე და მეცხრე ასეულები. ამათ ევალებოდათ ქალაქში ყოყინით შეჭრილიყვნენ და მისი ცენტრი დაეკაებინათ. ეს დამკვრელი ჯგუფი იყო.

მარჯვენა ფლანგზე დადგა მესამე ბატალიონი, მატუშენკოს ხელმძღვანელო-

ბით. ამ ბატალიონს ქალაქის ხიდებზე, მათ შორის რკინიგზის ხიდი უნდა აეფეთქებინა. მარცხენა ფლანგზე მეორე და მეოთხე ბატალიონები კულბაქას და ბროიკოს ხელმძღვანელობით განლაგდნენ, დაეალება ასეთი იუპო: რკინიგზის სადგური უნდა დაეწვათ, ნავთსაცაეები და ნავთის მარაგი უნდა გაენადგურებინათ, ისრები მოეშალათ და ნაწილობრივ ლიანდაგი აეყარათ.

დაჭრილები შტაბის მზარუნელობის ქვეშ რჩებოდნენ. შტაბის დაცვა მეოთხე და მეათე ასეულებს ჰქონდათ დაკისრებული.

ოპერაციის ხელმძღვანელებს — რედნევს და ვერშიგორას მოახსენეს, რომ სამზადისი ბრძოლისათვის დამთავრებულია.

ნათქვამია, ქარიშხლის წინ განსაკუთრებული სიჩუმე ჩამოვარდებოა, ახლაც, ჩვენს ბანაკში სიჩუმე დამყარდა; ღამის წყვილიაღში ქანდაკებასავით იდგნენ შეტევებზე გადასვლის ბრძანების მომლოდინე პარტიზანები.

„ურაა“, — გაისმა უცებ. დამკვრელი ასეულები ავტომატების სროლით შევიპკრით ქალაქის ცენტრში; არამც თუ ჩაძინებული მოწინააღმდეგე, ფხიზელი და საბრძოლველად მომზადებული რომ ყოფილიყო, მაინც თავზარს დასცემდა ეს იერიში.

ქალაქში მყოფი ფაშისტები ღრმა ძილში იყვნენ. მათ ფეხზე დადგომაც ვერ მოასწრეს, ისე ვანადგურებდით მათს ბუნჯას.

ქალაქის ცენტრში ავტომატების გუგუნის ისმის, როგორც სჩანს მტერი ქალაქიდან გარბის, ყოყინა მატულობს და დამკვრელი ჯგუფი ცენტრისაკენ მიიწევს. არავითარი ბრძანება მეთაურებისა არ ისმის, ყველა მებრძოლმა იცის საით წავიდეს და სად უნდა დაარტყას მტერს.

ქალაქის ქუჩებში საბოლოოდ ჩააქრეს მბეჭეტავი სინათლე. პარტიზანებმა მალე მონახეს ელექტროსადგური.

კუთხეში კატასავით მიმალული ელექტრომანტიორი გამოათრია და ცხელი დღე დააყენეს, — როგორც გამბედე სინათლის ჩაქრობაო.

— რა ექნა, ჩემი ბრალი არ არის, ქალაქის კომენდანტმა ტელეფონით დამირეკა, დამემუქრა, მიბრძანა საჩქაროდ შექვი ჩააქრო, — ენავილით წარმოსთქვა შიშით თავზარდაცემულმა მონტიორმა. მონტიორი იძულებული გახდა ჩაერთო სინათლე. ქუჩებში ხმაურობამ იმატა, ასეულებმა ფოლადის კედელივით იწყეს წინ სვლა. თავზარდაცემული მტერი ანგარიშმიუცემლად გარბოდა, თავათ არ იცოდა სად, ოღონდ სიკვდილისათვის თავი დაედწია. შეჯიბრი გამართეს ქუჩებში გერმანელებმა: ვინ ვის გაასწრებდა, ვის უფრო მარდი მუხლები ჰქონდა. რასულნის შემდეგ მეორედ ვნახე ასეთი სურათი. ჯგუფ-ჯგუფად მირბოდნენ საცვლებისამარა გერმანელები. „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“, — უთქვამს ჭკვიან ხალხს.

ამ ორომტრიალში, რომ ვართ, უცხად რედნევის მქუხარე ხმა გაისმა: — ბიჭებო, მტერი გარბის, კვალდაკვალ მიჰყევით და მუსრი გაავლეთ მაგ ავაზაეებსო.

— „ურაა, ურაა!“ — ქალაქის მთავარ ქუჩებზე და გზატკეცილებზე ისმის პარტიზანების ყოყინა, მეკავშირეები გარბი-გამორბიან, ჩემი მეკავშირე ვასია არ მცილდება, ზუსტად მიმითითებს, თუ სად დაიმაღნენ გერმანელები: — „ამხანაგო უფროსო, ეს არის იმ სახლში შეძვრა ორი გერმანელი. აი, იმ დიდ ქვის უკან ჩასაფრებულია ფრიცი, — დროდადრო ხმამალა ჩამძახის ის, რომ ამ აღრზაურში რამე გამაგებინოს.

ქუჩებში საბრძოლო შექაბილები-ღამისის.

შესდექ, პაროლი! — მრისხანე კოლოთი იძლევა ბრძანებას თხრილში ჩასაფრებულ პარტიზანი.

და შეამოწმებს თუ არა, რომ მის წინაშე თავისიანია, ეტყვის: „გაიარე“.

— ჰენდე ჰოხ — გზაზე გადაეღობე-ბიან თხრილიდან ამომხტარი პარტიზანები ქუჩაში ქენებით მიმჭროლავ გერმანელების ჯგუფს. მოკლე, ქვედა საცელის და უსახელო პერანგის ამარა ფრიცები სხარტად შედგებიან და პარტიზანების წინაშე ხელებს მალლა იშვერენ.

უეცრად ჯოჯოხეთური ქუხილი გაისმა, აფეთქების ხმამ შეძრა მთელი ქალაქი, ქუჩის ელექტრო-ნათურებმა ციმციმი იწყეს. ნათურების ირგვლივ რომ ფარვანები ფარფატებდნენ — ამ საშინელ ხმაურზე გაიფანტნენ ბნელ სივრცეში და დარეტიანებულებმა აღმადღამა იწყეს ტრიალი. რომელიღაც ფრინველმა, თითქო დასქრესო, გვერდული ფრენით გადაუარა თავზე ელექტრონათურის ბოძს და მახლობელ ხის დაბურჯულ ტოტებს შეაფარა თავი. ეცხლშია გახვეული მთელი ქალაქი. კვლავ ზედიზედ გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმები, დაინგრა და განადგურდა რკინიგზის ხილი.

ცამდე აიზიდნენ ნავთის აუზებზე დამღვარი ცეცხლის ენები, იწვოდა რკინიგზის სადგური და საქონლის საწყობები. როგორც სჩანს, მატუშენკოს კარგად უმუშავია, კულბაკამაც მიაღწია მიზანს. ელვისებურმა დარტყმამ მტერი წალში გატეხა. ვერშიგორამ რუხი მაშხალა აუშვა ჰაერში, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ხიდი უკვე დაკაე-ბულიყო.

უეცარი თავდასხმით თავგზადაკარგულმა მტერმა თანდათანობით გონზე მოსვლა იწყო, თავდაცვაზე გადავიდა.

უეცრად შორიდან რუდნიეს მოვკარ თვალი. არ მომეწონა ის ამბავი, რომ კომისარი ასე თავისუფლად დაჰქრის ქუჩებში, საკუთარ სიცოცხლეს ყოველ წუთს საფრთხეში აგდებს. ეს მეტისმეტი გაუფრთხილებლობაა. ქუჩებში

ხომ ახლა ცეცხლის წვიმაა. ასეთ დროს კაცი გაბრუებულია, მოსალოდნელ ხელთზე ის არ ფიქრობს.

ახლა მთელი შენაერთი ბრძოლაში იყო ჩაბმული, თვით შტაბის განკარგულებაში მყოფი ძალებიც იბრძოდნენ.

გადაეწვიტე, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, ხილამდე მივსულიყავ და გაქცეულთათვის გზა გადამეჭრა. დავიწყე მოკლე გასასვლელი გზების ძებნა, მაგრამ ვერ ვიპოვე. ერთ-ერთ ეზოში დავინახე, რომ კიბეზე მამაკაცი არბის.

— შეჩერდი! — დაუძახე მას.

მამაკაცი შედგა.

— ვინა ხართ?

— ადგილობრივი მცხოვრები, ამ სახლში მობინადრე ვახლავართ, — ოდნავ გასაგონად წაილულულა მან. თრთის, ცახცახებს, მიწის ფერი ადევს.

— სად იყავით?

— შეილები დავმალე სარდაფში, უზიფათო ადგილზე.

— შენ მათთან რატომ არ დარჩი?

— ზოგი ნიეთები მინდა სარდაფში ჩაეიტანო.

სჩანდა უცნობი მოქალაქე არ სტყუოდა.

— კარგი, დროზე ჩაიტანე, რაც ჩამოსატანია და საქმეზე მერე ვილაპარაკოთ.

მოქალაქეს შიშით მუხლები მოუღუნდა, დაბარბაცდა.

— რად შიშობ, თქვენთან რა საქმე მაქვს, არხეინდ იყავი!

მან პირჯვარი გადაიწერა და წაილულულა:

— ღმერთმა იცის, რომ ცუდს არაფერს ეფიქრობ! ჩემგან რას თხოულხობ?

— ძალიან ცოტა რამეს. ხიდი აქედან შორს არის?

— არც მაინცდამაინც შორსაა.

— მაშ დავედეთ პატივი და ხილამდე მიგვაცილეთ.

— მოიღეთ მოწყალეობა, ჩემი წერილი ცოლ-შვილი შეიბრალებთ, ხიდისაჲენ მიმავალ გზაზე დაგაყენებთ, თან ნუ წამიყვანთ! — მემუდარება მოქალაქე.

— რატომ გეშინიათ? — შევეკითხე მას.

— ხომ ხედავთ, რა ამბავია!

— ნუ შიშობთ, მოქალაქე, მე პირობას გაძლევთ უვნებლად მიგიყვანოთ დანიშნულების ადგილამდე, იქ ჩვენები არიან.

როგორც იყო გავაბედდინე, დავითანხმე.

გზაში ათამდე დაღეწილი ავტომანქანა შევნიშნე. მოქალაქემ მიამბო, თუ როგორ მოასწრო იმ ღამეს გაპარვა მტრის ასამდე დატვირთულმა მანქანამ, იმ ხილზე გასულიყვენ, რომლისაკენაც ჩვენ მივდიოდით.

მწვერავებმა დაადასტურეს, რომ მანქანები მართლაც სწორედ იმ გზით და იმ მიმართულებით გაქცეულიყვენ საითაც, ბრძანების მიხედვით მე ჩემი ასეულით უნდა წავსულიყავ.

ხილს ახლოს ვერშეგორას შევხვდი. ცეცხლი ენთო მის თვალებში, აღვზნებულ იყო.

— ბრძოლა კარგად დავიწყეთ, ამხანაგო დავით, მტერი წელში გავტეხეთ. მაგრამ უფრო დიდი შეტაკებანი ჯერ კიდევ წინ გვიძევს. მტრის საგრძნობმა ძალებმა გავეასწრეს აი ამ გზით — ხელი გაიშვირა გზისაკენ — უდავოა მტერი გათენებამდე დიდ ძალებს მოაყრის და მაგარ ბრძოლაში ჩაგვაბამს. მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის.

სთქვა ეს და უმალ საითლაც გაიქცა.

შეორე ასეული აქვე დავტოვე, მეხუთე და შერვე ასეულები წავიყვანე და წინ წავიდი. უცნობი დელიატიული მოქალაქე ისევ ჩემთან არის, ჯერჯერობით არ ვიცოლებ, მემუდარება: როგორ გამიშვი და მუდამ შენი მლო-

ცველი ვიქნები. ხიდამდე მივაცილებთ. წინ ახლო არიან გერმანელები. ერთი ხალხია, გაგვიტყუებენ. წამამთგველებენო“.

— ნუ შიშობ, მოქალაქე, — ვამშვიდებ მას, — შენი წასვლის წინააღმდეგი მე როდი ვარ, მაგრამ შენი შიში უსაფუძვლოა. აი, ხომ ხედავ, მწვერაკები წინ მიდიან, გზას წმენდენ, თუ ვინცობაა მტერი თავს დაგვესხმის, მათ პირველად მწვერაკები დაუხვდებიან.

არ იქნა, ჩემმა შთაგონებამ მიზანს ვერ მიაღწია, შეცბებულვით ცახცახებს ეს კაცი, შიშისაგან ლამის სული ფეხის ფრჩხილებში გაეპაროს.

მე მას ხელი მკლავში გამოვდე, გზაჯვარედინზე დავაყენე და სამსახურის გაწვევისათვის დიდი მადლობა გადავუხადე:

— გზა მშვიდობისა, სადაც გენებოთ წაბრძანდით-მეთქი, ვუთხარი.

მოწინააღმდეგემ ცეცხლი გააძლიერა, ყველას ვაფრთხილებ თხრილებში ჩადგენ და ისე იარონ, შარა გზებით სიარულს მოერიდონ. შარა გზას ორივე მხარეზე საკმაოდ მოზრდილი თხრილები მისდევდნენ, თხრილებით სიარული ნაკლებ საშიში იყო. თანამებრძოლების უმრავლესობამ ჩემი რჩევა მიიღო, ჩადგნენ თხრილებში და გზა განაგრძეს. გორლანოვმა და მასთან რამდენიმე მწვერაკმა თხრილებით სიარული იუკადრისეს. შარა გზით სიარული ამჯობინეს.

ამ ვაფრთხილების შემდეგ არ გასულა ერთი წუთი და შარავზას მტრის ტყვიამფრქვევებმა გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს. გორლანოვი და მისი მწვერაკები შუაგზაზედ მოცელივით დაეცნენ.

— ჰხედავთ მათ ვაუფრთხილებლობას რა მოჰყვა! — წამოიძახა თხრილში ჩამდგარმა პარტიზანმა.

— ტყუილა-უბრალოდ არ დაიღუპენ?! — ნაოვლიანად წამოიძახა მეორე პარტიზანმა. მივბაძით ჩვენი მავა-

ლითისათვის, ხომ ცოცხალი იქნებოდნენ!

შარა-გზით მიმავალმა დანარჩენმა პარტიზანებმა ისუქუეს და საჩქაროდ თხრილებში გადაეშენენ.

დალუპულთა ცხედრები საჩქაროდ გადმოვიტანეთ თხრილებში. ძლივს მოვასწართ გორლანოვის მკერდზე მთავრობის ჯილდოების ახსნა და ჩასაფრებულმა მტერმა ის იყო ცეცხლის წვიმაში გაგვხვია. ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა, საჩქაროდ წინ ვადვინაცვლეთ. ამასობაში რუდნევის ბრძანება მივიღეთ, კომისარი მეკავშირის პირით გვატყობინებდა: — უტყუარი ცნობა მაქვს, რომ წინ გერმანელები დიდ ჩასაფრებას გვიწყობენ, სიფრთხლე და თადარიგია საჭირო.

დაწინაურებული მწვერაეები კვლავ ბრძოლაში ჩაებენ, ჩემი ასეულის მეტ მტერს ალყა შემოვარტყი, წრეში მომწყვედული გერმანელი ჯარისკაცები გაველიტეთ.

აგერ წინ ავტომანქანების კოლონა სდგას, ზედ სულიერი არავინ ჰაჰანებს, სჩანს მოწინააღმდეგეს დაუტოვებია მანქანები და გაქცეულა.

პარტიზანები აღიან ავტო მანქანებზე, ზოგი ფარნებს ანათებს, ზოგი სახელურებს ებლაუქება, მე ჯერ შორს ვარ მანქანებიდან. ამ დამით ფარნის ანთება ხომ ჩვენი განლაგების გაცემაა. ამ სურათის დანახვაზე საშინლად ავღილდი, მანქანებიდან ჩამოსვლა ეუბრძანე პარტიზანებს. საშინელი ღრიანცილია, ჩემი ხმა მათს სმინამდე ვერ აღწევს. ამასობაში გავოსწორდი ავტომანქანებს და პარტიზანები ძირს ჩამოვყვანე.

ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა.

XXII

დელოატიზზე შეტევის პირველი ეტაპი დამთავრებული იყო. ქალაქმა მყოფ გერმანელებს თავზარი დააცათ. დივიზიის შტაბმა მაინც მოასწრო ქალაქი-

დან გაქცევა და მიმალვა. შტაბის მცველების უძრავლესობა მტერს უკმაყოფილო სიტყვით პარტიზანებზე შეცქერის. პირველ ხანებში ქალაქის ხელში მთლიანად ჩავდებამ.

ბრძოლის მეორე ეტაპი უფრო რთული და მძიმე აღმოჩნდა: მოწინააღმდეგემ შესძლო დივიზიის მთავარი ძალების გამოძახება, სახელდახელოდ მოაყარა ქალაქს რეგულარული ჯარის ნაწილები სტანისლავიდან, კლამიიდან და სხვა რაიონული ცენტრებიდან. მტერმა ბრძოლაში გამოიყვანა მექანიზირებული პოლკები, აამუშავა მძიმე არტილერია და ტანკები. როდესაც მტრედისფრად ინათლა, ქალაქი მტრის ალყაში იყო მოქცეული, ტანკები და სხვა მექანიზირებული ნაწილები ქალაქში გაბედულად იჭრებოდნენ და ქუჩებში ბრძოლას უმართავდნენ ჩვენს შენაერთს.

ქალაქის თითქმის ყველა მთავარ ქუჩაზე წუხანდელთან შედარებით უფრო გააფთრებული ხელჩართული ბრძოლები გაჩაღდა. „ურას“ ყიეინა ცას წვდებოდა.

მტერმა პირველ რიგში პარტიზანთა ნაწილების გათიშვა სცადა. როლები შეიცვალა: პირველ ხანებში ჩვენ ეიყვიეთ მომხდურები და გერმანელები თავს იცავდნენ, ახლა ჩვენ, პარტიზანული აღათის მიხედვით, ქალაქის აღების შემდეგ, ქალაქიდან ტნდა წავსულიყავით, მაგრამ ეს არ ხერხდებოდა, ძნელი აღმოჩნდა ურიცხვი მტრის ხელიდან უმსხვერპლოდ თავის დაღწევა.

გათინდა. ქალაქის მთელი ტერიტორია ბრძოლის ველად იქცა, მტერმა შესძლო ჩვენი შენაერთის ნაწილების გათიშვა და განცალკევება, მაგრამ პარტიზანები ამ მძიმე წუთებში გამოსავალს პოულობდნენ და მტერს დიდ ზიანს აყენებდნენ. ხშირად ათიოდე პარტიზანს ასობით მოწინააღმდეგე მოჰყავდა გამაწრული და დატყვევებული. ამ საშინელ წუთებში მოსვენებას

არ მადლევდა შტაბის და კერძოთ რუდნევის ბედზე ფიქრი, ვიცოდი რომ ის ძალზე სახიფათო ადგილას იბრძოდა.

მოულოდნელად რუდნევიდან ბრძანება მივიღე. ეს ბრძანება შტაბის უფროსის მოადგილემ ვოიცხოვმა და მეორე ბატალიონის უფროსმა კულბაკამ გადმომცეს: ამ ბრძანებით ჩემი ასეულით შარა გზის მარცხნივ მხარეზე მდებარე პატარა გორაკი უნდა გადამელახა და სოფლები ბელი ოსლაეა და ჩორნი ოსლაეა დამეკავებინა. თანაც დვლიატინიდან დაწყებული ამ სოფლებამდე გზა უნდა გამეწმინდა, რომ ამ გზაზე პარტიზანებს უვნებლად გაეგლოთ. ბრძანების მიხედვით, კულბაკას სოფლის მარჯვენა მხარეს ჯეჯილში ჩასაფრებული მტრის ნაწილი უნდა გაენადგურებინა.

ახალი გათენებული იყო, როდესაც ჩემი ასეულებით უკვე გორაკის მწვერვალზე ვიყავ. ეს გორაკი საცალფეხო ბილიკებით იყო დასერილი. ის-ის იყო სოფელში მერვე ასეული ჩავგზავნე, როცა ბილიკებზე დაბლობიდან ამომავალი მტრის ნაწილები შევნიშნე. სანამ მტერი მოხერხებულად ჩასაფრებას მოასწრებდა, მისი გაფანტვა შეეძლო. გორაკის კალთები დახოცილი გერმანელებით მოიფინა. ამ გააფთრებულ ბრძოლის დროს, უეცრად რუდნევის ვაეი, პატარა რადიკი შევნიშნე. ჩემს დანახვაზე ბავშვს სიხარულით სახე გაუბრწყინდა.

— ბიჭო, შენ აქ ასეთ დროს რამ მოგიყვანა, საიდან მოხვედი?—ვეკითხები მას.

— ქალაქის ბრძოლებში მამასთან ვიყავი, შემდეგ ჩამოვრჩი, ჩამოვრჩი კი არა, მტერმა გაგვითიშა, შემდეგ მამას ვერ მივაგენი და აქეთ წამოვედი.

არ მესიამოვნა ეს ამბავი. სიხანს რაღაც ცუდი მომხდარა. იმ წუთიდან პატარა რადიკი აღარ მოვიშორე, მუდმივად ჩემთან იყო.

იმ მხარეს, საითაც კულბაკა იყო,

გააფთრებული სროლის ხმა ისმოდა. კულბაკა მტერს ხელიდან დაეშალტა, ბრძოლა არ მიიღო, მტერს უკერძო შეუარა და წინ გზა განავრძო.

გზის გადაღმა, მარჯვნივ, გორაკის კალთაზე დათავთავებული ჯეჯილი იყო. ორივე მხრით ჯეჯილს ვიწრო ხევი აუდიოდა. ხევის მხარედან მტერი ახერხებდა ჯეჯილში უშიშრად შემოძრომას. დროდადრო, სხვა და სხვა ადგილას, თავთავი არაბუნებრივად ირხეოდა, მას ჯეჯილში ჩაწოლილი მტერი არხევდა.

განკარგულება გავეცი ავტომატების ციცილი დაეშინათ ჯეჯილისათვის. წყლიდან რიყეზე ამოყრილი კალმახი ხტომას რომ იწყებს, ამ რეგად ყირაზე გადადიოდნენ ავტომატების ტყვეებით დაკოდილი, ჯეჯილში ჩაწოლილი გერმანელები. კომისრის ბრძანების მიხედვით, გორაკის დაკავებისთანავე ორი სოფელი უნდა აგვეღო და იქ გავმაგრებულიყავით. სახელდახელოდ გავწმინდეთ შარა გზა მტრისაგან და ბრძოლით ვიწყეთ წინ სვლა.

მოწინააღმდეგე არ ცხრებოდა. კვალ და კვალ მოგვსდევდა. გორაკის მწვერვალიდან ვამჩნევთ, ქალაქის ყველა უბანში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს.

მტრის ახალ-ახალი ჯარებით აივსო დვლიატინის არე-მარე. შემოხსენებული სოფლების ასაღებად ვემზადებით. მეცხრე და მეხუთე ასეულები მთის მწვერვალიდან სოფლების მიმართულებით დავეშვით, დაღმართში ყოველ ოც მეტრზე მტერია ჩასაფრებული, ვარღვევთ ალყას და დიდის ვაი-ვაგლახით წინ მივიწვევთ. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ სოფლები დავიკავებთ. აუარებელი ტყვეები წამოვიყვანეთ. ქალაქში კვლავ ღმუის არტილერია, მას ერთეის ტანკებიდან ქვემეხების ქექაქუხილი. სიხანს, კვლავ დიდი ბრძოლებია ქალაქში. კულბაკასთან კავშირი აღარა მაქვს, ცხარე ბრძოლის დროს

კავშირგაბმულობის აღდგენა ძალიან გაძნელდა. ყველა მეთაური ზრუნავს თავისი ნაწილი გადაარჩინოს და მტრისაგან თავი დაიცვას. გარდა ჩემი ასეულის მხვერავებისა, ყველა ბრძოლაშია ჩაბმული; უტევ ჩვენს ხელთ არის სოფლის ახლო-მახლო გორაკები.

მებრძოლებმა ტყვეების დიდი პარტია მოიყვანეს, მათ შორის გერმანელი კაპიტანი იყო. კაპიტანთან თარჯიმანის საშუალებით საუბარი გაეაბით:

- დელიატინიდან ხარ?
- ოთხი საათის წინ სტანისლავეში ვიყავი, იქიდან გადმოგვიროლეს.
- დიდი ძალები გადმოსხეს სტანისლავეიდან?
- ერთი პოლკი, სატანკო ნაწილი-აქრთ...

— რომელი დივიზიის განკარგულებაში იყავით?

- დელიატინის შტაბის.
- ამჟამად სად იმყოფება შტაბი?
- ალახმა უწყის, სადღაც იმალებიან. დელიატინის სამხედრო ოპერაციას ახლა ჩვენი პოლკის უფროსი ხელმძღვანელობს.

უცებ შორიდან ჩვენსკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალი კაცი შევნიშნე; ბაზიმა, მაგრამ ამ დროს საიდან გაჩნდა, მას ახლა აქ რა უნდა? მხარზე ავტომატი ეკიდა და ხელთ მათრახი ეჭირა. მივესალმეთ ერთმანეთს, გამიკვირდა ასეთ დროს მისი მარტოოდ მოსვლა, ბაზიმამ ილიაში მკლავი გამიყარა და განზე გამიხმო:

— შტაბს ჩამოვჩი, შემდეგ ვერ ვიპოვე, სად არის ამჟამად შტაბი არაფერი ვიცი. სერიოზული მდგომარეობაა, ამ თქვენს უბანში შედარებით სიწყნარეა, რუნდვეი ქალაქის ცენტრში მოექცა, ხილზე მებრძოლები გადაჰყავდა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს.

— ამხანაგო ბაზიმა, — ვეუბნები მას — ამ წუთში ჩვენთან შედარებით შენელებული ბრძოლებია, ამიტომ მი-

ზანშეწონილი იქნება კოეპაკი შტაბით აქ რომ მოვიდოდეს, შედარებით უზრუნველყოფილი იქნებამიგონებოდა.

— საით წავიდე, სად ვეძებო შტაბი, არ ვიცი! — მეუბნება ბაზიმა.

ამ დროს პარტიზანებმა ხელში აყვანილი სასიკვდილოდ დაჭრილი მებრძოლი მოიყვანეს. ძლივსდა სუნთქავდა დაჭრილი პარტიზანი. კაპიტანი მგლურად გამომეტყველებით შესცქეროდა მომკვდავს, ბაზიმამ დაინახა კაპიტანის სისხლიანი თვალები, მათრახი ამართა და გერმანელს ზედღივდ დაჰკრა.

ფრიცმა მგლის თვალები ახლა ბაზიმას შეაფეთა, გეგონებოდა სადაც არის დაეძგერება მას და ცოცხლად შესცქეროდა.

— არამზადებო! — შესძახა ბაზიმამ და მათრახი მოუნაცვლა.

კაპიტანი იღგა ერთ აღგილას და გამოყეყეჩებული თვალებით შესცქეროდა.

ასეთი გაჯავრებული ბაზიმა სხვა დროს არ მენახა. ის მშვიდი ბუნების კაცი იყო, წონასწორობას იშვიათად ჰკარგავდა. ახლა კი სიბრაზისაგან ცახცახებდა, კაპიტანის სისხლიანმა თვალებმა განსაკუთრებულად გააბრაზა იგი.

— გაათრიეთ აქედან ეგ ძალი; ხომ ამჩნევთ, მომაკვდავ პარტიზანს როგორ შესცქერის, ბედშავი კაცის უბედურებით ტყებდა!

შემდეგ მივიდა დაჭრილ ამხანაგთან და მომაკვდავს აღერისით დაუწყო საუბარი, თავზედ ხელი გადუსვა, საყელო შეუხსნა.

ამ დროს მეკავშირეებმა მომახსენეს — ასეულებიდან ჩამორჩენილი პარტიზანები დაგვეწივნო. ეზოში შემოვიდნენ პარტიზანები და იქვე ჩამოსხდნენ. ჩამორჩენილი მეომართა რიგებიდან შევაგროვე ახალ მებრძოლთა ჯგუფი, დავუნიშნე მეთაური და გავგზავნე ხევის გასაწმენდად.

პატარა რადიკმა ნერვიულობა და-

იწყოს: — ნეტავი სად არის მამა, რატომ მისი არაფერი ისმის?! — იძახდა იგი.

| ზაფხუდი დაეამწვინდა და ვუთხარი: ბრძოლა მალე დამთავრდება და მიმამშენიც მოვა-მეთქი.

ამასობაში ჩემმა ბიჭებმა სამხედრო მასალით და სურსათ-სანოვაგით დატვირთული ოთხი საბარგო მანქანა მოიყვანეს, ამ ძვირფას ნადავლს უკან ორი მსუბუქი მანქანა მოაყოლეს.

მსუბუქი მანქანით გავზავნე პარტიზანები და ვუბრძანე კომისარი მოეძებნათ და მოეყვანათ, მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა ეს ჩემი ღონისძიება. შარავზაზე გავლა ხანძრის გამო მანქანებისათვის შეუძლებელი შეიქნა.

ბაზიმა ჩქარობდა შტაბში წასვლას. ათი რჩეული მებრძოლი გვაყოლე მას და გავისტუმრე. კოვპაკს შევეუთვალე, სოფელ ბელი ოსლავში შტაბით მოსულიყო.

ქალაქის შუა ადგილას მდინარე პრუტზე გადასროლილი შარავზის დიდი ხიდის აფეთქება ჩვენებს მოესწროთ. ეს მეტად ხელსაყრელი იყო ჩვენთვის, ტანკები და შიშვე არტილერიის გზა ხიდის აფეთქებით იკეტებოდა. პრუტის გამოღმა ნაპირზე გადმოსვლას გერმანელები ვერ შესძლებდნენ.

სურსათი ახლა ბლომად მოგვეპოვებოდა.

— პარტიზანებს ადგილებზე საჭმელი მიაწოდეთ, — გავეცი განკარგულება.

ვამჩნევ მოსახლეობამ აქა-იქ სანახევროდ გაღებულ კარებიდან თავები გამოჰყვეს, ნელ-ნელა კარში გამოვიდნენ და გოლთბილად მოგვესალმნენ.

— წითელარმიელები ხართ? — გვეკითხება თავაზიანი კილოთი ბალკონიდან გადმომდგარი ახალგაზრდა ქალი.

— დიაღ, წითლები ვახლავართ, — ეპასუხობ მას.

— თქვენ კარპატების მთებიდან ხომ არ ჩამოსულხართ?

— გეტყობათ გამოცნობა გემორჯვებათ.

— კმ! — გაკვირვებთო! წამოხმანა ქალმა, — ავი ყველა გზაჯვარედინზე გააკიოდნენ, პარტიზანები კარპატებში მოვიმწყვდიეთ, ერთი ნაწილი სიმშინლით ამოვხოცეთ და მეორე ნაწილი კლდეებზე გადავჩხეთო.

— დღეს ხომ დარწმუნდით, რანაირად ცრუობენ ისინი!

— ნეტავი ამის შემდეგ რაღას იტყვიან?

— ციდან ჩამოფრინდნენ პარტიზანებიო, ალბათ ასე იტყვიან.

ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩვენთვის თვალსაჩინო ხდებოდა, რომ მოსახლეობა ჩვენს მხარეზე იყო.

პარტიზანების ახალი ჯგუფი მოვიდა ჩვენთან და ამბავი მოიტანა: შტაბმა კოვპაკის ხელმძღვანელობით მოასწრო ხიდის აფეთქებამდე დაკრილების და მთელი ქონების ხიდზე გადატარება, ბრძოლით უვნებლად მთისაკენ დაიხიეს და თავი კარპატებს შეაფარესო.

ამ ცნობამ ცოტათი დაგვამშვიდა. მაშ შტაბი უვნებლად გადარჩა, ის სამშვიდობოზე გავიდა, მაგრამ რა ბედი ეწია რულენეს, საით წაიდა, სად არის, ამაზე არაფერი ისმოდა, ყველა ერთდა იგივე ცნობას იმეორებდა: კომისარი უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმულიო. მეტი არაფერი იცოდნენ.

ამ დროს ბოგოლიუბოვი მოვიდა და მითხრა: ამხანაგო უფროსო, მობრძანდით, აგერ მახლობელ ბინაში, ჰამეთ ცოტა, სანამდე გინდათ ასე უკმელი დარჩეთ?

ბოგოლიუბოვმა თან სუფთა საცელები მომწაწა, სახლს მოვიფარე, საცელები გადავიცი და ოთახში შევედი.

ბირში ლუკმის ჩაღება ვერ მოვასწარი და ატყდა სროლა იმ სახლის წინ, სადაც მე პურის საჭმელად შევედი. მტრის ახალი ძალები შემოჭრილიყვენ სოფელში, ხელში აღებულ ლუკმა გა-

გავდე, ოთახიდან კარში გამოვვარდი და სასწრაფოდ მეომრებთან გავჩნდი.

მტერმა შემოტევა თანდათანობით გააძლიერა, პარტიზანებმა მტრის შემოტევას კონტრ-შეტევით ვეუბნებდით და უკუვაჭკით მტერი. სანიტრებმა ახალი პარტია მოიყვანეს დაჭრილებსა, ამ უკანასკნელთ მოწყალების დებმა და ექიმმა დიდის მზრუნველობით წყალულები შეუხვიეს და ავტომანქანებით ეფრემოვთან გადაგზავნეს.

ჩვენთანაც თანდათანობით მდგომარეობა ვართულდა, ჩვენს სადგომს მტერმა მოაგნო. გადაეწყვიტეთ სოფლის დატოვება და ახლო მდებარე ხევით უშიშარ ადგილზე გასვლა.

მებრძოლების შემდეგი წყება მოვიდა სოფელში, მათ შორის მესამე ასეულის პოლიტბელი ამხანაგი პოლიაკოვიც იყო, თავისი ასეულის მეომრებს დაეძებდა.

მოულოდნელად ეფრემოვიც გამოჩნდა.

— ამხანაგო დავით, — მეუბნება ის, — სარწმუნოდ გავიგე, რომ ჩვენს ღბანზე გერმანელებმა გაფანტული ძალები მოკრიფეს და ჩვენზე შესატევად ემზადებიან, კარგი იქნება, რომ ეს არეზარე ახლაც დაეტოვოთ.

ეფრემოვის წინადადება მიზანშეწონილი იყო. მტერი ყოველ მხრიდან გვცემდა. საათობით იზრდებოდა დაჭრილთა რიცხვი. მეკავშირეებმა დამატებით ცნობა მომაწოდეს: — მერვე ასეული მტერმა სამკვდრო-სასიცოტბლო ბრძოლაში ჩაითრია. დამხმარე ძალა არსად სჩანდა, პირიქით, ყველა ჩვენგან ელოდა დახმარებას. ახლა რუდნევი? ცეცხლად შედებოდა ამ კაცზე ფიქრი.

პატარა რადიკს თვალს ვერ ვუსწორებდი, ბავშვი ცრემლით სავსე თვალებით თვალეში ჩამტკეროდა:

— მამა?!.. — მეკითხებოდნენ ბიჭის გონიერი თვალები.

ყოველივე ამას ახალი უბედურება დაემატა. თვითმფრინავებმა დაიწყეს მუდღუნენ და იწყეს ჩვენს სარეზერვუარო ალი. ხელახლა ვიწყებთ თავშესაფარების ძებნას, როგორც სეტყვა ისე წამოვიდა ჰაერიდან ყუმბარები. მტერმა ჩვენი თავშესაფარი ვერ აღმოაჩინა, უთაბოლოდ ყრიდნენ ყუმბარებს.

ფართო სივრცეზე გაფანტულ მეომრებს თავი მოგუყარე, ძალები შეეამკიდროვე, მომხდურ მტერს საგანგებოდ გავუმაძიძღვდი. მეორე დღეა განუწყვეტლივ ბრძოლები მიმდინარეობს. პარტიზანების „ურას“ ყვირია კვლავ ისევ გარკვევით აღწევს ქალაქიდან ჩვენამდე, ბრძოლის სასწორი თამაშობს, ხელიდან ხელში გადადის ინიციატივა. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგეს დიდი უპირატესობის მიუხედავად, პარტიზანები ზედიზედ არღვევენ მათ ალყას და ხელჩართულ ბრძოლაში ანადგურებენ გერმანელებს.

ამ დროს ჩვენკენ მომავალი სოფლები შეენიშნე. ხელში კალათები უჭირავთ.

— თქვენი კარგი გამარჯვება, — მოსვლისთანავე მოგვესალმნენ ისინი, — ჩვენ ადგილობრივი მცხოვრებნი გახლავართ, საუხმე მოგიტანეთ, დანაყრდით, სხვა დროს უკეთესად შეგვეძლო გავმასპინძლებოდით, მაგრამ კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება.

უხე სურსათი მოიტანეს გლეხებმა, ასეთი გამასპინძლება წარსულში სოფლებიდან იშვიათად თუ შეგვხვედრია.

ღიასახლისმა უკრაინულ ენაზე საუბარი დაგვიწყო:

— ერთობ შეშფოთებული არიან გერმანელები, გიყებოდათ გარბი-გამორბიან ქუჩებში, ამ დილით ჩემი სახლის წინ მიაგდეს და დასტოვეს მანქანა. მგლის თვალით გვიტყერიან.

— სხვა დროს ხშირი სტუმრები იყვნენ?

— ხშირი, ძალიან ხშირი, თითქმის ყოველდღე ვხედავდი, თითო ორორი გამყიდველები ჰყავთ გერმანელებს ჩვენი სოფლიდან: სასაცილო ის არის, გავარდა თუ არ დელიატიწში წუხელის პირველი თოფი, ვინ რომელს გაასწრებდა აღარ იცოდნენ, დამდღღრღულებივით გარბოდნენ ეს არამზადები სოფლიდან.

— საით წაყიდნენ თუ იცით?

— ეშმაკმა არ იცის მაგათი თავი, არა მგონი აწი ისინი სოფელში დაბრუნდნენ.

— გერმანელების მოსვლამდე რას წარმოადგენდნენ ეგ პოლიციელები.

— ცნობილი ქურდები, კაცის მკვლელები, ყველას სოფელში ნაძირალების სახელი ჰქონდათ დამსახურებული, გერმანელებმა მოსვლისთანავე მიიღეს ეგ ავაზაკები სამსახურში, ამ თავზე ხელადებულმა ხალხმა გადაიციეს ტანდარმების მწვანე მუნდირები და იწყეს სოფელში თარეში.

— თუ მიგვაგნებინებთ გაქცეულების ნაკვალევითვის, ამოგაყრევიანებთ ჯავრს, მაგათ სეირს გაჩვენებთ.

— სიამოვნებით, ოღონდ კი გავიგოთ სად იმყოფებიან ამ ეშმაკ.

მოულოდნელად, დაახლოვებით სალამოს ეჭვისი საათი იქნებოდა, შტაბის გადამწერი ტუტუჩენკო რამდენიმე თანამხლებელით ჩვენთან მოვიდა. კოვპაკს გამოეგზავნა ჩვენს საქებრად ეს ამხანაგები.

ჩემს შეკითხვაზე, თუ სად არის ამ ეშმაკ შტაბი, ტუტუჩენკომ განმარტა: — შტაბის შემადგენლობამ და მასთან მყოფმა ასეულებმა თავგანწირული ბრძოლით შესძლეს ზედიზედ მტრის ალყის გარღვევა და მთა დუსისათვის თავის შეფარება. აი, იმ მახლობელ მთაში სდგას ამ ხანად შტაბი. — გეითხრა ტუტუჩენკომ და მთისკენ ხელი გაიწვირა. შემდეგ განაგრძო.

— მეტად რთულ და შეუპოვარ ბრძოლაში ჩაეებით მტერს წუკანასკნელ ალყის გარღვევის შემდეგ შესაჩერებლად ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა მოწინააღმდეგე. ჭიანჭველასავით მოაყარა მან მთის შესასვლელთან მეომრები. გერმანელებმა დელიატიწთან საკუთარი თვალით ნახეს, თუ რას ნიშნავდა პარტიზანული თავგანწირული ბრძოლა. ამ ბრძოლის დროს ნაბადივით დაეაგეთ მტერი და გაეკაფეთ ესეივლების გარემოცვა.

— მაშ, შტაბი უენებლად არის, კომისრის ან ბაზიმასი თუ რამე იცი?

— ეხ, ნულარ მკითხავ, ძალიან ცუდი ამბები ისმის რუდნევეზე, არა მგონი რომ ცოცხალი იყოს, არიან მნახველები, უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ისიც სთქვეს, სანიტარ ქალს გალინას შტაბის მშვერავებთან ერთად, გარემოციდნენ გამოყავდა საკაცეთი მძიმედ დაჭრილი კომისარი და ამ დროს ჯალათების ტყვიით განიგშირა სანიტართან და მშვერავებთან ერთად რუდნევიო.

გავშრი. რა მძიმე მოსასმენი იყო ტუტუჩენკოს სიტყვები?! ნუთუ ძვირფასს სიმონ ვასილისძეს ველარ ვიხილავ, ჩვენი შენაერთის შნოს და ლაზთის?! რამდენმა კარგმა მოგონებამ გაიბზინეს ზედი-ზედ იმ წუთში ჩემს თავში.

„ლომკაცი მგონიხარ, დავით, სასოწარკვეთილება არ ვარა, დღეს ცოცხლები ვართ, მაგრამ რა ვიცი თხალინდელი დღე გაგვითენდება?!“ მითხრა ოდესღაც საყვარელმა კომისარმა, როდესაც მას პოლიტხელ რაგულიას დალუპვაზე ეუამბე. მისმა სიტყვებმა იმ წუთში გამამხნევეს, მაგრამ ახლა, ამ წუთში, როდესაც მისი დალუპვის ამბავს ვგებულობ, მზად ვარ მივჯდე სადმე განმარტოებულ ადგილას ხის კუნძზე და ტირილით გული ვაჯერო.

— რადიკთან არ ჩამოავდო კომისარზე ლაპარაკი, — ვაფრთხილებ ტუ-

ტუჩენკოს, — ბავშვი აქ არის, გუშინ მოვიდა ჩემთან, ჯავრობს, ყველას ეკითხება, თუ ნახეთ მამა სადმეო.

ტუტუჩენკო განაგრძობდა:

— ბაზიმა დღეს დილით მოვიდა შენი მებრძოლების თანხლებით შტაბში.

კოეპაკთან წასვლა გადაწყვიტე, ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, შეეყარე მეომრები და გზას გავუღეჭი. პირველი ალყა მცირე ბრძოლის შემდეგ გავარღვიეთ, შემდეგი ორი გარემოცვის გარღვევის დროს მაგარი ბრძო-

ლების მიცემა დაგვჭირდა, გზა გავიკაფეთ და მთაში შევედით.

ველარ მივალწიეთ შტაბში, კუპრიცით შავი ღამე იყო. პარტიზანებმა რომ ნახეს საფრთხეს გავცდითო, მთის კალთაზე თავდაღმა ჩაემხენ და მკვდრებით ჩაიძინეს.

ორ დღე და ღამის განუწყვეტელმა ბრძოლებმა მოქანცეს და გაანერვიულეს პარტიზანები, ამიტომ იყო ასე უთადარიგოდ დაცვიდნენ მიწაზე და ამოუშვეს ხვრინვა.

(გაგრძელება იქნება)

გიორგი კაჭახიძე

ჯყისმცველი



წამოიშლება სოფელი დილით,
შეეფინება მინდორს ნახირი,
ფხიზლად შეჰყვება ტყისმცველიც ბილიც
ხელში ნაჯახით, წელში წახრილი.

ტყეს მიაშურებს, ვით ტყის ფარეში,
უყვარს ტყის ამბის დროზე გაგება;
მწვანენაბდიან გოლიათებში
ქონდრისკაცივით ჩაიკარგება.

იქ მიწის ხავსიც მისთვის მოლია,
მზე მცხუნვარებით თავს არ აბეზრებს,
ტბილად ახედავს ყოველ გოლიათს
და უბრწყინდება ღიმი ბაგეზე.

ხან თვალს მოსტაცებს მორცხვი გვირილა,
ხან მოკიკიკე ფრინველს შეჰხარის, —
ძაგრამ უგრძენია ბევრჯერ ტკივილად
ტოტი უდროოდ ხეზე შემხმარი.

მცენარის კმუნვის დროზე შემჩნევი
ფრთხილად მის ტანზე იარას სინჯავს...
გზადაგზა სოკოს დაჰკრეფს შერჩევით
და ისევ ბილიც გაჰყვება დინჯად.

დრო ვერ აბერებს ტყესთან მის ძმობას,
ჰმატებს სიმტკიცეს ტყის მხარ-მკლავები.
ტყის სიმწვანეში ყველგან იგრძნობა
მისი სუნთქვა და მისი თვალეზი.



ღავით აღაშენებელი

ბრილოზია

კარი მისამი

III

სისხლი და ღვინო

რატი ორბელიანი გამალებული თვალს აღევნებდა ყოველივეს, რაც პრიალეთის საერისთავოში ხდებოდა. კატაი და იოანე ღუქისძე ხანგამოშვებით უგზავნიდნენ მონენებს მას. დავითის ქცევაში ზოგი რამ უცნაურად ეჩვენებოდა რატის.

თავდაპირველად ვერც ის გაეგო: კლდეკარის აღების უმაღლეს რად არ შემოეწყაო მეფე ფარცხისის ციხეს?

ქარიმან სეტიელის ჩუხჩინი შორიახლოდან რომ უთვალთვალედნენ მას, ამას ფარცხისის ციხის სამზერებდიანაც კარგად ჰხედავდა რატი.

გაუგებარი იყო იგიცა, რომ ღავით მეფემ არამც თუ არ აღკვეთა ციხისათვის სურსათის მოწოდება, არც ლიპარიტისძეთა მემხრეებს უშლიდა იგი შეჰმატებოდნენ ფარცხისის ციხიონს.

ბოლოს ასეთი ვარაუდით შეიჯერა ორბელიანმა გული: ალბათ საკმარისი სპაა არა ჰყავს მეფეს და იგიც კარგად იცის, უსისხლოდ რომ ვერ აიღებ-სო ციხეს.

რატის დიდი იმედი ჰქონდა ფარცხისისა. დიდი თურქობის დროს ვერ აიღო იგი მელიქ-შაჰმა აურაცხელი სპითა და მეფე დავითი რას დააკლებ-სო მას?

მართალია, ეს ციხე არა სდგას ისეთ

შეუვალ ქარაფებზე, როგორც თმოგვი, ბირთვისი, გინა კლდეკარი, ლოდ-სატყორცნებსა და ვერძებს თითქმის არავითარი ბუნებრივი დაბრკოლება არ დაუხვდებათ საიერიშოდ მოსულთ, სავაგიეროდ ფარცხისი სამქამრიანი ციხეა და ყოველი ქამრის სიგანე ბარე სამ მხარს აღმატება.

ასე რომ თითოეული ქამრის გარღვევას დიდ დროს მოანდომებდა გარემომცველი ჯარი, ყოველ შემთხვევაში ციხეს იღუმალი ხერელი ჰქონდა ბირთვისის კლდეებისაქენ ვასას-ვლელი.

დიდძალ მეციხოვნე სპას იტევდა ეს უზარმაზარი, ორსართულიანი ციხე, ზოლო მისი სარდაფები და სათავსოები — მთელი წლისათვის საჭირო სურსათს.

სწორედ ფარცხისის პირისპირ მდებარეობს ციხე ბირთვისი, შეუვალ, ქარაფიან კლდეებზე. რატი ფარცხისიდან ხედავდა, ამ ქარაფებიდან ჩამოდიოდნენ ჩუხჩინი.

ზვერაედნენ ფარცხისის მიდამოებს და ისევ აღიოდნენ ბირთვისისაქენ მიმავალ ბილიკებზე, დღისით და ღამით.

ბევრს ეცადა რატი, იოანე ღუქისძის და თავის სხვა მსტოვარების მეშვეობით გაეგო მარტოოდენ ქარიმან სეტიელის ჩუხჩინი ისხდნენ ბირთვისში, თუ საგანგებო სპაა ჰყავდა მეფეს, მაგრამ ვერას გახდა, რადგან ბირთვისის ციტადელის მისადგომები გადაკეტილი ექირათ ჩუხჩინთა.

* გაგრძელება, „მნათობი“ № 11.

რატის შიში არ ჰქონდა ქონდაქართა რაზემულისა, ის ლა აფიქრებდა: ვაძ თუ სათადარიგო სპაჲ ჰყავდესო გადა-მალული დავით მეფეს ბირთვისში. ვაფიქრე ფარცხისიდან? ეგებ გამომა-დევნოსო მარბიელი მყისვე.

ჯერ კიდევ ნაჭარმაგვეში მეფის მიერ გამართულ აღლუმის დროს უცნაურად ატროკდა რატი, ფარცხისიდან სპიანად გაპარვას აპირებდა, მაგრამ გაჯანჯლდა ფარცხისის ციხისთავი ჯუბიელი ზაზაი.

იგი ლიპარიტისეული სპასალარი იყო მრავალნაცადი, ამიტომაც მხოლოდ ზაზას თათბირს თუ ათხოვებდა ყურს საერთოდ უჯიათი რატი.

სწორედ ამ ხანებში მოაღწია ფარცხისში ათონიდან ჩამოსულმა ბერმა მიქელაიმ. მას ბაღდადში ენახა კოზმან ბერი, შემოუჩივლია კოზმანს: არც ეტრატი მაქვს და არც ფული, ამიტომაც სიტყვიერად დაებარებინა: ბარქიაროქმა ბაღდადი აიღო და სულ მალე ლაშქარს გამოუგზავნისო რატის, ისეთ მრავალრიცხოვანს, ექვს დღეს რომ გრძელდებოდესო მისი შემოსვლა თრიალეთში.

ბარე ექვს თვეს უცადა თურქის ლაშქარს რატიმ, მაგრამ არც ლაშქარი სჩანდა სადმე და არც ამბის მომტანი.

ახლა, ჰყონდიდელისა და სპასალარების სპიანად ჩამოსვლა რა შეიცნო, უსაშველოდ დაფრთხა რატი, ჩააცივდა ჯუბიელს: სანამ ფარცხისს შემოეწყობოდეს მეფე, კახეთ-ჰერეთს წავიდეთ სპიანად, კვირიკე კახთა მეფის ლაშქარი მოვირთვათ და ზედაზენიდან შევიტრათო შიდა ქართლში.

რატი აგრე ვარაუდობდა: როგორც კი ნაჭარმაგვეს უწყევდა, კვირიკეს, ძაგან ერისთავისა და თრიალეთელთა სპაჲ, მეფე ლიპარიტის უზნიდან აიყრებოდა და სწორედ ნაჭარმაგვეთან მოაშობდნენ მას.

ვაჯიქდა ციხისთავი.

მარბიელს გამოგვიყენებს მეფე/ლა ეყენის ჩასვლამდის ეჩვენებდესო ხელში.

ცხენების კვება სჭირდა ფარცხისში, ამიტომაც აფრთხილებდა ზაზაი: ჩვენი დავარდნილი ცხენებით შორს ვერ წავაღლო.

მაინც არა სცხრებოდა რატი, დღე-ღალამ ოცნებობდა ციხიდან გაპარვისათვის. სწორედ ამ დროს მობრუნდა ლიპარიტის უზნიდან ორბეთის ეკლესიის ხუცესი პროხორე და კატაის ბართი ჩამოუტანა რატის.

ვგონებ ლიპარიტის შემორიგებას აპირებს მეფე, ამაღაც უხშიაფო ჰყონდიდელი ალბათ, იუწყებოდა ლიპარიტის მეუღლე.

რატი ორბელიანი ისეთ კაცთაგანი იყო, მეორე ადამიანის თუნდაც უკეთილშობილეს ზრახვაში მზაკერულ საფანელს რომ გამოსჩხრეკენ ხოლმე.

„აღლუმით?“

ეს უთუოდ მორიგი ხრიკია დავით მეფისა, ან არა და მახარას მიერ მოკორილი ამბავი“.

აგრე ფიქრობდა რატი.

რაიცა შეეხება შერიგებას...

„თუ მეფეს შემორიგება ეწადა მართლაც, ეუზნებოდა იგი ზაზაი ჯუბიელს, რაღად უხშია სპასალარები სპიანად?“..

ზაზაი ჯუბიელი ფრიალ გულდინჯი იყო თათბირის მიცემავში. სხვა არ იყოს რა, ეშინოდა ხუშტურნიანი რატი-სა. შეეთათბირებოდა რატი თავის ციხისთავს რაიმეს, თუ კეთილად დამთავრდებოდა საქმე, საკუთარ სიბრძნეს მიაწერდა ერისთავი ამას, მაგრამ უკეთუ ცუდად წარიმართებოდა იგი, შრუდე თათბირის მოცემისთვის მოდგებოდა და ლანძღავდა ჯუბიელს.

ფრთხილობდა ამიტომაც ზაზაი, რაკი საქმის ნამდვილ ვითარებას თავათ არ იცნობდა, მხრები აიჩეჩა და დღემდა მოხუცი.

ამასობაში იოანე დუქისძის ვაჟი ჩამოვიდა წითლოსან. მოსაკითხები მოუტანა რატის და აუწყა მამისაგან დანაბარები.

დაბეჯითებით იუწყებოდა დუქისძე: ივემიუტანელი ცნობები მაქვს, კახეთ-პერეთის დალაშქრას აპირებს მეფე, ალგეთზე გადასვლისას არ ისურვებს ალბათ ზურგში შემოგვიტოვოს, ამიტომაც შეეცდებოა ფარცხისის აღებას.

თუ ამ ავდარს არ შეეპუები და ციხითურთ გამოხვალ, წინწყაროში დაგახვედრებ სამი ათას მოისარსა და ათას მძიმედ შეჭურვილ შებოსანს. უმთავრესია: წინწყარომდის მიაღწიო როგორმე და შერმე თუნდაც მარბიელიც გამოგვიყენოს მეფემ, ბრძოლით გაეცაფავთო გზას.

ვეყინში კვირიკე და აღსართან დაგვიხვდებიან, განძის ამირაც სპას დაგვიპირებია. ამ დღეებში ავასინის ლაშქართა სარდალი თავის სარწმუნო კაცს გვგზავნის, მუსტაფა ბენ ისმაილს, ჰამაღანელ ყადის.

იცოდე: ქრთამების მოყვარულია, ხელგაშლილად მიიღე იგი. ყადი მუსტაფაც დამიმოწმებს, თუ რა რაგ თანადგომას გვიპირდებიანო თურქნი.

„კოზმან ბერისაგან ხომ არ მოსულა რაიმე ცნობა?“

შეეკითხა წითლოსანს რატი.

არაფერი ისმისო კოზმანისაგან.

რატი ამჩნევდა: ზაზაი ჯუბიელი მაინცდამაინც არ ამელაუნებდა დიდ აღტაცებას, ამიტომაც თვალეზში შესცქეროდა ციხისთავს რატი.

„შენ რას იტყვი ზაზაი?“

სთქვა ხმადაბლა რატიმ.

ზაზას დაცდილი ჰყავდა იოანე დუქისძე, როგორც ფრიად ცუნდრუკა და ქოსატყუილა კაცი, რომელსაც მუდამ ელანდებოდა ხან თურქთა მაშველი ლაშქრის შემოსვლა თრიალეთში, ხან კვირიკე მეფის სპათა თანადგომა.

ერთი რომ იგი კატაის ნათესავი იყო

და მისივე ვაჟი, წითლოსან ამიტომაც დუქისძის გამო ვერაფერი იტყუებდა პატრონს, სამაგიეროდ თურქების დაგებით მოიოხა ჯუბიელმა გული.

„რა მოგახსენო, ჩვენო პატრონო“, დაიწყო ღინჯად და აუმღერეველ ზაზამ. ისეთის ზღაზღით, გაჭიანურებულად ლაპარაკობდა იგი, ძილს მოგვრიდა მისი ნაუბარი მსმენელს.

„თურქთა წესია, ერისთავთ-ერისთავო, აგეთი: მათ ასჯერ შეპირება არასდროს ისე არ უძნელდებათ, როგორც ერთხელ შესრულება მრავალგზის აღთქმულისა.

კარგა ხანია, ამგვარი აღთქმებით გვეკვებავენ ისინი. ჯერაც თრიალეთი არა ჰქონდა აღებული მეფეს, ბარქიარი უსტარს უსტარზე გვიგზავნიდა, თანადგომას გვიპირდებოდა საქურველითა და სპითა. ხომა? თავთ განსაჯე, ერისთავთ-ერისთავო, არაფერი გამოვიდა ამ შეპირებისაგან, ხომა?

ეგეც ცნობილია, თურქს რომ სთხოვო: ერთი ის მთვარე ჩამოიღე ზეცის თავანიდან და პოლო ვითამაშოთო.

სიამოვნებითო, გეტყვის, თურქული თავაზიანობით, უთუოდ:

ახლავე ჩამოგიღებ მთვარეს, ახლავე ვითამაშოთო, პოლო.

მათი ენაც ისეთი მოშაქრულია, აბა დააკვირდი, როცა თურქი ლაპარაკობს, კაცს აგრე ჰგონია მღერისო.

იგიც ცნობილია, არავინ იმდენს არ სტყუის, რამდენსაც მომღერალი, ხომა?“

რატის ღიმილმა გადაურბინა ბაგეზე. ახლა მაღალ გიორგი გათამამდა და მანაც ჩააკერა სიტყვა:

„მე ერთ შეიხს ვიცნობდი ისპაჰანში, ერისთავთ-ერისთავო, ოდესღაც, იგი ქუყას მარიგებდა ჯერ კიდევ უწვერული ყმას:

რადგანაც ტყუილი გაცილებით უფრო ტუბილია ვიდრე სიმართლე, ამ ეზოვრებაში უნდა ეცადო, ქაბუკო.

ჯვაროსნებს ისრის გასროლაც არ დასპირებიათ, მხოლოდ ამ ავეგროზებსა და ჯვარს ამოიღებდნენ უბიდან, მყისვე თავქვე ემხოზობდნენ დაოსებულნი აგარიანნი.

ასეთ რამეებს როშავდა ქადაგად დავარდნილი ბერი, ამასობაში ავეგროზებს აჩენებდა ხალხს, საკუთარი ხელით ნაკეთებთ, ხოლო ამოგებულ ფულს რატის უგზავნიდა ფარცხისში. სურსათსა და ავეგროზებსაც გაახლებთო სულ მალე.

ზაზას ეცინებოდა გუნებაში, მაგრამ სდუმდა.

იერუსალიმის აღებამ დიახაც გაახარა რატი (უნდა ითქვას, ეპიტიმის შემდეგ ფრიად ბრმადმორწმუნე გახდა იგი), მაგრამ არც ისე შლეგი იყო ლიპარიტისძე, რომ არ შეეცნო: ჯვაროსანთა გამარჯვება სელჯუკიანთა შემოტევის ძალას შეასუსტებდა და დავით მეფე აქაც მოიგებდა უთუოდ.

ასეთივე ორღესულ მახვილად მიანდათ ეს ამბავი როგორც თრიალეთელ აზნაურებს, ისე ლიპარიტის სხვა შემზრეთაც სამღვდელთა შორის: წალკელს, წინწყაროელსა და გომარეთელს.

ღოსითეოზ წალკელმა უხვად ჩამოიტანა ახალი ამბები ბიზანტიონიდან. იგი ხელაღებით აღიდებდა „ფრიად ღეთისმოსავსა და ხუცთა მოყვარულ“ აღეჭი კეისარს. (ცხადია, წალკელს ეგ ეწადა: ამ ხოტბით ჩრდილი მიეყენებინა დავით მეფისთვის როგორმე).

გარდა ამისა, ხსენებულ ეპისკოპოზებს ხელზე ჰქონდათ დახვეული დავით მეფის ნათქვამი:

ფრიად საშურო საქმენი წინ მიძევს. როცა ამათ მოვრჩები, საეკლესიოთაც შევეუღებო.

წალკელის, გომარეთელის და წინწყაროელის ფეხისხმას აყვენენ გოლგოთელი, ხარჭაშენელი, ბოდბელი, ნიქო-

ზელი, მთელი შავი სამღვდელთა/შიდა-ქართლისა და კახეთ-ჭყრუფისა;

ესენი მთელ თავიანთს მწყობრებდნენ რატი ორბელიანსა და ხუცთა მოყვარულ კვირიკე მეფეზე.

ამიტომაც დიდძალ ხორავსა და ხალხში მობოკილ ოქრო-ვერცხლს უგზავნიდნენ ფარცხისის ციხეში რატის.

ეს ყოველივე თვალში რომ არ სცემოდა ქაიმიან სეტიელს, მოსაკითხებს ლეზულობდა ორბეთის ეკლესიის ძღვედელი, პროხოზე.

მეფისადმი ქვევამხედვარ სამღვდელთა შემაკავშირებელი იყო ბერი ევტიხი. მას უკვე დაკარგული ჰქონდა ლიპარიტისა და მანგლელის იმედი, რატი ორბელიანი ჰპირდებოდა მას ეზოსმოძღვრის თანამდებობას, თავის „მომავალ სასახლეში“.

სავსებით მცირე ხანში შესძლო ევტიხიმ რატის მონუსხვა, არა მარტო საკმაოდ მალემრწმენი რატი, მისი აზნაურები და მონასხანი „ახლად მოვლენილ მესიად“ სთვლიდნენ ევტიხის.

რატის თანა ჰყავდა ფარცხისში ორი შესაწოლე ბერი; მიქელაი და ბეციაი, რომელნიც მისი საწოლის მწიგნობარიც იყვნენ.

ეს ბერები ისე დაიმონა ევტიხიმ, ჩოხის კალთებს უკოცნიდნენ მას.

რატი ორბელიანი არ სცილდებოდა ციხის სამხერებს.

ოქრო, ვერცხლი, ბოტინატები და ღუჯატები მას არ აკლდა, მაგრამ გზების შეკვრამ და უსამელო ზევეებმა საზრდოს მოზიდვა ფრიად შეაფერხა.

ციხისთავი პატრონის უკითხავად ღამით გააპარებდა ხოლმე სპათა, უწყალოდ ზოცავდნენ ისინი ირმებს, მოათრევდნენ ღამითვე ციხეში და აპოხტს აკეთებდნენ.

ერთხელ რატი თავათ წააწკა მო-

ნასპათ, რომელთაც მოკლული ირმები ამოქჷნდათ ციხეში. მოუწონა ზაზას ეს განზრახვა და უბრძანა: ოციოდე შენადირე გაეგზავნა ტყეში და ბლომად დაეხოცათ ირმები.

ხოლო ირმები იმდენი მოაწყდა ალგეთის ხეობას, სოფლის ბიჭები ხორბსავით იჭერდნენ მათ.

როცა საზრდო შემოვიდათ, ადამიანთა სამყოფლოს, წისკვილებს, ბელლებსა და ბოსლებს მოაწყდნენ ბედშავნი.

საწყალობელად ბლავოდნენ ყელმოღერილინი, გადმოდგებოდნენ სოფლის მახლობელ ბექობებზე, თითქოს ტყურობა დაეიწყინოდათ და უგულო კაცთა მოდგმას შევრდომებას ეაჯებოდნენ.

ზაზაი ჯუბიელს იმედი მიეცა: ორასიოდე ირემს დაეაშაშხინებ და მთელ ზამთარს ვაგვიტანსო, აგრე ფიქრობდა.

ერთ საღამოს ციხისთავის სამყოფლოში, ბუხრის პირად მთელემარე რატიის თავზე წამოადგა მეხმლე მალალ გიორგი და ციხისთავი ჯუბიელი.

ამენეს: შებინდებისას ჩუბჩნი ორბეთის გზაზე დახვედრიან მეჯორეებს, რომელთაც სურსათი მოქჷნდათ კახეთიდან აღსართანის მიერ გამოგზავნილო, უცემნიათ მეძღვენნი, სპალინიანი ჯორები წინ გაუგდიათ და წასულან.

ვაგლახად დააფიქრა ამ ამბავმა რატი.

მისჭირდა ციხიონისა და ცხენების გამოკება. სასო წარეკეთა ციხისთავს. მონასპანი უკითხავად შეიპარებოდნენ ხოლმე ციხის სარდაფებში, სამარაგო სურსათიდან იპარავდნენ ღორს. ხოლო ცხენები საწყალობლად ქიხვიებდნენ და ხვიხვიებდნენ.

ამის შემდეგ, რატიის ბრძანებისამებრ, ციხისთავი ჯუბიელი ყოველ ღამეს ამოწმებდა მოქლონებს იმ სარდაფებისას, სადაც შავი დღისათვის

შემონახულ ღორსა და ჩაჩხს, აპოხტსა და ყველს, ფქვილსა და ღვინოსა ხავედნენ ხოლმე.

გინგლინი

ჩუჭუქმად ბუზღუნებდნენ სპანი, ოსპის გბოლვილისა და ლობიოს ქამით დაოსებულნი, მალე ოსპიც გათავდა და ლობიოცა. ევტიზი ბერის ჩამოსვლას ნატრობდნენ დამშეულნი, გაუჩინელს გააჩენდაო ევტიზი.

შეუფარველად დვრტვიანდნენ ასეულთა წინამდგომნი და აზნაურნიცა: თუ ოშია, ოში იყოს, გავიდეთ ციხიდან და შევებრძოლოთ მტერს.

როგორც იქნა, მოაღწია ევტიზიმ. ჯერაც ციხის კარიბჭეში არ იყო იგი შემოსული, ბერები და მონასპანი მისცივიდნენ თავიანთ „მესიას“, ჩოხის კალთები დაუკოცნეს ახლადმოსულს.

ბერმა ბეციამ დაუყოვნებლივ ახარა მისი მოსვლა რატის.

დაღონდა ჯუბიელი ზაზაი, როცა სურსათის ნაცვლად, თავისი ავგაროზები მოათრია ევტიზიმ.

მყისვე ავგაროზების ქებას შეუდგა ბერი.

ესენი იფარავენო კაცს, ავი თვალი-საგან, ეამისაგან და შხამისაგან, რაც უმთავრესია, მტრისაგან.

სწორედ ასეთი ავგაროზებით იყვნენ აღქურვილნი ქრისტესეულნი სპანი, როცა ანტიოქია და იერუსალიმი წავლიჯესო თურქთა.

ქადაგად დავარდა ფარცხისის ციხე. ში ევტიზი ბერი, ავგაროზები დაურიგა აზნაურებსა და მონასპათ, მარბულობისა და მორჩილებისაკენ მოუწოდა მათ.

მალე ისევ აბუზღუნდნენ ასეულთა წინამდგომნი და აზნაურნი.

რატი თავათაც კარგად ჰხედავდა: არც ისე იოლი იყო ციხიდან გამოსვლა, როგორც ეს სულწასულებს ეჩვენებოდათ. უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო თხილამურების, წრიაპებისა და მუჯრების მოპოვება.



იგი ასე ვარაუთობდა: ორასიოდე თხილამურიანი მონასპა გზებს გაკვალაღუნენ, ათასეულნი უკან მიჰყვებოდნენ მათ. საჭურველსა და საზრდოს მარბილებზე დაუღებდნენ.

გვიანი ღამით, ფარცხისის ციხეს ეწვიენ ჰამადანელი ყადი მუსტაფა ბენ ისმაილ და სამი თურქი.

ნაშუალამევს ციხისთაჲმა ჯუბიელმა და მალალ გიორგიმ გააოვიძეს აზნაურები: ციხელაისძე, მახარობლისძე, ღარბაისძე და დუქისძის სამივე ვაჟი.

თავათ ტანმორჩილი, ჯუჯა თორქები გაკვირვებულნი შესცქეროდნენ უზომოდ წაგრძელებულ ციხისთაჲსა და მეხმლეს, მალალ გიორგის, მაგრამ როცა მათ რატის აზნაურები შემოყვინენ, აგრეთვე მალალნი და ბეჰპრტყელნი, გაოცდნენ: სად გამოსძებნაო ორბელიანმა ამღანი მალლები?

ჰკითხა კიდევაც მუსტაფა ბენ ისმაილმა მალალ გიორგის, რომელიც თურქულის თარჯიმანადაც ჰყავდა რატის:

„ნუ თუ ყველა ასეთი მალლები იზრდებიან თქვენს თრიალეთში?“

მალალ გიორგიმ გაიცინა და უთხრა: ხომ ნახეთ რამსიმალლე ნაძვები იზრდება ჩვენში, კაცნიც მალალნი იზრდებიანო.

ეს ამბავი შემთხვევითი არ იყო.

რატის ორბელიანი მუღამ აგრე ამტკიცებდა: დაბალ კაცს ჰქუა არ ეკითხებაო. მახარა ხუმრობდა კიდევაც რატის, ზაზას და მალალ გიორგის გამო: სამივენი რომ ურთიერთს წაუმატო გრძლივ, ერთი ფარსანგი გამოვია, მაგრამ სამივეს ჰქუა ერთ ბატსაც არ ეყოფაო.

მონასპათა შორისაც მუღამ მალლებს არჩევდა რატის მარბიელ რაზმეულისთვის, როცა იგი დაბლებს აძაგებდა, ყველამ იცოდა, მახარას რომ გულის-

ხმობდა რატის. სამაგიეროდ არც მახარა ინდობდა მას.

მალალი კაცი იმიტომ დადის უცხოოდ, რომ მის თავსა და ფეხებს შორის დიდი მანძილია და ამიტომაც ვერ ატანსო ჰქუა თხემიდან ტერფამდის. დიდხანს ეთათბირენ თურქებს რატი და მისი აზნაურები.

მუსტაფა ბენ ისმაილ ენამჰვერობდა, აჲსანის ლაშქრის სარდლის სახელით უცილო თანადგომას ჰპირდებოდა ორბელიანს, უკეთუ იგი ციხიდან სპიანად გამოსვლას შესძლებდა.

რიერაჲი მოადგა თუ არა ციხის სამხერებს, სტუმრები დასასვენებლად გაიყვანეს, ზაზაი და მალალ გიორგი დაიშარტოხლა რატიმ და უბრძანა:

მეციხოვნენი საბრძოლოდ შეამზადეთ სამ დღეში, გომარეთს წარგზავნეთ სპანი და თხილამურები, წრიაპები და მუჯრები მოატანინეთო.

ზაზამ თავი ჩაქინდრა, მალალ გიორგი დაბალ ბუხარს მიჰყუდებოდა, ნაღვლიანად იჩიჩნიდა თავის გაბუშტულ ნესტოებს თითით.

ორივეს ფრიად ეეჰვებოდა ციხიდან გასვლის შესაძლებლობა. თავს იკატუნებს დავით მეფე, თითქოს დააეწყყდით კიდევაც ფარცხისის ციხიონნი და მათი პატრონი.

და როგორც შევარდენი, რომლისაც ხოხობი გაქცივია ჰანგოდან, არხენად აკეთებს სიერცეში ირაოს და უთვალთვალებს აჲანთში შმალულს, რათა ზელმარჯვე დრო იპონოს იმ წუთში, როცა მისი მსხვერპლი შეიკლდება გადანაცვლებას სამალისას, მერხეხით დაეშვება ზევიდან და გაბრღლენის ანაზღად მტერს, ასევე დავით მეფეც გაყურებულა და არაჲინ იცის, რა დღეს დააცხრებაო იგი ფარცხისს.

აგრე ფიქრობდნენ ზაზაი და მალალ გიორგი, არც იმას უჯერებდნენ რატის, თითქოს დავით მეფეს ეშინოდა

ფარცხისის მეციხოვნე ლაშქართან შებმისა.

წავიდნენ თხილამურების მოსაპოვებლად სპანი და მეწისქვილე ალხაზაის ხელით ბარათი გამოგზავნა კატიმ.

გიორგი ჭყონდიდელს ღვიძლის სისიენე და თვალის გუგების გაფართოება სჭირს, სიცხე დღითიდღე მატულობს, შესაძლოა ლიბარიტის უბანში უწიოსო სიკვდილმა მას.

რატის ვარდი მოპოვინა ამ ამბავმა გულზე.

„თუ ჭყონდიდელი მიიღო უფალმა, მეფეს ისეთი თავზარი დაეცემა, ჩვენდა სადევნად ვეღარ მოიცილს ალბათ, ვინძლო კიდევაც ვერ ვუწიოთ უგრძნეულოდ წინწყაროს, ქარიშხან სეტყელსა და მის ქონდაქარებს გამოგვიყენებს, მაგ დოყლაპია სვანებს გულურებისაგით ვადაყვრი ალგეთში“.

ეუბნება რატი ზაზასა და მალალ გიორგის.

არც ამ ამბის გამო ამეღაენებლდნენ დიდ ალტაცებას მგზმლე და ციხისთავი.

რატის ბრაზი წაეკრდა ინაზღად გულზე. გაგულისებულმა შეუბღვირა:

„სამი დღე გაეიდა, ჩემს ნაბრძანს რად არ ასრულებ ზაზაი?“

„შვიდი კაცი წარგზავნე გომარეთს, მაგრამ როგორც ხედაეთ, არც თხილამურები სჩანს ჯერ სადმე და არცა წარგზავნილნი.“

თუ ღმერთმა ინება და ჭყონდიდელმა შენი ჰირი წაილო, მის ცხედარს თრიალეთში არ დასტოვებს მეფე, ამიტომაც მოგახსენებ ერისთავთ-ერისთავო...“

ზაზა შესდგა და მცირე ხნის შემდეგ ისევ განაგრძო:

„მე ვამბობ, ერისთავთ-ერისთავო, ხომ არ აჯობებდა შეგვეცადა მეტეი, გაზაფხულამდის. მაშინ არც თხილამუ-

რები დაგეჰირდებოდა, ერთე-ერთეჰგები და არცა მუჯრები...“

ესა სთქვა ციხისთავმა, შეეშინდა თავის გულფიცხი პატრონისა და მყისვე თავის ნათქვამს უკან გადადგინა: „გაზაფხულს კი არა, ჭყონდიდელის სიკვდილს...“

რატი:

„შენ აგრე გჩვევია ზაზაი. შემოდგომამზე მოვთხოვე ხოლმე თათბირს რაიმეს, ზამთრისათვის გადამიღებ, ხოლო ზამთარში შენაკითხს, გაზაფხულისათვის.“

აგრე თუ ვეყურყუტეთ ამ ციხეში, დაეთ მეფე საომარ სამზადისს მოათაეებს და მერმე უარესად გაგვიძნელდება მასთან შებმა. სხვა არ იყოს რა სიმშოლისაგან ამოგვიწყდება სპანი. დაეთსაც ეგ უნდა უსისხლოდ აილოს ფარცხისი.

ჯერაც საქმოდ გრძელი ზამთარი წინ გვიძევს. ბოლოს, როგორც წესია: ზამთარს გაზაფხული მოჰყვება, ხოლო დაყოვნებულ ომს, — უქმველი დამარცხება, გასაგებია, არა?“

ზაზაი:

„მმე მმმე... თუ მკითხავ ერისთავთ-ერისთავო, თუნდაც ამალამ გაფიყვანოთ ციხიონი და შევებათ მეფეს, მერასა ვჩივი, ცოლი არ მაწუხებს და შეილი. მე იმას მოგახსენებ, რაც საქმისათვის უკეთესია, ხომა?“

აგრე ბრძანებლით, ერისთავთ-ერისთავო, წედინ: დაყოვნებულ ომს დამარცხება მოჰყვებაო უცილო, მაგრამ იგიც ნათელია, გადადებული ომი რომ სჯობია მოუფიქრებლად, წამოწყებულ კენწლათობას, ხომა?“

რატი:

„აბა შენ ეგეც იცოდე ზაზაი, უთაევამო ყოყმანი დიაცის წესია, მარყლის მჩეჩელისა. თუ მშვილდის მოზიდვა დაყოვნე, ისარს როდი მოუცდის ნადირი?“



ერთი მგზავსიცი მიიწერა. არც ზა-
ზაის მიერ წარგზავნილი სჩანდნენ,
არცა მუჯრები-

შეშვოთდა რატი. ღამით ძილი დაპ-
კარგა, წამდაუწუმ დგებოდა, გასცქე-
როდა დაბნელებულ გზებს.

ბოლოს ევტიხიმ ითავა: მე წაეალ
გომარეთს და სამ დღეში მოვიტანო
თხილამურებს, წრიაპებსა და მუჯ-
რებს.

წაეიდა ევტიხი, სამი მონასპა წაი-
ყვანა იან. რატის აზნაურები დაბეჯი-
თებით ამტკიცებდნენ: ევტიხი ისეთი
ჯადო კაცია, უთუოდ მოგვიტანსო
თხილამურებს.

თოვდა და ბარდნიდა ისევ... ღამდა-
მობით ზეაეების გრიალი ძილს უფრთ-
ხობდა რატის. ყმუოდნენ მგლები. ჭი-
ხენიზდნენ დამშული ცხენები...

მოუთმენელი რატი ბოლოსა სცემ-
და ციხისთავის სამყოფლოში, ვახე-
ლებული აწყებოდა სამზერებს ცი-
ხისას, მაგრამ არც ევტიხი სჩანდა სად-
მე და არც თხილამურები.

ევტიხის დაგვიანებამ სასო წარუ-
კეთა სპათა. არც პროხორე მღვდლის-
გან მოდიოდა მოსაკითხები.

აიოჩქოლდნენ აზნაურები:

ციხიდან გავიდეთ ბრძოლით, შიმ-
შილით ამოწყვეტას იმში სიკვდილი
გვიჩვენიაო.

სამი დღეც გავადა, გვიან ღამით
მოვიდა წითლოსან ციხეში და აუწყა
ერისთავს:

წინწყაროში სპიანად ვიცდისო მა-
მა.

რატომ გადასწყვეტა: მეციხოვნენი
აყვარა და ბრძოლით გასულიყო ცი-
ხიდან. იხმო ზაზაი და მალაღ ვიო-
გი, უბრძანა: ხეალ დილიდან შეუდე-
ქითო საბრძოლო სამზადისს.

თავზე მოიფხანა ზაზაიმ და შეუ-
ფარველად შეკადრა პატრონს:

„მოუუცადოთ ევტიხის მოსვლას,
უთხილამუროდ ვერ გავალთ ციხიდან-

ვერც საზრდოს გავიტანთ და ვერც
საპურველს, ჯორ-ცხენების გაყვანა
ხომ მტკნარი იცნება“ ასეთ ამიღში.
შემოგვეყრებან დაეით მეფის სპანი,
ალგეთის ხეობაშივე მოგვაშთობენ
უთუოდ“.

მაინც თავისას არ იშლიდა რატი.

სხეა გზა არა ჰქონდა ზაზას. უთენია
შეუდგა საბრძოლო სამზადისს. მე-
ციხოვნენი გაიყვანეს ციხის ეზოში.

მ-ხმლენი მახვილებს ლესაედნენ,
მეშველდენი მშველდებს უცელონი
საბელებს, მკედლები ჯორ-ცხენებს
სქედნენ, ისრებს აწრთობდნენ. მეჯი-
ჰვენი ჯაჰე-საჰურერელს ამოწმობდნენ,
მეუნავიერნი უნავიერებისა და მოსარ-
თავიბის შეკითხვას შეუდგნენ

ზაზაი ჯუბიელი დაქოთქოთობდა
ციხის ეზოში, აჩქარებდა ხელოსნებს,
მალაღ გიორგის არ უმალადა თავის
გულისწყრომას. განსაკუთრებით საი-
გებოოდ მაჩნდა ჯორ-ცხენთა გაყვანა
ციხიდან, მაგრამ კარგად იცოდა, რატი
ორბელიანი ვადაგებულებოთ თავის სა-
ომარ ცხენებზე და არასგზის არ ინ-
დომებდა მათ დატოვებას.

ამიტომაც დღე ნიადავ გასცქეროდა
რატი ალგეთზე მიმავალ გზებს,
არწმონებდა ციხისთავს: სოფლის ნა-
ხირებმა და ნალოებმა საკმაოდ დაბო-
ნეს გზები, მოვახერხებთო, როგორმე
ცხენების გაყვანას.

თურქი სტუმრებიც რატის დაე-
მოწმენ: ლორეს ციხას მისაღკომე-
თან უფრო დიდი თოვლი გადაგვილა-
ხავსო ცხენდაცხენ.

ლელაედა, ბობოქრობდა რატი. ორ-
ბოლიანთა ამბოხიანი სისხლი აჩქამდა
მის ძარღვებში კვლავ.

ნიადავ თავზე აღვა ოსტატებს, აჩქა-
რებდა და ამხნეებდა მათ.

რატის განსაკუთრებით უყვარდა
ხმლის ლისვისათვის შერა. სიამოვნე-
ბით თვალს აღევენებდა თუ როგორ
ვარვარებდნენ მოსრიალე, პაწია გე-

ლაზებზე დადებული ხმლები და ცეცხლს აფრქვევდნენ ფხიდან...

ზინდისას სამზადისი მოთავდა-

რატიმ უბრძანა ციხისთავს: სამარაგო აპოხტი, ჩაჩხი და ლორი გამოეტანა, ქვევრები მოეხადათ და ღრეობა მოეწყოთ ციხიონის სალაშქროდ გასვლის კვირაძალში.

ცხვრები დაჰკლეს, შამფურებზე დააგეს, კოცონები გააჩაღეს ციხის ეზოში. თონეებში პურის შოთები დააკრეს, პურის სუნით სტკებოდნენ სპანი.

მუსტაფა ბენ ისმაილმა შეუფარველად შეჰკადრა რატის: ვანაგონი მაქვს ორბელიანთა ზარდახანას ქება, ერთი მაჩვენეო შენი ჯაჭვ-საქურველნი და ხმლები.

პურობის დაწყების წინ რატიმ და მალალ გიორგიმ ციხის ზარდახანაში ჩაიყვანეს თურქი სტუმრები.

ზაზაი ჯუბიელი და ზარდახანის უხუცესი თავზე ადგნენ ზარდახანის მწიგნობარს და ზარდახანის მოლარესა, აურაცხელ საქურველსა და ჯაჭვ-მუზარადებში არჩევდნენ საუკეთესოთ.

თურქები გულმოდგინედ ათვალეობდნენ მახვილებს, ქეიბურებს, ჰამადანსა და ჰისპაჰანში, ნისიბსა და დამასკში ნაწრთობ ხმლებს, შაიზარის, მუტას და ჯიზაფის ოსტატების მიერ ნაკეთებ პოლოტიკებს, ბეჭთარებს, სამკლავებებსა და საბარკულლებს. მომეტებულის გულისყურით იღებდნენ ხელში ქართველ ოსტატების მიერ ნახელოვნებ ჯაჭვ-საქურველს, თავს აქნევდნენ და ღრო გამოშვებით გაეხმაურებოდნენ ხოლმე მათ გამოურთიერთს.

ერთ კედელზე გამწკრივებული იყო ბალუაშ-ორბელიანთა სამი თაობის მიერ ნატარები თორნი და მახვილნი: ლიპარიტ დიდისა, ივანე ლიპარიტის ძისა და ლიპარიტ ივანეს ძისანი.

მუსტაფა ბენ ისმაილმა ერთ ღმას-კურ ხმალს დაადგა თვედვი ქვე-დგოწყო, იმ იმედით, ეგებმე მახანსტყრასო ორბელიანმა იგი.

რატის თურქული არ ესმოდა, მაგრამ აღამიანურ საუბარში არის ისეთი მომენტიც, როცა კაცის გულის ნადებს ველარ ფარავს პირობითი შიფრი მეტყველებისა. ამიტომაც მიხვდა რატი იღუმალ წადილს თავის სტუმრისას, არ აცალა მას ხმლის ჩამოღება, თავათ ჩამოხსნა კედლიდან, მალალ გიორგის მიუბრუნდა და უთხრა:

„შენ ვადაუთარგმნე გიორგი მას და უთხარი, ეს ხმალი მე ძლიერ მიყვარს-თქო, იგო ერტყა-თქო ჩემს დიდ პაპას, ლიპარიტ დიდსა, როცა მან ანისი აიღო და ბაგრატ მეფის დიდებულნი და ერისთავნი დაატყვევა-თქო, ანისის კარსა“.

ახლა მეორე მოეწონა ყადის, ვადაჯვრიანი ქართული მახვილი, დავით კუროპალატის დროს უფლისციხეში ნაწრთობი.

მუსტაფა ბენ ისმაილმა თავათ აიღო იგი ხელში, ფრჩხილი გაჰკრა ფხას, როცა წყრიალი მოესმა, აქო და ადიდა იგი.

არაფრით ჩამოუვარდებოთ შობორკანულს.

ჩაიბუტბუტა.

რატი მიწვდა მახვილს, ხელიდან გამოართვა იგი სტუმარს და უჩვენა ხაზა დაბჩენილი მგლისთავი, რომელიც ვადის მახლობლად იყო მასზე ამოტვირთული, მალალ გიორგის მიუბრუნდა ავლავ:

„ამ ხმალს ატარებდა-თქო ლიპარიტ დიდი, როცა მან არყის ციხესთან შემუსრა ბაგრატ მეფის სპაჰ“.

ახლა დევკაცური ჯაჭვი აიღო ხელში მუსტაფა ბენ ისმაილმა, თვალი დარჩა ზედ. (რომელილაც ქართველი ოსტატის მიერ ნაკეთები ღმანისში).

ვერც ამ აბჯარს შეეღია რატი.



ისევ გიორგის გაუმართა მზერა:

„ეგ აბჯარი ეცეა-თქო პაპა ჩემს, როცა ბაგრატ მეფეზე გამარჯვებულ-მან ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინ-ში“.

ბოლოს დადუნდა სტუმარი, რატიმ უგუნებობა შეამჩნია მას, ხელიდან გამოართვა ზრდახანისუხუცესს ერთი საკმაოდ ფხამოცვეთილი დამასკური ხმალი, ხელში შეაჩეჩა სტუმარს.

ეს ხმალი დიდმა სულტანმა ტულ-რილ ბეგმა უსახსოვრად ლიპარიტ დიდს...

უთხრა მალალ გიორგის და შეუდგა სულტანისეული ხმლის ქებას.

ყადი მუსტაფა ხმის ამოუღებლად უსმენდა ხმლის აპოლოგიას, მაგრამ არაერთარ აღტაცებას არ ამჟღავნებდა სტუმარი, ბოლოს თავის მზღებელ თურქს გადასცა იგი და ჩაიდუნუნა: ასეთი ხმლები შინა მაქესო ბარე შვიდი.

მალალ გიორგიმ გაიგონა ეს, მაგრამ არც კი გადაუთარგმნია მისი ნათქვამი რატისთვის. ზაზამ კარგად იცოდა იარაღის საქმეში ფრიად ძუნწი რომ იყო საერთოდ სტუმართმოყვარე და გულუხვი რატი.

გაეცინა თავის გუნებაში, ძალით რომ შეაჩეჩა თავის სტუმარს ეს ქანგ-მოკიდებული ხმალი.

როგორც ზაზას, ისე მალალ გიორგის ქამრით სძაგდათ თურქები და ორივეს გაეხარდათ, გაწბილებული რომ გავიდა ზარდახნიდან ყადი. მალალ გიორგის ყელში მოებჯინა სიზარული და კიბეზე ასვლისას უჩურჩულა ზაზას:

„ხმლის მეტი რა უკეთებიათ მაგ სახეძალღებს ამ ქვეყნად“.

„ხმლებისა და ტაჯგანაგების მეტი“.

დასძინა ზაზამ და ბოროტი მზერა ესროლა ჰამადანელი ყადის მოდრეკილ ზურგს.

როცა ციხის ეზოში მიბრუნდა

სტუმრებითურთ რატი, უკვე გაშლილ სუფრებს მისხდომოდნენ მისი დამშეული მონასპანი.

ველურებისავეთ გლეჯდნენ აბოხტსა და ხორცს, გაქონილი ჯამებით ხარბად სვამდნენ ღვინოს, ხოლო თავლებში ჭიხვინებდნენ და ხეიხინებდნენ დამშეული ცხენები-რატი რიგ-რიგად მიდიოდა სუფრებთან, სადღევრძელოებს იზიარებდა, ლოცავდა მეომრებს, თავაზიანად ეხუმრებოდა მათ, საერთოდ პირქუში და უხიავი პატრონი.

„დალიეთ, დალიეთ, ჭაბუჯნო, დასცალეთ ფარცხისის ქვევრები. ოღონდ იცოდეთ, თხლე დაუტოვეთ პურად-ძვირ დავით მეფეს. მალე ისევ აქ მოვალთ და ახალ ღვინოს ჩაეასხამთ ძველ ქვევრებში, ჭაბუჯნო“.



ფარეშთუხუცესს ციხისთვის სამყოფელოში გაეშალა სტუმრებისა, აზნაურებისა და ათასეულთა წინამდგომთათვის ვერცხლის ტაბაკები. ალყა და ქონი შემოჰქონდათ მსახურებს. როცა სტუმრებს შემოუძღვა რატი, მემოშხალენი წამოცვიდნენ, კედლებთან აიწურნენ.

პურობის დაწყების წინ ბერებმა სუფრა აკურთხეს, ივალობეს და ლოცვები წარსთქვეს.

რატის ბრძანებისამებრ, მესტუმრეთუხუცესმა სუფრის თავაკობა დააკისრა ზაზაი ჯუბიელს. იგი ენას უკიდებდა ოდნავ, მიუხედავად ამისა, ამ მოვალეობასაც ასრულებდა სტუმრიანობის დროს.

პირველი ჯიხვი მიუძღვნა ზაზამ კლდეკარის დილეგში ტყვექმნილ ერისთავთ-ერისთავს ლიპარიტს, რომელსაც, ჯუბიელის თქმით, „უმართებულოდ სტანჯავდა აფხაზთა მეფე — დავითი“.

მაღალ გიორგი ქაშნავირობდა, გა-
მალებული ავსებდა ჯიხეებს.

სრული მყუდროება სუფევდა დარ-
ბაშში, ვიდრე ლიპარიტის სადღეგრ-
ძელო არ გამოსცალეს სტუმრებმა.

უხალისოდ მიდიოდა ნადიმი, თურ-
ქები უღიმღამოდ სვამდნენ მათთვის
მირთმეულ ბადაგს, გაოცებული შეს-
ცქეროდნენ, თუ როგორ ცლიდნენ
აზნაურები უზარმაზარ ჯიხეებს.

რატი გრძნობდა: უცმაყოფილო იყო
ყადი მუსტაფა ბენ ისმაილ, ამიტომაც
თავით წამოიწეოდა ხოლმე ტაბაკი-
დან, ხან ჯეირანის აპოხტს სთავაზობდა
მას, ხან ცხერის ჯიგარს, ხანაც ბადა-
გის მირთმევას აძალებდა.

მიუხედავად ამისა, ცხვირბირი ჩა-
მოსტიროდა ყადის.

ბოლოს მოიხმო მაღალ გიორგი და
ათქვეყინა:

„ხელა დილით თექური ჯიშის
ულაყს ვითავაზებ-თქო ერთს“.

ყადიმ გაიფიქრა: „ნაჩუქარი კი არა,
საკუთარი ცხენები ვერ გავიყუენიათ
ციხიდან“, მაგრამ მაინც მადლი მიავო
რატიც.

ყადი მუსტაფა ბენ ისმაილსაც თა-
ვისებური კრიკინა ჰყავდა თავში. თა-
ვის სიცოცხლის მანძილზე ნაირნაირ
ჯაქე-საქურველსა და იარაღს ავრო-
ვებდა იგი. მას სამსტოეარო და სამო-
ციქულო საქმეებს ხშირხშირად ან-
დომებდნენ ხოლმე სულტნები და ამი-
რები.

ყადის შემოვლილი ჰქონდა მთელი
ხამუსლიმო სამყარო, ხორასნიდან
შეიზარამდის, ქრთამებს იღებდა მხო-
ლოდ იარაღის სახით, მერმე ბოქავდა
ამას ყოველივეს, ასე რომ ჰამადანში
საკუთარი ზარდახანა ჰქონდა.

ზოგს ყდიდა, ზოგს სცვლიდა და
ზოგსაც ძღვნად მიართმევდა რომელი-
მე სულტანს, ან ამირთ-ამირას. ამგვა-
რი საქმიანობა ასულდგმულვებდა ამ
უცოლშვილო და უძეთ მოხუცს.

ფარცხისში ჩამოსულს იმედი ჰქონ-
და ქართულ ხმლებსა და მკურ-
ველს მიუმატებდა რაურს. სახელგან-
თქმულ ზარდახანას. როცა ეს ზმედე-
ბი დაეფუშა, დანა კბილს არ უხსნიდა
ბებერს.

ბოლოს, როგორც იქნა მეხუთე ჯი-
ხვმა გაარღვია უგუნებობის ბუენი. რა-
ტიმ შენიშნა; ამ ჯერად უთავემოდ
ვეთაურობდა ღვინის სმას ზაზაი.

აღარ ხუმრობდა ჩვეულებრივად,
უღიმღამოდ ბლუქუნებდა ჯიხეის
აწევაშდის, მერმე ხარივით დაეწაფე-
ბოდა ღვინოს.

ამიტომაც რატიმ ჯიხვი გამოართვა
ხელიდან ზაზას, მასვე გაუმართა მზე-
რა და უთხრა:

„შენ რას იტყვი, ზაზაი, ქვევრიდან
ახლადამოღებული ღვინოი რითი ჰგავს
სისხლს მოსისხარისას, ჰა?“

„ზაზამ კეთაზე მოიფხანა და ვერაფე-
რი შეჰკადრა პატრონს“.

ახლა აზნაურ მახარობლისძეს მიუ-
ბრუნდა რატი:

„აბა შენ გვამცნე, მამისთვალა, მა-
მის სულს გაფიცებ“.

ველარც მახარობლისძემ გაართვა ამ
„სიბრანეს“ თავი, მაშინ თავით სთქვა
რატიმ:

„ორივენი უნდა დაილიოს დროზე“.

ხელიდან ხელზე გადადიოდა ჯიხვი.
ისევ დაეარდა დემილი, თანეაქინდ-
რული ეწაფებოდნენ მეინახენი /საქ-
მელს.

ისევ შეეცადა თანადამსწრეთა გუ-
ნების შეცვლას რატი.

„ახლა ეს მარქვით, ჰაბუენო, რითი
განსხვავდება კარგი ღვინო მოსისხა-
რის სისხლისაგან, ჰა?“

რატიც აზნაურები — მაინცდამაინც
დიდაფ არ იყენენ განსწავლული რი-
ტორულ ხელოვნებაში, ამიტომაც
კვლავ გამეფდა სუფრაზე დემილი.

მაღალ გიორგის წამყუო რატიმ,

უბრძანა ვალუთარგმნეო ჩემი ნათქვამი სტუმრებს.

გაიღიმა ჰამადანელმა ყადიმ, კრუტა და სხვიანი თვალებით შესვინა რატის და სთქვა, თავის კეთილზმოდან ენაზე ისე ტკბილად. თითქოს მღერისო:

„სხვაობას მე ვერა ვბოულობ, ჰომა, უფალო, მაგრამ მსგავსებას მოგახსენებდით ერთს“...

„მაინც, მაინც?..“

ჩაპკითხა მასპინძელმა.

„ორივე ტკბილიაო, აგრე უთქვამს შეიხ სოლეჰმანს, ალაჰ იყოს მისი შემწე-მარადეამს, მეც ეგრე მგონია და დანარჩენი ალაჰს უკეთ ეცოდინება, ყოველთა შემწეალეს“.

„არა, არა, ყადი მუსტაფა, სთქვა შეზარხოშებულმა რატიმ, კარგი ლეინო მწარეა, ყადი მუსტაფა, შენმა მზემ, ხოლო სისხლი მოსისხარისა ტკბილი. კარგად უთარგმნე ჩემი ნათქვამი გიორგი“.

დასძინა რატიმ.

სუფრის ბოლოს მსხდარ, ახალგაზრდა აზნაურებს უკვე თრობა წაპკიდებოდათ, საერთო ხმაური დაარღვია წითლოსან, იოანე დუკისძის ვაჟმა და უყვირა მაღალ გიორგის:

„ჰამნაგირო, ღეინო გეწყურია ღეინო“.

რატიმ გაუღიმა თავის ნათესავს და წამოიძახა:

„მე კი ისევ სისხლი მწყურია, წითლოსან, ბაგრატოვანთა სისხლი. ამალამ ბირველი მამალი იყივლებს თუ არა, ვახსენოთ უფალი და გზას დავადგეთ, ქაბუჯნო. ცა მოწმენდილია, კეთილვარსკვლავს მიენდოთ და ის ღმერთი, რომელიც მუდამ შევლოდა ლიპარტისძეთა, ბაგრატოვანთან ომებში, კვლავ ჩვენთან იქნება, იცოდეთ, ქაბუჯნო“...

„ჩვენთან იქნება“, ერთხმად წამოიძახეს მიქელამ და ბეციამ.

რატიმ აღერსიანი მზერა ესროლა ბერებს და განაგრძო: *ერქუნესული*
„ხომ ამდენს დრტვმნადიყივლებოდაო“ საბელი მშვილდისა. აჰა, ვისრულებ, ჩემნო აზნაურნო წადილს, მეტს აღარ დავამშვეთ ხმლებს.

ცხადზე უცხადესია, დავით მეფე რა შეიცნობს ვეჟინს წასელას ჩვენსას, იქ მოგვსდევს სპიანად უთუოდ. ჰომა, ვეჟინი!“...

სთქვა რატიმ და ჩარბებზე იებინა.
„ეჰა, დედი ჩემის ღმერთსა, ვეჟინში რომ არ აეკებთ ხმლით, მეფე და ჭყონდიდელი. თუ კიდევ მოვახელებთ, მოგეცათ ლხენა, მათ თაკვერელ ჯალათებსა და აფხაზ მოისარებს მივეცთ ზელში პაშტნი¹, ისე როგორც ესაქენა ჩემმა დიდმა პაპამ ლიპარტმა, როცა ბაგრატ მეფე აოტნა სასირეთის ჭალაში“.

„და ვაცხოზინოთ მერმე ხმიადი“.
ზევიენებდა როხროხა ჰამნაგირი.
რატიმ, მისი ნათქვამი არც გაუგონია, ისე განაგრძო:

„შესაძლოა, მართლაც შემოსარეგებლად აგზავნიდეს, გიორგი ჭყონდიდელს კალეკარში მეფე, მაგრამ დაიხსოვით, ქაბუჯნო, თუ ღმერთი გაწყრა და შემოირიგეს კიდევაც მამაი, თუნდაც მარტოოდენ თქვენ შემრჩეთ, გინა თქვენაც დამტოვოთ, მარტოოდენ ზაზაი შემრჩეს და ჩემი მეხმლე მაღალ გიორგი, მე სიკედელს უმაღ შევურივდები, ვიდრე აფხაზთა მეფესა და იმ მელაბთა ჭყონდიდელს, მაგ ვაციწყურაბ ხუცესს, რომელიც ანათორას ქვეშ ატარებს ჯაჰესა და ხმალს ბაგრატეულს.

შინიდან იფწყებიან: მარიამ დედოფალი მოდიხო ამ გზაფხულზე, გვეყო, რაც გვატყუა მაგ მაჰანკალმა დედოფალმა.

„შემორიგებაო? ვინ შეარიგებს ქარსა და ცეცხლს,

¹ ჰაშტი — დიდი საცერი.

ვინ შეარიგებს ზღვასა და კლდეს, ავა-
ზასა და ვეფხვს, ან ორბელიანსა და
ბაგრატიონს ვინ შეარიგებს?». 1

მოშავალი გამარჯვების სასმური
უნდა დაეცალა რატის და სწორედ იმ
წუთში ქვედა სართულიდან მოისმა
საშინელი ღრიალცელი.

„დამდულრულივით ყვიოდა ვილაღ
წრიპინა, ისმოდა როზროზა მეციხოვ-
ნეთა ჩოჩქოლი და გნიასი, კიბეების
ტრაქუნნი, ჯაჭვიანთა ნაბიჯების ღლა-
რუნნი.

რატის ხელში შეაცივდა ჯიხვი, ზა-
ზაიმ და მალალ გიორგიმ კარებს მია-
შურეს, მაგრამ ამასობაში შემოლუ-
წეს კარები, და მემამხალეებმა შემოა-
თრიეს ნადირის ტყავებში შეფუთუნი-
ლი ჩია კაცი.

იგი უცნაურად დრტვინავდა, ქლო-
შინებდა, ქვითინებდა და როცა ზაზაი
მიეახლა მას და კუნკული გადააძრო
თავიდან, თმაწვერგაბურძგენილი ევ-
ტიხი ბერი შეიქცო რატიმ.

იგი უსასოოდ სტიროდა, სუნთქვით
იტფობდა გათოშილ ხელებს, ტუჩ-
პირთან მიტანილთ.

ზაზამ წიწილასავით წამოუსვა ხელი
და ბუხართან მიათრია სტუმარი.

გაიტყუო ხელფეხის
უბრძანა.

„არ მინდა!“

იყვირა ბერმა.

ლვინო მოსეო, შესძახა რატიმ.

„არ მინდა, არ მინდა“.

ისტერიულად წამოიძახა ბერმა.

„აბა, რა გინდა, ბერო?“

შეეკითხა ზაზაი.

„სიკვდილი მინდა, სიკვდილი“.

ჩაილულულა ვაგლახად მოკრუნ-
ჩხულმა.

ბუხრისპირად დასვეს და მოასუ-
ლიერეს სტუმარი.

ბოლოს გამოირკვა: ხუცესი პროზო-
რე და ევტიხი ბერი გომარეთიდან გა-
მოპყლიან თხილამურებით, წრიაპე-

ბით და მუჯრებით დატვირთულ ჯო-
რებს, როგორც კი ფარცხისკენ მიხედულ
ქამრამდის მოულწევიან, შემსწყვეთ
სამეფოის სპანი.

პროზორე მღვდელი გულშემოყრი-
ლი წაქცეულა თოვლში, ხოლო ევტი-
ხის მაჯაგანით შემოუსწრია ციხის კა-
რიბქეში.

ამ ამბის შემცნობნი წამოცვიდნენ
რატის აზნაურები, გველცემულივით
ზედ წამოიჭრა მუსტაფა ბენ ისმაილ,
მალალ გიორგის მივარდა ათრთოლე-
ბული ევედრა:

„მუწყე რა მოხდა, დავით მეფე
ხომ არ მოდისო სპიანად?“

მალალ გიორგიმ დახედა მის მელოტ
თავს, მოყვითანო ბუსუსებით მოსილს,
ოდნავ გაელიმა და ანუგეშა: დავით მე-
ფეს აქ რა უნდა, ბერი გაფინხულაო
თოვლში ნევალი.

ირგელივ ატეხილ გნიასის შემცნო-
ბი კარგად გრძნობდა ყადი, რომ არც
ისე მარტივად იყო საქმე, როგორც
მას წარმოუდგენდა თარჯიმანი. მას
განაგონი ჰქონდა: მოპირულ ხმლებზე
აბტუნებსო დავით მეფე სელჯუკიანთა
მსტოვარებს, ამიტომ კვლავ შეევედრა
მალალ გიორგის: შეუფარველად მამ-
ცნეო სიმართლე.

იქვე და ისევ ანუგეშებდა ბერი-
კაცს მალალ გიორგი, მაგრამ ყადი
მუსტაფასათვის სავსებით უცხო ენის
ბგერებშიაც გამოკრთოდა განცხადება
საშინელის განსაცდელისა.

ამიტომაც დაეარდა იგი ავურის ია-
ტაკზე და ევედრა ალაქს „მორწმუნე-
თა შემწყალეს“.

როცა სტუმრები დასასვენებლად
გაიყვანეს, რატიმ ისურვა ციხისთავის
სამყოფლოში მარტო დარჩენა. გულ-
შემოყრილი ბოლთასა - სცემდა, მილი-
ოდა ციხის სამხერებთან, თაღბი
ლანდები დალასლასებდნენ გზებზე,
ისმოდა ცხენების ჭიხინი და ხეიხვი-

ნი ირგვლივ, ისევ დადიოდა დაზაფრული, ხენწოდა თანაც.

მცირე ხნის შემდეგ ამოვიდა ზაზაი ჯუბიელი და მოახსენა: პირველ ქაშარიდან ჩავგზავნე სპანი და უკუაქციესო მტერი.

რატი გაცოფდა.

„გაეთრიე აქედან, შე ლამიყლაპია შენა, აი რა მიქნა შენმა თათბირმა, შე ლაჩარო შენა. ხომ მიმტკიცებდი, ვერ გაიყუანათო ცხენებს, სამეფოს სპანი, ხომ მოსულან ცხენდაცხენ?“

ისევ სამზერებს აწყდებოდა რატი. დიდხანს მოესმოდა ცხენების ჭიხვინი, ხედავდა ბნელში თალხი ლანდების რიალს, მემამზალენი გაიეღებდნენ ხანდახან, უსტვენდნენ, ეძახოდნენ ურთიერთს.

ბოლოს ყოველივე მიწყნარდა. საღაც გაჰქრნენ ცხენოსნები და მემამზალენი, მისწყდა ცხენების ჭიხვინი და ფრუტუნნი.

შემზარავე ყმული მოისმა მგლები-სა. სულ ახლოს მოდიოდნენ ისინი ცი-

ხის პირველ ქამართან, დაეცქდებოდნენ ბნელში და შეკუმუდუნდნენ დადუმებულ ციხეს.

ზიგლნიოთეა

როგორც კი ჩრდილის ძვრა დაიწყო და ცისკარმა ნათელი გადააოოვა ბირთვისის გაშიშვლებულ ქიმებს. რატიმ თვალნათლივ დაინახა, როგორ ჩამოვიდნენ ბირთვისის ზეგანიდან დავით მეფის სპანი. მათ თორში ჩამჯდარი წინ მოუძლოდა აზნაური მორკნეველი. მის მუზარადზე ლიცილიცებდა აღრიანი შვის სხივი.

დასტა-დასტად მოყვებოდნენ ბილიკებს სამეფოს სპანი და აუჩქარებლად, გარს ეწყობოდნენ ფარცხისის ციხეს.

ეეტიხი ბერი მთელი ღამე ლოცულობდა მგლის ტყავზე პირქვე დამზობილი და გარკვევით ესმოდა, თუ როგორ დაწრიალებდა ციხისთავის სამყოფლოში, თორგაუხდელი რატი, მზგავსად იმ ავაზისა, რომელიც მენადირეთა მიერ განმზადილ ორმოში მოემწყყდა ანაზდად.

(გაგრძელება იქნება)

პლენსანდრა აბაშელი

სანდრო განმიაზვილი



დღეს ჩემს ყრმობასაც ვიგონებ,
შენთან ძმასავით მდგარი.

მახსოვს: გავშალე ვაზეთი,—
ლექსმა გამიღო კარი,
ამოვიკითხე პირველად
შანშიაშვილის გვარი.

ლექსი, ჰყვავოდა სინორჩით,
როგორც ყვავილი ნუშის.
უჩრდილო გრძნობის ნაშუქი
უეცრად ჩამწვდა გულში.
მეც იმ დროს ვიყავ ყმაწვრლი.
თითქოს ეს იყო გუშინ.

დროს ცეცხლის ფრთები ასხია,
დღეთა ცეცხლს არის ჩქარი.
ორმოცი წელი გასულა,
როგორც ელვა და ქარი,
ორმოც გაზაფხულს უზრდია,
ძნაო, ეგ შენი ქნარი.

ორმოც გაზაფხულს რა უყავ,
ორმოც მაისის წვიმას? —
არ დაკარგულა არც ერთი,
ყველას შენს წიგნში სძინავს.
გადაეშლი — ახმაურდება,
პირვანდელ სხივით ბრწყინავს.

დიდი გზა გამოიარე,
ზედ დაახნიე კვალი.
სად არ ყოფილხარ ოცნებით,
რა არ გინახავს თვალით?!

ხალხს, დაუბრუნე, რაც მოგცა,
არ დაგრჩენია ვალი.

მოგისმენია გრიალი
წარსულში მჭროლავ ქართა,
ზღაპრის სათქმელად მისულხარ
კოლხეთში გრძნეულ ქალთან,
ჩაგიფენია ლექსებში
კახეთის ოქროს კალთა.

შორი გზა გამოიარე,
ღამის წყვილიდით საეცე.
ოქტომბრის დილა გათენდა,
შუქი ამოხდა მთაზე,
მზე დაინახე ნათელი
სტალინის დროშის ფრთაზე.

ახალი ქვეყნის დიდებას
უმღერის შენი ლექსი.
ქიკის ტყის სიღრმიდან
მუხის შრიალი გესმის,—
გამართლებულა, ამდგარა,
ისევ გაუდგამს ფესვი.

ორმოცი წელი იმღერე,
კიდევ ორმოცი გვინდა,
ჯერ არ მომდგარა სიბერე,
ისმის წკრიალი სიმთა,
არ ამომშრალა, ჯერ კიდევ
წყარო ჩუხჩუხებს წმინდა.

მაისის განთიადი

რომანი *

★

XVIII

დედა-ძალაჭობი

ეგნატე მარგალიტაძის ბიძაშვილი, ისიც მასწავლებელი, ომში დაიღუპა. შინ წვრილი ცოლ-შვილი დარჩა. ერთი ცხრა წლის გოგონა, რომელსაც საბელად მანანო ერქვა, ეგნატემ თავისთან წამოიყვანა. ბოლო ხანებში, ეთერის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, მარტოობის ატანა უჭირდა ეგნატეს; თვალწინ დაუდგებოდა რაღაც განუკურნელი სევდით შეპყრობილი ეთერი და ბინაში ვერ ისვენებდა, თავის განუყრელ მეგობრებს — წიგნებსაც ხანგრძლივად გულს ვერ უღებდა.

მერე კი, მანანო რომ მოიყვანა, ბავშვს არ მოეწყინოსო და შინ მიეჩქარებოდა.

მანანომ ეგნატეს მოსიყვარულე გულის სითბო იგრძნო და მამასავით შეუყვარდა. მოვიდოდა თუ არა სკოლიდან, წამსვე დიასახლისობას შეუღებოდა, მოზრდილი ქალის გამომეტყველებას მიიღებდა, ოთახს დაასუფთავებდა, მაგალიდან მტვერს გადაწმენდა, წიგნებს დაალაგებდა.

შეაღებდა ეგნატე კარს და საბე გაუნათლებოდა.

— როგორ ხარ, ჩემო კარგო, ხომ

არ მოიწყინე? — ეტყოდა ხოლმე და ბავშვს შავ თმაზე ხელს გადაუსვამდა, ყუყუნა თვალეზში ჩაჰხედავდა. — შენ ვაკეთილები არ დაგრჩეს, ჩემო კარგო, მოუმზადებელი. აქაურობის დალაგებას მე შეჩვეული ვარ, არ გამიკირდება. — დასძენდა შემდეგ.

ხანდახან, მანანოსთან საუბრით გართობის შემდეგ, გულში დაგუბებული ნაღველი რომ შეერხეოდა, ეგნატე თავს უსაყვედურებდა: „შენ აქ გულს აყოლებ, ეთერი კი, ვინ იცის, რა დღეშია“...

შუბლს შეიკრავდა, ოთახში გაივლგამოივლიდა, მერე მაგიდასთან დაჯდებოდა და წიგნს აიღებდა, მაგრამ ჯავრისაგან კარგახანს ვერ თავისუფლდებოდა, სტრიქონებს თვალს ამაოდ ავლებდა.

„რითი ვუშველო, — განაგრძობდა ლქვრს: — ეს რაღაც ცოცხლად სიკვდილსა ჰგავს. არაფერი აღარ იტაცებს... სამსონსაც ისე ახსენებს, თითქოს მის ნახვას აღარ მოელის... რა საშინელება ჩაუდღუდა ისეთი გულში, რომ ყოველგვარი ხალისი დაეკარგა?.. ჰო, სამსონის წერილი...“

სამკლნიდან სამკუთხად დაკეცილი ქალაღდი აიღო. წინა დღეს მიიღო სამსონისაგან. ჩვენ კარგად ვართო, იწერებოდა სამსონი, ვისვენებთო. მგზნეთე თევა ეთერის ამბავი არ ვიცი

* ვაგრაძე, „მნათობი“ № 11.

და რამენაირად სასწრაფოდ მაცნობო.

„კი, მაგრამ, — სთქვა გუნებაში ეგნატემ: — ნუთუ ეთერმა წერილი არ მისწერა? ვერ დავიჯერებ, ალბათ, არ მიუყიდა... ა? ვითომ სიყვარულშია? რწმენა დაკარგა? მაშინ დავდუპლუვარ და ისაა“...

ერთ საღამოს (იენისის შუა რიცხვები იყო, თბილისში უკვე ცხელოდა) მანანოს დიდხანს არ დაეძინა. იმ დღეს დედასთან იყო და მეტისმეტად მოწყენილი მოვიდა. ეგნატემ რამდენჯერმე ამოიკითხა მანანოს სახეში ბავშვისათვის შეუფერებელი სევდა.

— დაიძინე, ჩემო კარგო, დაძინე. — დაუყვავა ბოლოს ეგნატემ და თავის ოთახში გასასვლელად წამოიშარათა.

მანანო უცებ წამოჯდა, ეგნატე; მკლავზე შეახო ხელი და მოკრძალებით მიმართა:

— ბიძია ეგნატე...

— რა იყო, ჩემო კარგო?

— რაი და... ძალიან შორსაა აქიდან სევასტოპოლი?

— რაზე მეკითხები, ჰირიმე?

— რაზე და... დღეს დედა ამბობდა, — გავიგეო: სევასტოპოლში ყოფილა მამაჩემი დამარხული...

„ხედავ, რას დაუღონებია დღეს ჩემი გოგონა?“ — გაიფიქრა ეგნატემ და ბავშვს თავზე ხელი დაუსვა:

— კარგი, ჩემო კარგო, ეგ ჯერ შენთვის აღრეა, დაწეკი, ჰირიმე, დაიძინე.

— არა, ბიძია ეგნატე... — ბავშვს ხმა აუთრთოლდა, თვალებზე ცრემლი შოადგა. — იცი, როგორ ვუყვარდი მე მამას? ისეთი ამბების მოყოლა იყო... თუ დაავიანდებოდა, ვუტდიდი... ხანდახან ისევ მგონია, კარი გაიღება და შემოვა-მეთქი...

მანანო უცებ გამოტოცხლდა, ხელი სასოებით ასწია.

— არა, ბიძია, ხომ შეიძლება, რომ ცოცხალი იყოს და მოვეფესვრებოდნა მიიღო ცნობა, მაგრამ შემდეგ უფილი აღმოჩნდა...

— კი, ჩემო კარგო, უთუოდ მოვა, გენაცვალე, უთუოდ! — უთხრა ეგნატემ, მოეხვია, თავზე აკოცა.

ბავშვს ცრემლები წასკდა, ეგნატეს მკერდში ჩაეკრა და კარგა ხანს იტირა. მერე რამდენჯერმე საცოდავად ამოიხვნეშა და მორჩილად მისდო თავი ბალიშზე.

ფეხაკრეფით გავიდა ეგნატე თავის ოთახში, ღია ფანჯარას მიადგა. ქალაქი სავსებით ჩაბნელებული იყო, მაგრამ მთვარიან ღამეში გარეუბნებიც კი მოსჩანდნენ მკრთალად. ირგვლივ მყუდროება სუფევდა, რადგან ქალაქის გუგუნის მთაწმინდამდს ვერ აღწევდა.

„საწყალი ბიჭი... — იმეორებდა ეგნატე და თვალწინ ედგა თავისი ბიძაშვილი, მალალი, შავგვრემანი ვაჟაკი. — მხედრის შეხედულება შეენოდა, თორემ ისე, რომ მოესურვებია, თმში არ წაიყვანდნენ, ცალი ფილტვი პნევმატორაქსით ჰქონდა დახურული. არ იკადრა, ამაყი იყო, სხვები თუ იბრძვიან, მე რა ვარო... რა ძნელი დასაჯერებელია, რომ ვერასოდეს ვერ მოვა, ვერ ნახავს თავის ცოლ-შვილს... რამდენი მანანო ტირის, რამდენი ცრემლი იღვრება... ნუთუ ეს ფაშისტი კაციჰამიები რომ აღიგვებიან, შემდეგ კიდევ უნდა განმეორდეს ასეთი სისხლისღვრა, ამდენი მილიონი ადამიანის ელტვა?... ნუთუ ადამიანი რალაც ბრმა ბედისწერის მონაა? ამოვარდება გრივალი, გაძლიერდება და ჩაითრევს ყველას, თავის ნებაზე ატრიალებს“...

მაგიდასთან მივიდა, ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ უკანასკნელი ტომი გადაფურცლა. ხელმეორედ წაიკითხა ეს თხზულება წინა

დღეებში და ახლა ფანქრით აღნიშნულ ადგილებს მოავლო თვალი.

„...მაშინ გამოდის, — განაგრძობდა ფიქრს ეგნატე, — რომ ადამიანის გონება საესებით უძლური ყოფილა, ზედმეტი ყოფილა მეცნიერება, აზროვნება, თუ კი არაფრის წინასწარ განჭვრეტა არ შეიძლება, თუ ადამიანს არ შეუძლია გონივრულად მოაწყოს მომავალში მანც თავისი ცხოვრება... უბადლო მხატვარია ტოლსტოი, მაგრამ, წარმოიდგინე, ისიც ასე ფიქრობს. აბა დააკვირდი, რას სწერს:

„თუ დავეუშვებთ, რომ ადამიანის ცხოვრება შეიძლება განაგოს გონებამ, — მაშინ სიცოცხლის შესაძლებლობა ისობა“.

„რატომ? — შეედავა ეგნატე ტოლსტოის. — განა ადამიანის გონება თვითონ ბუნების ნაყოფი არ არის? რატომ არ შეუძლია ადამიანს გაერკვეს წინააღმდეგობათა ლაბირინტში, განსჭვრიტოს ხვალისდელი დღე და ააციღონოს თავისი გემი საბედისწერო, ტალღებს?.. არა, ჩემო კეთილო, ადამიანის გონება არც ასე უძლურია... როცა კუტუზოვზე ლაპარაკობ, ამას შენც აღიარებ, აგერ, შენ თვითონ სწერ:

„მიმდინარე მოვლენათა აზრის განჭვრეტის ამ არაჩვეულებრივი ძალის წყარო იყო იმ ხალხურ გრძობაში, რომელსაც ის თავისთავში ატარებდა მთელის სიწმინდითა და ძლიერებით“.

„კეთილი და პატიოსანი, — დაემოწმა ეგნატე, — მაშ ყოფილა შესაძლებელი, რომ ადამიანმა წინასწარ განჭვრიტოს ბევრი რამ? კუტუზოვი ხომ ზეადამიანური არსება არ იყო?.. შორს რად მივდივარ, აგერ მოსკოვისა და სტალინგრადის ეპოპეა. განა ჩვენმა სტალინმა არ შეუნგრია აქ გულმკერდი მტერს? განა ახლა წინასწარ არ ზედავს ის ჩვენს გამარჯვებას? ზედავს და წინ მიუძღვის ხალხს... სტალინში ჩვენი იდეა განზოცილებული; იდეა

კი ადამიანის შემოქმედი გონების/ნაყოფია...
 ვარკუნულა

...ჩვენ გვწამს ადამიანის მხატვრულ ძალა, მისი დიდი მომავალი, ამიტომ ვიმარჯვებთ. იმათ, ბურჟუაზულ მოაზროვნეებს, თავიანთი კლასის ინტერესები აქვთ თვალეზე ჩამოფარებული და შორს ვერ იხედებიან. მათი შორალიც ასეთია: ადამიანი ადამიანის ჩაგვრით უნდა საზარდობდეს. ჩვენ კი, ჩვენ იმ ქვეყნის შეილები ვართ, სადაც კლასები უკვე აღარ არიან, და უსაზღვროდ ვრცელია ჩვენი პორიზონტი... აბა, გახედე, როგორ მზესავით მიდის წინ გამარჯვებული ადამიანი!.. ისევე დაუსრულებელი იქნება მისი წინსვლა, როგორც თვით სამყაროა უსაზღვრო. ამაშია ჩვენი იდეის ბრწყინვალება, იმ წმინდა მსხვერპლის აზრი, რომელიც ჩვენ საკაცობრიო გამარჯვების სამსხვერპლოზე მიგვაქვს“.

შეორე ოთახში გავიდა, მანანოს დაჰხედა. ზავშეს მშვიდად ეძინა.

„იძინე, ჩემო კარგო, — მიეფერა გუნებაში, — გაიზრდები და ბევრ კარგს მოესწრები... ჩემს თაობას კი ბევრი რამ გადახდა... ვინ იცის, იქნება შენც მოგწიოს დიდი სიმძიმის ზილვა... მერე რა? ვაშა და დიდება მას, ვინც მწერვალებზე მეტ ტვირთს აიტანს! ჩვენ სხვა მოდგმის ხალხი ვართ, ჩვენ ამომავალ მზეს ვეზიარეთ; ამ მზის სხივები საუკუნეებს სწვდება“...

დაწოლამდის კვლავ ეთერზე ფიქრმა შეუწრილა გული. იცოდა, არ დაეძინებოდა; სასთუმალთან ლამპა დაიდგა, მერე დაწვა და წიგნის კითხვას შეუდგა.



საზაფხულო არდადეგები უკვე დაწყებული იყო და ეგნატე სკოლაში არ დადიოდა. იმ დღიას მანანო პურის მოსატანად გაუშვა, თვითონ ბინა დააღა. ამ დროს ოთახს მზე მიადგა.

წიგნებზე მცირეოდენი მტვერი გამოჩნდა. სათითაოდ წმენდას შეუდგა, ზოგი აივანზე გაჰქონდა და ბერტყავდა.

ეზოს კარის კრიალი მოესმა. ეს ჩვეულებრივი რამ იყო, მდგმურები მიმოდოდნენ, მაგრამ ეგნატეს მაინც მოსთხოვა გულმა, — გაეგო, ვინ მოვიდა. ფანჯრიდან გადაიხედა... ეთერი მუშა მოჰყვება, ჩემოდანი მოაქვს.

დაიბნა ეგნატე, წიგნი ხელში შერჩა, აივანის კარს მიაშურა. თვლები ხომ არ ატყუებს? რატომ ეჩვენება ეთერი ასე გამოცვლილი, სიცოცხლით საესე?

ეთერმა მკვირცხლად აირბინა საფეხურები, მამას მოეხვია.

ეგნატემ წიგნი ფანჯრის რაფაზე დადო, თავის ასულს ხელები ყურებთან მოჰკიდა, თავი გადაუწია და თვლებში ჩაჰხედა.

— ასე, შეილო, ასე, ჩემო კარგო! — მღელვარე ხმით უთხრა და მერე შუბლზე აკოცა: — შენ ხომ ჩემი ქალიშვილიც ხარ და ვაჟიშვილიც, ჩემი ვაჟაკი! აი, ახლა ნამდვილი ეთერი ხარ...

ეთერი მამას კელავ მიეფერა, მერე მუშა გაისტუმრა.

— ა, ჩემო კარგო, სამსონის წერილი. ალბათ, შენც მიიღებდი.

ეთერმა წერილი წაიკითხა, საზე კიდევ უფრო გაუნათლა.

— კი, მამა, მეც მივიღე. თუ არ დაიკარგა, პასუხი მიღებულს ექნება.

ეს რომ სთქვა, ბინაში მიმოიხედა, ყველაფერი უცვლელად გამოიყურებოდა. მხოლოდ შავიდაზე უფრო მეტი წიგნები ეწყო. წინათ ასე არ იცოდა ეგნატემ, ერთი ან ორი წიგნის მეტი კარადაში იყო.

ამასობაში მანანო მოვიდა. ეთერმა ბავშვი ძლივს იცნო.

— ხედავ, რამხელა გაზრდილას — იმეორებდა ეთერი და ეხვეოდა.

მანანოს სიხარულით საზე ვარდივით

გაეფურჩქნა, თანაც დიდ მოკრძალებას გრძობდა ამ ნაომარე, მსმელთა წინაშე, რომელიც მის წინაშე მდგანაში საესებით განსხვავდებოდა სხვა ქალე ბისავან.

ეგნატემ მანანოს თავზე ხელი დაუსვა და ეთერს უთხრა:

— ობოლია ახლა ჩვენი მანანო.

— ცნობა მიიღეს? — შემფოთებით იკითხა ეთერმა.

— ჰო... — ეგნატეს ბავშვის მწუხარე გამომეტყველება მოხვდა თვალში და გამოასწორა: — ჰო, მაგრამ რამდენი შემთხვევა იყო, რომ ცოცხალი აღმოჩნდა.

ეთერიც დაემოწმა, თუმცა გულში კი გლოვობდა ომში დაღუპულ ნათესავს, რომლის საზე ახლაც ცოცხლად ედგა თვალწინ. რა მშვენიერი კაცი იყო, რა თავაზიანი. კარგი წიგნი, ნადირობა და სპორტი, — ეს არის ჩემი ფუფუნებაო, იტყოდა ხოლმე, ამირიდან კი.. ეჰ, გული თითქოს ნელნელა ეჩვევა ნათესავებისა და მეგობრების დაკარგვას. ასე გგონია, გუშინ ესაუბრებოდი ჯანსაღსა და სიცოცხლის მოყვარულს, დღეს კი აღარ არის, ვერასოდეს ვერ გაიგონებ მის ხმას...

— აბა, მანანო, სტუმარს საუბზე მივართვათ. — სთქვა ეგნატემ და მაგიდაზე ჰიქები დააღაგა.

ეთერმა ჩემოდანი გახსნა, მერე ედრო თავისი კარადის სარკიან კარს გამოაღებდა, ჩვეულებრივად სარკეში ჩაიხედა. თითქოს ძალიან არ შეცვლილა, მაგრამ მაინც რა დიდი განსხვავებაა წინანდელ ეთერსა და ახლანდელს შორის! რა ღრმა სევდის ანარეკლი გამოსჭვივის ახლა მისი ფერმკრთალი სახის გამომეტყველებაში...

— ა, მამიდა, მე ეს გაზეთი რამდენი ხანია შენახული მაქვს, — მიმართა მანანომ: — აქ შენზე წერენ.

ეთერმა გაზეთს ცერად დაჰხედა, ჯერ ესიამოვნა, უკვე წაიკითხულ

სტრიქონებს რომ თვალი მოაელო, შემდეგ კი რაღაც ბუნდოვანი უკმაყოფილება იგრძნო, რადგან იმ სტრიქონებში მოთხრობილი ამბავი მეტად მკრთალი იყო იმასთან შედარებით, რაც ეთერს თავს გადახდა. ძალიან მარტივად და იოლად არის აქ აწერილი ისეთი რამ, რაც ეთერისა და მისი თანამებრძოლების მთელ სიცოცხლეს შეიცავს.

მანანოს ეთერის უკმაყოფილება არ გამოეპარა, გაზუთი დაკეცა და უკან წაიღო; მერე ეგნატეს მიეშველა.

ისაუბრეს.

— მაშ სავსებით გამოჯანმრთელდი, ხომ? — კვლავ ჰკითხა გახარებულმა ეგნატემ ეთერს.

— არა, მამა, — ყოყმანით უპასუხა ეთერმა. — ადამიანს რომ ორგანიზმის ნაწილი მოაკლდება, მისი მთლიანად აღდგენა ძნელია, მაგრამ ისე არა მიშავს. მთავარი ჩემთვის ეს არ იყო, მე სხვა მაწუხებდა, უფრო დიდი, ვიდრე ვთქვათ, ფილტვების სისუსტეა... ის დღეები, რომელიც მე სამსონის დედასთან და დასთან გავატარე, — რომ იცოდე, რა შესანიშნავი ადამიანები არიან! — ჰო, ის დღეები ჩემთვის პირდაპირ სიცოცხლის მომნიჭებელი იყო. თურმე ფიზიკურ ჭრილობაზე უფრო მწვავე სულის ჭრილობა ყოფილა, მამა! თუ დაიჯერე, რომ არაფრისთვის არ გამოდგები, ან არავისთვის საჭირო აღარა ხარ, მერე სიცოცხლეს ფასი ეკარგება... არ ვიცი, მე რატომ უნდა მომსელოდა ეს, მაგრამ რაღაცა ვატყდა ჩემში... შენ სულ მეკითხებოდი, რა მოგივიდაო, მამხნევებდი, მაგრამ თავს ვერ ვეროდი, არც იმის თქმა შემეძლო, თუ რამ გამტეხა ასე... არ ვიცი, იქნება ჩემს თავზე დიდი წარმოდგენის ვიყავი და ამან იმოქმედა: ძალიან ძნელი ასატანია, მაღლიდან რომ უფსკრულისაკენ დაეშვები: გგონია ძლიერი ფრთებით მიფრინავ, უცებ მოწყდება და... იცი, რა ძნელია,

მამა, ეს?.. მე გგონია, ასეთი რამ ოპის ბევრ მონაწილეს ხვდება, წილად... მაშე მე ბევრი ვიფიქრე... მამა, იცი? როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიდიხარ, იცი, რამოდენა გგონია შენი თავი? მართო შენ კი არა ხარ, ან შენი ამხანაგები, შენთან მთელი შენი სამშობლოა, მთელი ქვეყანა, ამიტომ ხარ ძლიერი და უშიშარი. არ დაიჯერო, ის მებრძოლი რაიმედ ვარგოდეს, რომელსაც მხოლოდ თავისი თავი ახსოვს, თავისი სიცოცხლისათვის ფრთის. ასეთი მებრძოლი უცებ გატყდება, თავს შეირცხვენს. შენ კი რა ვაგტეხს, როცა მთელი შენი ხალხის ძალა და სიყვარული გულში გიდულს... მაგრამ შემდეგ თუ წყობიდან გამოხვედი და თავი დავრდომილად წარმოიდგინე, თუ იფიქრე, რომ არავისთვის საჭირო არა ხარ, ზედმეტი ხარ ამ ქვეყანაზე, მაშენ, მამა, შენს ტანჯვას საზღვარი არა აქვს. სავსებით გარიყული რჩები. აბა წარმოიდგინე: კაცს თავისი თავი ქვეყნისათვის თავდადებული გმირი ჰგონია, უცებ მოწყდება და მოეჩვენება, თითქოს სხვებისთვის ეს არაფერია, ვითომ ერთი მწერი დავარდნილიყოს, ვისაც უნდა, გაივლის და ფეხს დაადგამს... მოიცა, ვიცი, მამა, რომ ეს ასე არაა, მაგრამ რას უზამ ადამიანის სულიერ განწყობილებას? ყველაფერი ისე მარტივი არაა, როგორც შორიდან მოსჩანს. მე ეს ჩემს თავზე გამოვეცადე... გარდა ამისა, მე კიდევ ერთი დიდი გარემოება მტანჯავდა. პირდაპირ მიწასთან მასწორებდა... შენ იცი ეს, მამა! განა ელირება რამედ ჩემი სიცოცხლე, თუ სამსონის თვალში ის აღარ ვიქნები, რაც ვიყავი?..

ამ უკანასკნელ სიტყვებში, ეთერის უნებლიედ, მკირეოდენი ეჭვი და წუხილი გამოკრთა. ეგნატემ იგრძნო ეს,

თვალეში ცრემლი მოადგა, ადგა და ეთერს მოეხვია, თავზე აკოცა.

— აი თურმე, — ფიქრობდა ამ დროს ეგნატე: — რა საშინელ უფსკრულში ჩაუხედავს ჩემს ბაღანას, რა ცეცხლში ყოფილა მე კი..“

ვამა ეთერს მამის მღელვარება, რადგან მიხვდა, რომ ეგნატემ ახლა დაინახა, თუ რა ქარიშხალი ტრიალებდა მის სულში. თანაც ვამა შეებრაღა და დასამშვიდებლად უთხრა:

— ნუ გეშინია, მამა! ეს კრიზისი მე უკვე გამოვიარე. ახლა...

კვლავ მიეფერა გახარებული ეგნატე, სიტყვა შეაწყვეტინა:

— ჰო, ჩემო კარგო, ახლა რას აპირებ?

— ახლა, მამა, თავს ჯანმრთელად ვგრძნობ. ჭაღალდები მზად მაქვს. აქედან მკირღება კიდევ მიწერილობა, იმასაც ავიღებ და წავაღ...“

ეგნატეს სახეზე შეეტყო, რომ ეთერის კვლავ ფრონტზე წასვლა არ მოეწონა; თანაც თავს ებრაძოდა: იცოდა ეთერის ხასიათი. რაკი გადაწყვეტილი ჰქონდა, არ დაიშლიდა, ამიტომ არ უნდოდა გაეწია წინააღმდეგობა. მაგრამ ბოლოს გულმა მაინც დასძლია.

— როგორც გინდა, შვილო... მაგრამ ვანა არ სჯობდა, რომ დარჩენილიყავი? სამუშაო აქაც ბევრია... ორჯერ ვადურჩი სიკვდილს. რაც არ უნდა იყოს, ჯანმრთელობა მაინც შერყეული გაქვს...

— ეიცი, მამა, მაგრამ ვერ დავრჩები, გული არ მომიტმენს..“

მამის ნაღვლიანმა გამომეტყველებამ შერატოთ ეთერი, წამოხტა, მხურვალედ აკოცა. მერე თვალეში ჩაახვდა და ალერსით უთხრა: — შენ ხომ ჩემი კარგი მამილო ხარ... ნუ გეშინია, გული მეუბნება, რომ არ დავიკარგები... ოღონდ შენ არ იჯერო... რა კარგი გიქნია, მამა, მანანო რომ მოგიყვა-

ნია, ხმის გამცემი გყავს... ჰო-და, შენ შენთან მიგულე, მამა...“

ეგნატეს დიდრონ თვალეშიც უღვავ ცრემლი გაბრწყინდა, ისეთი ღიმილი მოერია, რომელშიაც ნაღველიც იყო და სიხარულიც.

•
•

ორ დღეში მოემზადა ეთერი გასამგზავრებლად. ყუბანში მომქმედ არმიის ერთერთ საველე ჰოსპიტალში უნდა გამოცხადებულიყო. იქიდან გადავიდოდა ქართული შენაერთის მედიკურ-სანიტარულ ბატალიონში.

მატარებელი საღამოს გადიოდა, ეთერი კი დილიდანვე ყველა საქმისაგან თავისუფალი იყო, ნათესაეები და მეგობრები ინახულა. საგზალი ეგნატემ მოუშადა.

იცის ეთერმა, თუ რას ნიშნავს ეს, ამ დილით რომ გულში ნაცნობი მოკლვარება შეეპარა. წინათაც, ფრონტზე გამგზავრებისას, გამოუცდია ასეთი რამ. რაც არ უნდა იყოს, ვინ იცის, დაბრუნდება თუ არა ცოცხალი? თავისი სიკვდილის დანახვა არავის არ შეუძლია, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ აქაურობას უკანასკნელად ხედავდეს... იქნება მამა ველარ ნახოს და ობლად დარჩეს საბრალო მოხუცი...

ფანჯარას მიადგა, ღელა-ქალაქს გადახედა.

იენისის მზიანი დღე იყო, ჯერ არა ცხელოდა; თბილისს მოთინათინე შუქი დაჰკავშავებდა, მიმზიდველი, მამებელი.

— მამა, ცოტას გავიცი, მალე მოვალ! — უთხრა ეგნატეს და სარკეში თმა გაისწორა.

ქუჩაში რომ გავიდა, თავს უსაყვედურა — მამა რატომ არ წამოვიყვანე, მაგრამ მალე გაერკვა, რომ სწორედ მარტოდ გავლას სთხოვდა გული.

მოსახვევში შედგა, თავის საყვარელ მთაწმინდას აახვდა... ეგონა, რაღაც

იღუმალი სხივი მონარნარობდა იქიდან და მეტად ახლობელს და თანაც უძლეველ სახეებს აშუქებდა...

ნელი ნაბიჯით ჩაჰყვა დაღმართს. რუსთაველის პროსპექტზე, წითელი არმიის სახლის წინ, კვლავ შესდგა და ჰადრების ფოთლებით გაბარდნილ ზეივანს გააყოლა მზერა. ისეთ გუნებაზე იყო, რომ თითქო ყველაფერს საუცხოო ელფერი ამშვენებდა, თითქოს პირველად ზედავდა ამ გახარებულ ჰადრების საგაზაფხულო ბრწყინვალეობას.

მაინც რა აგარაკისებური სიო ჰქრის ამ შუაქალაქში! რა დიდი ცვლილება მომხდარა გასული წლის ზამთრის შემდეგ, როდესაც ეთერი ამ პროსპექტზე მიმავალ, მხედრულად გამოწყობილ ახლაგაზრდა ქალების რაზმს გაჰყვა და მათ სიმღერას ააყოლა თავისი სულის ღრუბლიანი მამინ მტერი კავკასიონს უახლოვდებოდა, დედა-ქალაქს ომის აღმური სწვდებოდა, ახლა კი რა მშვიდი იერი ამკობს აქ ყველაფერს, რა სიმტკიცე!

გული დაუტკბა ეთერს, რუსთაველის პროსპექტს გაჰყვა. რამდენჯერ გაუღვია აქ თავის პატარა მეგობრებთან ერთად, რამდენი უცელქნია... სამაისო დღესასწაული მოაგონდა. მაშინ ეთერი ფიზკულტურელთა რაზმს მიუძღვებოდა წინ, ისე ჰქონდა აწყობილი კუნთები, თითქოს გაფრენას ღამობსო... აი, ახლაც მაშინდელი ელვარება, მაშინდელი წმინდა ნათელი ჩაწვდა სულში და გაეღიმა. ამ დროს თავისთავად იშვა ფიქრი: „არასოდეს, არასოდეს ისე არ დაეუძღვრებები, რომ ჩემი ქვეყნისათვის საპირო არ ვიყო, ის ჩემშია, მე მისით ვსულღამულობ“..

ორ-სამჯერ მოჰკრა თვალი ნაცნობ სახეს, მაგრამ არ შეჩერებულა; დიდი განსაცდელი ჰქონდა გამოვლილი და ახლა უსახლგროდ ახარებდა გამოთლე-

ბა იმ იღუმალი ფესვებზე, რომელიც ყოველ მეტროპოლის აქვს გაღვივებული. თავისი ქვეყნის გულში. *გეგლინიძე*

XIX

გზა დიდებისა

დადგა 1943 წლის სექტემბერი. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე სწრაფად ემზადებოდნენ ახალი იერიშისათვის. მტერი უნდა განედევნათ ნოვოროსიისკიდან და ტამანის ნახევარკუნძულიდან.

ქართული შენაერთი ამ დრომდის აზოვის ზღვის სანაპიროებს იცავდა; აქ შეივსო და მოეშადა ახალი დიდი ბრძოლისათვის, აქ, ამ ზღვის ნაპირას მოითქვეს სული და გაჯანსაღდნენ კალაბატკაში წარმოებულ უთანასწორო ბრძოლის მონაწილენი. ადგილობრივი მოსახლეობა ყოველმხრივ ეხმარებოდა უკიდურეს განსაცდელში გამოვლილ მეტროპოლს; რუსი ადამიანების პატიოსანი და კეთილი გული გახსნილი იყო ქართველი მეომრებისათვის.

სექტემბრის 14-ს შენაერთის ნაწილები გადმოვიდნენ მატარებლიდან საღვურ აბინსკიაში, ღამით დაიძრნენ ნოვოროსიისკისაკენ. გზა მთებსა და ტყეებში მიიმართებოდა.

მეორე დღეს, საღამოს, გზის პირად, მალღობზე იდგა შენაერთის ახალი მეთაური — პოლკოვნიკი გიორგი გაბრიელიშვილი, რომელსაც მეტროპოლთა შორის უკვე დიდი პატივისცემა და სიყვარული დაემსახურებინა; მასთან იყვნენ პოდპოლკოვნიკები შიო ბეროშვილი და ვარლამ სოსანიშვილი. ეარლაში შიოსავეთ ტანმორჩილი და შავკერემანი იყო; მეტად საამო ხმა ჰქონდა, ასე გეგონებოდათ, გეალერსებაო, მაგრამ როცა საქმე მოითხოვდა, მის ხმაში შეუღალი სიმტკიცე ჟღერდა.

მოსიყვარულე და გამოძვლილი თვა-

ლით უცქეროდა შენაერთის მეთაური მის წინ მიმავალ რაზმეულებს.

მწყობრად მიიმართებოდნენ მზისაგან სახედამწვარი ქართული მეომრები — მსროლენი, მეტყვიამფრქვევენი, არტილერიისტები, მესანგრეებრ, შუკავშირენი...

პოლკებს წინ მოძღვებოდნენ ბრძოლებში გამობრძმედილი მეთაურები: პოდპოლკოვნიკი ქანთარელი, რომლის ბრინჯაოსფერი სახე თუმცა გარეგნულად შშვიდი იყო, მაგრამ თუ დააკვირდებოდი, მყისვე იგრძნობდი, თუ რა ფიცხელი, მკვეთრი და შეუპოვარი იყო ეს შამაცი იმერელი; მომდევნო პოლკის მეთაური იყო ახლა უკვე პოდპოლკოვნიკი ანავაძე, ხოლო მესამე პოლკს სათავეში ედგა პოდპოლკოვნიკი იოსებ გორგაისძე, ვაჟა-ფშაველას „კაი ყმის“ ღირსეული მემკვიდრე; უახლესი ქვემეხებით შეიარაღებულ არტლევნიკს ხელმძღვანელობდა პოდპოლკოვნიკი ივანე ფროლოვი, მეტად ლამაზი ქაბუცი; ხოლო ტანკააწინააღმდეგო დივიზიონის შეუპოვარი მეომრების წინ მიაბიჯებდა ომხიანი, სახელაქლავა მაიორი არატიშვილი; მესანგრეებს, რომელთაც აჯაკი კაპარავასთან ერთად ბევრი სახელოვანი ვაჟაკი დასტოვეს კალაბატკაში, კვლავ მაიორი ჯაბაშვილი მეთაურობდა.

მიდიოდნენ ჯანღონით სავსე მეომრები, მკვირცხლნი და შეუპოვარნი; აქ, ახალი დიდი ბრძოლების წინ, ყოველი მათგანის სახეში მოსჩანდა, თუ რა ცხოველყოფელი რწმენით იყვნენ ისინი აღსავსენი. შესვენებისა და შეესებვის დროს უსაქმოდ არა მჯდარან, განუწყვეტლად ვანაგრძობდნენ მეცადინეობას, სწავლობდნენ სამხედრო საქმეს. პოლკოვნიკ გიორგი გაბრიელიშვილს, რომელიც შენაერთის სათავეში 25 ივლისს ჩაუდგა, შიო ბეროშვილს, პოლკების, ბატალიონების, დი-

ვიზიონებისა და ასეულების მეთაურებს დღედაღამე გასწორებული უცქონდათ, რომ მებრძოლნი სწავლობდნენ ფლებოდნენ თანამედროვე ომის რთულ ტექნიკას.

და ახლა მწყობრად, ლამაზად მიაბიჯებდნენ საუკეთესო იარაღით შეჭურვილნი, მიიმდგოდნენ თვალგაბრწყინებულნი.

მალღობზე იდგნენ შენაერთის მეთაურნი, გამკრიახი თვალით ამოწეხებდნენ, თუ როგორ ეჭირა თავი თითოეულ მეომარს.

აგერ მოდის მაღალი და მხრებვალიანი მებრძოლი, ქამარზე ახალმოკლული კურდღელი აქვს ჩამოკიდებული.

„სვანი მარშანი“, წამოიძახა ვილაცამ.

— აჰა, ეს სვანები, დაბადების დღიდანვე მონადირეები არიან. ჯერ ფრონტზე არ მოსულა და რაღაცა უკვე მოუტლავს! — სთქვა საერთო სიცილში პოლკოვნიკმა გიორგი გაბრიელიშვილმა.

იოსებ გორგაისძის პოლკის ერთერთი ბატალიონის წინა რიგს მხარს უმშენებდა ტანადი, მხრებგაშლილი, მკერდშემართული კაპიტანი; გვეგონებოდათ, მარტოოდენ ძელებსა და ძარღვებისაგან არისო შემდგარი მისი სხეული.

ეს შალვა ყიფშიძე იყო. ჩვეულებით სამებრ კობტად იყო გამოწყობილი; მეტისმეტად უხდებოდა ოფიცრის ახალი სამოსი. ძალიან თუ დააკვირდებოდი, მხოლოდ მაშინ შეამჩნევდი მცირეოდენ ნიშნებს იმ მძიმე ავადყოფობისას, რომელიც კალაბატკაში დაქრის შემდეგ გადაიტანა. საფეთქელთან ცოტაოდენი ჰალარა შერეოდა, ლაწვებზე რამდენიმე ნაოჭი ჩაღრმავებოდა; მზე უკვე მოჰკიდებოდა, მაგრამ წინანდლურად ბრინჯაოსფერი მაინც არ იყო მისი ოდნავ ფერმკრთა-

ლი სახე. მეორე თვეა შენაერთში დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

ამავე ბატალიონის ერთ ასეულს უფროსი ლეიტენანტი სამსონ ლომთაძე მიუძღვებოდა; მის მახლობლად მიდიოდნენ ზემდეგი კოლია ბარბაქაძე, უფროსი სერჟანტი დავით ჯანაია, ვალიკო წულაძე და ნესტორ ირემაძე.

სამსონს ამ ზაფხულს ყუბანის მზე მეტისმეტად მოკიდებოდა, მის გამოამერყეულებაში დიდი ჯაფის კვალი მოსჩანდა. ეს იმიტომ, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში მარტო ძილში ისვენებდა, დანარჩენ დროს კი ერთ წუთსაც არ აცდენდა, მხედრებს ავირჯიშებდა, ასწავლიდა და თვითონაც სწავლობდა. სანამ ეთერისაგან წერილს მიიღებდა, უსაზღვროდ სწუხდა; ხანდახან უცნაური გარინდება შეიპყრობდა, ასეთ დროს არაფერი არ აინტერესებდა, ავტომატურად მოქმედებდა; ხან კი გაშმაგდებოდა, ცდილობდა ამხანაგებს განრიდებოდა, ან არა და, შეუჩერებლად ემოქმედნა, რომ გოლს შემონთებული ცეცხლი გაენელებინა.

იენისში მიიღო ეთერისაგან წერილი, ამას მეორე მოჰყვა, სწერდა — მოქმედ არშიაში მოვდივარო. ბოლოს ისიც გაიგო, რომ ეთერი ერთერთ საველე პოსპიტალში ჩარჩა, ძალიან უნდოდა ქართული შენაერთის მედიკოს-სანიტარულ ბატალიონში გადმოსვლა, მაგრამ ჯერჯერობით არ უშეებდნენ.

მეტისმეტად სწყუროდა სამსონს ეთერის ახლო ნახვა, მაგრამ ერჩია იგი ბრძოლის ველიდან მოშორებული ყოფილიყო და ამიტომ ნატერას გულში იხშობდა. ხოლო როდესაც გრძნობა დასძლევდა, იტყოდა ხოლმე: ნეტავი ერთხელ მაინც შემავლებინა თვალი, მანახა როგორ გამოიყურებნა და მერე თუნდაც მომკლაო. ასეთ წუთებში ხედებოდა სამსონი, თუ რა დაუშ-

რეტელი წყაროა სულის მდღეობის დასაცხრომად შრომა და მოქმედება. ამიტომაც მისი ასეულს კარგად მომზადების მხრივ პოლკში ერთი პირველთაგანი იყო.

კოლია ბარბაქაძეს ქერა სახე კვლავ დამრგვალებოდა, მის ცისფერ თვალებში უფრო ხშირად კეთილი და თანაც ეშმაკური ღიმილის სხივი გამოკრთოდა. მისი ხალთა, ჩვეულებრივად სხეებისაზე უფრო დიდი იყო, ხოლო სამხედრო საჭურველთან და თუნუქის მათარასთან ერთად ქამარზე თავისი პატარა ყანწიც ეკიდა.

დავით ჯანაიას, მართალია, ქალარა გამრავლებოდა, მაგრამ მის გამომეტყველებასა და მიხერა-მოხერაში კვლავ კაბუჭური ძალა მოსჩანდა, ოდნავ შეხუნებული მოლისფერი გიმნასტურა უფრო თვალსაჩინოდ ხდიდა მის ნაქედ ტანადობას.

ვასო წულაძე და ნესტორ ირემაძე მხარდამხარ მიდიოდნენ. ეს-ნი საველე პოსპიტალში დიდხანს არ დარჩენილან, მაისის შუა რიცხვებში დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. ამათაც მზე მოკიდებოდათ, სრულიად არ ემზინებოდათ კალაბატკაში გამოვლილი მძიმე დღეების კვალი.

შენაერთის ნაწილებს ყველაზე უკან მიჰყვებოდა ნედიკურ-სანიტარული ბატალიონი. ამათი ეშელონი სადგურში გვიან მივიდა და ამიტომ ცოტათი ჩამორჩნენ.

სწორედ წინა დღეებში აუსრულდა ეთერს თავისი დაუცხრომელი ნატერას საველე პოსპიტალიდან თავი გაინთავისუფლა და ბატალიონს ერთერთ საკვანძო სადგურში შეუერთდა.

საუცხოო სანახავე იყო ძველი მეგობრების — ქეთოსა და მარიკას შეხვედრა ეთერთან. თავდავიწყებით

ეხვევოდნენ ურთიერთს, იცინოდნენ, ცრემლივც ვეროდნენ.

ბოლოს მარიკა ქალურმა სისუსტემ დასძლია და გაბმული ქეითინით უამბო ეთერს, თუ როგორ დაეღუპა ქმარი, როგორ დაასაფლავა. ემჩნეოდა, რომ ეს ცრემლები მისთვის დიდი შვევა იყო. კალაბატკაში ყოფნის დროს, როდესაც სასტიკ გაპირვებაში ჩავარდნილ დაპრილებს უვლიდა, გაკაცებული იყო, დაპიძული ჰქონდა მთელი თავისი სასიცოცხლო ენერჯია, რომ სხვებისათვის ტანჯვა შეემსუბუქებინა; თავისი პირადი მწუხარება გულის კუნძულში შემოენახა. იღუმალად ფიქრობდა: თუ აქ დავიღუპები, ჩემი მწუხარებაც ჩემთან ერთად დაიმარხებაო, ხოლო თუ გადავრჩი, მისთვის მაშინ მოვიცილო. მაგრამ შემდეგ ეს ნაღველი თითქოს გულში გაქვევდა, იმდენად დამძიმდა, რომ მარიკას მისი შერბევის ეშინოდა. თავის საქმეს გულმოდგინედ აკეთებდა, იშვიათად კიდევაც გაიღიმებდა, მაგრამ მის ღიმილში დაკვირვებული თვალი ყოველთვის ამოიკითხავდა დიდ მწუხარებას.

ახლა კი, ეთერთან საუბრის დროს რომ ამდენი ცრემლი დაღვარა, გულს მოეშვა, რაღაც დიდი სიმძიმისაგან განთავისუფლდა; ბოლოს ღიმილიც კი მოერია; ფართო თვალებში ცრემლი უბრწყინავდა, ვიწრო ნიკაბი უთრთოდა, ხოლო წამოღვივებული სახიდან გამომკრთალი ღიმილი მოწმობდა, რომ მთელი მისი არსება საყვარელ მეგობართან გულის განდობით ტკებოდა.

— რაფერ მოვესწარი, ცაე, შენს ნახვას, რაფერ მოვესწარი — გაიმეორებდა ხოლმე მარიკა და ეთერს ეხვევოდა.

ეთერმა რამდენჯერმე დაკვირვებით შეათვალიერა სახეგანათებული ქეთოს და ქალური ალღოთი იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში რაღაც დიდად საბედნიერო რამ მომხდარიყო; აყვავებული-

ყო, დაქალებულიყო, მერდი გაეხებოდა, სავსე ღაწვებზე ეჭყრფნებოდა. ნახიცი ალარ აჩნდა, ახალგაზრდას სხივი რომ ფოთოლზე დაკიდებულ ცვარში აენთება, ისე ციმციმებდნენ მისი ლაქვარდისფერი თვალები.

— რა კარგად ხარ, გენაცვალე, ქეთო! — უთხრა სიყრმის მეგობარს ეთერმა, — გახსოვს, რა დღეში ვიყავით უღელტეხილზე გადასვლის დროს? როგორ გაგაწვალე, გოგო, როგორ გაწამე! შენს ვალში ვერასოდეს ვერ ამოვალ...

— რას ამბობ, დაო? შენს ასე კარგად ნახვას რაკი მოვესწარი, თუნდ არავითარი სიმწარე არ მენახოს...

ნელა მიიჩხეოდა მატარებელი ახალადგენილ ლიანდაგზე. ღია ვაგონში ისხდნენ მეგობრები და დაუსრულებლად უყვებოდნენ ერთმანეთს, რაც განშორების შემდეგ თავს გადახდათ. მხოლოდ ყველაზე უფრო ინტიმური ამბების გასაზიარებლად არც ეთერსა და არც ქეთოს ურთიერთისათვის გული არ გაუხსნიათ; ეთერს მეტიმეტად უძიმდა იმ შავი მელანქოლიის განმარტება, რომელმაც ავადმყოფობის ეპოს შეიპყრო; ხოლო ქეთოს ჯერ თითქოს ეშინოდა გაემკლავებინა თავისი ბედნიერება.

ამასობაში მატარებელი უკანასკნელ სადგურში გაჩერდა; სწრაფად გადმოვიდნენ.

მზე ქედს ეფარებოდა, აღმართს რომ შეუღღნენ. ირგვლივ ტყეები იყო და მცხუნვარე დღის შემდეგ ნიავს საამო სიგრილე მოჰქონდა.

მიდიოდნენ სამხედრო ექიმები, ფერშლები, სანიტარულტორობი, მედიცინის დები და სანიტარები. ესენი თითქმის ყველანი ომის ცეცხლში იყვნენ წრთობილი; ბევრმა მათგანმა მრავალ მებრძოლს შეუწარმუნა სიცოცხლე. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა იარაღით ხელში იგერიებდნენ

მტრის იერიშს. რამდენჯერ ქვემეხთა გრუხუნში და თვითმფრინავებიდან ჩამოყრილ ყუმბარების ზრიალში განაგრძობდნენ მუშაობას მიწურებსა და კარებში, რათა დაჭრილებისათვის პირველი დახმარება აღმოეჩინათ. რამდენჯერ ყინვასა და ტალახში თავიანთი ზურგით მიჰქონდათ სამკურნალო მასალა; მიაღწევდნენ ბრძოლის ველს და, დაღლილნი, გატანჯულნი, შეუღებოდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

აგერ წინა რიგებში მიდიან ქართველი ექიმები, რომელთაც უკვე დიდი გამოცდილება აქვთ მიღებული; მათ შორის მიაბიჯებს ახოვანი, ხელმადლიანი დოსტაქარი მინდიაშვილი.

აგერ ესენი, მწყობრად და ცოცხლად რომ მიისწრაფიან, მხედრულად გამოწყობილი ქართველი ქალები არიან; დიდ გაკირვებასა და ქარცეცხლში გამოიარეს, ზოგჯერ ისეთი სიმნელის გადალახვა ხედთ წილად, რომ ენითაც არ გამოითქმის, მაგრამ ახლა კვლავ მამაცად მიდიან უფრო დიდი ბრძოლის ველზე. ამათში არიან ქმრიანი ქალები, უმთავრესად კი სულ ახალგაზრდა ქალიშვილები, რომელთაც ტექნიკში იმ წელს დაამთავრეს, როდესაც ომი დაიწყო. აგერ, ხელმარცხნივ, რა კოხტად მიდის გურული გოგონა, ხიდისთაველი, რომელსაც აღნაგობაც თითქოს ნაზი აქვს და ოდნავ მკრთალი სახის გამოშეტყველებაც, მაგრამ ამა ერთი თვალი გადააგულეთ მის შიერ გამოვლილ ბრძოლის გზასა და მაშინ მიხედებით, თუ რა შესძლებია ამ ტანმორჩილ ქალიშვილს.

ამათთან ერთად მხარი-მხარ მიიმართებოდნენ მარიკა ნაკაიძე, ეთერი და ქეთო.

მარიკა მწუხარებას თუმცა საკმაოდ შეეღალა, მაგრამ ვერ გაეტეხა.

ქეთო ჯერ არასოდეს არ ყოფილა

ასეთი მიმზიდველი; მის ყოველ მიხვრა-მოხვრაში ლაღი სიკეთესი ხალისი გამოსკვივოდა. გიგლინიძე ეთერი კი თბილისიდან წამოსვლის შემდეგ ცოტათი გამხდარიყო, სახეც მკრთალი ჰქონდა, რადგან მუდმივად ჰოსპიტალში იმყოფებოდა და მზე ჯერ არ მოჰკიდებოდა.

მიდიოდნენ ბრძოლის ახალ ცეცხლში.



თექვსმეტ სექტემბერს მიუახლოვდნენ ნოვოროსისისკის ჩრდილოეთ ნაწილს. სამხრეთის ცხელი დღე იყო. მთებზე გადმოსვლის შემდეგ მებრძოლთ სახეები შეფაქლული ჰქონდათ. ამ დროს ხმა დაირხა: ჩვენთან შესაგებებლად არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე შოდისო.

მეთაურებმა — გიორგი გაბრიელიშვილმა, შიო ბეროშვილმა და ვარლამ სოსანიშვილმა რაზმეულებს ჩამოუარეს, მზრუნველი თვალი მოავლეს თავიანთ ვაჟაკებს.

ყველანი რაღაც უჩვეულო სიზარულმა შეიპყრო. მეტად შორი გზა ჰქონდათ გამოვლილი მას შემდეგ, რაც თერგის ნაპირებთან ჩაებნენ ბრძოლაში, საბედისწერო სიმნელები გადალახეს, დიდი მსხვერპლი გაიღეს, მაგრამ ახლა გაორკეცებული ბრწყინვალეებით მოეფინა ამ უცხო მიდამოს მშობელი ქვეყნის გულთან გამაერთიანებელი ნათელი.

შალვა ყიფშიძეს გული უჩქროლავდა. კარგა ხნის წინათ იცნობდა ლესელიძეს, მაშინ იგი უბრალო მეთაური იყო. „ნეტავი ახლა თუ მიცნობსო?“ რამდენჯერმე გაივლო გუნებაში. მერე თავის ბატალიონს ჩამოუარა, თავისებური ბასრი მზერით ანიშნა ყველას, რომ სარდლის წინაშე თავი ღირსეულად დაეკირათ. ყველანი ლამაზად

გამოიყურებოდნენ, მაგრამ სამსონის ასეული მაინც გამოირჩეოდა.

ბარბაქაძეს რომ მიუახლოვდა, შალვას გულში გაელიძა, რადგან კოლიას გამოქიშულად დგომა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა.

— ბარბაქაძე, მკერდი გამოაჩინე! — შენიშნა შალვამ.

— არის...

ამასობაში სარდლის მანქანა გამოჩნდა.

დასავლეთისაკენ გადახრილი მზე აცხუნებდა. გამჭვირვალე ლაქვარდისაკენ ხანგამოშვებით მურისფერი კვამლი აიჭრებოდა და ჰორიზონტს ჩრდილავდა, — ეს ნოეთროსიისკში იყო. სულ ახლო მოსჩანდა ეს მრავალტანჯული, მიწასთან გასწორებული ქალაქი. ახლაც იქ მტრის შორსმსროლელი ქვეშეხების ყუმბარები სკდებოდნენ.

არმიის მეთაურის მანქანა ნელა შევიდა შენაერთის განლაგებაში.

აგერ იგი გადავიდა ავტოდან, — ქართველი მეომრის სრული განსახიერება; მისი მკერივი აღნაგობა, მისი ლამაზად გამოკვეთილი სახე, მაღალი შუბლი, გამჭრიახი თვალები, მთელი მისი კეთილშობილი, ვაკეკუთრი გამოზეტყველება ცხადყოფდა, რომ იგი იყო ქართველ მხედართმთავართა ქეშმარიტი წარმომადგენელი.

მასთან ერთად მანქანიდან გადმოვიდნენ მისი თანამებრძოლნი. შენაერთის მეთაურებთან მივიდნენ, მხურვალედ მიესალმნენ ურთიერთს.

მეგობრული საუბრის დროს მეთაურები გარს შემოეხვივნენ სამამულო ომში სახელმოხვეწილ სარდალს, მოსკოვისა და კავკასიისათვის ბრძოლის გმირს.

შალე გენერალმა წრე გაარღვია, ჩამწყვილებულ მეომრების წინ ჩაიბრა, ბევრს გაესაუბრა უბრალოდ, ამხანაგურად.

შალე ყიდშიის ახოვანი გარეგნობა მოხვდა თვალში, მყისვე დახედა, მიუახლოვდა, შალე მისი მხარეს, მერე შინაურულად ჰკითხა:

— რას შობი, კაცო?

შალვას, ათას ქარცეცხლში გამოვლილს, აღტაცებისაგან დაწვები შეეფაკლა, თვალები გაუსხივოსნდა, ხმა ძლივს დასძრა.

— კარგად იყავი, კარგად! — უთხრა ბოლოს გენერალმა და სელა განავრძო.

სამსონის ასეულმა სარდალზე მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ეს მან იმ დიმილში გამოამელავენა, რომლითაც კოლია შარბაქაძეს ახელდახედა.

ბოლოს არმიის სარდალი ბეჭობზე შედგა, მის ირგვლივ შემოკრბნენ მეთაურნი და მებრძოლნი.

— ქართველი ხალხის, შეილებო! — დაიწყო გენერალმა და მას სიყვარულით უცქეროდა ათასთა თვალი. — იმ ხალხის შეილებო, რომელმაც კაცობრიობას მისცა ჩვენი ღვიძლი სტალინი; იმ ხალხის შეილებო, რომელმაც ჩვენი ლავერენტი ბერია წარმოშვა. სტალინმა მოგვაშველა ჩვენ ის აქ, თავისი მარჯვენა ხელი, მოგვაშველა და მისი ხელმძღვანელობით ჩვენ სხვა მოძვე ერების შეილებთან ერთად შევუნვრიეთ გულმკერდი კავკასიონის კარებთან მოძალებულ ფაშისტებს. ახლა თქვენ მიღიხართ იერიშზე ტამანის ნახევარკუნძულის გასათავისუფლებლად. საქართველო კვლავ ელის თქვენს სიმამაცეს. ქართველს არასოდეს არ შეურცხვენიათ თავისი ერის სახელი და არც ახლა შეარცხვენს. დაეყოველ თქვენგანს უმწვეავეს ბრძოლა-

ში ახსოვდეს თავისი ვინაობა, ახსოვდეს, რომ ქართველი, უწინარეს ყოვლისა, მტრის შემშუსვრელი მხედარია...

სარდლის უკანასკნელ სიტყვებს მთელმა შენაერთმა მძლავრი „ეაშა“-თი უპასუხა.

XX

სახელოვანი დღე

ვისაც მტერთან ბრძოლის სიმწვავე განუტღვია, ვისაც ბევრჯერ ჩაუხედავს სიკვდილის შემზარავ თვალეზში, ვისაც არაერთგზის შეხვედრია უმძიმესი წამება და მწუხარება, — მან იცის, თუ როგორ აენტება ხოლმე შეტევით სულისკვეთებით გამსჭვალული მებრძოლის არსება, როგორის ძალით მიმართება იგი, რომ შემუსროს და გაანადგუროს მოძალადე.

უახლოვდებოდნენ ქართველი მეომრები მიწასთან გასწორებულ ნოვოროსისკს, შედიოდნენ მქუხარე ღვებების ეცესლსა და კვამლში, შედიოდნენ და მათ ძაღლონეს აორკეცებდა სამართლიანი საქმისათვის თავდადებულთა მრისხანება; ამასთანავე ისინი წინასწარ გრძნობდნენ გამარჯვების ზეიმს.

დავით ჯანაია კოლია ბარბაქაძის მახლობლად მიდიოდა. ეს ომგადახდილი, სავსებით დანგრეული ქალაქი ისეთ გრძნობას ბადებდა მასში, თითქო ყოველი კუთხე, ყოველი ნანგრევი, ყოველი დამსხვრეული ხე რაღაც იღუმალი ენით მეტყველებდნენ იმ საშინელებას, რომელიც მათ თავს გადახდათ. აგერ ეს სახლები, როგორ დახევევებია კედელი კედელს, რელსები დაგრეხილან, პარმაღის ნაშთი საცოდავად დაკიდებულა. ზოგი სახურავჩაღწეული შენობის გაბზარული კედლები უმწეოდ არიან დაყუდებული და ნაფანჯრალიდან მოსჩანს ბინის დამსხვრეული აგეჯი.

დავითს გული ბოლომდე ევსებოდა, ადამიანის შრომის ნაყოფს, რომელიც გამართახებულს ხედავდა, მაგრამ იმ დღესაც თვალი მოჰკრა ქალაქის შემთხვევით გადარჩენილ მცხოვრებლებს, მაშინ გაითვალისწინა სავსებით, თუ რა ჯოჯოხეთი შეჰქმნეს აქ კაცთმოძულეთა ურდობმა.

აგერ გამოჩნდნენ ისინი, გამხდარნი, ფერწასულნი, ძლივს მოლასლასებენ. აქამდის საღდაც ჯურღმულეზში იყვნენ თავშეფარებულნი, ქვემეხთა ქუხილსა და გრგვინვაში მოელოდნენ მხსნელებს, ახლა პატარა ურიკებით მოაქვთ თავიანთი მცირეოდენი ბარგი, რომ ამ ნანგრევებში კვლავ შეუდგნენ ახალი ცხოვრების შენებას.

ერთობ გულდამძიმებული იყო დავითი ყოველივე იმით, რასაც ხედავდა, ყველაფერში თითქოს ერთი დიდი ნაღველი მეტყველებდა, მაგრამ მაინც მიიქცია მისი განსაკუთრებული ყურადღება ქუჩის პირად შეჩერებულმა, ურემლმორეულმა დედა-ქალმა. ამ უცხო ქალმა დავითის მზერა დაიჭირა, ტუჩები შეუთრთოლდა, ხელები გაშალა, თითქოს უეცრად ნაბოენი შვილი გულში უნდა ჩაიკრასო. მაშინ მიხედა დავითი, თუ რა ტკბილი იყო წამებული დედისათვის ეს სიხარულის ცრემლები.

უეცრად საშინელი წყევლა გაისმა. დავითმა თვალი გააყოლა და აგერ საკაცე დაინახა, რომელიც ორ კაცს მოჰქონდა, მერე საკაცეზე მწოლარე მეზღვაური, რომელსაც თითები წაჭრილი ჰქონდა და თვალეზი დათხრილი.

შუბლი შეიკრა დავითმა და გონების თვლით ბნელ სარდაფში ჩაიხედა. ფაშისტებს დაჭრილი მეზღვაური ჯურღმულში ჩაუყვანიათ, ბევრი უწამუბით, უმწეო ადამიანისათვის თითები წაუჭრიათ, თვალეზი დაუთხრიათ...

„განა შეიძლება, — გაითქირა დავითმა, — რომ ამის მოქმედს ადამიანი

ეწოდებოდეს? არა, ესენი მხეცზე უარესნი არიან... მხეცი რაა? მხეცი ბუნების შვილია. ესენი კი, ეს კაციკამიები, თავიანთი ბილწი ფეხებით დედამიწას ჩირქსა სცხებენ“...

ამ ფიქრით დაეთმა თითქო გული მოიოხა, ხელმარჯვენივ მიიხედა, კოლია ბარბაქაძეს თვალით ანიშნა:

— დაინახე?

— დაეინახე, დავით, დაეინახე! — გამოეხმაურა კოლია, — სად წაგვიყვანა? დედას ვუტყვიან ჩვენ მაგათ, დედას!..



ქართველი შემორები კვლდაკვალ მიჰყვებოდნენ უუქეუელ მტერს, რომელიც ცდილობდა გადაერჩინა თავისი ცოცხალი ძალა და ხელსაყრელ ზღუდეზე გამაგრებულიყო. იხედნენ უკან გერმანელები და აფეთქებდნენ ხიდებს, ნაღმავდნენ გზებსა და მისადგომებს. მაიორ ჯაბაშვილის მესანგრეებმა მარტოოდენ ერთ უბანში ოთხი ათასი ნაღმი გააუფენებლეს.

გერმანელები ანაპაში მაგრად იყვნენ ჩამჯდარნი; ჩვენები ქალაქს მარჯვენიდან უვლიდნენ, სტანიცა ანაპსკაიასკენ მიიმართებოდნენ, რომელიც ანაპიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.

პირველი დავრა პოდპოლკოვნიკ ანაგაძის პოლკს დაევალა; მას დამხმარედ მისცეს აგრეთვე საარტილერიო პოლკის პირველი დივიზიონი.

ვიღრე 21 სექტემბრის განთიადი პოლკის სამეთაუროში შეიხედავდა, იერიშის გეგმა უკვე დაწერილებით იყო შედგენილი.

პოლკოვნიკი ანაგაძე მწვევე ბრძოლის წინ ღვინისაგან შეზარხოშებულვით იყო აღტაცებული, ბადრი საზე წამოღვივებული ჰქონდა. მისი ბრგე აღნაგობის მიხერა-მოხვრაში ბუნებრი-

ვი ძალოვანობა გამოსქვივოდა. მაიორ ვენცაძეს ქერა სახე ეგონებოდა და ხშირად ოხუნჯობდა, ხმჭყე ჩხჭყენ კაპიტნები — შალიყო დოლიძე, ილია კვარაცხელია, მგზნებარე, მამაცი ვაჟკაცები. შენაერთის მეთაურის მოადგილე — შიო ბეროშვილი ისე ჩაფიქრებულად გამოიყურებოდა, თითქოს კალაბატკაში იყო და უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვების გზას ეძებდა. კვლავ გამხდარი იყო, ფერმკრთალი, მარცხენა წარბი ოდნავ დახრილი ჰქონდა, თითქოს გონების თვალთ სადღაც შორს იხედებო. შიო კარგად იცნობდა ანაგაძეს, იცოდა, თუ როგორ აჩქარდებოდა ხოლმე ხანდახან ეს მხრებგამოლილი ლეჩხუმელი, როგორ შეიპყრობდა ფიცხი ტემპერამენტი. ამიტომ იყო იგი მასთან ახლა, როცა პოლკს პირველად უნდა დაეწყო იერიში.

რიერაჟის შუქი გამოკრთა. ცა მოწმენდილი იყო. ფერმიმკრთალი ვარსკვლავები შუქმილეულად ციმციმებდნენ. თბილსა და რბილ ჰაერში ზღვის სურნელმა იგრძნობოდა.

სწრაფად დაიძრა ავანგარდი; მარჯვენა ფრთიდან მიჰყვენენ იოსებ გორვაისძის მეომრები, ხოლო მარცხენა ფრთაზე პოდპოლკოვნიკ ქანთარელის პოლკი გაიშალა.

შეუპოვარი, სისხლისმღვრელი ბრძოლა იწყებოდა.

შენაერთის მეთაურის, პოლკოვნიკ გიორგი გაბრიელიშვილის ბრძანება იყო, რათა მთელ საბრძოლო შემადგენლობას ერთ წერტილზე დაერთვა, მტერი შეემუსრა და დღესვე გადაეწყვიტა ანაპის ბედი.

მტკიცედ მიიმართებოდნენ წინ მეომრები, უახლოვდებოდნენ ანაპსკაიას.

— დღეს, გესმის, ილია? — გასძახა შალიყომ თავის მოადგილე კვარაცხელიას, — დღეს ისე უნდა ვიყოთ,

როგორც თვეში წყალში. „სისწრაფე გამარჯვების დედაა“, ნათქვამია...

ფრთაშესხმული წინსვლის დროს ბევრს ესმოდა მზიარული, გამამხნევე-ბელი ხმა მაიორ ვენცაძისა.

— დღეს, ბიჭებო, ჰიტლერელებმა ისე უნდა მოკურცხლონ, რომ მხოლოდ მათი ჩექმების ნალები მოსჩანდეს, მეტი არაფერი! — საოხუნჯო კილოთი ამბობდა ვენცაძე, რომელსაც კაბუცი-ვით უბრწყინავდა სახე და თავის მეომრებს აღფრთოვანებდა.

ჯერ აქა-იქ ატყდა სროლა, მერე ლარივით გაება. ჰაერში დენთისა და კვამლის სუნი დადგა. ავანგარდი ბრძოლაში შეიჭრა; ეს იყო შალიკო დოლიძის ბატალიონი, რომელმაც პირველობა დღის ბოლომდის შეინარჩუნა. მას მიჰყვნენ სხვები...

გორაკებს შუე გადმოადგა. უკვე სამი საათია გრძელდება მეტად მკაცრი ბრძოლა. მრავალ ადგილას შეიყონა მიწამ. დაკრილთა სისხლი, მაგრამ ჯერ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ აქ შემოპრები, — ინტელიგენტები, მუშები, კოლმეურნეები. ყველანი ამ სახელოვანი დღის საზეიმო განწყობილებით იყვნენ შეპყრობილი, სიკვდილს არ ერიდებოდნენ, მედგრად მიიწყედნენ წინ.

აგერ უმცროსი ლეიტენანტი ხარბე-დია, ომის დაწყებამდის მომღერალთა გუნდში იყო; მას დიდი ბედნიერება ზნდა წილად: კრემლში სტალინის წინაშე იმღერა ქართული სიმღერები. ახლა მისი ტყვიამტრქევეები კაქანებდნენ...

პოდპოლკოვნიკმა ანაგაძემ თავისი ძლიერი ხმით სთქვა:

— აბა, დროა ახლა! გადამწყვეტი იერიში! ხომ ზედავთ, როგორ შეიჭრა მტრის სიღრმეში ჩვენი შალიკო!

— მოიცა! — შეაჩერა შიო ბერო-შვილმა. — ჯერ აღრე...

შიომ გამოცდილებით იცოდა, რომ ძელმიწურებასა და სანგრებში ჩამჯდარი მტერი ჯერ გატეხილი არ იყო და გრიტური მისვლა დიდ მსხვერპლს შეიწირავდა.

ამის შემდეგ არ გასულა ხანი, რომ კვლავ ამოქმედდნენ კაპიტან არატიშვილის დივიზიონის ქვემეხები; ესენი წინა რიგებში იყვნენ და გერმანელთა ბუდეებს პირდაპირი დამიზნებით ურტყამდნენ. ამით გრგვინვა-ქუხილით მისცეს ბანი საარტილერიო პოლკის ზარბაზნებმა, ხოლო ფრთებიდან პოლკების არტილერიამ გახსნა ცეცხლი.

ერთი მეორის მიყოლებით გაიფანტნენ ჰაერში მტრის საცეცხლე წერტები.

მხოლოდ ამის შემდეგ გასცა შიო ბეროშვილმა ბრძანება:

— იერიში!.. წინ, არწივებო!..

— ვაშა! — ერთხმად შესძახა ბატალიონმა, რომელსაც გულანთებული შალიკო დოლიძე გაუძღვა.

პოდპოლკოვნიკ ივანე ფროლოვის არტილერისტებმა ახლა ცეცხლი გერმანელთა კომუნიაკაციებზე გადაიტანეს.

ამასობაში შალიკო დოლიძისა და კაპიტან სარალიძის ბატალიონები მთიდან მომსკლარი ზეგვივით მისდევდნენ მტერს, სანგრებში ეშვებოდნენ, მუსრს ავლებდნენ. ამათ მხარს უპერდა საგანგებო ქვეგანაყოფი, რომელსაც პირადად პოდპოლკოვნიკი ანაგაძე ხელმძღვანელობდა, ესენი ამავე დროს მოწინააღმდეგის ფრთებსაც ემუქრებოდნენ.

შუე ცის ტატნობს უახლოვდებოდა. ბრძოლის ქუხილიც თანდათან ძლიერდებოდა. ნახევარი დღის განმავლობაში ქართველი მეომრები ამ უცხო შემოგარენს თითქო შეეზარდნენ, ღრმად გაიდგეს შიგ სისხლით მორწყული ფესვები. აქა-იქ სამუდამოდ დაწვნენ განთა-

ვისუფლებულ მიწაზე, უფრო მეტნი დაიჭრნენ, მაგრამ ბრძოლის ველზე ყველგან საზეიმო განწყობილება სუფევდა. მხნე შეძახილი, თვალთა ელვა, საშინელ ორომტრიალში დაჭერილი ხმა ამხანაგისა, — ყველაფერი მტრის შესამუსრავად იწვევდა მებრძოლთ.

შენაერთის წინამძღოლნი — გიორგი გაბრიელიშვილი, შიო ბეროშვილი, ვარლამ სოსანიშვილი მეომართა რიგებში იყვნენ, ყოველ მოვლენას სწრაფად ითვალისწინებდნენ, წინსვლის ახალ გზასა და ხერხზე მიუთითებდნენ; მთელი თავიანთი არსებით შეზრდილნი იყვნენ მრავალრიცხოვან რაზმებთან.

აგერ ახმთანდა გერმანელთა დასაყრდენი პუნქტი ანაპსკაიაში — მაღლობი 196,8, რომელიც სტანიცის აღმოსავლეთ მისადგომს გადმოჰყურებს; ტყვიამფრქვევთა და ნალმსატყორცთა ცეცხლით შეაფერხა მთელი ბატალიონის წინსვლა.

დინჯად, აუჩქარებლად შეათვალიერა ეს სიმაღლე ომბახიანმა, სახელაქლავა კაპიტანმა არატიშვილმა და თავისი დივიზიონის ერთერთი ბატარეის მეთაურს უბრძანა:

— აბა, დაშინაო, შენებურაღ!..

ოცი წუთიც არ გასულა, რომ დაშინანის ქვეშეხებმა მტრის სიმაგრეს ცეცხლი გაუჩინეს.

სტანიცა ანაპსკაიას ცენტრში პატარა მდინარე ჩადის. ამ მდინარის ნაპირები გერმანელებს ძლიერ გამაგრებული ჰქონდათ. აქ მეტად დიდი წინააღმდეგობა დასძლია კაპიტან ბარამიძის ბატალიონმა.

მტერი ყოველ მოხერხებულ ადგილს ებღაუშებოდა, უბრძოლველად არც ერთ სანგარს არა სტოვებდა. პირისპირ შეტაკებაში მძიმედ დაიჭრა მეორე ბატალიონის მეთაური კაპიტანი სარალიძე, მაგრამ ბატალიონის წინსვლა არ

შეფერხებულა, სარალიძის ადგილს კაპიტანმა წულუკიძემ დაიკავა.

აფეთქებულ ხიდს შემტყუნებელმა ძელმიწურებში ჩამსხდარი იყვნენ გერმანელები და გასასვლელს ტყვიამფრქვევთა ცეცხლით იცავდნენ. ავანგარდი ჩაწვა, ხოლო ტყვიამფრქვევლთა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი ლანჩავა დაწინაურდა, თავისი რჩეული ეაქაცები გაიყოლია, ხიდის ნარჩენზე, მტრის ცეცხლისქვეშ, გაიტანა ტყვიამფრქვევი, კბოლესთან გამართა და... მალე გერმანელების ტყვიამფრქვევები სამუდამოდ დადუმდნენ. ქვეითებს გზა გაეხსნათ, რაზმები ანაპსკაენ დაიძრნენ.

ანაპსკაიიდან ანაბამდე ხუთიდან ოთხი კილომეტრი გაშლილი და სწორი აღვილია. ამ მანძილის გადალახვა მეტისმეტად ძნელი იყო, მაგრამ ავანგარდი მაინც წინ მიიწვედა; მას ენერგიული ცეცხლით უპერდა მხარს იოსებ გორგაისძის პოლკი, ხოლო პოდპოლკოვნიკ ქანთარელის რაზმები ანაპსკაიას ბედს საბოლოოდ სწყვეტდნენ.



სილამო მოახლოვდა. უკვე მოსჩანდა ანაპა — ბავშვთა განთქმული აგარაკი; ზღვის ზედაპირი მზის სხივებში ლაპლაპებდა.

შალვა ყიფშიძემ სული მოითქვა, ერთ წამს თვალი დაასვენა, კვამლიან ველის მიღმა გაჰხედა სივრცეს, ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქო აქარის მიღამოები უღდასო თვალწინ; გუნებაში გაელიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

„ცა-ფირაუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“...

კარგ გუნებაზე იყო დღეს შალვა. მართალია მის ბატალიონს პირველ იერიშში არ მიუღია მონაწილეობა, ახლაც უკან მიჰყვებოდა ავანგარდს, მაგრამ მაინც დიდ ცეცხლში გამოიარეს, დანაკლისი კი თითქმის არა ჰქონ-



და. მერე კიდევ დღეს ნათლად დაინახა, რომ დადგა ბრძოლის ახალი ხანა, გაიხსნა გამარჯვების დიადი გზა. შალვას ბევრჯერ განუცდია უკანდახვევის სიმწარე, მრავალ უთანასწორო შეტაკებაში მიუღია მონაწილეობა. ბევრი რამ აკლდათ მაშინ მეომრებს; ახლა კი საუკეთესოდ არიან შეიარაღებულნი, გამოცდილებაც მეტი აქვთ, საბრძოლო ოსტატობაც; ახლა გამარჯვების შუქი შორს კი არ ანათებს, აქვეა, ყოველ ახალ ნაბიჯზე ემატება ძალა, მალე მტრის მთავარ ბუნავამდის მიადწევს...

— აბა, ბიჭებო, შევარდნებო წინ! — შალვამ კარგად იცოდა, რომ სრულიად არ იყო საჭირო ახლა ეს ძაბილი, მაგრამ თავისდა უნებლიედ აღმოხდა. მალე სამსონის გვერდით აღმოჩნდა, მგვობრებს თვლით მიესალმა. სამსონმა და დავითმა უსიტყვოდ გაუღიმეს, ხოლო კოლია ბარბაქაძემ ვერ მოითმინა და ხმამაღლა დაიძახა:

— გენაცვალეთ, ბიჭებო, სულში რაღაი ამას მოვესწარი, აწი..

ჯერ ქალაქისკენ გაიშვირა ხელი, მერე ენერგიულად ჩაიქნია და ნაბიჯს ძალა მისცა.

შე ზღვის დასალიერს ეფარებოდა.

ამ დროს გვარდიული შენაერთი ნოვოროსიისკიდან მიმავალი გზით მიიწვედა ბრძოლით ანაპისაკენ, ხოლო ქართველები უკვე შეიქრნენ ქალაქში და მტერს მუსრი გაავლეს.

ეს იყო მათი პირველი დიდი გამარჯვება კალაბატკის სისხლიანი ეპოპეის შემდეგ, ამიტომ იყო უსაზღვრო მათი სიხარული და ზეიმი, თუმცა მაშინ არავინ იცოდა, რომ ეს სახელოვანი დღე — 21 სექტემბერი — ბელადის 9 ოქტომბრის ბრძანებაში აღინიშნებოდა და შენაერთს ანაპის სახელი მიენიჭებოდა.

იერიში მთელ ფრონტზე გრძელდებოდა. ქართველი მეომრები მოწინავე ძალებთან ერთად ცეცხლიდან ცეცხლში გადადიოდნენ.

სექტემბრის 25-ს მიადგნენ ვერხნოე გოსტაგაიკას. ეს მიდამო მოწინააღმდეგეს ძლიერ გამაგრებული შქონდა. მდინარე-გოსტაგაიკას დასავლეთი მხარე საეცებით დანაღმული იყო; თანაც ამ ველს ვადმოპყურებდნენ მალღობები 72,0 და 66,4, საიდანაც მტრის შორსმსროლელი არტილერია ცეცხლს აფრქვევდა.

დაღამდა. მოწმენდილ ცაზე საოცრად განმარტოებულად მოსჩანდა მთვარე ქვემეხთა ყუმბარების გრიალში.

ამ დროს მდინარე გოსტაგაიკაზე გადასვლა იწყეს ქანთარელისა და ანაგაძის პოლკებმა. გასვლისთანავე სახელდახელოდ ამოთხარეს სანგრები, ხოლო მათორ ჯაბაშვილის მესანგრეები ნალმებისაგან გზის გაწმენდას შეუდგნენ.

ველს, სანამდისაც კი თვალი მისწვდებოდა, ნაცრისფერი ბუსუსი ეფინა, ხოლო აქა-იქ ცისაკენ აიჭრებოდა ხოლმე სქელი კვამლი, უცნაურად გაიფოფრებოდა მთვარის სინათლეში. გარუჯული ჰაერი თანდათან სქელდებოდა. ქვემეხთა გრგვინვა, ყუმბარების შხუილი, აფეთქებათა ზათქიანი გრუხუნი, მაღლა ატყორცნილ და ჩამოცვენილ ქვისა და მიწის ხმაური, ნალმსატყორცნთა ყრუ ხრიალი და ტქვიამფრქვევთა ქახქახი ისეთ მორევში ითრევედა ადამიანს, რომ ძნელი იყო მიპყლოდა საკუთარ გულისხმას. მაგრამ მესანგრეები შეუპოვრად მიხობხავდნენ წინ. ისინი — შეიარაღებულნი მემბრანებით, ყურსაცვაებით,

ელექტროლამპებითა და შუბის მსგავსი სალტეებით — საოცარ არსებებს ჰგავდნენ. გულმოდგინედ სინჯავდნენ შიშას, პოულობდნენ სასიკვდილო ხაფანგებს და გაჰყავდათ გზა დანაღმულ ველზე...

მეომრები სანგრებში ისხდნენ და სიგნალს ელოდნენ...

აჰა, აიჰრა ცაში აღისფერვ ვარსკვლავი.

— ვაშა! — დასკექეს ათასეულეგმა და დაიძრნენ მწვრციელი მანძილი მოიტრევის უკან, აღმართს შეუდგნენ...

იმ ღამეს გმირულად დაეცა კაპიტანი ილია კვარაცხელია და მძიმედ დაიჭრა ანაპისათვის ბრძოლაში სახელმოხვეჭილი შალიკო დოლიძე.

მოიერიშე რაზმებმა სასტიკად იძიეს შერი მტერზე.

კიზილტაის ლიმანებისა და მდინარე ყუბანის შუა აღმართულია ტამანის გუშაგი — გირლიანის მთა; ამ მთის თხემიდან და ფერდობებიდან, რომელნიც ყუბანის აღმოსავლეთ ნაწილს დაჰყურებენ, ათეულ კილომეტრზე ხელისგულივით მოსჩანს ყველაფერი. ეს მთა ბუნებრივი მიჯნაა, რომელიც ყუბანს ტამანის ნახევარკუნძულისაგან ჰყოფს. გერმანელებმა აქ მთელი წელიწადი დაჰყვეს და ყოველნაირად გაამაგრეს ეს დიდმნიშვნელოვანი მაღლობი. მთის მისადგომებთან ამოთხრილი იყო მეტად ღრმა ტანკსაწინააღმდეგო თხრილი, შემდეგ იწყებოდა დანაღმული ველი მთის ძირამდის; აღმართის დასაწყისში რამდენიმე მწკრივად გაბმული იყო მავთულღობურები; მთის ფერდობები — სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით დაქსელილი იყო თანამედროვე თავდაცვის რთული სისტემით; ყოველი კლდე გამოყენებული

იყო საცეცხლე წერტილისათვის. ჰქონდათ ყოველგვარი იარაღი და მშენებელი არტილერია.

ამ შეჯავშნული მთის აღება ქართველ მეომრებს ხვდათ წილად. აქ ოთხი დღის განმავლობაში წარმოებულმა მწვავე ბრძოლამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ჩრდილოეთკავკასიის ფრონტის სამხედრო სამუკომ შენაერთის მოწოდებით მიმართა. კავკასიისათვის ბრძოლის უკანასკნელი ეტაპი დასასრულს უახლოვდებოდა.

27 სექტემბერს საღამოს პირველი ცეცხლი გახსნა ნიჭიერმა არტილერიისტმა, მაიორმა გაფრინდამვილიმა, რომელმაც დაღუპულ ივანე ფროლოვის ადგილი დაიკავა.

მეორე დღეს არტილერიამ და ნაღმსატყორცებმა გადახნეს გერმანელთა თავდაცვის მრავალი უბანი, მაგრამ გირლიანის ბუნავში შემწყვდელი მტერი თავს გააფთრებით იცავდა. მაშინ ამოქმედდნენ ჩვენი მძიმე ზარბაზნები. არმიის სარდალმა გენერალმა ლესელიძემ დივიზიას მიაშველა „კატიუშები“. გირლიანის მთას ცეცხლი ძოვდო.

მაიორ ჯაბაშვილის მესანგრეები დაიძრნენ ნაღმების ამოსაღებად, მათ კვალს მიჰყვნენ ქვეითები. მტერი აქა-იქ ამოჰყარეს სიმაგრეებიდან. პოდპოლკოვნიკ ანაგაძის პოლკი ღრმად შეიჭრა მტრის თავდაცვის სიღრმეში; ქანთარელისა და გორგაისძის პოლკებმაც წარმატება მოიპოვეს.

მიიწურა 28 სექტემბერი, დამთავრდა ცხარე ბრძოლის დღე.

მთელ ღამეს გრძელდებოდა სროლა და დაზვერვა... გათენებისთანავე კიდევ უფრო მეტის ძალით ამოქმედდა ჩვენი არტილერია. შენაერთის ნაწილები ამ დღეს რამდენჯერმე გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებას მიაღწიეს, რადგან რკინა-ბეტონის სიმაგრეებში

ჩამკდარი მტერი ჯერ კიდევ გატეხილი არ იყო.

29 სექტემბერს გერმანელებმა სამჯერ მიიტანეს იერიში შენაერთის მარჯვენა ფრთაზე, მაგრამ აქ პოლპოლკოვნიკ გორგაისკის მეომრებმა მტერს თავხედობა ანანეს.

შენაერთის მეთაურმა, პოლკოვნიკმა გიორგი ვაბრიელიშვილმა, რომელმაც ამ მღელვარე დღეებში ყველაზე უფრო მეტად გამოამჟღავნა თავისი მხედრული ნიჭი, 30 სექტემბერს ღამით მოაწყო ძალთა ნაწილობრივი გადაჯგუფება. ამ დღესაც ვაგრძელდა გააფთვებული ბრძოლა. გირლიანის მთაზე ნამდვილი ჯოჯოხეთი ბობოქრობდა, ირგვლივ თითქმის ყველაფერი გადათხრილი და გადამწვარი იყო.

გერმანელები მაინც პასუხობდნენ; ისინი ღრმა სანგრებსა და ბუნებრივ სიმაგრეებში ისხდნენ.

ოქტომბრის 1-ს, ვიდრე მთელი შენაერთი გადაწყვეტ შეტევასზე გადავიდოდა, ღამით მოეწყო მტრის ყველა სიმაგრის ყოველმხრივი დახვეწვა. პოლკოვნიკმა ვაბრიელიშვილმა გამოარქვია მოწინააღმდეგის სუსტი მხარეები.

იმავე ღამეს ქანთარელის პოლკის პირველი ბატალიონის მეთაურმა დავითულიანმა მიიღო ბრძანება, — შემოეწვლო მტრისათვის მარცხნიდან და გაერღვია მისი თავდაცვა მალღობ 88,1-ს რაიონში.

დავითულიანი საკვირველი ოსტატობით შეიპარა მტრის ზურგში, ასეულები ისე მიძვრებოდნენ, თითქოს ლანდები არიანო... წამოიშართნენ, მოულოდნელად დაჰკრეს მტერს. გერმანელები ჯერ დაიბნენ, მაგრამ შემდეგ თანდათან დარწმუნდნენ თავიანთი ძალების უპირატესობაში და კონტრიერშივე ვადმოვიდნენ. ამასთანავე მათ გაუვალი ცეცხლით გადალობეს ის გზა, რომლითაც დავითულიანის ბატალიონი მათ

მიეპარა. გაჩაღდა სისხლიანი ბრძოლა გარემოცულ ბატალიონსა და რიცხვობრივად ბევრად ძლიერ გერმანელებს შორის.

თავიანთ გამარჯვებაში დარწმუნებული გერმანელები წამოიშართნენ, ქართელებს ხელჩართული ბრძოლის მანძილზე მიუახლოვდნენ. მათ ვერ წარმოედგინათ, თუ გარემოცულნი რაიმე დახმარებას მიიღებდნენ. მაგრამ მოსტყუვდნენ: უფროსი ლეიტენანტი კვარაცხელია ტელეფონით დაუკავშირდა პოლკის სამეთაუროს, — სულ მალე ცეცხლის ოსტატმა კაპიტანმა ჯღარკავამ 76 მილიმეტრიან ბატარიით მიწაზე განართხო გერმანელები.

საოცარი იყო მტერს მთელი მიდამო ცეცხლის ქვეშ ჰქონდა მოქცეული დავინ შესძლო ტელეფონის ხაზის გაყვანა და შენარჩუნება?! ეს მოიმოქმედა მკვაშირეთა ოცეულის მეთაურმა, ახალგაზრდა ლეიტენანტმა ბასარიამ.

შეუპოვარმა დავითულიანმა არ დააყოვნა, დასძრა თავისი ვაკეცები. დასძახეს „ვაშა“ და ხელყუმბარებით, ბიშტებით ეკვეთნენ მტერს. ეს იყო საშინელი ხელჩართული ბრძოლა. გერმანელები ბევრად მეტნი იყვნენ, მაგრამ ქართველებმა მაინც აჯობეს მათ. აგერ 19 წლის კახელ ქაბუკს, სერჯანტ მათიაშვილს ხუთი გერმანელი შემოეხვია. ისინი ჰფიქრობდნენ ამ ახალგაზრდას ადვილად დავიმორჩილებთო, მაგრამ მათიაშვილი არ შეკრთა, ჯერ მტერს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მერე ელვასავით გამართა შპაგინის დამბაჩა და ერთი მეორის მიყოლებით ხუთივე იქვე დააწვინა...

ასე გადააყარეს გერმანელები მალღობიდან.

ქანთარელის მთელი პოლკი უკვე აღიოდა ზევით. ყოველმხრივ ეხმარებოდა მოწინავე ბატალიონს. კაპიტან ძიძავას ათასეული სწორედ იმ დროს

ეკვეთა მოწინააღმდეგეს, როცა იგი კონტრიერიში გადმოსვლას აპირებდა. ყოფილი მკედელი, ტანად დიდი და ძლიერი, უფროსი სერჯანტი ცაფა მე-ავტომატეთა ათეულით ისე სწრაფად შეიჭრა მტრის რიგებში, რომ გერმანელებს ზარი დაეცათ და უკუიქნენ...

ამავე დროს მთელი თავისი სიმძლავრით იერიში მიჰქონდა პოდპოლკოვნიკ ახაგაძის პოლკს. ბატალიონები თავიანთ უბნებში შეუპოვრად მიიწევდნენ წინ. უფროსმა ლეიტენანტმა ვოკუ-ლენკომ ისე დარაზმა თავისი ძალები, რომ მტერს ინიციატივა გამოსტაცა, რამდენიმე საციცხლე წერტი წაართვა და მომყოლ რაზმებს გზა გაუხსნა.

ამ დღეს მრავალთა შორის თავი ისახელა ლეიტენანტმა ჯაყელმა. ეს ალკასავით ტანადი ჰაბტუი თავის რაზმსაც კარგად ხელმძღვანელობდა და პირადადაც მამაცად იბრძოდა. მან მარჯვენდ მოქნიული ხელყუმბარით ნამსხვრევებად აქცია მტრის საზენიტო დანადგარი.

ბრძოლის ცეცხლში ახალი გმირები იბადებოდნენ. სხვა დროს არაფრით არ იპყრობდა განსაკუთრებულ ყურადღებას მებრძოლი ლომიაი, ჩვეულებრივი წითელარმიელი იყო. ახლა კი უიერად წამოიშრათა და მთელი ხმით შესძახა:

— ქართველებო, წინ!..

მოსწყდა ადგილს და ამხანაგები გაიყოლა, მტერს პირისპირ ეკვეთა.

მებრძოლი კვესელავა გერმანელთა სიმაგრესთან მიხობდა, საციცხლე წერტი ხელყუმბარით ააფეთქა, თვითონ კი სასიკედილოდ დაიჭრა. ამხანაგებმა მი-აშურეს უძრავად მწოლარეს. კვესელავამ მშვიდად მიანათა მეგობრებს ნალვლიანი თვალები და მტკიცე ხმით უთხრა:

— ჩემთვის ნუ ცდებით... გასწით, ბრძოლა განაგრძეთ...

შურისძიების ცეცხლი შემოენთოთ მეომრებს, მეგობრის თვალების უკა-

ნასკნელი სხივები გაიყოლიეს და მტრის-სანედ გაემართნენ წინ...

რკინა-ბეტონის სიმაგრეებში თუ ეფეთვარებული გერმანელები გააფთრებით იბრძოდნენ, მაგრამ ქართველები უკვე აღარაფრის წინაშე უკან აღარ იხევდნენ, არღვევდნენ მავთულლობურებს, აფთქებდნენ საციცხლე წერტიებს... უკვე შორს დარჩა ტანკაწინააღმდეგო ორმო და დანალმული ველი. ახაგაძის პოლკი მთის ცენტრში აიჭრა, ხოლო ქანთარელის მეომრები მარცხენა ფრთაზე გამაგრდნენ.

გერმანელებმა, რაკი ცენტრისა და მარცხენა ფრთის მიმართ კონტროლი დაკარგეს, გადააჯგუფეს ძალები და გადაწყვიტეს ყოველივე საშუალებით ჩაბლაუჭებოდნენ მთის იმ უბანს, რომელიც მიმართული იყო მარჯვენა ფრთაზე მყოფ გორგაისძის პოლკის პირისპირ.

ოსებ გორგაისძემ ჩვეულებისამებრ დინჯად გაითვალისწინა მტრის განზრახვა და გადამწყვეტი იერიშისათვის მზადებას შეუდგა.

მოწმენდილი ღამე იყო. მთის კალთებზე შავად მოსჩანდნენ ქვემეტთა ცეცხლისაგან ამოთხრილი და გაღარუჯული არეები. სროლა კანტი-კუნტად ისმოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდნენ დღის განმავლობაში განუწყვეტელ ჰეჰა-ქუხილს შეჩვეული მეომრები. ბევრს, ვინც ბრძოლას არ განაგრძობდა, საგუშაგოზე არ იღვბა, ან დასაზვერავად არ იყო წასული, მძიმედ ეძინა.

შალვა ყიფშიძის ბატალიონს ბუნებრივად მეტად ძნელად მისადგომი უბანი ჰქონდა გადალახული დასაწყისის პოზიციებზე იყო გამაგრებული. ბატალიონის სამეთაურო თავლია მიწურში იყო მოთავსებული. ოსებ გორგაისძემ, რომელიც შალვასთან იჯდა საიერიშო გეგმის შესადგენად, თავის აოველივით თეთრ თმაზე ხელი გადა-

ისეა და ცას ახედა. ვარსკვლავების შორმა ციმციმმა სიამე მოკვარა, ერთ წამს გონება შეასვენა, შემდეგ შალვას შიანათა თავისი ჩაქუფრებული თვალები და უყუყუანოდ სთქვა:

— ასე... დილის ხუთ საათზე... იერიში სამსონ ლომთაძის ასეულმა უნდა დაიწყოს... შემდეგ კი...

შალვასთვის პოლკის მეთაურის ეს დასვენა ბრძანება იყო, არც ჰქონდა რაიმე საწინააღმდეგო, ყველაფერი კარგად იყო მოსაზრებული, მაგრამ თავისდაუნებლიედ შუბლი მაინც შეიკრა.

„მუდამ, ყოველი სახიფათო ამოცანის გადაწყვეტა სამსონს უნდა დაევალოს. — გაიფიქრა გუნებაში:— ერთხელაც იქნება და კოკა წყალს არ მოიტანს... ამდენ ცეცხლში გამოიარა, ახლა რომ რამე მოუვიდეს... მაგრამ, — შეედავა მერე თავისთვის:— საქმისათვის უთუოდ სამსონი სჯობია“...

— დიახ, დილის ხუთ საათზე, — გაიმეორა შალვამ გორგაისძის ნათქვამი. — მე ახლავე მივალ სამსონთან...

მიდიოდა შალვა და სრულიადაც არა სურდა ეფიქრნა რაიმეზე, ერჩია გონება შეესვენებინა, თავისუფლად ესუნთქა ლამის გრილი ჰაერი, მაგრამ ფიქრი უნებლიედ აევლიტა. ირგვლივ ყველაფერს დაკვირვებით ათვალიერებდა, ხედავდა უცნაური ჩრდილებით დასერილ ფერდობს, რუხად აღმართულ კლდეს, რომელსაც გერმანელები ეფარებოდნენ, ხანდახან ცისკენაც აიხედავდა ხოლმე, მაგრამ შეწყვეტილი საგონებელი მაინც უცებ გზას იმოვნინდა, წინანდელს გადაებმებოდა.

„მაინც რა გაწუხებს? — შეეკითხა ბოლოს თავისთვის: — ვანა თავის დაზოგვავა, რომ მეთაურმა რაზმს გონიერად უხელმძღვანელოს და უაღაგო ალაგას არ გადაიჩხოს?... სწორია, სხვებს მაგალითი უნდა უჩვენოს, მაგრამ ხომ არის შემთხვევა, როდესაც კაცს ისეთ საქმეზე გზავნი, სადაც სიკე-

დილი თითქმის აღცილებელია?... მაშინ შენ თვითონ წადი... რა ჩიხუღუღეა, კაცი ომში დაბერდი ღმრთისმადლობა რომ?... მგონია, დაილაღე, ბიჭო, შენ, თავსაც უფრო უფრთხილდები... ცუდი ნიშანია ეს... მეომარს აღმასის გული უნდა ჰქონდეს... დაგავიწყდა ვეფას „კვი ყმა?“ „სხვისა იუბნოს სახელი, თავის გარჯასა ჰმაღაღდეს...“

სამსონს ეძინა. რამდენიმე წუთი აცალა შალვამ, მერე ხელი მხარზე შეახო. თითქოს არ სძინებოდეს, ისე ასწია სამსონმა თავი; ოდნავ აწითლებულ თვალებში ემჩნეოდა, რომ გამოძინებული არ იყო. მაინც მკვირცხლად წამოიკადა, მახლობლად მწოლარე დავითჯანიაის და კოლია ბარბაქაძეს ისე გარდახედა, ეტყობოდა, არა სურდა მათთვის ძილი დაეფრთხო.

— დილის ხუთ საათზე... — დაიწყო შალვამ.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა სამსონმა და წამოდგა; შალვა საუბრით გააცილა.

მართა რომ დარჩა, უნდოდა გუნებაში იმ სიმღერის კილო ჩაელიდინებინა, რომელიც ბავშვობაში ყველაზე ადრე შეითვისა. ეს ამ ბოლო დროს დასჩემდა. გაიხსენებდა თანშეზრდილ ჰანვს და ასე ეგონა — ირგვლივ მშობლებური სოფლის შემოგარენი აღიმართებოდნენ; ქედები ქედებს მხრებს დაუშვვენებდნენ, შორეული მწვერვალები შემოანათებდნენ თავისი უბიწო ელფერიით... ხანდახან ეღვასავით გაჰკრავდა აზრი: „იქნება ველარ დაებრუნდე, აქეთ ჩაგრე სადმე“... წამსვე შეწყვეტდა ფიქრს, შუბლს შეიკრავდა და მრისხანედ მიმოიხედავდა. რამდენადაც მწევე იყო იმის წარმოდგენა, რომ ველარ ნახავდა ვერც ღელას, ვერც ეთერს, იმდენად უფრო იპყრობდა მტრის განადკურების ყინი, შშავდებოდა, მხად იყო უცხლად ანთებულყო მტრის ბანაკის გადასაწვავად. ესენი, ეს კაცთმოძულე-

ნი, ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრები, კლდის მიღმა რომ არიან ახლა ჩასაფრებული, სამსონის მოსისხლე მტრებზე არიან. ისე ვერასოდეს ვერ მოისვენებს სამსონი, თუ მათ საბოლოო ანგარიში არ გაუსწორა. ეს მოსწრაფება ძალას მატებდა, ხანდახან ისეთ ფატიურაყიან ბრძოლას მოაგებინებდა, რომ შემდეგ თვითონაც უკვირდა.

„ეს იერიში ყველაზე ძნელი იქნება“, დაასვენა ლილინის ნაცვლად და ასეულის წინ აღმართული ფერდობი და კლდე შეათვალა. „ოცი კაციც არ შემრჩება ცოცხალი, — განაგრძო ფიქრი, — თუ მე თვითონ, ჩემი თვალით არ გამოვარკვევ ფარული საცეცხლე წერტები... შეიძლება ისეთ ხაფანგს წავაწყდე...“

ფიქრი არ დაამთავრა, რადგან უნებლიედ ისევ იმ აზრმა გაუღება, — „მეღარ დაებრუნდე“...

თავისი თანაშემწე გამოიხმო, დავალება მისცა, მერე მზვერავის სამოსი ჩაიცვა, მოლისფერი, შეიჭურვა და გზას გაუდგა.

კლდის ძირთან მიხობდა, ქვის ნამსხვრევებს გვერდი შეუარა, ციკაბო აღმართთან შედგა. „აქამდე აღვილია, — ფიქრობდა უკვე გაოფლიანებული სამსონი, — საქმე აქედან ასეა...“

ფერდობი ხელით მოშინჯა, აუჩქარებლად აპყვა; ცდილობდა, გული ძალიან არ დაეტვირთა, რომ მოულოდნელ შემთხვევაში ძალონეს არ ეღალატა.

დაღარულ ქანებს ასცილდა, ხმელ ბალახზე შეისვენა. მერე ოდნავ წამოიშართა და არე დაათვალა. აქ სადღაც გერმანელების თავშესაფარი იქნება უთუოდ... არა სჩანს...

მარჯვნივ გახობდა, რომ ფრიალო კლდისთვის შემოეკლო. რამდენიმე მეტრი წაიწია წინ და უცებ მიწას გაეკრა. რა იყო? ხომ არ მოეჩვენა? იქვე, სულ რამდენიმე ნაბიჯზე, მარტოოდენ

თვალეში დაინახა, არც სახე, არც ჩარალი. უთუოდ შენიშნა ხამსრევი და: ხსლად ელის, როდის ასწევს მზესს ჩამსს ატუდენლად ესროლოს.

უკან დაეცოდა, აეტომატი მოიშარჯვა. ახლა აქ სროლის ატება საქმის დაღუპვაა, მაგრამ თუ თავს წამოადგა, სხვა გამოსავალი არაა... დააყურა... სადღაც შორს ისმოდა სროლა, მახლობლად კი უცნაური ღუმილი იყო... აგერ ზელმარცხნივ გაფართუნდა რაღაც... ოდნავ ასწია თავი, დაწყურული თვალეებით მოჩხრიკა არე. აჰა, აგერ მოცურავს. არც მას უნდა ასტეხოს სროლა და საცეცხლე წერტი გამოამეტლავნოს. „ვინ იცის, რა ღონის კაცია, — გაიფიქრა უცებ, მაგრამ უმაღვე გაითვალისწინა, რომ უკანდახვევა ნამდვილი სიკვდილი იყო, რადგან გერმანელი უკვე თავს წამოადგა. ახლაც მხოლოდ თვალეებს ხედავს სამსონი; რაღაც მოლურჯო შუქი გამოკრთის თითქო იმ თვალეებიდან, სამართებელივით ბასრი და მომწუსხავი. სამსონი ვერ ამჩნევს, რომ თვითონაც თვალი გაუშტერდა და დაუხამხამებლად იპერს მტრის თვალეების უცნაურ შუქს, თითქო ფარი შეაგებაო სასიკვდილოდ მოქნეულ ხმაღს. მარცხენა იდაყუზე იყო დაბჯენილი სამსონი, მარჯვენა ხელი მოღზე ეღო აეტომატთან ერთად. უცნაური გამაღუებით მეშაობდა ამ წაშს მისი გონება. რა არ გაიფიქრა: „მარტოა, ეყეკეობს, ცოცხლად უნდა დამიჭიროს... რა, ვითომ აქ უნდა დავრჩე სამუღამოდ?.. დანის ამოღება თუ მოვასწარი... ჯერ არ გავინძრევი, ვაცლი... მგონი თვალი დაახამხამა...“

არავითარი ხმაური არ ესმოდა ახლა სამსონს, თითქოს მთელ ქვეყნიერების მიღმა იმყოფებოდა; მარტოოდენ მობირდაპირის თვალეებში იტყირებოდა და არ უკვირდა, რომ იგინი ზღვასავით ფართოვდებოდნენ და ღრმავდებოდნენ, რადგან ნაპირსაც სწვდებოდა და სიღრ-

მესაც. შინაგანი ხმა უკარანახებდა, რომ მათ შორის ერთერთის ბედი იმ მომენტამდის წყდებოდა, ვიდრე ერთმანეთს ხელით შეეხებოდნენ. „უკეთესი პოზიცია უჭირავს, მაგრამ მაინც მან დაიწყოს, ძალ-ღონეს დავზოგავ... ვერ მოგართვი? შენ გინდა, მე წამოვიწიო და შენ მზად დამხვდე, არა, ისევ შენ დაიწყე, მე აქა ვარ“...

ამ უკანასკნელმა ფიქრმა სიმშვიდე და ძალღონე შემატა სამსონს, თავისი სულიერი უპირატესობა იგრძნო. აგერ მეორეჯერ დაახამხამა თვალი გერმანელმა, სამსონს კი ერთხელაც არ შეუჩხვია თავისი გამკვალავი მზერა...

ანახლად საკვირველი ხმა გაისმა, არც კენესა, არც ამოხვნეშა, და გერმანელმა ისეუბა.

რამდენიმე გეგმა ჰქონდა სამსონს, მაგრამ იმ წამს არცერთი არ გამოადგა, ვერც დანის ამოღება მოასწრო, ვერც ისე წამოიმართა, რომ მტერი მხარზე მოეგდო და ქვეშ მოექცია. ამის მაგივრად მარჯვენა ხელი ყელში შეასწრო; ეს იყო წარმოუდგენელად სწრაფი კვეთება, ისეთი სწრაფი და ძლიერი, რომ სულშებუთული მოპირდაპირე უცებ მოეშვა; დიდრონი მკლავები დაუსუსტდა, მხოლოდ მუხლი დააჭირა სამსონს ბარბაქუზე ისე მძიმედ, რომ ძვალი კინალამ გაუტეხა.

შინაგანმა ხმამ აგრძნობინა სამსონს თავისი უპირატესობა, მძლავრად შეტრიალდა და მტერი გადითრია; ამ დროს იგრძნო, რომ მისი ხორხი რეზინასავით მოემწყვდებოდა თითებში; ამიტომ სხვა აღარაფერი იყო საჭირო, მხოლოდ ახლა თვითონ დაადგა მუხლი მკერდზე და თითებს კიდევ უფრო მეტი ძალა მისცა.

მალე მუხლს ქვეშ რამდენჯერმე იგრძნო კრუნჩხვა, მიხვდა, რომ მტერმა სული დალია; მუხლი შეუშვა, თითები ძლივს გაშალა, მარცხენა ხელით დაი-

ჭილა; ოდნავ განზე გაიწია და დაჯდა. თავისი გულის ძველა შემოესმა; მკვდარს ზიზლით თვალთვალავდა თეები ბალახზე გაიწმინდა. უცნაური მარტოობა იგრძნო. თითქოს მის მიღმა იყო ორი ქვეყანა, ერთი მის გვერდით მდებარე უსულო კაცისა, მასავით ცივი და ზიზლის მომგვრელი; ხოლო მეორე — მთელი ეს ცისქვეშეთი, სადაც სამსონს უკვე გზა გახსნილი ჰქონდა.

ავტომატი აიღო და ზვეერვა განაგრძო. კიდევ ერთი ფარული საციცხლე წერტილი აღმოაჩინა. ახლა საცესებით ნათელი იყო, თუ როგორ უნდა ეწარმოებინა დილით იერიში. ფრთხილად დაეშვა უკან. გუნება თანდათან დაეშვიძებოდა, მაგრამ ხანდახან მაინც უნებლიედ მოაგონდებოდა დამხრჩვალი გერმანელი და შუბლს შეიკრავდა, თავის გაქნევით მოიშორებდა ამ აბეზარ ლანდს.

მიწურში რომ ჩავიდა, კოლია ბარბაქაძე გააღვიძა.

— კოლია, მიშველე, თუ ძმა ხარ, მგელივით მშობა.

ბარბაქაძემ თვალები ამოიფლქინა და სამსონი დაკვირვებით შეათვალიერა.

— შორს თუ მიხვიდოდი, ვერ გამაღვიძებ? — უსაყვედურა კოლიამ. — ან რა საჭირო იყო ახლა შენი წასვლა, ჩვენ აგერ არ ვართ?..

— აბა, აბა, ნუ ბუზღუნობ, თუ კაცი ხარ! დროზე მომე თუ რამე გაქვს.

— ახლავე, სამსონ, — შესცვალა კოლი ბარბაქაძემ. კუთხეში მივიდა, ხალთა გახსნა, კონსერვი და პური ამოიღო, ერთი თავი ხახვიც მიაცოლა, სამსონს საჭმელი წინ გაუშალა, მერე თავისი ყანწი მოიხსნა, მათარიდან არაყი ჩაასხა და სამსონს გაუწოდა.

— ჯერ ეს დალიე, სამსონ, გეტყობა დალილი ხარ და გამოგაცოცხლებს, გულს დაგიწმენდს... მაინც რაღა გეკადრება, შე კაცო, ასე რომ გაპარულ-

ხარ! დავითს რომ გაეგო, აქანე არ დამაყენებდა...

სამსონი ისე ილუკმებოდა, თითქოს იმ დღეს არაფერი ექამოს; კოლიას არაყი ერთხელ კიდევ დაასხმევინა. ბოლოს ფეხები გაშალა და ზურგიით მიწაზე მიწვა. საათს დაჰხედა. იერიშის დაწყებამდე ორმოცდახუთი წუთი დარჩენილიყო. თამბაქო სქლად გაახვია, მოუყიდა ხელმოფარებულად და კვამლი ღრმად შეისუნთქა. ისვენებდა, არაფერზე არ ფიქრობდა. ხოლო თუ ხანდახან გაუელვებდა გონებაში რომელიმე სახე ან აზრი, არ მიჰყვებოდა, არ აყვირდებოდა; მეტად დიდი სიმძიმე ჰქონდა მოხსნილი მხრებიდან, მალე კიდევ უფრო დიდი განსაცდელი მოელოდა, ამიტომ ერჩია არაფრისთვის არ მიექცია ყურადღება, არც მძინარე ამხანაგებისათვის, არც კოლიასთვის, რომელმაც იგრძნო სამსონის განწყობილება და საუბრით აღარ აწუხებდა, არც ცისა და ვარსკვლავებისათვის; განმარტოვებულყო თავის თავთან და ქვეყნისთვის ისე ემზირნა, თითქო მასში სამუდამოდ მიკეთვებული ჰქონდეს ეს მცირე სევანე...

დავით ჯანაიამ თვალი გაახილა, შეკურვილი ბარბაქაძე დაინახა, მყისვე მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს და ფიცხლად ადგა.

— იწყება? — შეეკითხა ბარბაქაძეს.

— გულთმისანი ხარ ნამდვილად. — უბასუხა კოლიამ.

თვალდახუჭული სამსონი უცებ შეკრთა, თავი ასწია, საათს დახედა.

— აბა, ბიჭებო, დროა.— ჩაილაპარაკა და წამოხტა.

სრულ ხუთ საათზე გაუძღვა თავის ასეულს. პოლკის მთელმა საბრძოლო შემადგენლობამ მოიერიშეებს გრივალისებური ცეცხლით დაუქირა მხარი.

სამსონმა დავით ჯანაია და კიდევ რამდენიმე მებრძოლი გაიყოლია, მის მიერ ღამით აღმოჩენილ საცეცხლე

წერტებს შემოუარა და ხელყუმბარებით მოსპო ისინი. ამის შემდეგ ასეული აიჭრა მალღობზე და განუხრებლად ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. ამ დროს წამოეშველა მათ შალვა ყიდშიძე თავისი ბატალიონით. მალე მთელი პოლკი აპყვა ბრძოლით ფერდობებს. ქანთარელისა და ანავაძის მეომრებიც ეკვეთნენ მტერს. გორგაისძის პოლკმა მთის თხემისაკენ გზა გაიკაფა. გასწორდა შენაერთის საბრძოლო ხაზი...

ღამდებოდა. გერმანელებისაგან თითქმის საესეებით გაშენდილ გირლიანის მთას მწუხრის გამსჭვირვალე მარმაში ეხვეოდა. ქვევით, ზღვისაკენ კი შილტაის ღიმიანი ბრწყინავდა. ტამანი-საკენ გზა გახსნილი იყო.

მუდამ საამაყო იქნება ჩვენთვის, რომ 1943 წლის ოქტომბრის 2-ს ქართველმა მეომრებმა საბოლოოდ გასტეხეს რკინაბეტონის სიმაგრეებში ჩამსხდარი გულზვიადი გერმანელები და გირლიანის მთის მწვერვალზე გამარჯვების დროშა აღმართეს.

ღამდებოდა, მწუხრი ეფინებოდა მთის ფერდობებს, გადაშფარსა და გადახსულს; ხანდახან ცალკეული სროლის ხმა ისმოდა. დივიზიის ნაწილები სპობდნენ აქა-იქ დარჩენილ მოწინააღმდეგეს, რომელთაც ჯერ კიდევ იარაღი არადაეყარათ.

XXII

ლ ხ ი ნ ი

ოქტომბრის ცხრას, როდესაც ტამანის ნახევარკუნძული განთავისუფლებული იყო, ქართველი მეომრები ღამით, შესვენების დროს, მთელ სამშობლოსთან ერთად ისმენდნენ სტალინის ბრძანებას:

„საბოლოოდ ლიკვიდირებულია გერმანელთა ოპერატიულად მნიშვნელოვანი პლაცდარმი ყუბანში, პლაცდარმი,

რომელიც უზრუნველყოფდა მათთვის ყირიმის დაცვას და კავკასიისაკენ შეტევილი მოქმედების შესაძლებლობას...
 ამ ბრძანებაში ქართველი მეომრებიც იყვნენ მოხსენებული; შენაერთს ანაპის საზღელი მიენიჭა.

მეორე დღეს სიმღერით მიიმართებოდნენ ქალაქისაკენ. კოლია ბარბაქაძესთან ერთად დავით ჯანაიასაც შეეწყო ხმა მომღერლებისათვის. ასეულის წინ მიმავალ სამსონს თვალები ძველებურად უბრწყინავდა, ხოლო შალვა ყიფშიძე კვლავ კოხტად იყო გამოწყობილი.

დაბანაკდნენ. ახალი ბრძოლისთვის მზადებას შეუდგნენ. ამის შემდეგ შენაერთი ზღვისპირის არმიას შეეკადა.



ბრძოლის დღეებში მედიკურ-სანიტარული ბატალიონი საუშუაოს ძლივს აუღიოდა; ხანდახან იმდენი დაჭრილი მოჰყავდათ, რომ მოსათავსებელი ადგილიც არა ყოფნიდათ.

ეთერი მიმღებ-განმანაწილებელში მუშაობდა, ხოლო ქეთო და მარიკა ნაკაძე ექიმ მინდიაშვილს ეხმარებოდნენ ოპერაციების დროს.

თუმცა წინანდებურად აღარ მოქმედებდა ეთერზე ახალ-ახალი დაჭრილის მძაფრი ნაღველით შეეკუმშული სახეები, ადამიანური ტკივილებისა და წუხილის ათასგვარ მოვლენას შეაჩვია თვალის, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც იტანჯებოდა, თავის მიერ გამოვლილი წამება აგონდებოდა; ხანდახან ისეთ გუნებაზე დგებოდა, რომ რამენაირად ერთი წამით გარეთ უნდა

გასულიყო, სული მოეთქვა, თუკი შეესვენებინა.

მოაგონდებოდა ამ ვიწროსა და ვიწროს, იცოდა, რა სასტიკ ბრძოლაში იმყოფებოდა და... საოცარია, შიში როდი შეიპყრობდა, თითქო ეს გრძნობა მასზე უკვე აღარ მოქმედებდა, გაცვდა ამდენ მოლოდინში, — ის სევდა დაუძძობდებოდა, რომელიც დღისითა და ღამით აღარ შორდებოდა. რამდენჯერმე ჰქონდა შესაძლებლობა ეცნობებინა სამსონისათვის, რომ მედსანბატში იმყოფებოდა, მაგრამ არ ისურვა, დეე ამ ცხარე იერიშების დროს სხვაზე ნურაფერზე ნუ იფიქრებსო, გადასწყვიტა გუნებაში.

ერთ დღეს სამსონის ასეულიდან დაჭრილი მოიყვანეს, ოცდა სამი წლის ქაბუჯი, შავთვალწარბა, გურული იყო, სევერიანე ერქვა.

ექიმმა კრილობა გაუსინჯა და წამსვე დაასვენა, რომ მარჯვენა ფეხი იმ ღამესვე უნდა მოეჭრათ საოპერაციოში. ეთერმა ქაბუჯის შემკრთალი გამოიჩვენა დაიჭირა და შეეცოდა, შუბლზე ზელი გადაუსვა, გაესაუბრა.

— რომელი პოლიდან ხარ? — შეეკითხა სევერიანეს.

— გორგაისძის... ჩვენი მოიერიშე ასეულის მეთაური სამსონ ლომთაძეა.

— სამსონი? როგორაა?

— კაეივითაა... რაი რა, ცოდვა კია, მაგისტანა ვაეკაცს რომ რამე მოუვიდეს! ჩვენს ბატალიონში ასეთი გამბედავი და მცოდნე ლეიტენანტი ერთი არაა. რა ტუცხლში არ შედის: გგონია, დეილუბა ყველაფერი, საშველი არაა, მარა შენც არ მომიცდე, უცებ ჩამოუქროლებს ქორივით.. ამიტომაა, ყველა სახიფათო საქმეს ჩვენ გვაჯალბდენ...

სევერიანე საოპერაციოში წაიყვანეს; ეთერს მეტი დაჭრილი არა ჰყავდა და ჩვეულებისამებრ აივანზე გავიდა. სექტემბრის გრილი ღამე იყო; მთვარე თითქო გამჰვირვალე ლეჩაქს

იხსნიდა და სტოვებდა ცის კაბადონზე, ისე აღჩქარებლად მისცურავდა თეთრი ღრუბლების ფენებიდან კრიალა ლაქვარდისაკენ.

სევერიანეს ნაამბობმა მეტის-მეტად გაუცხოველა ნატვრა ეთერს. რაც ხანი გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა სამსონი მის თვალში. ხანდახან თითქო მღუწვედომელ სიმაღლეზე აღიოდა.

ახლა სრულიად არ მოელოდა, ისე აღეძრა ფიქრი: „ვאי თუ ვერ მივყვე ბოლომდე“... თავი გაიქნია, მაგრამ ხელი მაინც უნებლიეთ ასწია და მკერდზე, მარჯვენა მხარეს, მოსინჯა ნაპრილობევი. რამდენი ხანია დაძლია ეს გრძნობა და ახლა საიდან წამოჰყო თავი? განა ვისმეს ჩამორჩება მუშაობაში? ან... „არა, თავს ნუ იტყუებ, გამოტყდი, რომ ინვალიდი ხარ, — განაგრძო ფიქრი. — განა რამდენჯერმე არ დაგარიგა ექიმმა — შენს დაზიანებულ ფილტვებს საგანგებო მეურნალობა სჭირდებაო?.. არაფერიც! — გაუჯავრდა თავის თავს. — ძალიან კარგად ვარ. ოღონდ“...

და კვლავ სევერიანეს ნაამბობის მიხედვით გაჰხედა ბრძოლის ველს. სამსონი საშინელ ცეცხლში დაინახა... უცებ მოსწყურდა, კვლავ ენახა საოპერაციოში წაყვანილი ჭაბუკი, რადგან იგი აგერ ახლა იყო სამსონთან, მასთან ერთად იბრძოდა.

კარი ფრთხილად შეიღო. საოპერაციო ფართო დარბაზში იყო. შუაში აღდა მალალი მაგიდა, კუთხეში პატარა სუფრაზე სადოსტაქრო ხარალები, წამლებიანი შუშები, მარლა და ბამბა ელაგა.

სევერიანეს სახეზე ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. მალალი, მხრებგამოლილი ქირურგი მინდიაშვილი ოდნავ დახრილიყო და სევერიანეს მუხლს ზემოდ წამალს უშხაპუნებდა, რომ მოკვეთის დროს ტკივილი არ ეგრძნო. იქვე იყვნენ ქეთო და მარიკა, სახეზე

დოლბანდი ჰქონდათ აფარებულნი, მარტოოდენ თვალები უჩინდნენ.

მინდიაშვილს ვანუწყვეტელი მუშაობისაგან ფართო სახეზე სიყვეთლედ შეჰპარვოდა, თვალთაგან კი ის საზრი გამოკრთოდა, რომელიც თითქო გეუბნება, რომ არ არსებობს ისეთი ადამიანური წუხილი და ტკივილი, რომელიც მას თავის არსებაში არ გაეტარებინოს.

ქეთომ მყისვე შეანათა ეთერს თავისი ცისფერი თვალები; ოდნავ თითქო კიდევაც გაუღიმა. ეთერმა ახლა იცოდა, თუ რა დიდი ცვლილება მოხდა მისი მეგობრის ცხოვრებაში, როგორ ააყვავა შალვა ყიფშიძის მიერ გაზიარებულმა სიყვარულმა, მაგრამ მაინც აკვირვებდა მისი დაუცხრომელი ხალისი და ყოვლად შეუვალი იმედი. „იცი, დაიკო, რას გეტყვი? — უთხრა ერთხელ ეთერს. — ხომ მუდამ ცეცხლშია შალვა, ეს ომიც როდის დამთავრდება, კაცმა არ იცის, მაგრამ აგერ, როგორც შენ გხედავ, ისე მწამს, რომ შალვა ცოცხალი მეყოლება“...

რა დიდებულთა, ადამიანს რომ ასეთი რწმენა ექნება... ეთერს კი... საიდან გაუჩნდა გულში ამ ბოლოს ეს მღრღნელი ჭია? რატომ მოეჩვენება ხანდახან, თითქო სამსონი რომელიც მალლობის ასაღებად მიიმართება და უცებ მოკვეთილივით დაეცემა?.. აზრალაც არ უნდა გაიტაროს ასეთი რამ, ქეთოს უნდა მიბაძოს... მარიკასაც... განა იმაზე დიდი უბედურება იქნება, მარიკამ რომ გამოიარა? ქმარი დამარხა, შვილიც არა ჰყავს, დარჩა ასე მარტო... მაგრამ აბა შეხედე, როგორ მუშაობს.. მაგის შესვენება დღელამეში რამდენიმე საათი ძილია, დანარჩენ დროს უქმად ვერ ნახავ; ან საოპერაციოშია, ან ვინმეს უვლის... სახეზე კი არ შორდება ის ქრთნირი ნაღველი; ასე გეგონება, მასში რაღაცა გაქვავებულია, ისეთ სიმძიმედ ქვე



ეროვნული
განმანათლებელი

ულა, რომლისაგან თავს ვერასოდეს ვერ გაითავისუფლებსო...

მარიკამ თავი ასწია, ეთერს მიაჯკერდა. იქნება იმიტომ უმზერს მეგობარს ასე ხანგრძლივად, რომ სევერიანეს დამსხვრეულმა ფეხმა გული შეუწყუხა და ახლა სურს თვალი შეასვენოს. „რა წაევიდა ამ ციკას, — გაიფიქრა მარიკამ: — აღამიანის ფერი აღარა აქვს! სულ შეწყუხებულია, მარა ახლა მაინც“...

ეთერმა ზეწარი ასწია, სევერიანეს სახეზე დაჰხედა. ჰაბუკმა ფართო თვალები დაახამხამა, მერე ეთერს შეაჯკერდა მრავალმეტყველად. მართლაც, რამდენი რამ გამოსჰვივოდა საოპერაციო მაგიდაზე მწოლარე მეომრის ამ გამოხედვაში: მადლობა, რომ ეთერი მივიდა და ნახა, მისი წუხილი გაიზიარა; ძალზე მტკიცე ნებისყოფა, რომ ტკივილსა და უსასოო წარმოსახვას არ აპყროლოდა, თავი არ შეერცხვინა; რაინდული თავდადება, იქნებ ოდნავ გულუბრყვილო: აი ხომ ხედავთ, სამშობლოსათვის არაფერს არ ვიშურებ, თუ საჭიროება მოითხოვს, სიცოცხლესაც კი შეგწირავო.

ეთერმა ეს იგრძნო, ხელი შეუთრთოლდა, ზეწარი იმ დროს დაუშვა, როცა ქირურგი უკვე შეუდგა გასივებული ხორცის კრას.

რამდენი რამ უნახავს ეთერს ამ ომის განმავლობაში, მაგრამ ასეთი გრძნობა მხოლოდ რამდენჯერმე თუ აღძვრია: ჰაბუკს სახეზე ზეწარი რომ დააფარა, მოეჩვენა, თითქო იმ ზეწარის ქვეშ უცნაური ქვეყანა მიიმალა; კაცმა არ იცის, რა ხდება ახლა იქ... გული თითქო ყელთან მოაწვა ეთერს, აჩქარებულად გავიდა აივანზე, სული მოითქვა. ირგვლივ საამო სიმშვიდე სუფევდა. გულმა კიშკარზე მიეყრდნო ზურგი, მაშხანას დასწოლოდა, არ ეძინა, ისევე გარინდული იყო, როგორც ამ მთავარიანი ღამის დუმილი.

ოქტომბრის მიწურულში კოლია ბარბაქაძემ პატარა წვეულება გამართა. მთელი ორი კვირა ემზადებოდა კოლია ამ დღისათვის. ერთხელ სამსონისაგან საყვედურიც კი მიიღო: თავში მეტი არაფერი გაქვსო, საბრძოლო სწავლებას ყურადღებას არ აქცევო. ბარბაქაძემ ეს საყვედური არაფრად მიიჩნია, მხოლოდ დავით ჯანაიას უთხრა ერთხელ:

— რავე ფიქრობ ახლა შენ, კოლია ბარბაქაძე მშიერი, თუ მოწყურებული? მე მაგენისთვის ვცდილობ, მარა ვინ დაგვიფასებს...

მაქარი თვითონ დააყენა კოლიამ. იმ დროს კოლმეურნობაში იღვწენ და ყურძენი ბლომად ჰქონდათ. დვინო მაინცდამაინც კარგი არ დადგათ, სწულდა კოლია, და ცდილობდა ძველი წამომატებინა. სანოვავე საკმაოდ მოიმაზრა. მზარეული შესანიშნავი ჰყავდა, — ნესტორ ირემაძე; ზოლო თუ სადმე კაცის გაგზავნა იყო საჭირო, ვალიკო წულაძე ერთ საათში ცხრა მთას მოივლიდა.

იმ დღეს, დილით რომ გარეთ გამოვიდა კოლია და ამომავალი მზე დაინახა, ისე გაეხარდა, თითქო თავის სახლში ჰყოლოდეს სტუმრები მიწვეული და კარგი ამინდი დასწრებოდეს. ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა, ბინაც საუკეთესო იყო: ზღვის მახლობლად იდგა მშვენიერ ბაღში. შორიდან მომსვლელი მხოლოდ ეთერი, ქეთო და მარიკა იყო; პოლკის მეთაური — იოსებ გორგაისძეც ცოტა მოშორებით იმყოფებოდა, დანარჩენები აქ იყვნენ, ბატალიონში.

შალვა ყიფშიძემ საქმე აღრე მოითავა; ახლა ბატალიონის სამეთაუროში იჯდა, გაზეთის ჰკითხულობდა, თან ფანჯრიდან გზისაკენ მაღიმაღ იხედე-

ბოლა, რადგან იცოდა — საცაა ქეთო ღნდა გამოიჩინილიყო. ბოლოს მოლოდინი აღსრულდა, შორს მოჰყრა თვალი და წამსვე ადგა, შესაგებებლად გაემართა.

ერთი შეხედვით შალვა თითქოს სრულიად არ შეცვლილიყო: სამოსი ტანზე კოხტად ადგა მაღალსა და მკერდშემართულს; სახეზე კვლავ მზე მოჰკიდებოდა და თავისებური ვაეკაცური ეშხი შეენოდა, ხოლო თუ დააკვირდებოდით, იგრძნობდით იმ სიღინჯესა და ღვაწლმოსილ სიღარბისლეს, რომელიც მრავალ ჭირში გამოვლილ კაცს სჩვევია ხოლმე. საფეთქელთან შეპარული ჰალარა და რამდენიმე ნაოჭი შუბლსა და ღაწვებზე მოწმობდნენ აგრეთვე, თუ რა ცეცხლში იყო გამოვლილი, რა ტკივილები ჰქონდა გადატანილი.

ქეთო დღეს მხედრულად არ იყო მორთული, სამოქალაქო სამოსი ეცვა, მეტად სადა, მაგრამ ძალიან კი უხდებოდა. თავისი არ იყო, ამხანაგისაგან ითხოვა ეს ერთიანი კაბა, გულამოკრილი, მაგრამ ტანზე ლამაზად ჰქონდა შემოგარსული; წაღების ნაცვლად კოხტა ფეხსაცმელები ეცვა და გამჟღავნებულ წინდები. ისე მსუბუქად მიეშურებოდა შალვასკენ, თითქო გაფრენას ღამობსო; აშკარად ემჩნეოდა, რომ მთელი მისი არსება, გულის ყოველი ფეთქვა შალვასაკენ მიისწრაფოდა. რამდენი მძიმე დამე ათია, რამდენი დაქრილისა და მომაცდადის წუხილი მოისმინა, რამდენჯერ გაუფლავა თვალწინ საფრთხემ და მწუხარებით გაიფიქრა: ვინ იცის, შალვა ახლა რა დღეშიაო, მაგრამ ამ შეხვედრის იმედი არასოდეს არ დაუკარგავს; საშინელ ქარცეცხლში გამობრძმედილი რწმენით ელოდა ამ წამს, და ამიტომ იყო ახლა მისი სახე ასე განათებული.

რა დიდი რამ ჰქონდა სათქმელი, რამდენ საალერსო სიტყვას იგონებდა

ჩუმად, როცა მარტოდ დარჩებოდა, მაგრამ ახლა, შალვას უკრემ ემთხვევია, მეტყველების უნარი მდგომარეობაშია და ნეტარების ცრემლისაგან გაბრწყინებული თვალებით შეაკეკრდა შალვას.

ქალი ვაეს მხრებამდის სწვდებოდა; ამიტომ შალვამ რომ მკლავი მოხვია და ჰიშკრისაკენ გაიყოლია, ქეთო თითქო მისი ფრთის ქვეშ შეიმალა.



სამსონმა მეცადინეობა დაამთავრა, ხელპირი დაიბანა, ოფიცრის ახალი სამოსი ჩაიცვა. ისევ ის იყო, ფოლადიანი ვაეკაცის იერი შეენოდა, მხოლოდ ახლა უფრო წრთობილი იყო მთელი მისი გამომეტყველება; მზისაგან დამწვარი სახე კალაბატკის შემდეგ კვლავ შეესებოდა.

რამდენიმე დღეა იცის, რომ ეთერი უნდა მოვიდეს, ბრძოლის დამთავრების შემდეგ მისგან ორი წერილიც მიიღო, მაგრამ ახლა, ტანისამოსი რომ ჩაიცვა და უსაქმოდ დარჩა, მღელვარებამ აიტანა, თითქო ამ წამს ჩაწვდა სავსებით, თუ რა დიდი ნატერა უსრულდებოდა. უცებ ექვიც კი დაეზადა: ნუთუ შესაძლებელია იმ ქარცეცხლის შემდეგ, რაშიაც მან გამოიარა, ასეთი ბედნიერება ეწვიოს?! მაგრამ ეს გრძნობა მყისვე მოიშორა, მიხვდა, რომ სწორედ ეს ჭირნახულობა და დიდი გამარჯვება ანიჭებდა მას ისეთ სიხარულს, რომელსაც ადამიანი იშვიათად მიიღწევს ხოლმე.

ეზოში გავიდა, დეკორაციული მცენარეებისაკენ შეუხვია. მერე ისევ ჰიშკრისაკენ გაემართა. ვერ ისვენებდა. ხანდახან უნდოდა თავისი თავისათვის ესაყვედურნა: ეთერი მოდის და შენ კი ასე გულგრილად ხარო. თანაც ირგვლივ მიმოიხედავდა და უკვირდა, რომ არაფერი არ შეცვლილიყო, ყვე-

ლაფერი ძველებურად გამოიყურებოდა: გზაზე მანქანები მიმოსრიალებდნენ; მზის შუქით გაბრწყინებული წიწვნიანი მცენარეები ჩვეულებრივად იდგნენ თავისთვის; ზღვის შუქლურჯი ზედაპირიც ისე ლივლივებდა, როგორც ყოველთვის მზიან დღეში.

ბოლოს მღელვარების დასაცხრომად სცადა წარმოედგინა, თუ როგორ გამოიყურებოდა ახლა ეთერი, მაგრამ თვალწინ ის ბადრი სახე ედგა უცვლელად, რომელიც დიდხანია შეითვისა მთელი არსებით; ხანდახან მოაგონებოდა ის ფერმკრთალი და კაეშნიანი სახე, დაკრილი რომ ნახა უკანასკნელად ბაქსანის ხეობაში, ხან იმასაც გაითვალისწინებდა, თუ რა მძიმე ავადმყოფობა გამოიარა ეთერმა, მაგრამ ბოლოს მაინც პირვანდელი ბრწყინვალეობით გაუღიმებდა სიცოცხლით სავსე, მომხიბლავად შეანათებდა ქუქუნა თვალებს და ოდნავის შეკრთომით უხმობდა თავისკენ.

„ეს ოდნავი შეკრთომა რბლა იყო? — ჩაუფიქრდა სამსონი: — იქნება, როგორც დღეს ღამე მოჰყვება ხოლმე, ისე დიდი სიყვარულიც არ იბადება, თუ მცირეოდენი ვკვიც არ დაჰყვა?.. ყველაფერს აქვს თავისი ჩრდილი... გრცხვენოდეს, ეს შენი მოგონილია. გახსოვს, რას ფიქრობდი შალვაზე?.. გრცხვენოდეს... კი, მაგრამ... კარგი ერთი... ეთერი მოდის, გესმის, ეთერი მოდის! შენ კი... რა ყოფილა კაცის გული! იქნება ამდენმა ბრძოლამ და სისხლმა გააქევა?.. არა, პირიქით, ასე შგონია, მისი სახე გამოქანდაკდა შიგ, გადაეზარდა ძარღვებს და ჰაერსაც ერთად ვსუნთქავდით... ამაზე მეტი გინა შეიძლება? შენ კი... ეთერი მოდის, ეთერი, გესმის“...

ასე მიმოდიოდა მოუსვენრად; მებრძოლი რომ ჩაივლიდა და სალამს მისცემდა, ავტომატურად პასუხობდა, გუნებაში კი გულის ძვერასთან ერთად

თად იმეორებდა: „ეთერი მოდის, ეთერი მოდის“...

ბოლოს მეთვალყურესავით დააკვირდა, გზაჯვარედინზე რომ მანქანა შედგა და სამი ქალი გადმოვიდა. ერთი ბატალიონის სამეთაუროსაკენ გაეშურა; ეს ორი კი... „მოიცა — შეუქანდა გული სამსონს, — ერთი მარიკაა... მეორე, — ნუთუ ეთერია?! სხვა ვინ იქნება?..“

შესაგებებლად გაემართა; ვერა გრძნობდა, თუ მიწაზე ფეხს აბიჯებდა უცხოვდებოდა და დიდ სიზარულთან ერთად რაღაც წუხილიც იპყრობდა: როგორ შეცვლილა!.. ნუთუ მართლა ასე შეიცვალა! ეს ეთერის ლანდია მხოლოდ... მის ტანადობაშიაც თითქო რაღაც რღვევა შეპარულა... არა, ისეც ისაა, მხოლოდ ძალზე გამხდარია და ფერმკრთალი... მაინც რა არის ეს ცივი ანარეკლი, გულში რომ მიძვრება და იწყებს ღრუნას?! იქნება ამ ომმა უკვე გადასწყვიტა ეთერისა და სამსონის ბედი და...

ეთერმა მარიკას დააყრდნო მხარზე ხელი. მღელვარებამ დასძლია. ოდნავ შეფაკლული ღაწვები ისეც გაუმკრთალდა. ეტყობოდა, ეს წამი იმდენად დიდი და თანაც მტკივნეული იყო მისთვის, რომ ღიმილი, რომლითაც შიახლოვებულ სამსონს შეჰყურებდა, თითქო ნაძალადევი იყო.

— სამსონ! — ესა სთქვა მხოლოდ, ხელები მოხვია და ჩაეხუტა.

— რა ბედნიერი ვარ, ეთერ! — ჩაილაპარაკა სამსონმა და ეთერს თავზე ხელი დაუსვა.

ეთერს ტუჩები შეუთრთოლდა და სამსონს ირიბად აჰხედა.

„აი ეს ღიმილი, მის თვალებში რომ გამოკრთა ახლა, ეს არის ნამდვილი ეთერისეული ღიმილი, ეს სხივიც, ეს თვალები, ეს სახე... ეთერია, ჩემი ეთერი“, — უხმოდ სთქვა გუნებაში

სამსონმა და თავზე ხელი მოხვია, შუბლზე აკოცა.

მარიკა უხერხულობის დასაძლევად ორთავეს მოეხვია, მერე თავისებური სხაპასუბით სთქვა:

— თქვენთვის ახლა მარტობაა საჭირო, ხელს არ შეგიშლით. მე აქ საცხა ნაცნობი მყავს და იმას მოვინახე...

ეს სიტყვები ბუნდოვნად გაიგონეს; არც ის დაუნახავთ, საით წაეიდა მარიკა. უსიტყვოდ გაჰყვნენ გზის პირს ურთიერთს მხარამხუტებულნი. ყოველივე, რაც გამოეცლოთ — სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, დაქრა, განშორება, სიკვდილთან ახლოს ყოფნა და ურთიერთის ნატვრა, მწუხარება და შვების-მომფენი მოლოდინი, — ყოველივე ეს თითქო ბურუსად იქცა.

კარგახანს მიდიოდნენ ჩაფიქრებულნი, რადგან ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვნენ იმ ახალში, რაც ურთიერთში აღმოაჩინეს.

ზღვის მახლობლად გრძლად გაშლილ ბაღში შეუხვიეს, ნაძვებთან ჩაპოსხდნენ მერხზე.

თბილი დღე იყო. ზღვა მშვიდად ღივლივებდა ღისავლეთისაკენ დაშვებულ მზის სხივებში; ისეთი ნელი რონინით ენასვებოდნენ ტალღები ტალღებს, თითქო მარადისობას ეგრაგნებიანო დაუსრულებლად.

სამსონმა ეთერის ხელი აიღო, მიუაღერსა, მერე სახეზე შეავლო თვალი და ნაღვლიანი ხმით უთხრა:

— რა წამება გამოიარე... შენთან არ ვიყავი, მაგრამ მაინც ვხედავდი...

— შენ სამსონ? შენ რა ცეცხლში იყავი? — ამ სიტყვებისთანავე ხანგრძლივად მიაცქერდა ეთერი სამსონს სახეზე, თვალი თვალში გაუყარა და თავისდა უნებლიედ ჰკითხა: — მართალი მითხარი, არ დამიმალაო, ძალიან გამოცვლილი ვარ?

— ჰო... — უპასუხა სამსონმა, მაგრამ წამსვე შეიცნო ეთერის კითხვაში

ჩაქსოვილი აზრი და განაცხადო: — არა, ისევ ისა ხარ, ჩემი მშვენიერი უთერი. მხოლოდ დიდი ავადმყოფობა გაქვს გამოვლილი...

ეთერმა თავი დაჰხარა, მოუფიქრებლად მოისვა ხელი მკერდზე, მარჯვენა მხარეს, და საცოდავად ამოიოხრა.

სამსონს ამ ამოოხრამ ის სიბრაღული აღუძრა, რომლითაც მხოლოდ ქეშმარიტად შეყვარებული ვაჟის გული შეიძლება აღივსოს, მაგრა მოხვია ხელი ეთერს, სასოებიანი ხმით უთხრა:

— გული არ გაიტეხო, გენაცვალე. წვენი სიცოცხლე წინ არის. გავიმარჯვებთ...

ეთერს მწვავე ერუანტელმა დაუარა და იგრძნო, რომ რაღაცა გაღზეამის არსებაში, ის ქვესავით ცივი და მძიმე რამ გაღზეა, რომელიც სიცოცხლეს უწამლავდა, ნატვრასა და სიხარულშიაც კი ეწვეთებოდა შხამივით; წამსვე სახით მკერდზე მიეხუტა სამსონს და ცრემლები წასკდა; ტირიდა. მთელი სხეული უთრთოდა, თანაც უღრდეს ნეტარებას გრძნობდა, სამსონი რომ ეფერებოდა და თავისი ვაჟაკური ძალით ჰკურნავდა.

ბოლოს თავი ასწია, ცრემლიანი თვალი შეანათა სამსონს, გაუღიმა, ამ ღიმილს მთელი თავისი სული ჩააქსოვა. მერე გადაშვილდული წარბები უცებ შეიკმუხნა და ჰკითხა:

— სამსონ, შემოგველე. ხომ არასოდეს, არასოდეს არ შეგძულდები?

ამ კითხვის პასუხი სამსონის მკაცრსა და თანაც ნანატრ გამომეტყველებაში ამოიკითხა ეთერმა და სიტყვის თქმა აღარ აცალა, მძლავრად შეიჩხრა, მოეხვია; მერე აჩქარებულად უამბო, რაც განშორების შემდეგ თავს გადახდა. რა ტანჯვა გამოიარა კაცასიონის ქედზე გადასვლის დროს, როგორ ეუბნებოდა თავის თავს, სამსონის სახეზე მოდ უნდა იცოცხლოო. ოპერა-

ციისა და მიძიმე ავადმყოფობის შემდეგ რომ ნაღველმა შეიპყრო, გაკვრით ისიც მოიხსენია, მხოლოდ იმდენად არა, რომ სავესებით ეგრძნობინებინა სამსონისათვის მაშინ აღძრული ფიქრები.

— იცი სამსონ, შემოგველე, ვინ იყო ჩემი ყველაზე დიდი მკურნალი?.. აბა, თუ მიხვდები? — ჰკითხა ეს და სახეზე შეაქტერდა, შემდეგ უცებ დასძინა: — დედა-შენი...

ახლა დედის, დების, ბიძისა და ბიძაშვილების ამბები მოუყვა. როგორ უვლიდნენ ეთერს, თავს ევლებოდნენ... ავთანდილ ძელაძის დედის გლოვა და მათეს ავადმყოფობაც მოიგონა. ბოლოს მცირე ხანს იყუჩა და სევდიანი ხმით ჩაილაპარაკა:

— იცი, სამსონ... უნდა განაბა, ხანდახან დედაშენი რომ ფიქრიდან გამოერკვევა და თავისთვის იტყვის: „ვאי შენს დედას, შვილო, ვאי შენს დედას“...

სამსონს ცხადად დაუღლა თვალწინ თავისი გაუტეხელი დედა. საოცარია: რამდენ მკუხარე ბრძოლაში ეწრთო სამსონი, მაგრამ დედას მაინც რალაც უფრო დიდი სიძლიერე აქვს, შრომის და ოჯახის მადლით მოსილი სიძლიერე. ამიტომ ახლაც თითქო მისგან მოვლის ნუგეშს. თან ისიც იცის, რომ წლები გადის და ბერდება საბრალო დედა... ვინ იცის, ეს ომი სანამდის გასტანს, მიუსწრებს კი ცოცხალს?..

ეთერმა სამსონის სევდა იგრძნო, მხარზე ხელი აღერსით დაუსვა და განაგრძო:

— თქვენ იცით, შეილებო, რა კუთხე იქნებითო, დამაბარა წამოსვლისას...

— ეგნატე ხომ კარგადაა? — ჰკითხა სამსონმა.

— მამაჩემი... ისევ ისეა... მხოლოდ მეტის-მეტად განიცდის ამ ამბებს... წიგნებშია ჩაფლული, ადამიანის გო-

ხებამ უნდა გაიმარჯვოსო, იმეორებს თავისებური გატაცებით...
 თქვენს
 გიგლიორთქვა

•
•

მარიკა ნაკაიძემ კარგა ხანს იხეტილა ზღვის პირად მარტოდ. არავისი ნახვა არა სწყუროდა. ეთერისა და ქეთოს ბედი არ შეშურდა, მაგრამ თავისი მარტობა კი განსაკუთრებულის ძალით იგრძნო. ამ საშინელ ომში არ გუნა ბედმა ნამდვილი სიყვარული, ოჯახის შექმნის იმედი აღუძრა... ახლა კი ბედშავი ილიკოს საფლავი ობლად არის დარჩენილი ყუბანის ველში... მარიკაც ობლად ივლის“...

ამ ფიქრმა დაღალა. ზღვის გაბმული შრიალი და ტალღების დაუსრულებელი ლივლივიც მობეზრდა. ერჩია, ვინმე მოსავლელი ჰყოლოდა, ვიდრე ასე უშემწეოდ დარჩენილიყო უზარმაზარი ქვეყნიერების წინაშე.

ბოლოს მზვარეში შწოლარე მხედრებს გვერდი შეუარა, ბაღში შევიდა და განმარტობულად ჩამოჯდა სკამზე.

მცირე ხნის შემდეგ ერთი ტანმორჩილი სერჯანტი მიეახლა, მოკრძალებით სალამი მისცა და მერხზე მოშორებით ჩამოჯდა.

მარიკამ ცერად გაჰხედა. საღლაც უნახავს ეს სახე, მხოლოდ ამდენი თეთრი არ ერია მაშინ. უფრო ფერმკრთალი კი იყო...

— ბოდიში... ვერ მიცანით? — შეეკითხა სერჯანტი.

— მაგონდებით, მარა... — აღარ დაასრულა მარიკამ და სერჯანტი კვლავ შეათვალა.

— არ გახსოვთ, ჩრდილოეთ კავკასიაში დაპრილი რომ ვიყავი და მივლიდით?.. მერე კალაბატკაში გნახეთ კიდევ...

— უკაცრავად, ახლა მომავონდით. — წამოიძახა მარიკამ. — ის რა ვა დამავიწყდება, კარტოფილი რომ

მომიტანეთ. მგონია მაშინ მადლობაც არ მითქვამს... რა დღეში ვიყავით, რა დღეში!..

— დიახ... რას იხამ, ომია... ბოდიში, თქვენ, ალბათ, ჩემი ვინაობა დავიწყებული გექნებათ. ვინ იცის, ჩემისთანამ რამდენმა გამოიარა თქვენს ხელში... ბოდიში, მე ლევანი ვარ, ალავიძე.

— კი, ბატონო, ახლა მომავანდით, ნაღმის ნამსხვრევი გქონდათ გვერდში.

— ჰო, სწორედ... რა ტკბილი ხელი გაქვთ თქვენ, როგორ მომასულიერეთ... ბოდიში და რამდენჯერ მინატრია მერე, ნეტავი ამისთანა მადლიანი ადამიანის გული ჩემი ობოლი ბავშვებისათვის ზრუნავდეს-მეთქი.

— ობოლს რატომ უწოდებთ თქვენს ბავშვებს? — შეეკითხა მარიკა და სახეზე შეაქცერდა, რათა გამოერკვია, რა მოეწონა ამ კაცის, — ხმა თუ გამომეტყველება?

— ეჰ, ჩემი ამბავი რომ იცოდეთ, — ნაღვლიანად სთქვა ლევანმა: — ოქროსავეთ გოგოები მყავს, პირდაპირ გული გაგინათლებათ, იმათ რომ ნახავთ, მაგრამ უდროოდ დამიობლდნენ. მე ულღე ომში გაწვევამდე ექვსი თვით აღრე გადამეცვალა. ახლა ჩემ დასთან არიან. ისიც წვრილშვილიანია.

— ნუ გეშინიათ, არ გაუჭირვებენ.

— კაი დაგემართოთ, კაი ნუგეშია, მაგრამ ხომ იცით, რა დროა... ისე კი აგერ ახლა მივიღე წერილი. უფროსი გოგო, ცისანა, სკოლაში შეუყვანიათ. უმცროსი, ნანული, ხუთი წლისაა, მაგრამ მე ვერასგზით ვერ წარმოვიდგინე, თუ როგორ გამოიყურება ის ახლა, ისევ ისეთი პატარა მგონია, როგორც დაეტოვე. წარმოიდგინეთ, რომ მოვდიოდლი, მისი პერანგი წამოვიღე, ახლაც მაქვს, სად არ ვატარე. ჰო-და, რომ ნახოთ, გაოცდებით, ისეთი პატარაა...

მარიკას რაღაც თბილი, მამებელი

სიბრალული აღეძრა იმ პატარა გოგონასადმი; გაჰყვა ამ გრძნობას იმ ბავშვზე უფრო ეს უსიყვარულო, შუახნის კაცი შეეცოდა, როცა წარმოიდგინა, თუ რაგორ ატარებს იგი ფროხტიდან ფრონტზე თავისი ბავშვის პერანგს. ხანდახან, ალბათ, ამოიღებს და დაახედავს, იქნება კიდევაც უაღერსებს ეს ამოდენა კაცი, ომის ცეცხლში გამოვლილი.

— ბოდიში, — განაგრძო ლევანმა. — მე თბილისში ვცხოვრობ... ოთახი დაკეტილი დაეტოვე. ბევრი შიგ არაფერი მაქვს, ცოტა ავეჯი და წიგნები, თუ არ დამეკარგა. ერთხანს მასწავლებლად ვმუშაობდი, მერე კორექტორობა დავიწყე... ვინ იცის, იქნება მოესწროს კაცი შინ დაბრუნებას... ჰო-და, ბოდიში, შემოიპყრობს ხოლმე ნატურა: ერთი ვინმე თქვენისთანა მშვენიერი ადამიანის გული რომ აღმოუჩნდებოდეს ჩემ ბავშვებს შერუხველად...

— უკაცრავად. — მოესმათ ამ დროს და ორნივე შეერთნენ. — უკაცრავად, — განმეორებით მიმართა ვალიკო წულაძემ მარიკას. — ყველანი შეკრებილნი არიან და გთხოვეს მობრძანდითო.



კოლია ბარბაქაძეს გრძელი მაგიდა ლამაზად გაეწყო; შუახე თაიგულიც კი დაედგა. თვითონაც სუფთად იყო გამოწყობილი, ახალი გიმნასტურა ეცვა. ფეხსაცმელი გაკრიალებული ჰქონდა, სახვევი მოხდენილად შემოეგრაგნა წვივებზე. ახალგაპარსული ღაწვები წამოღვივებოდა; ყველაფერს განმეორებით სინჯავდა თავისი ცისფერი თვალებით.

ნესტორ ირემიძეს თეთრი ხალათი გადაეცვა მხედრულ სამოსზე და სამზარეულოში ტრიალებდა, ხოლო ვა-

ლიკო წულაძე მსახურის როლს ასრულებდა.

კოლიამ დავით ჯანაიასაც გამოუნახა საქმე, — სტუმრების მიღება და მაგიდის გარშემო ადგილების განაწილება მიანდო.

მარკა რომ მივიდა, ყველანი უკვე დამსხდარნი იყვნენ და საერთო შეძახილით მიესალმნენ; ხოლო დავითი მიეგება და ადგილი თავის გვერდით მიუჩინა.

ჰამას შეუდგნენ, თითო ჭიქა ღვინო დალიეს. ამ დროს სამზარეულოდან ბარბაქაძე დაბრუნდა, ყველანი დაკვირვებით შეათვალიერა, მერე პოლკის მეთაურს, იოსებ გორგაისძეს მიმართა მორიდებით:

— დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, მარა თუ ნებას მიბოძებთ, ორ სიტყვას მოგახსენებთ.

იოსებს შეეგვრემანი სახე ღიმილით დაუშმევნდა, კოლიას მეგობრულად უთხრა:

— სთქვი, ჩემო კოლია, ვიცი, შენ ცუდს არაფერს იტყვი.

— აბა, ერთს მოგახსენებთ.—სთქვა კოლიამ და ჭიქას დაწვდა: — ქართული სუფრა უთამადოდ ხომ არ იქნება. მართალია ბევრი არაფერი გავაჩნია, მარა რაც გვაქვს, ამასაც თავისი შნო უნდა. ჰო-და, უფროსებს არ შეგაწუხებთ, აგერ ჩვენს დავით ჯანაიას დავავალოთ.

— კეთილი! ჩვენს დავითს გაუმარჯოს! — დამოწმდა იოსებ გორგაისძე და ყველამ ბანი მისცა, ჭიქები ასწიეს.

დავითი, რაკი პატივი არ გაუეიდა, ადგა და, როგორც ეს დარბაისელ ოდიშელს შეჰფერის, თანამეინახეებს თავაზიანად მადლობა მოახსენა.

— ასე, ჩემო დავით, ასე! გენაცვალე სულში! შენ ღვინის არ შეგეშინდეს. მოგიკედეთ კოლია, თუ რამე მო-

გაკლოთ! — წამოიძახა კოლიამ და სამზარეულოსაკენ გაემართა.

მალე მეტად გულითადი ურთიერთობის ძაფი გაიბა მაგიდის ირგვლივ მსხდომთა შორის; რამდენიმე სადღეგრძელო ითქვა და ეს ძაფი ოქროს ძაწკვივით ავივარდა. იღუმალი სიმები შეისხა და გულიდან გულს შეეხმატებილა.

ეს ნამდვილი ღვინი იყო, ნაომარი ვაჟკაცების ღვინი.

შალვა ყიფშიძე თავისი მახვილი თვალთ მიჰხედავდა ხოლმე ხელმარცხნივ მჯდომარე ქეთოს; იმ ღიმილით მიუთალერებდნენ ურთიერთს, რომელშიაც ორი ადამიანის სული ერთ სხივად ანათებს. ქეთოს ყველა შეამჩნევდა, რომ მთელი მისი არსება ჰყვავოდა; ამასთანავე ისიც ცხადი იყო, რომ შალვას თავის ცხოვრების ხედ სთვლიდა და მის ჩრდილში თავს თავისუფლად გრძნობდა.

შალვა ღიღის აღფრთოვანებით შეხვდა ეთერს, გულგაშლილად ესაუბრა, მაგრამ რაღაც ხინჯი მაინც ჩარჩა სულის სიღრმეში; უნდოდა ჩაჰკვირებოდა, თუ რამ გამოიწვია ეს მცირე წუხილი, მაგრამ ამისათვის თითქო დრო არა რჩებოდა, ან არა და, თვითონ არ უნდოდა გაეხსენებია თავისი სიყრმის ოცნება, რომელსაც ეთერთან საუბარში ერთხელ შორი ნათელი უწოდა. თუმცა იქნება ეს კი არ აწუხებდა, არა, ეთერის ფერნაკლულობის გამო იყო გულნატკენი.

«როგორ შეცვლილა, — გაიფიქრებდა ხოლმე შალვა, — ხანდახან ისეთი იერი გადაჰკრავს, გეგონება, ამ ქვეყანაში ფეხი აღარ უდგასო... თუმცა აგერ, ახლა რომ სამსონს აჰხედა და გაუღიმა... ისევე ის ლამაზი თვალები, ფრთაშებრილი წამწამები და სახე... სახე, რომელშიაც რაღაც უთქმელი სევდა გამოსჰკვივის»...

ამ დროს კოლია ბარბაქაძემ კახური მრავალქამიერი დაიწყო. შალვამ ბანი შეაწია.

და სიმღერის დროს უცებ ტანში სიხარულის ერთნატივლი დაუარა, ქეთოს მიუხედა, გაუღიმა, მიუალერსა.

„რა ბედნიერი ვარ, — მღეროდა და ფიქრობდა შალვა, — რომ სამსონს გზაზე არ ვეღობები, რომ აგერ მყავს ჩემი პატარა ქეთო და... ეს არის სწორედ წმინდა გრძობა... შორი ნათელიც ეს არის, ის ნათელი, რომელიც ქალ-ვაჟს წინ უნდა მიუძღოდეს... ბავშვობიდანვე ჭირივით მძულდა ღორ-მუცელა ადამიანი... ყოველგვარი ღორ-მუცელობა უნდა გძულდეს... ეს კარვად დაიმახსოვრე!“

ახლა თვითონ წამოიწყო გახარებულმა შალვამ სიმღერა, მერე დავით ჯანაიას მიერ გამოთქმულ სადღეგრძელოს გამო მეტად მკვერმეტყველი სიტყვა წარმოსთქვა.

სამსონი თავის ოჯახში, დედასთან, დებთან და ნათესავებთან რომ შენარბოშდა უკანასკნელად, ისეთ გუნებაზე დადგა ახლა; თანაც კიდევ გვერდით ეთერი ეჯდა, სულში მისი თვალების შუქი ეფინა და უსაზღვროდ აღტაცებული იყო; სიტყვას ამბობდა, მღეროდა, ეთერის წკრიალა ხმას აყოლებდა ხმას და სადღაც მშვენიერსა და მომჯადოებელ არეში გადადიოდა. ამ სიხარულში უნებლიეთ აეკვიტა ფიქრი: „იმღერე, გაიხარე... იქნება ესაა შენი დღე... ვინ იცის, მეომარი ხარ... როდის შევხვდებით... ან შევხვდებით

კი ერთმანეთს?.. ყველაფერი მოსალოდნელია... იმღერე, გაიხარე...“

უკვე რვა თვე გავიდა, მაგრამ ნაკლებად რომ მგლოვიარედ იყო. ამ ხნის განმავლობაში არა თუ არ უმღერია, მის ღიმილშიაც მწუხარება გამოკრთოდა. მხედრული სამოსი რომ არ ცმოდა და გურული ქალის ჩვეულებისამებრ სამგლოვიაროდ ყოფილიყო მორთული, სევდიან მონაზონს დაემსგავსებოდა. ახლაც კარგა ხანს იყო მოწყენილი, რაღაცას ჭფიქრობდა თავისთვის, თითქო ეს ლხინი მის გულს არ ეკარებო. მერე თანდათან გაეხსნა შუბლი, ცოტა ღვინოც დალია და თავისი ახალგაზრდობის ეშვი დაუბრუნდა. მოკლედ შეკრეჭილ სქელ, შავ თმაზე, რომელშიაც აჭა-იქ თეთრი გარეოდა, მოხდენილად ვადისვა ხელი, მერე თავი შეარხია და ვაჟურის შეძახილით დაიწყო გურული სიმღერა. ყველანი სიხარულით აჰყენენ.

მღეროდა მარიკა, ფანჯრიდან შორ სივრცეს გაჰხედავდა ზოლმე, რამდენჯერმე კიდევაც მოელანდა ბედშავი ილიკოს საფლავი, თვალბეში ცრემლი გაუბრწყინდა... მერე ამ ცრემლმა, მამებელმა ცრემლმა, თითქო მხედველობა გაუორა და თავისდა უნებლიედ იმ დღეს გაცნობილი სერეანტის, ლევან ალაგიძის კეთილი სახე წარმოუდგა, მისი ობოლი გოგონები და პატარა, სულ პატარა პერანგი...

— გენაცვალე სულში, ქალო! აი ეს ნამდვილი ლხინია! — წამოიძახა სიმღერით აღტაცებულმა კოლია ბარბაქაძემ.

(დასასრული იქნება)

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმელება

პირა გუაჩიძე

პროზის ჯილღო



მოხდა ისე, რომ არავის არ დაუწერია სოცშეგებრების ხელშეკრულება ლეოსა და ავთანდილის რგოლებს შორის. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ლეო მხოლოდ საგაზაფხულო თესვის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა სოფელში. დემობილიზებულთა უკანასკნელ ეშელონს ჩამოჰყვა.

როცა კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე მისი განცხადება წაიკითხეს, გაკვირდა ყველა: რგოლში მუშაობას თხოულობდა საშუალო სასწავლებელ დამთავრებული ჰაბუკი.

— ზოგი ორ ანაბანას რომ ისწავლის, აუცილებლად მოანგარიშეობა უნდა, ან ბრიგადირობა. თუ არა და მერგოლურზე ნაკლები რაღა იქნებაო, ამბობენ. ეს კი ეტყობა, მათ არ გავს. — სთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— მაგ სხვა ოჯახის შვილია, ბატონო. მაგის მამა, დიდი ჰეკიანი კაცი იყო, ხომ გახსოვთ?!. — ჩაურთო ლაპარაკში მოხუცმა ელიზბარმა.

— საწყალი ამბაკო. მოსწრებოდა მაინც შვილის დაბრუნებას! გატეხა წელში უფროსი შვილის დაკარგვამ,—

ძიუგო ელიზბარს ისევ თავმჯდომარემ და სხდომა განაგრძო.

დიდხანს ითათბირეს გამგეობის წევრებმა და ბოლოს ლეოსთვის მაინც რგოლის ჩაბარება გადასწყვიტეს. კარგი ხანია იღგა ავთანდილის რგოლის ორად გაყოფის საკითხი, რადგან დიდი და ერთმანეთზე დაცილებული ფართობების მოვლა უხდებოდა მას. შემთხვევაც ხელთ იყო და ლეოს ხუთი ჰექტარი უკვე დათესილი ფართობი ჩააბარეს ავთანდილის რგოლიდან. რგოლი კი სამუშაოდ ასევე ნაკვიანებად გამოსულ კოლმეურნეებით შეავსეს. ერთი მათგანი ფეხის მოტეხის გამო მთელი თვე იწვა თაბაშირში. გამარტებაზე ახლადგამოსულ ხეხილს სხლავდა თურმე და ფეხი დასხლტომოდა ნამიან ტოტზე. ორი კი გზის გაყვანაზე მუშაობდა. აქამდე საავტომობილო გზა ვადადიოდა მათი კოლმეურნეობის საზღვარზე. დანარჩენები კი თანდათან შეემატნენ მას.

როცა ავთანდილს შეეკითხნენ, რომელ ფართობს დაუთმობდა ლეოს, შეყოყმანდა. ცამეტნახევარი ჰექტარი მიწა გულდაგულ ჰქონდა მას გადახნული და დათესილი. ახლა თითქოს არცერთი არ ემეტებოდა, მაგრამ იცოდა, მარგვლასა და სასუქის შეტანაზე ვერ

აუთავდებოდა ყველას. თან იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, როგორი წელიწადი დადგებოდა წელს. თუ გვალვა იქნებოდა, წყლისპირა ჰალეების მოსავალს ვერაფერში ჩატევდნენ. სამავგიროდ გორის ფერდის ყანების იმედი გადაწყდებოდა ამით. ერთ კვირას იყოყმანა. სოფლის გამოცდილ კაცებსაც დაეკითხა. საღამოობით ვარსკვლავებს დაკვირვებით უცქერდა. მომავალი ამინდის გამოცნობას ლამობდა. ერთ დღიას დედა გაუწყრა კიდევ.

— რა გახდა, ბიჭო, ისე წონი ამ შენ დათესილ მიწებს, ვითომ ძველი დრო იყოს! მტერს ხომ არ აძლევ? ისევე კოლმეურნეობაში რჩება.

— ადვილი სათქმელია „კოლმეურნეობაში რჩება!“ აქ კი რჩება, მაგრამ წრევეანდელ მოსავალზე ბევრის ბედობალია დამოკიდებული. — გულმოსულად ჩაილაპარაკა ავთანდილმა და შუბლი შეიკრა.

— ბედობალი!? — ღიმილით გაიმეორა დედამისმა და ავთანდილს გამოცდილად შეხედა. შემდეგ ისევე განაგრძო ზელა. ცომი რომ დაამრგვალა, თიხის სურას წაეტანა წყლისათვის. შეხედა, ავთანდილი კვლავ იჯდა გრძელ სკამზე, ღრმა ფიქრებში წასული.

— მალე გადაწყვიტე ეს საკითხი და საქმეს შეუდექი. სიმინდი ზოგჯერ ამოწვერილა კიდევ, — დაუმატა მან და ხელის დასაბანად აივანზე გავიდა.

— ათასში ერთხელ არის ჩვენში გვალვიანი ზაფხული და რაღა მაინცდამაინც წელს იქნება? — ფიქრობდა ავთანდილი, სახლიდან კოლმეურნეობის გამგეობაში მიმავალი და ისევე ცას ამტერდებოდა. ნაცრისფერი ჰქონდა ცას ამ დღით. ღრუბლების თხელი ფენა ოდნავ იძროდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ, ეტყობოდა, ცხელი დღე არ იქნებოდა. როცა გამგეობის შენობაში მივიდა, ლეო უკვე

ელოდა. დღეს უნდა ჩაებარებია განკუთვნილი ყანები.

— ჰალეებში იმუშაოს ლეო, მე კი გორის ფერდში დავრჩები, — უთხრა შემოსვლისთანავე თავმჯდომარეს და სკამზე მძიმედ დაჯდა.

— ძალიან კარგი. ასე სჯობია. ჰალეებში, მგონი, ხუთი ჰექტარია მარტო. ახალი, მცირერიცხოვანი რგოლისათვის საკმარისია. შენ კი დარჩეული ბიჭები გყავს და მოერევი დანარჩენს. აბა, გასწი ახლა და ჩააბარე ლეოს ყანები. ვაი შენი ბრალი, თუ ჰალეები ცუდად დათესილი გაქვს, მაშინ ასი ცენტნერიც არ გიშველის შენი ფართობების თითოეული ჰექტარიდან. — გაეხუმრა თავმჯდომარე ავთანდილს და მხარზე ხელი მეგობრულად დაკრა.

ხმაამოუღებლად მიჰყვებოდა ორი შერგოლური ერთიმეორეს. ავთანდილი ვერ იყო ხასიათზე და ამას უწყევდა ანგარიშს ლეო. გზადაგზა ახალგაზრდების ხუმრობა სწვდებოდა მათ სმენას და ელიმებოდათ.

— ისეთ წვიმაში ვხნავდით მაგ ყანებს, ძალი არ გაივდებოდა გარეთ. — დაარღვია ბოლოს სიჩუმე ავთანდილმა და ბორცვზე შემდგარმა ხელით ლეოს რგოლის ახლანდელ ყანების საზღვრებზე ანიშნა.

— ისე ახლოს მოსჩანს მდინარესთან, თითქოს სულ არ იყოს დაცილებული მისგან, — უპასუხა ლეომ და შუბლი მოიჩრდილა. მზის სხივები სჭრიდა თვალს.

— კოლმეტრამდე იქნება, ალბათ, მანძილი მათ შორის, — მიუგო ავთანდილმა. შემდეგ ნახევარში გადააბიჯა. თითებით მოფხოქნა მიწა. ბელტი გადააბრუნა. ვალევიებულ მარცვალს დააკვირდა. ორი მოთეთრო ფურცელი ამოწვერილიყო.

— როგორც კი ამოაღწევს მიწის პირს, გამწვანდება, — სთქვა და ახლა

ოთხი ნაბიჯის იქით ჩაიმუხლა ისევ. იქაც გაღვივებული დახვდა მარცვალი.

— შენც ნახე, ძმაო, რას უყურებ! — შიმართა ისევ ლეოს.

— რა უნდა ვნახო. შენ სიზმარიც კი დაგეჯერება, — მიუგო ლეომ და თავითფეხებამდე აათვალიერა აეთანდლილი. ის კობტად ჩამოსხმული ვაეკაცი იყო. სახეზე რომ შეგებუნდათ, იტყოდით, 35 — 36 წლის კაცი იქნებაო. ნამდვილად კი ამავე წლის სექტემბერში ათავებდა ოცდახუთს. შუბლზე ჩამოყრილი ხეუღლი თმები და ქარდაკრული, მზისგან გაშავებული სახე ვაეკაცურს ზდიდა მას. თვალები ჰქონდა თაფლისფერი და წყლიანი, მაგრამ ათასში ერთხელ გაიცინებდნენ ისინი. შეერთებული წარბები კი ისეთ უხეშ გამოიმეტყველებას აძლევდნენ, რომ დედა ხშირად ეუბნებოდა ხოლმე:

— გახსენი, შვილო, წარბი თორემ დარჩები უცოლო. ხუთი გოგო რომ მყავდეს, ერთს ვერ მივცემ შენისთანა შუბლშეკრულს.

— ქალებმა ასე იცით. ვინც ყოველ წუთს უმიზეზოდ იცინის, ისინი უფრო მოგწონთ, — მოუვიდოდა გული აეთანდლის და კიდევ უფრო ჰმუხნიდა შუბლს. სამაგიეროდ, როცა გაიცინებდა, მის შეხედვას არაფერი ჯობდა. ჰეჰაქუხილის შემდეგ მოკამკამებულ ცას ჰვადდა მისი ღიმილი. სოფელში იძახდნენ კიდევ: „ნეტავ მას, ვისაც აეთანდლის ღიმილი ეკუთვნისო“. მაგრამ არავინ არ იცოდა, ვის ეკუთვნოდა ის. თითონაც არ უმხელდა თავისთვის ჰაბუკი, მაგრამ ხანდახან, მის უნებურად, გაღვივებოდა და ბროლიტით თეთრი კბილები სასიამოვნო ეშხს აძლევდნენ მის სახეს.

მეორე წელი იყო, რაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული კოპჩია გოგონა დაინიშნა აქ უბნის აგრონომად. პირველად გაუქარდა ქალს. ხუმრობა ხომ არ იყო,

მთელი დღე ფართობებში ყოფნა? საპირად აძერა კანი კახეზე, დიდი ქილის ქუდიც ვერ შევლდოდა, მისი უხიანი ჩრდილშიც იზიდავდა მზის სხივებს. ახლა სულ „ვაიტუსა“, როგორც ქალაქიდან სტუმრად ჩამოსულმა დედამ სთქვა.

— ასე ყუთი პუდრი ვერ მოგარჯულებს, შვილო, შენ. — უთხრა, როცა სადგურზე პირველად შეხვდა მას.

— არც მინდა, დედა, რა საჭიროა! — მიუგო მარომ და დედა ხელმეორედ ჩაკოცნა.

— რომც გინდოდეს, აღარ დაგადგება სახეზე, შვილო. მზე კანს აუხეშებს, თუმცა აჯანმრთელებს კიდევ, — დაუმატა დედამისმა, როცა უკვე ეტლში ჩასხდნენ. შავად გაქონდა მაროს სახეს ლაპლაპი. თვალის უპეებსა და ყურის ძირებში შერჩენოდა ოდნავი სითეთრე. კისერი კი რაღაც არაჩვეულებრივად გაშავებოდა.

— თვეობით დამყავდა ზღვაზე და ასე ვერ ვაშავებდი. ახლა კი რა მოსვლია ეს?! — ფიქრობდა დედამისი და მალულად ათვალიერებდა ქალიშვილს. მარო კი მერცხალოვით ჰიკიკიკებდა. გზის პირზე ხან ერთ ყანას დაანახებებდა დედას, ხან მეორეს. ეს „ჰერულაა“, დედა, ეს „ნაკვიანევი“, ამას კიდევ „დათიკასეულს“ ეძახიან, — უხსნიდა ის და აღტაცებით ხან ერთ ფართობს მოაველებდა თვალს და ხან მეორეს. ზღვასავით იღვა სიმინდის ყანები ნაკვეთებში. ნაჯახით ვერ მოერეოდა კაცი, ისე ძვალმაგარი სჩანდა მისი ძირები. ეს იყო შარშან. წელს კი ათმაგი მუშაობა ეჭირვებოდა ყველას. გმირობის სურვილს გაეტაცნა კაცი და ქალი.

სწორედ პირველი მაისის წინა დღეს, საზეიმო სხდომის დაწყებისას, ეხუმრა ვიღაც მაროს, როდისღა იფიქრებ, გოგონა, გათხოვებასო. მან თვალი მოაულო იქაურობას და მაცდურად

უპასუხა შემკითხველს: როცა ჩვენს კოლმეურნეობაში გმირები გაჩნდებიან.

ირგელივ სიცილი გაისმა. მარომაც გადიკისკისა და სწორედ ეს ამბავი მიუტანეს ავთანდილის დედას და მანაც ბევრი იცინა.

— ყოჩაღ, გოგონა, ყველა ახალგაზრდას აუნთო გული საგმიროდ. იხუმრა ალბათ, მაგრამ ქვეყანურად ნათქვამი ზემორობაც სასარგებლოა. — ჩაილაპარაკა მან შვილის ვასაგონად.

სწორედ გმირობაზე ფიქრობდა ახლა ლეოც, როცა ავთანდილს უყურებდა.

— ასეთ დევკაცს ყველაფრის გაკეთება შეუძლია. აბა რით არ არის გმირი? ძვირფასად დაუხნავს, დაუფარცხავს, უთესია და, ბუნებრივია, ემწელება სხვას დაუთმოს ნაამგარი. რა იცის, თუ როგორ მოუვლი მე. ზომ შეიძლება წყალში ჩავუყარო ამდენი ქუშაობა?

თითქოს მიხვდაო ავთანდილი მის აზრს, თავი ასწია, შეხება ლეოს, მერე წამოდგა და მიბრუნდა.

— ყანის ქუშაობა გისწავლია, თუ ბავშვობას რომ სთოხნიდი, იმის იმედად ხარ?!

— ვინც ფრონტზე იყო, მას ქუშაობა არ გაუჭირდება. — უპასუხა ლეომ.

— მართალი ხარ. აბა, რა საკითხავია, სირცხვილია, ჩვენ შრომა არ შეგვეძლოს. — ჩაილაპარაკა ავთანდილმა და გზას დაადგა. ლეოც მას გააკცა.

დაბინდებულში დაბრუნდნენ სოფელში. ამჯერად საბარგო მანქანა წამოეწიათ და კაბინის კიბეებზე იქითაქით ჩამოკიდებულნი მოდიოდნენ მთელი გზა. ქარი თმებს უწეწავდა. ხალათის სახელოებს ფრიალი გაჰქონდა. ბუნების უღამაზესი სურათები სცვლიდა ერთმანეთს. ზან მუხნარი ტყეები, ზან ცადაწვდილი ნაძვები, შემდეგ ბუჩქები და უსაზღვრო მინდვრები.

მგზავრობამ გადაკყარა ღრუბლები ავთანდილის გულს. მანჯერუნელე წამოიწყო ლილინი. ლეტვს მკვდარ მხატვლა ავთანდილმა და გაუღიმა. ზმას აუწია. მისწვდა ლეოს მოძახილი. შოფერის ბანმა კი დაავიროგვინა მკექარე ლაშქრული სიმღერა. მანქანა გაჩერდა. სიმღერაც შეწყდა. გამომშვიდობებისას ისე მაგრაღ ჩამოართვა ხელი ავთანდილმა ლეოს, რომ ის შეიშმულა.

— ხომ არ ვატკინე, ბიჭო? — ბოღის შის მოხდით უთხრა და მხრებში შეანძრია.

— აბა რას ამბობ?!

— ასეთი ვარ და რა ვქნა?! ნეტავ მეც შენსავით პატარა ვიყო.

— პატარაობა რად გინდა, ძმაო, ქვეყანა ვეკაცობას ნატრობს, — მიუგო ლევანმა და ბავშვივით გაუღიმა. აღარაფერი უპასუხნია ავთანდილს. რა უნდა ეთქვა, იმას ზომ ვერ ეტყოდა არჩეულს დამიფრთხობსო ჩემი სიტლანქე. მართლაც დედოფალასავით პატარა და კოხტა იყო მარო.

— ჯიბეში ჩასასმელია სწორედ ჩვენი აგრონომი. — ამბობდნენ სოფელში.

— ჯიბეზე თუ მიდგა საქმე, ჩემს ჯიბეში ჩაეტევა მხოლოდ. — ჩაილაპარაკებდა ზოლმე ავთანდილი. — აბა ჩვენი მოანგარიშე ჩემი ჯიბის ხელაა სწორედ. — დაუმატებდა ის, რადგან იცოდა, მაროსათვის სატრფიალო წერილი სწორედ მას მიეწერა.

— ვაგზავნი და აბა ბიჭია უარი გამოიბედოსო. — იკეხნიდა ამხანაგებში თურმე. მარომ გაბედა და, კიდეც მეტი, მაგრამ ამბროსის (ასე ერქვა მოანგარიშეს) სასაცილოდ აგდება შეხვდა მხოლოდ და მეტი არაფერი.

— ჩემი ბრალი არ არისო, — ეთიცებოდა მარო თავის დიასახლისს. არავისთვის არ მიუთქვამს ბარათი რომ მივიღე, მაგრამ როცა უკან დავუბრუნე კონვერტი, ქვეყანა შეყარა თურმე

პასუხი მომივიდაო, როცა გახსნეს, მისივე წერილი აღმოჩნდა და დააყარეს სიცილი.

მეორე დღესვე შეუდგა ლეო სამუშაო იარაღების დათვალიერებას. თოხები მოსაპირავე იყო. ორს ტარიც არ უვარგოდა.

კარგი მუშა თოხზე იცნობაო, — იცოდა თქმა მამამისმა და ლეოც აქედან იწყებდა მუშაობას. ნაკეთები გააპიროვნეს. ერთ კვირას ყანების ზევით მდინარის დამბის გამაგრებას მოუწოდნენ. შემდეგ კარვები გააკეთეს დამბის სათუვად და მარგვლაც უკვე კარზე მოადგათ. წვიმაში ნათესს მზიანი ამინდები დაესწრო და სწრაფად იყარა სიმინდმა ტანი. ზოგზოგვან უკვე ოთხი ყლორტიც ჰქონდა. სამი დღით გვიან დაიწყო მისმა რგოლმა მარგვლა. მშრალ ნიადაგებში აღრე დაეთესათ. აქ კი მდინარის სინესტე ყოველთვის აღმოაცენებსო, და ბოლოსთვის გადაედლოთ. ყანებს კი ჯერჯერობით ყველგან კარგი პირი უჩნდა. სასიამოვნოდ იფხვნებოდა ახლადმოპირულ თოხქვეშ ნახნავე მიწა. სარეველასაც ვერ ეხარა. კარგი გაწმენდილი იყო თესლიც.

— დიდი იმედი ნუ გექნებათ, ბიძია, ამისი. სხვამ თუ არაფერმა, ჩიტი ვადმოიტანს სარეველას თესლს და ჩაგისახლებს ნახნავეში. — უთხრა ელიზბარმა ლეოს, როცა ამ უკანასკნელმა გაკვირვება გამოთქვა ყანების სისუფთავის გამო. — თან ზოგი ბალახი ნაგვიანევადაც ამოდის ზოლმე. — დაუმატა მან და ყალიონი გააბოლა.

— რაც იქნება, ბიძია, ვნახავთ. ყანას არაფერს გავაფუჭებებთ, კი ვიცი. — უპასუხა ლეომ და ბიჭებს გადაჰხედა.

ალმასივით ბიჭები ჰყავდა რგოლში. ერთი თითონ იყო ტანმორჩილი მხოლოდ.

— სამაგიეროდ ჰქუა აქვს დიდი, — ამბობდნენ მისი რგოლის წევრები, როცა ამ საკითხებზე საუბარს ჩამოხვრდებოდა. ისის-იყო სამარგელს ათავებდნენ და ავთანდილი ეწვიათ.

— დაგვხვრე, ზომ?! — სიცილით მიიძახა ლეომ, როცა მის ცხენს მოკრა თვალი.

— არა, ცხენი მინდა გავუშვა ჰალეში. ერთხანს აღარ დამჭირდება და დაისვენოს. — იმართლა თავი და ცხენიდან ჩამოხტა. მზრუნველი თვალით გადახედა ნამუშევარს. გულს ეფონა. ღინჯი და კეთილსინდისიერი დამუშავებული სჩანდა ყანა.

— არ მეგონა მართალი ვითხრა. გული რაღაც ვერ ენდობა ნასწავლ ხალხს თოხის მოქნევაში.

ლეოს გაეცინა.

— ახლა მეც მეცინება, მაგრამ მაშინ გული მომდიოდა. ომის დროს მუშა მოსამსახურეებს ჰქონდათ ყანა ჩვენთან. ორი მეტრის სიმაღლეზე ისროდნენ თოხს. აბა რა უნდა მოსულიყო იმ ყანაში?

— მე თვითონ არა ვარ ორი მეტრი და თოხს საიდან ავისერი, — წარმოსთქვა ლეომ და რგოლის წევრებს გადახედა. ისინიც გულიანად იცინოდნენ.

— გამეჭვით, ბიჭებო, ზომ? — ახლა იმ ორ ახალგაზრდას მიუბრუნდა ავთანდილი, რომლებიც მისი რგოლიდან იყვნენ გადასული ლეოსთან და ახალ მერგოლურს თოხი ჩამოართვა. ჯერ ნელა დააწყო. თითქოს საკუთარ ღონეს სინჯავდა. ბოლოს გამართა ხელი და თვალის დახამხამებაში გაიტანა სვე.

— ყოჩაღ, ავთანდილ. ვაჟაკს გეძახიან და შეგფერის კიდევ! — ამ სიტყვებით წამოადგათ მათ თავზე პარტკომის მდივანი, მხარდამხარ უბ-

ნის აგრონომი მოჰყვებოდა. აეთანდილი მობრუნდა. დინახა თუ არა მაროს ჭილის ქუდი, თვალები ძირს დახარა, თოხს დაუწყო წმენდა. უხრახულობის დაფარვა უნდოდა, თორემ ფხვიერ მიწაში რა მოედებოდა თოხს.

— როგორ მივირბა, პირველად თქვენი მძიმე თოხები რომ დავინახე. დეიდაჩემისას, გურიამში, დაწვენილი თოხები იციან, — უთხრა მარომ აეთანდილს და თოხი გამოართვა.

— რატომ არის ეს ასე, თუ იცი? — ახლა ლეოს მიუბრუნდა ის.

— მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, იქ მიწა ფხვიერია და ყანას გამოთოხნა ეჭირება. ჩვენთან, მაგარ ყამირებში, თუ ზევიდან არ დაჰკარი თოხი, ძვრას ვერ უზამ ნიადაგს.

— ყოჩაღ, ლეო, — გაეხარდა პარტკომის მდივანს ლეოს პასუხი და ყანას დააშტერდა. — გაგითავებიათ კიდეც, ხვალ კვირაა და ზევ ერთად წაესულვართ მთის ყანებში და ისაა.

— თქვენც წამოხვალთ, მარო? — შეეკითხა ლეო მაროს. აეთანდილმა ყურები სცქვიტა.

— არ ვიცი. ვნახოთ. ძალიან მინდა, მაგრამ მაშინებენ, შორს არის და ვერ ივლიო.

— არ არის ისე შორს. შარშან ჩემი უმცროსი და მყავდა. მართალია, დაიღალა მაგრამ ნასიამოვნებიც დარჩა, ისეთი კარგი ადგილებია იქ, — შეაგება აეთანდილმა.

— თუ ეგრეა, მოვიფიქრებ. სხვა ქალიშვილებიც წამოვლენ და განა თქვენზე ნაკლებს გაეაკეთებთ? მაინც მეხვეწება საქონლის ექიმში, ჩვენი ჯოჯი იალაღებზე ნახეო.

მთის ყანების დამუშავების დამთავრების შემდეგ ბრივადები ისევ ბარად ჩამოვიდნენ. სამ კვირაზე მეტი დაა-

გვიანდათ: ცალკე კარტოფილის ნაკვეთები იყო დასამუშავებელი. იქვე ცალკე ნაკვიანებ სიმინდს სთქნავენ. მარში მოსავლის აღებისათვის რომ არ შეეშალათ ხელი. ჩამოსვლისას შეტარუნდა ყველა, წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილიყო ამ ხნის განმავლობაში. მიწის ზედაპირი უშველებელი ნაბზარებით იყო დასერილი. სიმინდი წამოზრდილიყო, მაგრამ იქვე ჩახმოზოდა ნადრევი ფოთლები. ხეხილიც კი დამძრალი გამოიყურებოდა. ბალახი ისე გადაყვითლებულიყო ერთბაშად, თითქოს ივლისის ცხელი დღეები დადგომოდა უკვე.

აღმოსავლეთის მშრალი ქარი დასისინებდა ირგვლივ და კიდევ უფრო ახშობდა ისედაც გამოშრალ მიწას. როცა აეთანდილი გორის ფერდში მივიდა, თავზარი დაეცა. გადაყვითლებული, საცოდავად დამქენარი ყანა გადაეშალა თვალწინ. მხოლოდ ერთ ადგილას, ტოტებგამოშლილი პანტის ჩრდილში; სჩანდა მწვანე გეჯილი. თავიდან ბოლომდე დაიარა მან თავის ნაკვეთები. არსად არ შეიძლებოდა თოხის დაკვრა. ქვასავით გამაგრებული იყო მიწა და ისე უჭერდა სიმინდის ძირს, როცა მოთხრა მოინდომა, ლერო ამოაძრო მხოლოდ, ფესვები შიგვე ჩარჩა. ზენაქარის საქროლზე მდებარეობდა ეს საყანეები და ნიადაგიც მკვრივი იყო. ერთ დროს აქ ტყე ყოფილიყო და, როდის გაეჩეხათ, არც ახსოვდა აეთანდილს. ეს ყველაზე უიმედო ნაკვეთები იყო გვალვიან წლებში. ხნიერ კოლმეურნეებს ისიც ახსოვდათ, რომ ერთ წელიწადს ჩალაც კი ვერ აედოთ აქედან. „ამდენი ნათესი და ასე გაფუჭება? არა, ეს შეუძლებელია“, ფიქრობდა აეთანდილი და კიდევდაკიდევ მიაბიჯებდა ერთი ნაკვეთიდან მეორეში. სიცხისა და ქარისაგან გამომშრალი მიწა ფეხებს სწვავდა და ჰაერში ცხელ ბულს აყენებდა. თუ თვითონ იწოდა დარდისაგან მოჭირნახულე კა-

ბუკი. როცა ბოლოში გავიდა, დღეც გათავებული იყო. ყანებს ამ მხრიდან საბალახო მინდვრები ესაზღვრებოდა. ტოტებგაშლილი მუხებიც იდგა იქ. ერთერთის ძირში მივიდა. ჩამოჯდა, ქუდი მოიწმინდა ოფლი და ისევ ყანებს შეხედა. ახლა გვერდიდან სჩანდა გაყვითლებული სიმინდის ღეროები. მინდვრის მეორე მხარეს მოაელო თვალი. მწყემსი ბიჭები შენიშნა. საქონელი არსად სჩანდა. „საქონლის შესევა და აკლია ახლა ამ საწყალ ყანას“, გაიფურა და მწყემსებისაკენ გაემართა.

— საქონელი სადა გყავთ? — შეშფოთებით იკითხა მან, როცა ჩრდილში ლაღაღწამოწოლილ მწყემსებს თავს წაადგა.

— წყალზე ვადარეკვს მორიგეებმა — უპასუხა ერთმა მათგანმა და ფეხზე წამოდგა. წყლის გახსენებაზე თუ იყო, ახლა მოვიდა გონს აეთანდილი, რომ წყუროდა სასტიკად. — მათარაში თუ გაქვთ რამე, — ჰკითხა მწყემსებს და მათარას წაეტანა. შიგ არაფერი აღმოჩნდა. მწყემსებს დაემშვიდობა და ანგარიშმიუტეველად გაემართა წყლისაკენ.

— რა დაემართა აეთანდილს, კაცის ფერი არ ამეცს? — ჩაილაპარაკა ერთმა ხმადაბლა, რომ აეთანდილს არ გაეგონა.

— რა დაემართებოდა, ვერ უყურებ მის ყანას? მას კი არა, მე მიკვდება გული, რომ ეხედავ.

— რა საშინელი გვალვაა მაინც წელს. ოცი წელიწადია არ ყოფილა ასეთით, თქვა ბაბუაჩემმა, — ჩაურთო ლაპარაკში ცისფერთვალა ბიჭუნამ.

— აი არხები რომ გვექონდეს ახლა, არ გაგვიფუჭდებოდა ყანები.

— აქ არხებს რა უნდა, ბიჭო, დასავლეთ საქართველოში წვიმას მიაქვს ყველაფერი, ან ამ გორებზე რა არხს გაიყვან შენ?

— აეთანდილის რგოლი ზარალდება მხოლოდ, თორემ სხვა არაფერი უშავს. სულ რომ არ მოვიდეს წვიმა, ქალებში მოსავალი მაინც კარგი იქნება.

— ამ ყანების გაფუჭებას ვერ გადაიტანს აეთანდილი. მას მიწაში ჩავლებული თითოეული მარცვალი ეცოდება და უყვარს. არ გახსოვთ, შარშან რა ხეავი დააყენა? — ასეთ საუბარში იყენენ მწყემსებში, როცა ამხანაგების ძახილი მოესმათ და აიშალნენ. ტყის შეფენებაზე შერეკეს საქონელი, ეგებ იქ მაინც ეპონათ მწყევან ბალახი. აეთანდილი კი იჯდა ნაკადულის პირას, და ნაღვლიანად ჩაჰყურებდა. პირი დაებანა. ცივი წყალი წელზევით გადაეულო და შვება ეგრძნო.

— ასევე სჭირდება ახლა ჩემს ყანებს წყალი. — ხმამაღლა სთქვა და ფეხზე წამოდგა. „რომ შეიძლებოდეს ამ წყლის იქით გადაყენა“, გულმტკივნეულად გაიფურა და უიმედოდ შეავლო თვალი ქედს, რომელიც ნაკადულს მისი ყანებისაგან ყოფდა. აქიდან ლეფა გაუარა სახლში. იქვე იგახშმა. მოითათბირეს ჰაბუტებმა და დილისათვის ქალის ყანებში წასვლა გადასწყვიტეს. მათ ახლა საერთო საზრუნავი გაუჩნდათ. აეთანდილი ვერ თმობდა თავის დათესილ ყანებს და ამიტომ გორის ფერდშიც ლეოს რგოლს იშველიებდა ხოლმე.

— შეგობრობა არ გიშველით, ბიძია. თქვენი რგოლების მოსაგლით გადაწყვეტთ სოცმეჯიბრების პირველ შედეგებს რგოლებს შორის, — უთხრა მათ ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

ქალების დათვლიერებამ კიდევ უფრო აღმღვრია გუნება აეთანდილს.

— ჩემ რგოლს კი არა, მგონი, ლეოსაც გაუფუჭდეს მოსავალი წელს! — უთხრა დედას შინ დაბრუნებულმა.

— იქ რაღა დამართნია? აკი გვალ-

ვაში უკეთეს მოსავალს ვერ ინატრებს
კაციო?!

— ისე დამსჯარა მიწა, დედაჩემო,
კაცი ჩაიძალემა შიგ. ნაწვიმარზე ვთე-
სეთ და გვალვამ ერთბაშად ამოაშრო
სველი მიწა. ხომ გახსოვს, სათამაშო
კეცებს რომ დაგვიხეთქავდა ხოლმე
მზე ბავშვობისას.

— ხვალ საწრეტების დასაყრუებ-
ლად გავალთ ორივე რგოლი ერთად.
გამოცდილება აკლია ლეოს და ისევე
დაუტოვებია ნაკვეთებში.

— შენ რაღა გეშველება, შვილო?
— ერთად მოვიფიქრებთ რამეს. გა-
ნა იმიტომ ვეჯიბრებით, რომ აუცი-
ლებლად ერთმა უნდა შევირცხვინოთ
თავი? ორივეს გამარჯვებას რა სჯო-
ბია!

დღენახევარს ასწორეს საწრეტები
ქალაში. იქედან საბარგო მანქანი
ლეო და ავთანდილი გორის ფერდის-
კენ გაეშურნენ. კოლმეურნეობის თაე-
მჯდომარეც მათთან იყო. დღეს უნდა
გადაეწყვიტათ ავთანდილის ბედი.
ამინდს საიმედო პირი არ უჩანდა.
არცერთი ნაგლეგი ღრუბელი არ იყო
ცაზე. ზენა-ქარიც ჩამდგარიყო და და-
ხუთული სიცხე იყო ჩამოწოლილი
დღემიწაზე. თავმჯდომარემ შოფერს
საბალახობისკენ დააქერინა გეზი.
ყმაწვილები განცვიფრდნენ. როცა მან-
ქანიდან გადმოვიდნენ და აღმართს
პირდაპირ ხევ-ხევ შეუყვანენ, ორივე
მიხვდა, რა ვანეზრახა თავმჯდომარეს.

— ბოთლი ხომ არა გაქვს შემთხვე-
ვით მანქანაში? — დაუძახა მან შო-
ფერს, როცა წყლის პირს მიადწია. ამ
აღვილას წყალი უკვალოდ იკარგებო-
და ნიადაგში. შემდეგ შორს სოფლის
ბოლოში ამოდიოდა ისევე. შოფერი-
სათვის არ მოუცდია ლეოს, თვითონ
გაიქცა მანქანისაკენ. კაბინაში მართ-

ლაც აღმოჩნდა ბორჯომის წყლის
ბოთლი.

— კუქის ტყვილი მაწულებს და
დამაქვს ხოლმე თან. — აუხსნა შო-
ფერმა. გზა განაგრძეს. როცა ოდნავ
გაეკვდა, დაახლოებით ნაკადულის სა-
თვიდან რამდენიმე ასეულ მეტრზე,
თავმჯდომარემ საათი ამოიღო. დაი-
ნიშნა და ბოთლი წყალს შეუშვირა.

— ოცი ბოთლი წაშში, — ეს ნაკა-
დული კი არა მთელი მდინარეა. — წა-
შოიძახა გახარებულმა და ცივ წყალს
დაეწაფა. დიდი ბჭობის შემდეგ გადა-
წყვიტეს, რომ ეს იყო ავთანდილის ყა-
ნების წამალი.

— ადრე უნდა გვეფიქრა ამაზე.
რამდენი რამეა გასათვალისწინებელი
წინასწარ, — დაასკვნა თავმჯდომარემ
და კვლავ წყლის ხარჯის გაზომვას
შეუდგა, ეშინოდა, არ შემცდარიყო
ვარაუდში.

ბუერი შრომა დასჭარდა კოლმეურ-
ნეობის თავმჯდომარეს, რომ რაიონის
მუშაკები დაერწმუნებია არხის გაყვა-
ნა აუცილებელიაო. დიდ საქმეებს
იმაზეხებდა წყალთა რაიონის ინჟი-
ნერი და, წერ ღმანებისათვის არ
გვეკლიაო, იძახდა. ბოლოს საქმეში
რაიკოში ჩაერია და „წვრილმანი“, რო-
მელზედაც თითქმის ათამდე ჰექტარი
სიმინდის მოსავალი იყო დამოკიდებუ-
ლი, საქმედ იქცა. ინჟინერმა ადგილზე
დაგეგმა არხი, და პიკეტები დაასო,
მხოლოდ დანარჩენი კი კოლმეურნეებ-
მა იკისრეს. უნდა გენახათ, როგორი
თავგამეტებით მუშაობდნენ ლეოსა და
ავთანდილის რგოლები. მათ შეცვლა
არ მოუთხოვიათ. სხვები კი დღეგამო-
შვებით გამოდიოდნენ სამუშაოზე,
რადგან მეორედ გათონხა არ იცდიდა.
ავთანდილს გასათონხი არაფერი ჰქონ-
და, თუ წყალს რა მიაწვდიდა. ლეომ

კი ავთანდილის რგოლთან ერთად სწორედ წინაღობით დაამთავრა ეს სამუშაო. კილომეტრნახევარი არხი გასჭრეს ორი კვირის განმავლობაში. ერთ ადგილას აფეთქებაც კი დასჭირდა ნიადაგს. საბალახოების ფერდზე სწორედ მუხების ძირში გამოიყვანეს ნაკადული და მიუგდეს ავთანდილის ყანებს. ახლა მორწყვის წესიერად ჩატარებას დასჭირდა აგრონომის ხელი.

ზოგი კირი მარგებელიაო, ფიქრობდა ავთანდილი, როცა ყოველდღე მაროს თავის ნაკვეთში ხედავდა. გვალვა რომ არა, თვეში ერთჯერ თუ შემოვიღიდა ალბათ ის ჩემ ყანებს, ახლა კი სულ აქ არის. თუმცა, რა გამოვიდა? — კვლავ ფიქრობდა ის და მაროსთან ახლოსმდგომი მუნჯდებოდა. ძლივს ამოჰქონდა პირიდან მის კთხვებზე პასუხი. როცა პირველი მორწყვა დაამთავრეს, მარომ თანდათან უკლო სიარულს. ბოლოს სულ შესწყვიტა. აგროტექნიკს აგზავნიდა თავის მაგიერად. გაუგებარი იყო, ჰბაუქს მიუხედავად გულისწადილს, თუ მოათავა საქმე. თითო საფიქრალი არ დაეღია ავთანდილს.



შემოდგომა მიიწურა. ქარსიციხე ჩადგა. ახლა აღარაეის აშინებდა ის. „ლამის ცვარი და დღის სიცხე ამწიფებს ყანას“, — ამბობდნენ მოხუცები. ყვითელი ფერი სჭარბობდა ყველგან. შეახმა ფოთლები, სიმინდს. ტაროები უღონოდ ჩამოეკიდნენ. უმწიფარი კვახები მოსჩანდა მხოლოდ იწვანედ. ნათიბებში კვლავ ამოიწვერა ბალახი. აღარ ისმოდა დამწყვდეული ხბოების ბლავილი. ნაადრევად მოტეხილ ყანებს შესეთდნენ ისინი. ჯერ არ იყო დაწყებული სიმინდის ერთიანი ტეხვა. ძლივს აკეცდნენ მოხუცები ახალგაზრდებს.

— კალოზე რომ დაცვაროს, სიმინდი მაინც გაამსხვილებს მარცხედლებს, — იშველებდნენ გამოცდილებს სიმინდს და ტეხვას კვლავ სახვალიოდ სდებდნენ.

დადგა ეს „ხვალეც“. ყველა რგოლი მზის ამოსვლას ასრებდა ადგომას.

— სანამ დასიცხავს, ერთი პირი მუშაობა ყანაში მოთავებული უნდა იყოს, — ამბობდა ავთანდილი. არაეინ ეურჩებოდა მას. ზოგს მამლის ყვილზე გაეღვიძა და მთვარის სინათლეზე სჩანდა, როგორ მიმოდრიოდნენ მეზობლის ქალები სამზარეულოდან ოდა სახლში.

ინათა. მთვარეს ნელა ეკარგებოდა ფერი. ორღობეში ურმები აჭრიალდა. უკან ქალები მიყვებოდნენ, ხელში კალათები ეჭირათ. მამაკაცები დინჯად მიუძლოდნენ ხარებს და მალიმალ ახედავდნენ ცას, ეშინოდათ, თავზე არ დაგვათენდესო.

ნაკვეთიც გამოჩნდა. შრიალით მიეგება შემოსული ყანა მთესველებს. ავთანდილმა ხალხი გაანაწილა. თითონ შუა ადგილას აირჩია სვე. ყოველ შეათე ძირზე ივსებოდა გოდორი. ველარ უთავდებოდნენ ბიჭები დაცლას.

— ოთხ-ოთხ ტაროიანი ძირი მთლიანად ასჭერიო! — გასძახა ავთანდილმა წინწასულებს. მალე იძულებული გახდა შეეცვალა ეს განკარგულება. ცოტაც რომ ეცლია, მთელ ყანას აჰყავდავდნენ ბიჭები.

ურმები ვერ ერეოდნენ სიმინდს. კალომდი მიტანაც სჭირდა. იქიდან საბარგო მანქანა ეზიდებოდა სოფელში.

მოშუადღევდა. ყანის მესამედიც არ იყო მოტეხილი. სიმინდის კალოს თვალს ვერ აუწვდენდა ადამიანი. ყოველ ნაბიჯზე უშველებელი გროვა იდგა. აქამდე არავის შეუშინევიო, რომ ასე დახეავდა მოსაეალი. ტეხდნენ და წინ მიიწივდნენ. როცა მობრუნდნენ, ყველა განცვიფრდა. სასწაულს გავდა

მკლავის სისხო ტარობის კალო. და-
დაძახილზე შესდგა ავთანდილი. მობ-
რუნდა. გაუყვირდა მასაც. გული ნე-
ტარებით აუჩქროლდა. მიმოიხედა.
თვალი ვილაცას ეძებდა. გამოჩნდა
ისიც. ლეოსთან ერთად მოაბიჯებდა
გაჩქარებული. ცდილობდა, სიმინდის
ტაროზე არ დაედგა ფეხი. რომ დაახ-
ლოვდა, ერთბაშად შესდგა. მათ შო-
რის ნაკადული უზრუნველად მილუკ-
ლუკებდა. ვზას უღობავდა. გამოერკვა
ავთანდილი. წინ წაიწია და ერთი ფე-
ხის გაკვრით არზთან გაჩნდა. ორივე
ხელი გაუწოდა. პეპელასავით გადაფ-
რინდა ქალი მეორე მხარეს. არ გაუ-

შვა ხელი ავთანდილმა. მკერდთან
ამოიყენა. მაროც დაჰყვა ნებას... ხელა
ზეიადად გადახედა ავთანდილს... მხა-
ნაგებს. ესეც თავისი შრომის ჯილ-
დოდ თუ მიიჩნია. მარომ ღიმილი ვერ
შეიკავა. ახალგაზრდებსაც მეტი არ
უნდოდათ. ავთანდილი კი ისევე შუბლ-
შეკრული იდგა, მაგრამ ეს გულმოსუ-
ლობისა. არ იყო. სიხარულისაგან მარც-
ხენა წარბი უთამაშებდა. კვლავ მოაე-
ლო თვალი ირგვლივ. ბოლოს მაროს
შეხედა. ერთბაშად გაუბრწყინდა სა-
ხე. თავი დახარა. საკუთარი გრძნობე-
ბის გამომკლავებებს მოერიდა გულ-
ალალი ჭაბუკი.

ზაქარია შარაზლავილი

ბელტები



სამგორი... არსად სოფელი, არსად რაიმე დაბა,
აქ უღობებელმა გრიგალმა გადითარეშა ალბათ.
უთენიაზე მოვედით, როგორც მომსკდარი ღვარი,
აკენესდა ბარის პირებზე ფეხასხლეტილი ქარი.
ჯერ იალბუზის მთაზედაც არ გადმომდგარა დილა,
მიწის ჩურჩული მომესმა, ყური მივაჰყარ ფრთხილად.
— ბელტები გესაუბრებით დანატრებულნი გუთანს,
თავდაღმა დამხობილები გვალვაში ძლივსღა ვსუნთქავთ.
— თქვენ მოგელოდით, არასდროს დაგვიცენესია მაშვრალთ
გეიხსენით — წყალი გეწყურია ათას წელს ბაგე გამშრალთ.
ქარი დაგვწივის, — არ იშლის გულის საკლავად ხითხითს,
წამოგვაყენეთ, ამაყად შეგვახედინეთ მზისთვის.
— ინათა, მიწას გავხედეთ, გადამხმარს, თითქოს უძღურს,
თავზე აღმური გადასდის სამს ძარღვებდამსკდარ ძუძუს.
ზორშაკი დაჰქრის, ცის თალზე ნასახი არ სჩანს ღრუბლის,
ნისლში თვლემს კავკასიონი, — ცისა და მიწის ზღურბლი.
ბარი ზედიზედ დავკარით, ბელტს ამოუდგა ბელტი,
მზე ცის აღმართებს მიჰყვება ცეცხლისმფრქვეველი ეტლით.
ბელტიყლაპია მანქანა ბელტებით ივსებს მუცელს,
წავა და უკან ბრუნდება — მოშიებული უცებ.
საყინებგადალეილებს ზორშაკი კალთებს გვახევს,
ივრის ტალღებით ავავსებთ ხახადღებულ არხებს,
— ბელტებს ფილებს ავუვსებთ სცალონ, — ვერ გამოსცალონ, —
ბელტებო, თქვენმა ბარაქამ უნდა აგვივსოს კალო!

დავით გომოჭუჩი



მეხვედრა

★

გოლიათი მთის კალთას მიჰკვროდა მეცხვარეების ბინა. ეს ქოხი მეტად უბრალოდ და სახელდახელოდ იყო აგებული. სამი მხარე ქოხისა ფოთლიანი ტოტებით იყო მოწნული, მეოთხე კი, რომელიც ცხვრის სადგომისაკენ ჰქონდა მიშვერილი, კარებად დაეგდოთ. ქოხს მალლიდანაც ფოთლიანი არყის ტოტები და ხის ქერქი ეფარა. შიგნით კი ერთს მხარეზე იყო მიყრილი: ყველიანი გუდები და მწყემსების ჯერი, მეორეზე კი, თავიდან ბოლომდე გადებულ ჯოხზე, უწყესრიგოდ ეკიდა მწყემსობის ტანსაცმელი: ყისინები, თექები, წინდა-პაჭიჭი და ჯერ კიდევ ჩაუცმელი კოხუჯები. ქოხის უკანა მხარეზე პირქვედამხობილი ქვაბები, საწველები და სხვა ჭურჭელი ელაგა.

დღე იწურებოდა, როდესაც ქოხს ერთი მთიელი მეცხვარე მიადგა ცხენით. ცხენს ბარგი მოხადა და ქოხში შეზიდა. ყველაფერი დააღაგა, შემდეგ გარეთ გამოვიდა და მოწმენდილ ცას შემოავლო თვალი. შეხედა მთის თავზე ფაფახივით დახურულ შავ ღრუბელს და თავისთვის ჩაილაპარაკა: ეს სატიალე, კიდევ გაიადრებსო. ნაცარში შეხეული ნადვერდლები გარედან ქოში შეიტანა და ცეცხლის დანთება დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ მთის წვერზე შემომჯდარმა ღრუბელმა ფრთები გაშალა, გაიზოგრა, მეზობელ მთებსაც შემოახეია კალთები და დაიჭექა. გარშემო ჩამობნელდა და წამოვიდა შხაპუნა წვიმა. ახენეშებული ქარი დაეტა-

კა არყის ხეებს და უწყალოდ გრება დაუწყო.

სიმონამ გარეთ გამოფენილი ყისინები და ნაბლები ქოხში შეზიდა. საწველები მოამზადა და ყველის ამოღებას შეუდგა. ის იყო მოათავა ამოდება, რომ ცხვრის ფარაც მოვიდა. წინ ყელმოღერებული ვაცი მოუძლოდა. იგი არ ებუებოდა ამინდს. ჯვარედინი რქები ამყაად გადაეწყო ზურგზე და თავაწეულად მოაბიჯებდა. მას მოჰყვებოდნენ რქებგადაგრეხილი ყოჩები, ახალგაზრდა შიშაქები და სულ უკან-კი მოზლოდნენ დედა-ცხვრები. გაწუწულ შეფრებს კულები ლაგებში ამოედგათ, ძუნძულითა და ჩანგლების ქლარუნით მოსდევდნენ ფარას. ჩამორჩენილებს სტვენითა და „ჩიე“-„ჩიეს“ ძახილით მოერეკებოდა მწყემსი.

სიმონა გამოეშველა. ფარას წინ დაუდგა, შეაჩერა და ფარისაკენ შემოაბრუნა. წვიმისაგან შეწუხებულმა ფარამ გაქცევა და თავშესაფარის ძებნა დააპირა. მწყემსებმა ამის საშუალება არ მისცეს, ფარა შეიკრა და ერთ მთლიან მატყლის ფარტენას დაემსგავსა.

მწყემსები ღიმილით მიესალმნენ სიმონას.

ერთ ახლადმოსულს მარცხენა ხელში გრძელი კომბალი ეჭირა, მარჯვენა ხელით კი ყისინის კალთაში გამოხვეული შიშაქი მიეხუტებინა მკერდზე.

— რაი მოსვლია, სანდრო, ნადირი თუ არ დაგვრია? — შეეკითხა სიმონა.

— არა, ქვამ ფეხი მოსტეხა და ხელით წამოვიყვანე, — უპასუხა სანდრომ.

— შენ რაი ამბავი ამოიტანე? უცხო ხომ არაფერია? ან ხომ არავის უჭირდა რაიმე?

— კარგი არაი, ჩემო სანდრო, ხალხი წვალობს, იტანჯება. გუშინ თქვენსა მივედი, არა უჭირდა წამოდილა ცოტად შევეფაროთ. წერილი რამე გამომატანეს შენთან, იმასაც მოგცემ. — უთხრა სიმონამ. ორივენი ქოხში შევიდნენ.

სიმონამ ახალუხის უბიდან დასრესილი ბარათი გამოაძრო და სანდროს გაუწოდა.

— რაი წერილია, ვინ გამოგატანა? — ჰკითხა მან და თან ბარათის გახსნა დაიწყო.

— რაი ვიცი რუსეთიდან მომავლები ჩანდნენ, მდიდრულად მორთულ მოკაზმულები იყვნენ და უცხო ენაზე საუბრობდნენ. როცა გაიგეს, შენი ნამგალა ვიყავი, ჯერ ზიზღით ამხედ-დამხედეს, მერე მკითხეს — ალექსანდრესაც ეგრე აცვიაო? მე თავი დავექნიე. ერთი ტომარასავით დამრგვალებული პაგონიანი კაცი იყო, ის მომიტრიალდა და დაბლვერილმა მკითხა — პურსაც ერთადა სჭამოთ? ბრაზისაგან ავენთე, მაგრამ ოჯახის ნამუსი ვერ გავტეხე და უხმოდ გამოვბრუნდი. როცა მოვათავე დედაშენთან საუბარი და სახლიდან გამოვედი, კარებში დამეწია იმათი მრსამსახურე. ეგ მომცა და მითხრა — ამას ჩემი ბატონები შენს ბატონთან გატანენო.

სანდრომ ბარათი გახსნა და კითხვა დაიწყო. ნახევრამდეც არ კქონდა წაკითხული, სახე მოედუნა და დაედრი-

ჯა. კითხვა შეწყვიტა. წერილი ისე მაგრად მოკმულა, გვერდებზე დახრჩობას უპირებსო. კარგა ხანი იდგა დაღონებული და ჩაფიქრებული. გარეთ კი კოკისპირულად ასხამდა წვიმა. ხანდახან იყუჩებდა, თითქოს შეჩერდებოდა, მაგრამ უცბად ისევ იელვებდა, მთის წვერზე გაიკვანძებოდნენ ცეცხლის თოკები და მუხის ქუხილი შეარყევდა მიდამოს. ისევ ამოიხვნეშებდა ქარი და წამოვიდოდა თქრიალა წვიმა. დროდადრო გაისმოდა შიშაქების ბლავილი.

ფიქრებით ჩუმი სიბნელე მოიპარებოდა ყოველი მხრიდან. იგი არ მონაწილეობდა ცისა და ქვეყნის ბრძოლაში.

გაჩინდებული სანდრო უცბად შეინძრა. დაკმულქვნილი წერილი ხელუკულმა ისროლა და ქოხში აქეთ-იქით სიარული დაიწყო.

— ნეტავ ვიციოდე, რა უნდა იმ ხალხს ჩემგან? ავკაცობა და უსინდისობა არაფერი მიქნია. ნუთუ იმას მემდურთან, საკუთარი შრომით ცხოვრება რომ ვირჩიე, მათსავით სხვისი სისხლითა და ოფლით არა ვსუქდები? — ბორგავდა გულამღვრეული და ერთ ადგილზე ველარ ჩერდებოდა.

— რა სწერია? — მორიდებულად ჰკითხა სიმონამ.

— რაც ცუდია, ყველაფერი: ლანძღვა-გინება, წყევლა და ბოლოს — მუქარა ისიც ვისგან? ნათესავებისაგან! ხალხს სულსა ზღიან, არამი ლუკმით ობობებსავით სუქდებიან. მოძმეების სისხლსა და ოფლს პეტერბურგის გარყვნილთა ბალ-მასკარადებზე ფლანგავენ. რით ვერ გაიგეს, ეს ცხოვრება რომ მირჩევნია მათს ჩინ-მედლებს.

კარგა ხანი შფოთავდა და ბობოქრობდა. როგორც იყო, დამშვიდდა, ჩამოჯდა და სალამურს ჩაბერა.

— მე თუოზე გავალ, ცხვარს ბოლოდან შემოუვლი, თორემ ამისთანა ამინდში მტრისაგანაც საშიშია და

მგლისაგანაც, — უთხრა სიმონამ და თექაწამოსხმული ვარეთ გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქოხის შუაგულში პრიალა ცეცხლი გიზგიზებდა — იხარშებოდა ჩობნის ყაურმა. ცეცხლის ერთ მხარეზე კუნძზე ჩამომჯდარიყო სანდრო. მუხლებზე პატარა ფიცარი დაედო, ზედ გაეშალა ქალაქლები და გატაცებით რაღაცას წერდა. ნაწვიმი ტანისამოსი შრებოდა და ორთქლი ადიოდა.

წერის დროს ხანდახან შეჩერდებოდა, თვალებს ერთ წერტილს მიაპყრობდა, სახე მოედუნებოდა, გაირინდებოდა — თითქოს ვიღაცის ჩურჩულს ისმენსო. ცოტა ხნის შემდეგ შუბლი ისე გაეხსნებოდა, თვალები გაუფართოვდებოდა, არწივივით ასწევდა მხრებს და კვლავ აბარბაცდებოდა ფანქრიანი ხელი რვეულის ფურცელზე.

ამინდი კი ისევ აეობდა. ისევ იკლავნებოდნენ ცეცხლის თოკები. ცა თითქოს მეხის დასანარცხებ ადგილს დაეძებდა, მოულოდნელად შემოიქნევედა აღისფერ მათარახებს, გაანათებდა და მაშინ მოსჩანდა ასვეტილი თხემები.



მოულოდნელად აყეფდა ბასარა, იყოლია სხვა მყეფრებიც და ღამის სიბნელეში რაღაცას შეუტია.

— ჰა, ბასარი! ბასარი! — გამახნევა სიმონამ ერთგული პირუტყვი.

სანდრომ საწერი გვერდზე გადასდო, თოფი გადმოიღო და სიმონას გაეხშიანა. ფარებს გვერდზე ჩაუარა და სწორედ იმ მხარეს დადგა, საითკენაც ძაღლები უყეფდნენ.

მყეფრების ხმა თანდათან ქოხისკენ მოიწვედა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქოხიდან გამოჭრილ ცეცხლის სინათლეზე გამოჩნდა წელშიმობრილი ლანდი. ზურ-

გზე რაღაც მძიმე წამოეკიდა და ისეც ძნელად საეალ ფერდობზე მოვიდა — ბობლაედა. ერთი ხელით მარჯვს იკავებდა, მეორეში კი ჯოხი ეკირა და მყეფრებს იგერიებდა. მწყემსებმა მყეფრები მოაცლეს. უცნობი ქოხის კარებს დაუპირდაპირადა, მოკიდებული ხარჯიხვი მიწაზე დაავლო და მწყემსებს მიმართა:

— აქა მშვიდობა, ხალხნო!

— ღმერთმა მშვიდობა და გამარჯვება ნუ მოგიშალოს, კვლავ უკეთესი მოგაკვლევინოს, — ერთხმად უპასუხეს მწყემსებმა.

სანდრომ თოფი ჩამოართვა თავიდან ფეხებამდე გაწეწულ უცნობს და ქოხში შეუძღვა. უცნობი ისე იყო დასველებული, ვუბედან ამოყვანილი გეგონებოდათ. მუხლები და იდაყვები ტალახით ჰქონდა დასვრილი. ხუთმეტრეკესმეტი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ სიტყვა-პასუხი და საქციელი დასრულებულ ვაჟაკს შესურდებოდა. ფშაური წინდა-პაჟიკი და საყელომოჭარგული ახალუხი ეცვა, ქამარზე ეკიდა პატარა სატევარი და საპირისწამლე.

სანდრომ ჰაბუტს გაახდევინა სველი ახალუხი. მშრალი თექა მოახურა და ცეცხლს მოუსხდნენ.

— როგორი დიდი ხარჯიხვი ჩამოგიგდია, მარტო იყავ სანადიროდ? მიამბე-ლა?

— არა, ბიძას ვახლდი, — მიუგო ჰაბუტმა, — სანადიროებში რომ ავედით, მე იქ დამტოვა და თვითონ-კი ქარაფებს აჰყავა, როცა კარგა ხანი გავიდა და მოლოდინი მომეწყინა, მარცხენა მხარეს ავუქციე და სულ მალე ჯიხვების ხოროს წავაწყდი, წინ მღვამი ამოვიღე ნიშანში და შენი მტერი, მალე ის ავაყულე ყირაზე. გავარდა თუ არა თოფი, მაშინვე მოსწყდა ადგილიდან. ორწობიდან ამოტანა და გამოჯიგვრა დამიგვიანდა. თანაც ავიღარი დგებოდა და გადაეწყვიტე, პირდაპირ

სახლში წავსულიყავი. ნანადირევი მიმე იყო და ვიდრე მთაზე გადავიდოდი, ღამემ მომიხსწრო, თანაც ამისთანა ავი ამინდი დამეცა და მეც უფსკრულში გადალტყვას ისევ დარჩენა ვამჯობინე.

— კარგი ვიქნია, ზეთის მადლმა, — მოუწონა სანდრომ. — კიდევ კარგი, ბინა გცოდნია და მოსულხარ, თორემ ამისთანა უჩინ ღამეში არც სიარული შეიძლება და ერთს ადგილზედაც არ გაიძლების.

— ცეცხლის სინათლე დავინახე და მომავონდა, გავლისას ბიძაჩემმა რომ მომიითთა: აგერ, იმ მთაზე აძოვებს ცხვარს ზევის მებატონის შვილიო. მე ყაზბეგიანთ ბინა მეგონა და აქეთ წაშოვედი. თუმცა, რა ბედენაა, მაგრამ ეტყობა — შეეშალა ბიძაჩემს.

— არა, ბიძას არ შეშლია, ეს ბინა სწორედ ყაზბეგიანთია, — მიუგო სანდრომ.

— მერე მებატონის ფარდული სადღაა? — იკითხა გაკვირებულმა ჭაბუკმა.

— მებატონის ფარდულიც ეს არის და მებატონეც! — სიცილით უპასუხა სანდრომ.

ჭაბუკმა გაკვირვებით შემოაგლო თვალი ატალახებულ ფარდალალა ქოხს, მერე კი სანდროს დაუწყო თვალიერება, იფიქრა. დამკინისო.

— არა, ქრისტეს მადლმა! — დაიფიცა ჭაბუკმა. — ზევის მებატონის შვილი მწყემსად რომ არის — ეგ მეც გამიგონია და ბიძამაც მართალი მითხრა.

— ვინ არის შენი ბიძა? ფშავლობა გეტყობა.

— ფშაველი ვარ, ლუჯა შქვიან. თუ გაგიგონია ჩარგლელი რაზიკათ პაველ, იმისი შვილი ვარ.

— პაველსი? — გაიკვირვა სანდრომ. — გამიგონია კი არა, ვიცნობ კიდევ. შესშენილი კაცია. რისთვის დაგტოვა სახლში და სკოლაში არ გაგზავნა?

— ესწავლობ, — თავის დაქნევით უთხრა ჭაბუკმა და ხმაშმაკისადაც დაეცყო. — ესწავლობ, მაგრამ იმისთვის არაფერს გვასწავლიან. მინდა რუსეთს წავიდე.

— რუსეთში რაილა გინდა? — შეეკითხა სანდრო.

— იმად, რომ კარგი სწავლა მივიღო, თორემ აქაური სწავლით ვერც თავს რამეს ვუშველი და ვერც ხალხსა.

— იქნება ჩინოვნიკობა გინდა, ან აფიცრობა?

— ღმერთმა მაშოროს ერთიცა და მეორეცა! — წყენით უპასუხა ჭაბუკმა და თან დაუმატა. — მინდა ვისწავლო და ხალხს გამოვადგე, ხოლო ისე კი არა, აი იმ მებატონის შვილს რომ უქნია, — ბევრი უსწავლია, მოსკოვსაც ყოფილა, ხოლო როცა დაბრუნებულა, კალმის მაგიერ კომპალი აუღია და ხალხის მაგიერ თურმე ცხვარს დაუძღვება.

— მაშ რა უნდა ექნა? — შეეკითხა სანდრო და პასუხის მოლოდინში ჭაბუკს თვალებში ჩააცქერდა.

— რა და ხალხს ჩასდგომოდა სათავეში, სწავლა და გამოცდილება ხალხისად მოეხმარა. აი მაშინ იქნებოდა საქები, — უპასუხა გულმოსულმა და თან დაუმატა. — აი ბარში ისეთი ამბავია, რომ რუსეთიდან დაბრუნებული ხალხი ქვეყანას გადატრიალებას უპირებს.

ჭაბუკის სიტყვებმა სანდრო განაცვიფრა და აღაფრთოვანა. ამ ჭაბუკში დაინახა იგივე ცეცხლის გიზგიზი, რამაც თვით გაიტაცა და რუსეთის ვრცელი ქალაქები შემოატარა, აჩვენა ყოველი ჯურის ხალხი, გაიძვრა ჩინოვნიკობა და მათ მიერ გაწამებული ხალხი. ბოლოს კი პირადი ბრწყინვალეობა მწყემსის გულა-ნაბადზე გააცვლიყვინა ეს ცეცხლი იყო — დაზავრული, მშრომელი ხალხის სიყვარული.

მასში შეიყნო სულიერი მეგობარი, თავისი მიზნებისა და მისწრაფების თა-

ნამოზიარე. გადაწყვიტა ჰბატუისათვის ნამდვილად გაეცნო ვინაობა, ეამბნა, თუ რატომ მეცხვარეობას მოჰკიდა ხელი და არა სხვა რაიმე სამსახურს.

კუნძი ლუკასთან ახლოს მიაკურა და ლაპარაკის კილო შეეცალა. ლუკა ანთებული თვალებით შეჰყურებდა ამ საკვირველ ადამიანს. მოხიბლულივით უსმენდა. იმას-ღა ნანობდა, წედან ნადრევედ რომ აძაგა.

— მაშ ისევ ის ჯობია, კაცი თავის ხალხს არ მოშორდეს, მისი ჰირ-ვარამის მოზიარე იყოს?— შეეკითხა ლუკა.

— ერთ დროს მეც ვეყავი გატაცებული უცხო ადგილებისა და ხალხის გაცნობით. თავისი ხალხიდან საშუალოდ გაქცევისაგან კი ღმერთმა დაგვიფაროს, ხალხს მაშინ უნდა გვერდში დგომა, როდესაც უჭირს. ახალგაზრდის ხასიათი ვარიის ნიბილოსა ჰგავს— ხან ერთ მხარეზე გადაიხრება, ხან მეორეზე. შენ ჯერ ბალღი ხარ, ვიდრე ცხოვრების სიღრმეში ჩაიხედავ, ხან ერთი მიზანი გავიჩნდება, ხან მეორე. ცხოვრება კი ძნელი ამოსაცნობია. მას გამოცდა და ბრძოლა უნდა. ადამიანის ცხოვრებას აზრი მაშინ აქვს და მაშინ განსხვავდება პირუტყვის ცხოვრებისაგან, თუ ებრძვის უსამართლობას და ხალხს ემსახურება.

ქოხიდან დიდხანს ისმოდა საუბარი. იგი ხან არაგვივით ჰქედა და გრგვინავდა, ხან კი მიწყნარდებოდა და ალაზნის ჩურჩულად იქცეოდა.

შუალამისას წვიმამ გადაიღო.

აკიაფდნენ ნამტირალევი ვარსკვლავები.

სიმონამ სალამურს ჩაბერა. მომჯადოებელმა რაკრაკმა ერთხანტელივით დაურბინა გარინდებულ მთებს და შორს კლდეთა ქარაფებში ჩაიბნა.

•
•

დღე და ღამე ჯერ კიდევ ებრძოდნენ ერთმანეთს. დეკიანებში მიმალუ-

ლი როკოები ხმამალა აყივდნენ. ფარეხი ახმურდა. შეცვლად უფრეხები აიშალნენ, შმორებდა და მუხუხით გაიწვიეს ერთი-მეორე, ნამი გაიბერტყეს. გაისმა ძვერება და რქების ლაწალუწი.

სიმონას საბარგულა ცხენი მოეყვანა, კეხზე ზურჯინივით გადაეკიდა ლუკას ნანადირევი ხარჯიხვი და ზედ ამაგრებდა. თან კი მოხეურ კილოზე დაბალი ხმით ლიღინებდა.

სტუმარ-მასპინძელსაც მოეთავებიათ საუშუმე და გარეთ გამოსულაუენენ. სანდროს ხელი მხარზე მოეხვია ლუკასთვის და კომბლის ტარით ფშავისაკენ გადასასვლელ გზას უჩვენებდა.

— აგერ ის გზა, ქარაფებში რომ იკარგება, ყველაზე მოკლე გზაა. ნაგრამ ბილიკი მეტად ვიწროა და ვაი ითუ ვაგვირდეს ამ ნაწვიმარზე აკიდებულ ცხენით სიარული. ისევ ჯობია, ქვევითად წახვიდე და ფხიტურაზე გადაიარო, შორია, მაგრამ ესა სჯობს.

— ცხენისა მეშინიან, არსად გადავიგდოთ, თორემ მე კი, სადაც კაცს ფეხი დადგმულა „მასზედა გავლა ასრე მიჩნს, ვითა გარბენა ველისა“.

— მაგ სიტყვების მთქმელს, ხომ გახსოვს, როგორი ცხენი ჰყავდა — ვაეხუმრა სანდრო.

— ვანა ამაზე უკეთესი? — გადაიხარხარა ლუკამ.

— ცუდი გზა კია და თუ მაინც არ დაგიშლია, შენ იცი — წადი, მხოლოდ ვახსოვდეს; ცხენი თუ ვარდებოდეს, ჩემი არ მოგებათროს და დაქერა არ დაუწყო, გაუშვი თოკს ხელი და ჩვენი პირიც წაიღოს. შენ მიდი სახლში მშვიდობით და დროზე წადი სკოლაში.

სანდრომ ჯიხვაკიდებული ცხენი ახსნა და სტუმარმასპინძელი საუბრით გაჰყენენ ვიწრო ბილიკს. კარგა მანძილი რომ გაიარეს, ლუკა მოუბრუნდა და ღიმილით მიმართა:

— მადლობელი ვარ, მეტს ნულარ

შასწუხდები, როგორც იქნება გავიკვლევ გზას.

სანდრო კიდევ აპირებდა გაყოლას, მაგრამ ლუკამ აღვირი ხელიდან გამოართვა, ისიც აღარ გაუძლიანდა, ცხენისა და იარაღის ჩაბარების შემდეგ მიმართა ლუკას:

— კარგად ისწავლე, რომ მტერმა არ გაიხაროს. ცოტა ხნის შემდეგ მეც გამოვეთხოვები ჩემს ნამგალაებს, ჩამოვალ ქალაქში და იქ ხშირად ენახოთ ერთი-მეორე. მშვიდობით, ლუკავ! — დაამთავრა სანდრომ და ტოლებივით გადაეხევივნენ ერთმანეთს.

ლუკა ჩქარი ნაბიჯით გაუდგა თოკივით ვიწრო და ჩამორეცხილ ბილიკს. ბილიკი ჯერ მწვანე საძოვრებზე მიიკლაკნებოდა, მერე კლდეებს მოებმოდა და ორწოხებში იყარგებოდა.

სანდრო კარგა ხანი იდგა ერთს ადგილზე და თვალს არ აშორებდა მიმავალ ლუკას. ეტყობოდა, უმძიმდა ამ

მჩქეფარე და გონიერი ქაბუკის ასე მალე დაშორება. ბოლოს თუკევი-მეფლეკისწია, თვალი შემოაელტ [დასწავნი] წამომდგარ გოლიათ მთებს და ხელეზაღმართულმა მლოცველის ხმით წარმოსთქვა:

— ეგებისს..

დაბრუნებული ქოხის წინ ჩამოჯდა. კარგა ხანი გაპყურებდა თმაქალარა, მწვანე ჩოხიან მთებს, მერე გუდას გადასწვდა, ლერწმის სალამური ამოილო და სეედიანად ააკვნესა. ეს ჰანგი გაიტაცა დილის სიომ და ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფ მიდამოს მოაბნია.

ქაუხებიდან ჩამოჰქონდა ნიავს ლუკას სიმღერა და კლდეების გუგუნის:

...ჯიხვსა თოფ დაეხარ ბერხენსა,
კლას ჯახს იქნენ რქისანი...

ამ სიმღერას იმეორებდა თითოეული ქარაფი და ორწოხი, იმეორებდნენ უფსკრულები.

ქონსაგონი ავაშუკლი

ყანები

★

ცა კამკამებს, ლურჯი ფერი დაჰკრავს მინდვრებს,
მოსავალი აშრიალებს ყანებს,
კოლმეურნე ხელში ნამგალს მოიმშვილდებს,
პირს უსინჯავს, არ უჯერებს თვალებს.
რა ყანაა, თავთავეები მკერდზე სწვდება,
ნამგალზე კი მზის სხივები ელავს,
ყანასა მკის, ბრძოლის ველი აგონდება,
ქერჩის მიწა და შავი ზღვის ლელვა.

შორით ოქროსფერ ძნებს ჰკრავენ ქალები,
ძნებს ჰკრავენ მკლავმარდი ბიჭებიც.
მზე ჩადის, ვარდისფრად ლელავენ ყანები,
შრიალებს ბებერი ფიჭვები.
ხედავენ გოგონას ომგადაბდილები,
ხედავენ, ძნასა ჰკრავს შრიალას.
და მოაგონდებათ: ბრძოლაში დაჭრილებს,
მკერდზე რომ უხევედა იარას.

მთა ლოსაჰი



თაყარაძნელ ჭაბუკს

★

მოგდევ თრიალეთს და გზებზე გეძებ
 ჯაგაბეთიდან გაჩენილ ცეცხლით.
 ბევრი რამ მითხრეს შენს მწარე ბედზე,
 ძაო, გამხდარხარ სიბნელის მსხვერპლი.

მთაში დამიხედნენ მწყემსები დღესაც,
 მწვანე იალალს გადაჰყვა ცხვარი.
 სტვირმა თითებში დაიწყო კენესა
 და გამაგონა ამბავი მწარე.

მე იმ ლერწამში შენი ხმა ვიცან,
 გამოვიქვც და საშველად მოველ.
 გულის ნაღველი ჩავეუქრე სტვირსა
 და სულ ახალი სიმღერა ვპოვე.

და ეს სიმღერა მხარეა ჩემი,
 შემოხატული არწივის ფრთებით.
 ედგეეარ ნათელში, ვერ მოთქვამს ენით
 და ყვავილების სურნელით ვთვრები.

შენ კელაპტარი ჩაგიქრეს მაშინ,
 შესძახე ცას და ღრუბელი გაჩნდა.
 ო, დარჩი უგზო ბობოქარ გზაში;
 მწუხარე იყო ყოველი განცდა.

სატრფო კანკალით გელოდა გაღმა,
 შენ მიიკვლევდი ბნელაში მიზანს.
 მერე იგრძენი მკლავებში დაღლა
 და მოინატრე ღიმილი ცისა.

სადა ხარ ახლა? განახა ნეტავ,
 ცეცხლის მტრედები ჰყენავენ ღამეს.
 გაკელაპტრებულ სამშობლოს ვხედავ
 და მზიურობას ვულოცავ ხრამქვსს.

მე ამ მხარეში სიმღერა მიყვარს.
 მინდა, ჭაბუკო, მიზანი გიჭოს
 და შენ თუ სატრფოს სანთელი იყავ,
 ეს ლექსიც შენი სანთელი იყოს!

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ზოგადი საკითხისათვის*

IV

თუ ჩვენ მთლიანად განვიხილავთ ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას, არ შეიძლება არ ვიგრძნოთ, რომ მისი პუბლიცისტიკა ექსტენსიურია თავისი ფორმიტაც და შინაარსითაც. ფილიპე მახარაძემ ერთხელ მიუთითა, რომ ილიას ძლიერ ემარჯვება მოწინააღმდეგის არამართო დამცირება, არამედ თავისი თავის გამართლებაც. როცა ილია ყალბ საფუძველზე დგას, მაშინაც კი მისი მსჯელობა ისეთ ფორმას ატარებს, რომ არამახვილი მეთხველისათვის დამარწმუნებელია. სწორედ ამ დროს შესამჩნევია წინააღმდეგობათა რთული კონგლომერაცია, მაგრამ რა საბუთით ვაყენებთ ამ დებულებას? განვიხილოთ ვრცელი პუბლიცისტიკური წერილი „ცხოვრება და კანონი“, რომლის ერთ ერთი ძირითადი მიზანია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შემოღებული ევრეთწოდებული „მეოთხედობის“ უკანონობის დამტკიცება და მისი ახალ სახით წარმოდგენა. „მეოთხედის“ შემოღება ილია ჭავჭავაძეს არ მიაჩნია კანონიერად, ვინაიდან „მეოთხედობამ“ ხელი შეუწყო გლეხობასა და მემამულეებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებას. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ „ჩამოვარდა“ მეოთხედობა—ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც. მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვადასხვა კანონები სადავიდარაბო და ორივე მხრისათვის თავში საცემი“. აქ გარკვევით სჩანს ილია ჭავჭავაძის უარყოფითი დამოკიდებულება „მეოთხედობისადმი“. მაგრამ ის თანმიმდევრულად ვერ იცავს ამ თვალსაზრისს. წერილში „ნუთუ“? ილიამ განიზრახა „მეოთხედობისათვის“ მოეშორებია ნეგატიური, უარყოფითი მომენტები და გადაეცეთებია ორივე მხარისათვის (მემამულე და გლეხი) სასარგებლოდ. „მეოთხედობის“ ამ ორიგინალურ ფორმას ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვუწოდოთ „მეოთხედობის“ ილიასებური წესი“. მაგრამ რას ნიშნავს, როგორია მისი შინაარსი ან რატომ დასჭირდა ილიას შეეტანა ცვლილებები „მეოთხედობის“ წესში? ვისთვის იყო აუტანელი „მეოთხედობა“ — მემამულის, თუ გლეხისათვის? ამ საკითხებს უნდა ვავეცოთ პასუხი, თუ გვინდა ვავეგოთ „მეოთხედობის“ ბუნება და „ილიასებური წესი“.

„მეოთხედობა“ ნიშნავდა გლეხის მიერ მებატონისაგან დასამუშავებლად აღებული მიწის ნაკვეთის შემოსავლიდან მეოთხედი ნაწილის მიცემას მებატონის სასარგებლოდ. ილია ამბობს, რომ ამ წესს ჰქონდა უარყოფითი მხარეები, ვინაიდან ის იწვევდა გლეხსა და მებატონეს შორის კონფლიქტს, მებატონესა და გლეხს შორის ურთიერთობის გამწვავებას. „რომ მებატონესთან გლეხი პირნათლად გამოსულიყო, რასაკვირველია, მებატონის კაცი უნდა

* დასასრული. „მართობი“ № 11.

1. იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტომი VIII, გვ. 7.

დასწრობოდა ნამუშევრის შინ შემოტანის დროს და მეოთხედი მიეთვალა, თუ აეწყო. დაიდვა ეს კანონიკა. ყველამ იცის, რომ ნამუშევარი თითქმის ერთნაირად იმავე დროს შემოდის მთელ საქართველოში თუ არა, ერთ და იმავე სიღრმეში მიიწვ. აბა, ეხლა იფიქრეთ, რა უნდა ექნა ამ შემთხვევაში იმ მებატონეს, რომელსაც ათი და ოცი კომლი ნაყმევი ეყოლებოდა? როგორ უნდა გასწვდნოდა ათსა და ოც კომლსა? სად ყვანდა ათი და ოცი კაცი მაგ მეოთხედების უკან სადევნებლად ერთ და იმავე დროს? არ გაგზავნიდა—ექვსში უნდა ჩავარდნილიყო, გლეხი მოჰპარავსო, და გაგზავნიდა კიდევ — იმ მეოთხედიდან კაცების დაჭერის ხარჯს კაი წილი მიჰქონდა. იყო ორ ჰირს შუა. ამ შემთხვევაში ან გლეხის კეთილ სინდისიანობას უნდა დამყარებოდა, ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეფად, რადგანაც მეტს მძიმე ხარჯი მოსდევდა. გლეხი უფრო ცუდ დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნებატონარის კაცს, ვინ იცის, როდის მოვიდოდა და ბატონის კაცის ლოდინში შიშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამიხდინოსო; არ მოუცდიდა კიდევ — შიში კლავდა, მეტს წამომედავებინაო.¹ ამ წესის გაუმჯობესების მიზნით ილიამ თავის მამულში შემოიღო „მეოთხედების“ ჩაბარების „საბარათო სისტემა“, რომელსაც მან „უბრალო და უმანკო წესი“ უწოდა. გლეხი ჩაბარებდა თუ არა ილიას მოურავს „მეოთხედს“, მოურავისაგან უნდა გამოერთმია ქვითარი — „მეოთხედის“ რაოდენობის აღნიშვნით და ისე ჩაებარებია ილიასათვის. როგორც ვხედავთ, თუ პირველ შემთხვევაში ილია ქაეჭავაძე ნეგატიურად უყურებდა „მეოთხედების“ სისტემას, მეორე შემთხვევაში ის შეეცადა გაეუმჯობესებია „მეოთხედების“ ეს წესი, და ამგვარად, არამართო დაეცვა თეორიულად, არამედ გაეტარებია პრაქტიკულადაც.

მსგავსი წინააღმდეგობანი ილიას პუბლიცისტიკაში არ არის შემთხვევითი, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს იმ დებულებას, რომ მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმია ბოლომდე თანმიმდევრული მოძღვრება, რომ ყოველი მოაზროვნე ააშკარავებს წინააღმდეგობას, თუ იგი მატერიალისტური დიალექტიკით არ ხელმძღვანელობს. მართალია, ილია ქაეჭავაძის აზროვნებაში ჩვენ ხშირად გვხვდება მატერიალისტური შეხედულებები, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და საერთოდ სინამდვილის შემეცნებაში იგი ვერ იცავს თანმიმდევრულ მატერიალისტურ შეხედულებებს. ამ დებულების ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ პუბლიცისტური სტატია — „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები“, დაწერილი 1897 წელს. ილია ქაეჭავაძე ერთის მხრივ ემყარება ავანკობისა და ქურდობის გამომწვევ მიზეზად ეკონომიურ სარჩულს, მაგრამ მას ამათუმი კუთხის მცხოვრებთა ბუნება უფრო მიაჩნია ავანკობისა და ქურდობის მიზეზად, ვიდრე ეკონომიური სიღიწროვე, საზოგადოებრივი ურთიერთობა და გაბატონებული საზოგადოებრივი წყობა. მისმა თანამედროვე ეგნატე ნინოშვილმა „სიმონაში“ სულ სხვანაირად წარმოიდგინა საქმის ვითარება, გვიჩვენა ავანკობის სოციალური შინაარსი, ავანკობის მიზეზად მიიჩნია მთელი საზოგადოებრივი წყობა. ავანკობის უმთავრეს მიზეზად ილია ქაეჭავაძემ აღიარა არა იმ დროს გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობის პოლიტიკური და სოციალური შინაარსი, არა ის, რომ თვით ეს საზოგადოებრივი წყობა იწვევს ავანკობას და ქურდობას, არამედ ამ საზოგადოებრივი წყობის ერთი

ნაწილი—სასამართლო და მთავრობის მოხელეები. ეკონომიური სარჩულით ავაზაკობისა და ქურდობის ახსნა მან „მეტის მეტად“ მიიჩნია. ჩვენს პრაქტიკულ ვიტყოდით, რომ აქ იყოს ბაზისის ვულგარულ-მექანიკური თქმობის კრიტიკა. არა, ილია ჭავჭავაძეს ეკონომიური ურთიერთობა ამ შემთხვევაში წარმოადგენილი აქვს დამოუკიდებელ თვითარსად, რომელიც არსებობს და არავითარ გავლენას არ ახდენს მთელ საზოგადოებრივ წყობაზე, მაშინ, როცა სხვა მთელ რიგ შემთხვევებში მას ეკონომიური ბაზისის როლი სწორად აქვს გაგებული. ქურდობისა და ავაზაკობის განმარტების დროს კი ეკონომიური ურთიერთობა ილიას ნაწერებში განსაზღვრებულია ცალკე ინდივიდების, განმხოლოებულ პიროვნებათა ბედნიერებისა და უბედურების ერთერთ მთავარ მიზეზად, მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან გამოთიშვით. „მეტის მეტი იქნება ყოველივე ხსენებულ ეკონომიურ უღონობას დაეპირალოთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზს ვიკვლევთ. თუ ეკონომიური უღონობა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომელნიც აქეზებენ და ასაზრდოვებენ ამნაირ ავკაცობასა და რომელთა წყალობითაც გაქირებულნი კაცი გაეტაცებინება ხოლმე მაცდურებას—რაც არ უთესნია, ის მომყოს. ერთი ამ გარემოებათაგანი არის იმედი—არაფერს გამოიმეკიდებო“. ¹ მითითება, რომ ავაზაკობას და ქურდობას ხელს უწყობდნენ მთავრობის ადგილობრივი მოხელენი, რომლებიც ყურადღებას არ აქცევდნენ ავაზაკებსა და ქურდებს—განმარტებას საჭიროებს. ჯერ ერთი, უკიდურესად ბარბაროსულად უმასპინძლებოდა ბიუროკრატია თავისი მოხელეებით უმრავლეს შემთხვევაში ყოველად უდანაშაულო ადამიანებს, რომლებიც ავაზაკის სახელს იმსახურებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ეგუებოდნენ გაბატონებულ ძალადობას, მაგრამ, მეორეს მხრით, განა მათ მიმართ კიდევ უფრო მკაცრი ზომების მიღებას შეეძლო შეამზოხე ადამიანების გულისთქმის შეჩერება? ინკვიზიციამ ცეცხლითა და მახვილით სცადა სქოლასტიკის დაცვა მეცნიერული აზრის ქარიშხლისებური კრიტიკისაგან, რისთვისაც ასეულობით მეცნიერები გაგზავნა კოცონებსა და საპატიმროებში, მაგრამ მაინც ვერ გადაარჩინა სქოლასტიკა, ვერ შეაჩერა მეცნიერების ძლევა-მოსილი წინსვლა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალურ უბედურებათა და ბოროტებათა საფუძველია ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოება, რომ მისი მოსპობისათვის აუცილებელია დაემზოს ანტაგონისტური კლასობრივი ინსტიტუტი თავისი ნორმებით და კატეგორიებით, რომ ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობანი განსაზღვრავენ მათ მოქმედებასა და აზროვნებას. მარქსის ცნობილი მე-11 თეზისი ლიუდვიგ ფეიერბახის ფილოსოფიის შესახებ სწორედ იმ მომენტიდან გამოდიოდა, რომ საჭირო იყო მსოფლიოს არა მარტო ახსნა, როგორც ამას ჩადიოდნენ ფილოსოფოსები, არამედ შეცვლა. ამ შეცვლის მთელი დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ურთიერთობანი, რომელნიც ისტორიის გრძელ მანძილზე ჩამოყალიბდნენ მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში,—შეცვლილიყო, რაც მთელი კაცობრიობის ცხოვრების შეცვლის აუცილებელი პირობა იქნებოდა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ეკონომიური ფაქტორით განსაზღვრავენ საზოგადოების არა მარტო ყოფას, არამედ შეგნებასაც. საზოგადოების უარყოფითი, მახინჯი მოვლენების მოსასპობად, უპირველესად საჭიროა ამ ურთიერთობის მოსპობა, რომელიც

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტომი VIII, გვ. 255.

გაბატონებულთა ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში. ილია ჭავჭავაძის აზრით კი საჭიროა არა მთელი ეკონომიური ურთიერთობის ანუ მართლაც შეცვლა, არამედ სხვადასხვა ზომების გატარება, რომელნიც თუ „მთლად არ აღმოჰყვეთს ქურდობასა და ავაზაკობას... უუქველად აღაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და სხვა არა იყოს-რა, ხელს მაინც არ შეუწყობს, და ესეც მოგება იქნება“.¹

საზოგადოებრივი მოვლენების შეცნობის ანალოგიური თვალსაზრისით არის დაწერილი ვრცელი გამოკვლევა „ცხოვრება და კანონი“, რომელშიაც ის აზრია გატარებული, რომ საქართველოს წარსული არ იცნობს ხალხის დაყოფას წოდებით, და რაც მთავარია, მათ შორის ბრძოლას. ევროპისა და რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველო ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია ისეთ ქვეყნად, რომელიც არ ხასიათდება რთული საზოგადოებრივი მოვლენებით. მართალია, იყო ელემენტები, რომელთა მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე მიიყვანდა, მაგრამ ამ ელემენტებს არასოდეს მისცემია მოძრაობისა და განვითარების საშუალება. რაკი ბრძოლა არ არსებობდა, „ბანაკებად დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობ-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში, რომელიც, თუ თვის ცხოვრებაში უნუგეშობას რასმეს გრძნობდა, საერთოდ ჰგრძნობდა, რადგანაც ყველანი, როგორც ზევითა ვსთქვი, ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყუნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში. თუ ევროპას მივხედავთ, იქ სულ სხვა ამბავი იყო“.² ევროპაში საშუალო საუკუნეების მთელ მანძილზე განვითარებული იყო „ხელთმოქმედება“, იგივე „მიწის შემუშავება“, რაც გადაიქცა „ცილების საგნათ, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლოდობითი წყარო ქონებისა“. მაგრამ შემდეგ, — შენიშნავს ილია, — „როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთმოქმედება, მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო: მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწის მფლობელთა თავად-აზნაურობას და სამღველელობას. ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდი რევოლუციით. ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება „ბურჟუაზია“, რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგივრად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა“. ილია ჭავჭავაძეს კარვად ესმის, რომ ბურჟუაზიამ განიზრახა მთელი ქონება ჩაეგდო ხელში და ეს განზრახვა სისრულეშიც მოიყვანა. მან საზოგადოების დიდი ნაწილი ქონების გარეთ დატოვა. ეს დიდი ნაწილი იყო მუშა-კაცი, ის მუშა-კაცი, რომელიც იბრძვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ყოველგვარი წყობის ქვაკუთხედად დევს შრომასა, რომელიც ბუნებითაც ყველას განმათავანისწორებელია,

¹ იბ. იქვე, გვ. 273.

² იბ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 57. სხვათაშორის, ილიას „ხელთმოქმედების“ აღსანიშნავად მოჰყავს რუსული „Промышленность, производство“, რაც ნიშნავს მრეწველობას, წარმოებას. თარგმანი არ არის სწორი. მართლაც, ევროპაში განვითარებული იყო მანუფაქტურული წარმოება, რაც ნამდვილად ნიშნავს „ხელთმოქმედებას“, ხოლო თუ მანუფაქტურული წარმოება „ხელთმოქმედება“, მაშინ ეს სიტყვა არ შეიძლება ვიხსაროთ მიწათმოქმედების აღსანიშნავად, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე ხმარობს.

რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს“. ეს ბრძოლა პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის მიერ იწარმოებოდა საკვების კანონიერ, „საბუთიან“ მოვლენათ, თვით დეზულერების მხარეზე დასაყრდენიდან აქვს აღებული, მაგრამ ასეთი ბრძოლის მიზეზი მას საქართველოს პირობებში არ ეგულება.

საქართველოს თავადაზნაურობის უპირატეს უფლებას გლეხობასთან შედარებით ილია მხოლოდ იმაში ხედავს, რომ თავადაზნაურობა „მოკითხვის წიგნში“ ბრწყინვალედ იხსენიებოდა, გლეხი კი არა. „წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება—რომელიც უადრესი მიზეზი იყო დაუძინებელი განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა“. ისტორიის გრძელ მანძილზე საქართველოს თავადაზნაურობა „არ დაშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთ წყობად, ერთ დასად“¹ მაგრამ თუ გლეხსა და თავადაზნაურობას შორის იყო ან არსებობს განხეთქილება, ამის მიზეზია „თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახლა“. ეს ყალბი იდეალისტურ-მეტაფიზიკური თვალსაზრისია, რომელსაც ისტორიული გამართლება არ გააჩნია. პირიქით, საქართველოს ისტორია წარმოადგენს არამარტო წოდებათა შორის განხეთქილებისა და „ცილების“ ისტორიას, არამედ ისე როგორც კაცობრიობის მთელი ისტორია, იგი კლასთა ბრძოლის ისტორიაა. თუ განხილვის სფეროდან გვერდზე დავტოვებთ საქართველოს ისტორიას მეთვრამეტე საუკუნემდე, მარტო მეცხრამეტე საუკუნე ათეულობით ითვლის გლეხთა აჯანყებებს არამარტო მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკის, არამედ თავადაზნაურობის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ილია ჭავჭავაძე საქართველოს სპეციფიკურ პირობებს განმარტავს, როგორც განსხვავებულსა და დამოუკიდებელს ევროპისა და რუსეთისაგან, შესაძლებელია აქ ჩანდეს ნაროდნიკობის იდეური გავლენა, კერძოდ იმ ნაროდნიკებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თითქოს რუსეთში პროლეტარიატი, როგორც ულასი, მსგავსად ევროპისა, არ არსებობდა; იმ ნაროდნიკებისა, რომლის გენიალური კრიტიკა ლენინმა მოგვცა; იმ ნაროდნიკებისა, რომლის თეორიული არსენალის სიყალბე აჯრკედევ სალტიკოვ-შჩედრინმა გამოაშკარავე. ვისაც სოციალური უთანასწორობის მოსპობის ერთადერთ საშუალებათ კლასობრივი ბრძოლა (ილიას გამოთქმა რომ ვიხმართ, წოდებათა შორის ბრძოლა) მიაჩნია, ილია ჭავჭავაძის აზრით, „დიდად სცოდავს“. ეს პირდაპირ საბედისწერო შეცდომაა, რომელმაც ილია ჭავჭავაძეს საშუალება არ მისცა სწორად წარმოედგინა საზოგადოებრივი ცხოვრების რთული მოვლენები. საქართველოში კლასობრივი ბრძოლის არსებობის საბუთად, ილიას აზრით, არ შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ ევროპაში კლასობრივი ბრძოლაა. ეს იგივე იქნება „კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ქონდეს თქვას: სახლს დავეა უნდაო“. ისტორია, ყველაზე დიდი მსაჯული, თვითონვე უარყოფს ამ ცდომილებას და გამოარცხელი ბრძოლის, რომ ილია ჭავჭავაძე შემდეგ თვითონვე იტყოდა უარს თავის იმ დებულებებზე. რომლებიც, სხვას რომ თავი დაეანებოთ, მისი მხატვრული შემოქმედების ანსამბლს არღვევდნენ.

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 59—60.

არა მარტო კლასებს, რასაც ილია „დასებს“ უწოდებს, არამედ საქართველოს ისტორია თურმე არ იცნობს საზოგადოების დაყოფას უწოდებდნენ. „ჩვენს ენაში სიტყვა არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რომელიც სიტყვა „СОСЛОВИЕ“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა; ეხლა შემოგვყავს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის — ვარგა სახმარად თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც და წერილებშიაც არსად არ შევხვედრივართ. ეს იქნება იმის მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დასადასად დაყოფა ერთბისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა. თუ რაიმე მაგალითებია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენს ხელმწიფეებს კრება მოუხდენიათ და მოუწვევიათ სამღვდელთა და დიდკაცთა რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაკუთრების უფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას თვით ხელმწიფისას, რომელიც თავისის სურვილისამებრ, თუნდა მოიწვევდა და თუნდა არა. ამის გამო, იმ ბრძოლას და შეხეტქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად, ვასაგრცობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არ ჰქონია.“¹ თუ არ ჰქონდა, მაშინ როგორღა აეხსნათ ის დიდი შინაგანი სოციალური კიდილი, ჩაგრა და დამონება, რომელიც ილია ჭავჭავაძის მხატვრულმა გენიამ ასე მომაჯადოებელი ხელოვნებით დაგვიხატა „აჩრდილში“, „კაკო ყაჩაღში“, „საჩხობელაზე“ და ღრმა პათეტიკით დაწერილს ლირიკულ შედეგებში?

V

ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავსცემდეთ, საქირთა ჯერ აღვნიშნოთ, რომ მწერლის პუბლიცისტიკა და მხატვრული შემოქმედება ხშირად არ არის იდენტიური. ენგელსის კლასიკური დახასიათებით ლეგტიმიზმმა პოლიტიკაში ხელი ვერ შეუშალა ბალზაკს ბურჟუაზიის სახით დაენახა იმ დროს აღმავალი კლასი და მოეცა არისტოკრატის გამანადგურებელი კრიტიკა „ადამიანურს კომედიაში“. მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, თითქოს მწერლის პოლიტიკური მრწამსი მხატვრულ შემოქმედებაში ყოველთვის საწინააღმდეგოდ იხატებოდეს. ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტიკა მთლიანობაში ერთმანეთთან, თუმცა არის ურთიერთდამორჩევა. თუ პუბლიცისტიკაში ილია უარყოფდა კლასობრივ ბრძოლას საქართველოს პირობების მიხედვით, ამავე დროს მისი შემოქმედებიდან აშკარად სჩანს კლასობრივი ბრძოლა და საზოგადოების დაყოფა როგორც კლასებად, ისე წოდებებად.

მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტიკის მთლიანობას ილია ჭავჭავაძის მემორიუალში ნათელს ჰქვენს სეპარატიზმის საკითხის გარკვევაც. თავის აღრინდელ პროზაულ ნაწარმოებში — „მგზავრის წერილები“ — ილია ჭავჭავაძემ სეპარატიზტული ტენდენცია როდი გამოამჟღავნა, როგორც ეს აღიარებულ იქნა ლიტერატურის ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ. მოხევის პასუხი, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნენო“, სეპარატიზმი კი არ იყო,

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 56.

არამედ იმის მოთხოვნა, რომ შინაურ საქმეებში გარეშე ძალის — ამ შეთხვევაში თვითმპყრობელობის უხეში ჩარევა შეუთავსებელია ხალხურ-ქვეყნადრ უფლებებთან — თავისუფლად იცხოვროს და თავისუფლად მართოს თავისი შინაური საქმეები. ამიტომ ავტორის სიტყვები: „მივიხედი ჩემო მოხუცე რანესტარითაც ხარ ნახვლელი“. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“ — თქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უუცარმა ტივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დამარხა. როდემდის დამარჩეს ეგ ტივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!...“ ვიმოხრებთ, ავტორის ეს სიტყვები სეპარატისტული ტენდენცია კი არ არის, არამედ ის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეაა, რომელიც თერგდალეულებმა თავიანთ დროშას წააწერეს და რუსეთის მოწინავე რანსონიციურ ინტელიგენციასთან სოლიდარობის გრძნობით წამოაყენეს როგორც ბატონყმობის, ისე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მისი მახვილი „მგზავრის წერილებში“ მოხვდა იმ ქარაფშუტა ოფიცერს, სულელ, ჭკუათხელ, გულზეიად ადამიანს, რომელსაც ქართველი კაცის ყოფნა პეტერბურგში მიაჩნია საოცარ მოვლენათ, ხოლო პეტერბურგთან შედარებით ტფილისი „წითანი“ ქალაქად, სადაც „ერთი თავიდან რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა“. ეს იყო თვითმპყრობელობის უხეში ძალის კრიტიკა და ავტორი სწორედ ამიტომ გვიხატავდა მეფის ოფიცერს ასე მუქი ფერებით. ამიტომ იყო ის, ჭკუათხელი ოფიცერი, განცვიფრებული იზღერის ბალით, ამიტომ მიაჩნია მას, შინაგანად ცალიერ ადამიანს, თავისი თავი მეცნიერათ, რომელსაც გამოგონება აქვს, გამოგონება, რომლის „ყოვლის შემქმნე ძალით მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლია“. და მერე რა არის ეს გამოგონება? „ჩემი დენშიჩი ფრიად დიდი ქურდი იყო, — ამაყად ამბობს ოფიცერი, — საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა. მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზე დამარჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდან გავიდოდი, დენშიჩი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე ორი ბუზი, დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავხურე და არ დავეკეტე კი. ახლა მკითხავ რისთვისაო? იმისათვის, რომ თუ დენშიჩი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო, რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარა ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხლია ვისმე, ვინ ახდიდა, თუ არა ჩემი დენშიჩი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშიჩი შაქარს ველარ მპარავს. ეხლა, ყოველ დილას, ჩაის გავათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინადა ვარ: ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი? იაფი და ქურდობის უებარი წამალია. ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახობაში ყუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისთვის არ გამიმქლავნებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ — თქვენც გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეს არის, რომ არაყის ქურდობას ჯერ ვერა უშველე რა. არაყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ ხსრჩობიან — Губа не дура. მაგრამ მაგის წამალსაც

მალე მოვიგონებ¹. ეს მხატვრული სახე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში იმ მიზანს ემსახურება, რომ გამოაშკარაოს მეფის თვითმპყრობელობის შინაგანი სიცილიერე და დასაბუთება მისცეს ცარიზმის წინააღმდეგ პირველყოველ ძალთა ბრძოლას, როგორც გონიერ საწყისს. მაგრამ ეს რომ სეპარატიზმი არ იყო, თვითონ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა თავის პუბლიცისტურ წერილებში. სტატია „კატკოვის პასუხად“, რომელიც დაწერილია 1880 წელს, ნათლად ამტკიცებს ჩვენს დებულებას. „Московский ведомости“-ს ერთერთ ნომერში (№ 44) დაიბეჭდა კორესპონდენცია ტფილისიდან. კორესპონდენტი სომხებსა და ქართველებს ამხელდა და ახასიათებდა როგორც სეპარატისტებს. „Московский ведомости“-ს რედაქტორობდა შხვარაშელი კატკოვი. ილია ჭავჭავაძემ სასტიკი პასუხი გასცა არამართო კორესპონდენტს, არამედ თავისი პუბლიცისტური სტატიის მახვილი მიმართა პირველყოველისა კატკოვის წინააღმდეგ. კორესპონდენტი, როგორც ილია ამბობს, აბრალებდა სომხებსა და ქართველებს, რომ ისინი სეპარატისტები არიან, ქართულსა და სომხურ წარმოდგენებს თავს აკლავენ, სხვა წარმოდგენებზე კი არ დადიანო. ილია ჭავჭავაძემ სავსებით სამართლიანად დასცინა კორესპონდენტსა და კატკოვს, რომლებსაც მოურიდებლად უწოდა „მაბეზღარი ადამიანები“. „რათა მშურსო ბ-ნს კორესპონდენტს, — წერს ილია, — რომ ქართველები და სომხები თავიანთ თეატრში დაიარებიან? რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხარებდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე? გული ადამიანისა ფიცარი ზომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო? გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია“². ილია ჭავჭავაძე კატკოვიდულად უარყოფს ბრალდებას, თითქოს ქართველები და სომხები სეპარატისტები იყვნენ. სხვანიირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან „აჩრდილის“ ავტორი ყოველთვის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამცველად გამოდიოდა, ამასთან, მხურვალედ იცავდა რუსი და ქართველი ხალხების მჭიდრო კავშირის იდეას თვითმპყრობელობის უხეში ძალის გარეშე. გვიხსენიოთ ილია ჭავჭავაძის მიერ არაერთგზის ნათქვამი სიტყვები დიდ რუს ხალხთან ქართველების მჭიდრო კავშირის ისტორიულ მნიშვნელობაზე. 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში რუსეთის ჯარის შემოსვლიდან 100 წლისთავს ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა სპეციალური წერილი, რომლითაც მან მთელი ქართველი ხალხის სიხარული გამოხატა. ეს წერილი პირდაპირ საბრალდებო აქტია შხვარაშელი კატკოვისა და მისი ავან-ჩავანების წინააღმდეგ, რომლებიც ზმის ჩაწყვეტამდე გააკიოდნენ სეპარატიზმზე მოწინავე ქართველი ინტელიგენციისათვის სახელის გასატეხათ. ჩვენ მთლიანად მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს სტატიიდან „ასი წლის წინათ“, მთლიანად იმიტომ, რომ მკითხველი თვითონ დარწმუნდეს—სეპარატისტი ვერ დაწერდა იმას, რასაც ილია ჭავჭავაძე ასე გულმხურვალედ გვეუბნება. თბილისში რუსეთის ჯარის შემოსვლით საქართველოს უკანასკნელმა „მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაი-

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 254 — 255.

² ი. ი. ჭავჭავაძე, წერილების სრული კრებული, ტ. II, გვ. 7.

ცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულ-მა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ დაწყებული დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში, ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამწვინდა დიდის ხნის დაუშვინებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ეღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაქპრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მართო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-ლა დაავრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლადნთხულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააკაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაქცევა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწოდ, უნუგავ, ყველასგან შორს, მარტოდ-მარტო იხოებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-ყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ველარაგინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს, 1799 წელს, კვლავ სასოგბა-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“.

შეეძლო თუ არა ეს გულმხურვალე სიტყვები დაეწერა იმ ადამიანს, რომელიც სეპარატიზმით იქნებოდა გატაცებული? შეეძლო თუ არა ეს აზრები გამოეთქვა იმ ადამიანს, რომელსაც ბოლომდე არ ექნებოდა შეგნებული საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული საფუძვლები? განა შეეძლო ასე ღრმად წარმოედგინა ამ ისტორიული აქტის მნიშვნელობა საქართველოს ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაში იმ ადამიანს, ვინც ცალმხრივად სეპარატიზმს გამოედევნებოდა, ხოლო სინამდვილეს ფხიზელი თვლით არ განსჯერებდა? რა თქმა უნდა, არ შეეძლო, აქ ორი აზრი სავესებით გამოორიცილებია. ილია ჭავჭავაძეს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ამ საკითხის მთელი არსება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარე, ესმოდა, რომ შეერთების აქტი უფრო ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე ოსმალეთისა და ირანის ბარბაროსული აგრესიის კლანჭები. მას აგრეთვე კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა და რუსი ხალხი ერთიდაიგივე არ არის, რომ მათ შორის ისეთივე უფსკრულია, ისეთივე განსხვავებაა, როგორც რუსეთის თვითმპყრობელობასა და ქართველ ხალხს შორის. მას აგრეთვე კარგად ესმოდა, რომ რუსი ხალხის ამხედრება მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ

ქართველ ხალხში უდიდეს თანაგრძობას პოულობდა, ისევე როგორც თვით-მკურანელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის გაბრძოლება რუსეთის ხალხის მხარდაჭერით ძლიერდებოდა. ყოველივე ეს დასრულებული კონსტიტუციის სახით პქონდა შემუშავებული ილია ჭავჭავაძეს. ამიტომ მისთვის ძნელი არ იყო შერაზმელი კატკოვი თავის უნიჭო კორესპონდენტებთან ერთად განესხვევებია დიდი რუსი ხალხისაგან, რომლის პატივისმცემლად და ერთგულად „აჩრდილის“ ავტორი ყოველთვის გამოდიოდა. ამითაც უნდა აიხსნას შემდეგი ფაქტი: „Московския ведомости“-ს კორესპონდენტმა გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნება ქართველებმა ქართული დროშები, რომლითაც დაშვებულნი იყო წარმოადგენა „სამშობლო“, გოდფრუას ცირკს მიყიდონო. კორესპონდენტის ეს ირონია ილია ჭავჭავაძემ მისთვის ჩვეული შეუპოვრობითა და დაუნდობლობით გააკრიტიკა: „ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაეკაცობით და თავგამომეტებით თან გაპყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უქცევია მამულისათვის, — დღეს ეგ დროშა საცირკოთ გაგეიხადა ერთმა ვილაყა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა“. ასე სწორად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს დიდი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, ასეთი იდეებით ხასიათდებოდა მისი პოეზიაც და პუბლიცისტიკაც, ხოლო თუ ასეა, მაშინ სეპარატიზმის ბრალდებათ თვითონვე უნდა უარპყოს თავისი თავი, მას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია.

ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ რა ორგანიული მთლიანობა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებას შორის. გლეხობის საკითხშიც ჩვენ ანალოგიური სურათი გვაქვს. პუბლიცისტური სტატიებიდანაც ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძეს ძალიან აწუხებს გლეხებთან განხეთქილებისა და უთანხმოების შიში, ვინაიდან „ზეალე — ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულერი და ხორციელი ცხოვრება“. ეს დებულება უცვლელად მეორდება კესოსთან არჩილის დიალოგში „წყალგალმა დაწერილი წიგნის“ შესახებ. თუ პუბლიცისტურ სტატიებში ილია ყველგან ამტკიცებს, რომ გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის არ უნდა მოხდეს არავითარი გათიშვა, არავითარი „ცილება“, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ერთ ორგანიზმს, ისინი ისტორიულადაც ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყუნნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში“, არჩილიც მსგავს თვალსაზრისს იცავს, მისთვის გლეხობა—„ეს წყალგალმა დაწერილი წიგნი“ დაკარგული ნახევარია, დაკარგული იმიტომ, რომ მათ შორის ხილია ჩატეხილი. ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ სტატიებში ამტკიცებს, რომ ისტორიულად გლეხობას და თავადაზნაურობას შორის არ იყო ხილჩატეხილობა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში თეორიამ საზოგადოების კლასებად დაყოფისა მათ შორის ნამდვილად ჩატეხა ხილი. სწორედ ამიტომ გლოვობს არჩილი, რომ თავადაზნაურობამ დაკარგა თავისი მეორე ნახევარი, ურთმიოსოდ მას ცხოვრება და არსებობა არ შეუძლია. „მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ, და როგორც ჭკვადამჯღარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუქით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც. ესეც ვიცი, მაგრამ ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლსავით სპეტაკს პერანგქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან—მეთქი, მე კი ჩემი თავი მძავს და

მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, ედო-
მაა¹. * ძნელია რაიმე განსხვავება ნახოთ ილიას პუბლიცისტურ ნაწარმოებებში და არჩილის დებულებებს შორის. არჩილი ისეთივე „მინიმალური“ მანერაა ურია“ ილიასათვის, არჩილი ისეთივე ავტობიოგრაფიული ტიპია, როგორც ნახევარდღი ტოლსტოისათვის, სწორედ ის ნახევარდღი, რომლითაც ტოლ-
სტოიმ თავისივე თავი ასე ოსტატურად გამოხატა. ბევრია ავტობიოგრაფიუ-
ლი მომენტები ოთარაანთ ქვრივის ოსტატურ პორტრეტში, მის შეხედულებებში და მკაცრ სენტენციებში.

VI

როგორ ესმოდა ილია ქვეყანაძეს საზოგადოება, მისი განვითარება, მისი ყოფა, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერების მიღწევა? ყველგან, ეს იქნება პუბლიცისტური სტატია, თუ მხატვრული ნაწარმოები, იგი საზოგადოების ბედნიერების აუცილებელ პირობად აღიარებს კერძო საკუთრებას, რომელიც დამყარებული უნდა იქნას არა უთანხმოებასა და განხეთქილებაზე, არამედ, სრულ პარმონიასა და ადამიანთა შორის კეთილ განწყობილებაზე. კერძო საკუთრება არ უნდა იყოს საფუძველი დავისა, რომ ეს ჩემია, რომ ის შენ არ გუკუთვნის, რომ მე ვარ მისი სრული მფლობელი. ლეგიტიმაციური კერძო საკუთრება,—აი რა უნდა დაედვას საფუძველად საზოგადოების ბედნიერებასა და მომავალს. მაგრამ ავტორს არა აქვს წარმოდგენილი, რომ საზოგადოების მტრულ კლასებად დაყოფა წარმოიშვა სწორედ კერძო საკუთრების ჩასახვისთანავე და რუსოს მოხდენილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, პირველი უდიდესი დამნაშავე ისტორიაში სწორედ ის ადამიანი იყო, რომელმაც მიწის ნაკვეთს პირველად შემოაგლო ღობე და სთქვა: ეს ჩემია. ამ პირველი უდიდესი სოციალური ბოროტებია შემდეგ აპირო იყო ადამიანი, რომელიც კაცობრიობას მოაშორებდა კერძო საკუთრების საფუძველზე წარმოშობილ მთელ საშინელებას, ადამიანი, რომელიც აღნიშნულ ღობეს აპყრიდა, რომ ეთქვა: ეს მიწა საერთოა, ის არ არის ერთი ადამიანის საკუთრება, ის საერთო საკუთრებაა. კერძო საკუთრების ინსტიტუტი ილიას მიანდა ხელშეუხებელ ტაძრად, სადაც სიმშვიდე არ იყო და უნდა დამყარებულიყო. თუ რომელიმე ადამიანი განიზრახავს დაამსხვრიოს კერძო საკუთრების ინსტიტუტი, გააუქმოს მისი ნორმები და კატეგორიები, მიწასთან გააწიროს საუკუნოებით შექმნილი ტრადიცია მესაკუთრეობისა და პრაქტიკულად გადადგას ნაბიჯი კერძო საკუთრების ინსტიტუტის დასაშობად, ის დანაშაულს ჩაიდენს, ვინაიდან „რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლეხაკს, რომელიც არც ხიზანია თქვენი, არც ნაყმევი, რომ თქვენს მამულზე ხელი გაიწოდოს მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვეყნთხედად უდევს არამც-თუ მთელს სახელმწიფოს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე“². იმ ეპოქაში, როცა ილია მოღვაწეობდა და დღევანდელ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მთელ სახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ წყობას მართლაც კერძო საკუთრება ჰქონდა და აქვს დადებული ქვეყნთხედად, მაგრამ თერგდალეულების ბელადს არ ესმოდა, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი სოციალური ჩაგვ-

¹ იხ. „ოთარაანთ ქვრივი“, მე-19 თავი, „ჩატეხილი ხეი“.

² იხ. ილია ქვეყანაძე, ნაწარმების სრული კრებული, ტომი IX, გვ. 196.

რისა, კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც თავის მიზნად კერძო საკუთრების მოსპობას ისახავს, რათა ის საყოველთაო ბედნიერების წყაროდ გამოვიყენოთ, თუ გლახაკი იშვერდა ხელს კერძო საკუთრების მოსპობისაკენ, „ანტილიის“ ავტორს ეს მიაჩნდა გლახაკის არა სამართლიან აქტად, არამედ მიზნად იმ მოძრაობისა, რომელიც „ცეცხლსავით მოედო მთელ საქართველოს და ყველა, ნებით თუ უნებლიეთ, თან წაიყოლია“. მისთვის კერძო საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლის საბუთი სხვა არაფერია, თუ არა ის, „რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო.“ ეს უდიდესი შეცდომა იყო, რომელმაც ხელი შეუშალა ილია ჭავჭავაძეს მეცნიერულად განემარტა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენა, უფრო ახლო მოსულიყო მარქსიზმთან და არ დაემაყოფილებულიყო მარტო იმით, რომ მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლის კარლ მარქსისათვის სახელოვანი ეწოდებინა, ზოგიერთი რამ მიელო მისგან, მაგრამ მთავარი კი ხელიდან გაეშვა და უყურადღებოდ მიეტოვებინა. მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლებს სწორედ ანალოგიურ ბრალდებას უარყოფდნენ, როცა მიუთითებდნენ, რომ „ჩვენ, კომუნისტებს, გვისაყვედურებდნენ, — თქვენ გსურთ მოსპოთ პირადად შეძენილი, თავისი შრომით მოპოვებული საკუთრება, საკუთრება, რომელიც ყოველი პირადი თავისუფლების, მოქმედებისა და თავისთავადობის საფუძველს შეადგენსო.

შრომით მოპოვებული, პირადად შეძენილი, პირადად მონაგარი საკუთრება! ხომ არ ლაპარაკობთ თქვენ წერილბურჟუაზიულ, წერილგლახურ საკუთრებაზე, რომელიც წინ უძღოდა ბურჟუაზიულ საკუთრებას? ჩვენ არ გვჭირდება მისი მოსპობა, — მრეწველობის განვითარებამ მოსპო იგი და სძობს მას ყოველდღე“; ბურჟუაზიული კერძო საკუთრება ნამდვილად არის უკანასკნელი და უსრულესი გამოხატულება პროდუქტთა ისეთი წარმოებისა და მისაკუთრებისა, რომელიც დამყარებულია კლასობრივ წინააღმდეგობაზე, ექსპლოატაციაზე ერთისა მეორის მიერ და ამ აზრით კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია გამოხატონ ერთი დებულებით: კერძო საკუთრების მოსპობა. მაგრამ სწორედ ამან დასცა თავზარი კერძო საკუთრების აბოლოგეტებს. რა მართალი იყვნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსი და ენგელსი, როცა კერძო საკუთრების მოსპობის თეორიით შეშფოთებული ბურჟუაზიის მისამართით ამბობდნენ: „თქვენ თავზარდაცემული ხართ იმის გამო, რომ ჩვენ გესურს მოესპოთ კერძო საკუთრება. მაგრამ თქვენს დღევანდელ საზოგადოებაში კერძო საკუთრება უკვე მოსპობილია მის წევრთა ცხრა მეათედისათვის; იგი არსებობს სწორედ იმის მეოხებით, რომ არ არსებობს ცხრა მეათედისათვის. მაშასადამე, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გესურს მოესპოთ ის საკუთრება, რომელიც აუცილებელ პირობად გულისხმობს საკუთრების არქონას საზოგადოების დიდიხალი უმრავლესობის მიერ“.² ეს დებულებები გამოყენებულ უნდა იქნას კერძო საკუთრების ილიასეული კონცეფციის კრიტიკაშიც. გამორიცხული არ არის ის გარემოება, რომ კერძო საკუთრების არასწორმა გაგებამ ილია ჭავჭავაძეს ხელი შეუშალა სწორად

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, გვ. 63.

² იქვე, გვ. 67.

მაგრამ თავდაზნაურების მიერ დაარსებული ბანკი, თავის უპირველეს მიზნად, ცხადია, თავდაზნაურობის ინტერესებს, მის ეკონომიურ კეთილდღეობას ისახავდა და არა საერთოდ მთელი საზოგადოებისას, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა. და თუ ბანკის ეს მიზანი კრახით დასრულდა, აქ ისტორიის გარკვეული კანონი მოქმედებდა, კანონი, რომლის ძალითაც ჯერ კიდევ საფრანგეთში, მე-19 საუკუნის გარიყრეის წინ, დიდი რევოლუციით ბურჟუაზიამ უფლება ნაკარა თავდაზნაურობას, რომ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური საქმე ხელში ჩაეგდო. სათავდაზნაურო ბანკის მოღვაწეობის ეპოქა იყო საქართველოს ფეოდალური არისტოკრატის დეგრადაციის ეპოქა, ეპოქა, როცა კაპიტალიზმი თავის ძლიერებას ამტკიცებდა სოფლად და ქალაქად, ძირს უთხრიდა საქართველოს თავდაზნაურობას, რომელიც, ილიას აზრით, უხდა შეგუებოდა ახალ ძალას. მაგრამ ეს რომ შეუძლებელი იყო, ეს რომ ეწინააღმდეგებოდა ისტორიულ კანონზომიერებას, ილია ჭავჭავაძეს არ ჰქონდა ნათლად შეგნებული და სწორედ ამიტომ ის ასე დამბეჯითებით ამტკიცებდა თითქოს ბანკმა დიდი როლი შეასრულა თავდაზნაურობის ეკონომიურად გაძლიერებაში, საზოგადოების კეთილდღეობაში.

ილია ჭავჭავაძის ყველა პუბლიცისტური სტატია თითქმის ერთი ძირითადი საკითხის — საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხის ირგვლივა დაწერილი. მაგრამ ზოგჯერ აზროვნების მეტაფიზიკური წესი მას არ აძლევდა საშუალებას აღნიშნული საკითხი ყოველთვის მეცნიერულად გადაეხედა. ჩვენ ეს რამდენიმე მაგალითზე უკვე ვნახეთ. ინტერესს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ „ცხოვრება და კანონის“ ძირითადი საკითხის — ადამიანთა და საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ერთერთი ფორმის — მმართველობის ბუნების ილიასებური ინტერპრეტაცია. ილია ჭავჭავაძე ფიქრობს, რომ თვითმმართველობა გაცილებით უფრო მისაღები და პოზიტიური საშუალებაა საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად, ვიდრე მმართველობა. რაც უნდა მდიდარი იყოს ბუნება, მიწა ნოყიერი, „მრთელი ჰავა“ — ხალხთა კეთილდღეობა მაინც მიუღწეველი ოცნება იქნება, თუ „კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორის უფლება და მოვალეობა“. ილიას ეს მიაჩნია საზოგადოების კეთილდღეობის პირველ და აუცილებელ პირობად. მაგრამ უფლება და მოვალეობა მას წარმოდგენილი აქვს არა როგორც ბაზისის ზედნაშენი, არა როგორც ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობის გამოხატულების ფორმა, არამედ თვით ადამიანების სურვილით დადგენილი კანონი. მაგრამ უფლება და მოვალეობა რომ სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობათა გამოვლინების ცოცხალი ფორმა, ილიას არ ესმის. მას წარმოდგენილი არა აქვს, რომ უფლება და მოვალეობა ისტორიის კანონზომიერი კატეგორიებია, ეკონომიურ ურთიერთობათა გაკვიდან მომდინარე და მის გარეშე არ არსებული. შეუძლებელია ვილაპარაკოთ საყოველთაო უფლებაზე იქ, სადაც „საზოგადოების ერთი ნაწილი გამოდის როგორც მთელი ეკონომიური დოვლათის ბატონ-პატრონი, ექსპლოატატორი, რომელიც საკუთარ კეთილდღეობას მთლიანად აშენებს საზოგადოების მეორე ნაწილის დაუნდობელი გაყვლეფის ხარჯზე. თვითმმართველობა, როგორც საზოგადოების ურთიერთობის მოწესრიგების ფორმა, ილია ჭავჭავაძემ დაიცვა და აღიარა, როგორც უპირატესი, მხოლოდ იმიტომ, რომ შეესუსტებია ის უთანხმოებანი, რომელ-

ნიც სოციალურ-ეკონომიურად განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის არსებობდა და რომელიც ილიას ეხატებოდა, როგორც მწიფე ნაყოფი შორის პირადი ინტერესების კონფლიქტი. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რატომ მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს თვითმმართველობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის უპირატეს ფორმად, აუცილებელია გავიგოთ თვითმმართველობის დედაარსი.

აქ უნდა გავიხსენოთ ზოგიერთი ისტორიული ფაქტი თვითმმართველობის საკითხზე სრული წარმოდგენის მისაღებად. მხედველობაში გვაქვს ლენინის პოზიცია კაპიტალიზმის დროინდელი თვითმმართველობის მიმართ. ეს პოზიცია ყველასათვის ცნობილია. ლენინს შეუძლებლად მიაჩნდა კაპიტალიზმის პირობებში თვითმმართველობის ისეთ ფორმად წარმოდგენა, რომელიც რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში დასაყრდენი იქნებოდა. პლუხანოვის მტკიცებას — საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რომელნიც მიწას ჰფლობენ, მუნიციპალიზაცია ჰქმნის რეაქციის საწინააღმდეგო სიმაგრესო, — ლენინი გაუმართლებლად სთვლიდა და სწორედ იმიტომ, რომ „არსად და არასოდეს (მაიქციეთ ყურადღება — არსად და არასოდეს — გ. ჯ.) ადგილობრივი თვითმმართველობა არა ყოფილა და არ შეიძლება იყოს რეაქციის საწინააღმდეგო სიმაგრედ კაპიტალიზმის ეპოქაში. კაპიტალიზმს აუცილებლად მიეყვარათ სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციისაკენ, და ყოველგვარი ადგილობრივი თვითმმართველობა უსათუოდ დამარცხებული იქნება რეაქციული სახელმწიფო ძალაუფლების დროს“¹ საკითხი ნათელია და არაერთარ კომენტარს არ საჭიროებს. აუცილებელია ითქვას შემდეგაც: პლუხანოვის მტკიცებას ლენინი ოპორტუნიზმს უწოდებს, ვინაიდან პლუხანოვი ყურადღებას აქცევს არა რესპუბლიკას, რომელიც ლენინს მიაჩნია ერთადერთ წარმოსადგენ სიმაგრედ რეაქციის წინააღმდეგ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, არამედ „ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც ყოველთვის უძლურია დიდი ისტორიული ამოცანების მიმართ, რომელიც წერილმანია, დამოკიდებული და დაქუცმაცებულია“² ნათელი ხდება, თუ რატომ გამოდიოდა ლენინი, რატომ იბრძოდნენ ბოლშევიკები ადგილობრივი და „რევოლუციური თვითმმართველობის“ წინააღმდეგ კაპიტალიზმის პირობებში, რატომ იყო, რომ იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ინტელიგენციას — ინგლისელ ფაბიანელებს, გერმანელ ბერშტეინელებს, ფრანგ ბრუსისტებს — სიმძიმის ცენტრი სახელმწიფო წყობილების საკითხებიდან გადაჰქონდათ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხზე, ლენინი ხაზგასმით ამტკიცებდა: „პროლეტარიატის ამოცანას შეადგენს მასების დარაზმვა... რევოლუციური ბრძოლისათვის, რათა განხორციელდეს სრული დემოკრატიზაცია დღეს და სოციალისტური გადატრიალება ხვალ“³ სიტყვითა და საქმით ბოლშევიკები გამოდიოდნენ შენშევიკური „რევოლუციური თვითმმართველობის“ წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, რომ იგი არასაქმაოა, არასრულია, არ გამოხატავს რევოლუციის სრული გამარჯვების პირობებს. ბოლოს პლუხანოვიც იძულებული შეიქნა ეღიარებინა, რომ მენშევიკების მიერ გადმოსროლილმა ლოზუნგმა „რევოლუციური თვითმმართველობის“ შესახებ არავის არაფერი არ განუმარტა და ბევრი ააციდინა სწორ გზას.⁴ რო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 365. ხაზი ყველგან ლენინისაა.

² იქვე, გვ. 365, ხაზი ჩვენია. გ. ჯ.

³ იქვე, გვ. 370. ხაზი ლენინისაა.

⁴ Ленин, Сочинения, т. IX, стр. 191.

გორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხრივ ლენინს „რევოლუციური თვითმმართველობის“ ლოზუნგი არასწორად მიაჩნდა. „რევოლუციური თვითმმართველობის“ ლოზუნგის ნაცვლად 1905 წელს ლენინი აყენებდა „ხალხის თვითმპყრობელობის“¹ ლოზუნგს, ვინაიდან პირველი ეხებოდა მმართველობას, ხოლო მეორე სახელმწიფო წყობილებას. მთავარი კი სახელმწიფო წყობილების საკითხი იყო, ურომლისოდ თვითმმართველობას არავითარი რეალური შედეგი არ ექნებოდა, იგი დამარცხდებოდა. არ შეიძლებოდა რევოლუციური თვითმმართველობის გაიგივება საყოველთაო-სახალხო აჯანყებასთან. „აჯანყება არის სამოქალაქო ომი, — წერდა ლენინი, — ომი კი მოითხოვს არმიას“. თვითმმართველობა კი არმიას არ საჭიროებს. განა ასეთი უდიდესი განსხვავების შემდეგ შეიძლებოდა მათი გაიგივება, როგორც ამას მენშევიკები, მათ შორის პლუხანოვი, ჩადიოდნენ? მენშევიკური „ისკრის“ მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი — „რევოლუციური თვითმმართველობის“, როგორც „აჯანყების შესაძლო პროლოგის“² ორგანიზაცია, არაფრად არ ვარგაო, — სთქვა ლენინმა. რევოლუციური თვითმმართველობა, ხალხის მიერ თავისი წარმომადგენლების არჩევა ეს აჯანყების პროლოგი კი არა, მისი ეპილოგი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება უაზრობასთან, დაბნეულობასთან, ჯერ აჯანყების გამარჯვება საჭირო, საჭიროა დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნა, რომ ამ უკანასკნელმა, როგორც აჯანყების ორგანომ, როგორც რევოლუციური მასების აღიარებულმა ბელადმა, შესძლოს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის დაწყება. „აჯანყების გაუმარჯვებლად ლაპარაკი კი არ შეიძლება სერიოზულად ნამდვილ და სრულ თვითმმართველობაზე“.³ რეაქციონურია თვით მოსაზრება სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას სახელმწიფოს მმართველობაზე და არა სახელმწიფოს მოწყობაზე; უდიდესი სისულელეა რევოლუციური თვითმმართველობა გაიგივებულ იქნას რევოლუციურ არმიასთან; რევოლუციური არმია გამარჯვებისთანავე გულისხმობს რევოლუციურ თვითმმართველობას, ხოლო რევოლუციური თვითმმართველობა აუცილებლად როდი შეიცავს რევოლუციურ არმიას. „ჩვენ არა ვართ რევოლუციური თვითმმართველობის წინააღმდეგი“, — წერდა ლენინი, — მაგრამ აქ იგივეობაზე ლაპარაკი სრული აბსურდია. ჯერ საჭიროა არა რევოლუციური თვითმმართველობა, არამედ რევოლუციური ხელისუფლება, და არა მარტო ადგილობრივი რევოლუციური ხელისუფლებანი, არამედ ცენტრალური რევოლუციური ხელისუფლებაც.

ასე ნათლად ჩამოაყალიბა ლენინმა თავისი შეხედულება საერთოდ თვითმმართველობის საკითხში.

ამავე თვალსაზრისზე იდგა ამხანაგი სტალინი, რომელიც თავის „წერილებში კავკასიიდან“ თეორიულად და პრაქტიკულად იცავდა „მეფის ხელისუფლების დამხობისა და საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის, როგორც თანმიმდევრულ-დემოკრატიულ ადგილობრივ თვითმმართველობათა შექმნის წინასწარი პირობის, აუცილებლობას...“⁴

¹ Ленин, сочинения, т. VIII, стр. 172 — 173.

² იქვე, გვ. 307.

³ ა. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. II, გვ. 192/ ქართული გამოცემა, ხაზი ჩვენია. — გ. 2.

ყოველივე ამის შემდეგ საესეებით ბუნებრივად მიგვანჩია განვიხილოთ სკოტისი, თუ როგორ ესმოდა თვითმმართველობა ილია ჭავჭავაძეს. ილია ჭავჭავაძე მმართველობის ორ სახეს არჩევდა. პირველად მმართველობა, როცა „სახელმწიფოს საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ამ-გვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.“¹ მაგრამ ცენტრალური მმართველობა არ არის ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფელი ფორმა. ილია ჭავჭავაძე იცავს მმართველობის მეორე სახეს, რომელიც „ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხის უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და აეარჯიშებს.“² რომელია მმართველობის ეს მეორე სახე? ეს ისეთი მმართველობაა, „საცა მთავრობას ზელთ უპყრია მართო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელმუშევალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწყობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამ-გვარს გამგეობას თვითმმართველობას უწოდებენ. რადგანაც ამ შემთხვევაში თვითეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოსა თავის საკუთარს საქმეს თვით პატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამ-გვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.“ ისტორიულად ცნობილია, რომ ასეთ თვითმმართველობას იცავდა გერმანიის „რკინის კანცლერი“ ბისმარკი. მიუხედავად ბისმარკის შეხედულებათა მკაცრი კრიტიკისა³ ილია ჭავჭავაძე ეთანხმებოდა ბისმარკის მიერ წარმოთქმულ სიტყვას პარლამენტში. —სწორედ ამისათვის პარუსიის მიერ ელზას-ლოტარენგიის წართმევის შემო. ბისმარკი მოითხოვდა, რომ ელზას-ლოტარენგიაში გაებატონებიათ თვითმმართველობა, ვინაიდან, ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ამორჩეული მოხელეები უფრო უკეთ გაიგებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებას და ინტერესებს, ვიდრე პარუსიის მოხელეები. ეს უკანასკნელები იქ მიჩნეული იქნებოდნენ როგორც უცხო კაცები და მოსახლეობასა და პარუსიის მოხელეთა შორის უფრო მეტი იქნებოდა დაეა ვიდრე თვითმმართველობის დროს. თუ რა ქვენა აზრებით ხელმძღვანელობდა ბისმარკი, მკითხველი ამას ადვილად მიხვდება. გარეგნულად შემკობილ, ბისმარკის მიერ დახასიათებულ თვითმმართველობის ამ წესს ილიაც ეთანხმება და მოითხოვს მის განხორ-

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 36.

² იხ. იქვე, გვ. 37.

³ იხ. გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, 1945 წ., გვ. 166 — 203.

ცივლებას. რა უნდა გავკეთებთ თვითმმართველობას? მის ფუნქციებში შედიოდა ადგილობრივი საქმეების მოგვარება, მცხოვრებლების უფროსებისა და ქონების მფარველობა, ბეგარის აკრეფა, ადგილობრივი საქმეების მოწყობა, გადასახადის დადგენა, სწავლის მოწყობა, ადგილობრივი გზების, ხიდების შეკეთება და ადგილობრივი მოსახლეობის სახელით შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობისადმი. თვითმმართველობაში ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონოდა ყველა ადგილობრივ მცხოვრებს, თუ ის იყო სრულწლოვანი. არ უნდა ყოფილიყო წოდებათა შორის უთანხმოება და კონფლიქტი, თვითმმართველობის ყველა წევრი არჩეული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ მოსახლეთა მიერ და მას პასუხი ეგო არა თავისი უფროსების, არამედ „საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს“ წინაშე. ასე ეხატებოდა ილია ჭავჭავაძეს თვითმმართველობის ბუნება, რომელსაც უნდა უზრუნველყო საზოგადოების კეთილდღეობა და ბედნიერება. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ვერაფერი თვითმმართველობა, მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოების დაბალი ფენების კეთილდღეობას სწორედ იმიტომ, რომ იგი ნამდვილად განუხორციელებელი იყო იქ, სადაც საზოგადოებაში ბატონობდა მისი მხოლოდ ერთი ნაწილი. ოცნება მათ უფლებრივ გათანაწილებას მხოლოდ ოცნება იყო, ვინაიდან უფლება ეკონომიური ურთიერთობის გამოვლენების ფორმა და თვითმმართველობაში ყველა წოდების საერთო უფლების ქადაგება განუხორციელებელი რჩებოდა სწორედ იმ მიზეზის გამო, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით უკვე მივუთითეთ. და თუ ილია ჭავჭავაძე თვითმმართველობას მიიჩნევდა საზოგადოების ყველა წოდების კეთილდღეობის უზრუნველყოფელ ფორმად, ეს უნდა აიხსნას იმ იდეალისტურ-მეტაფიზიკური თვალსაზრისით, რომლითაც იგი ზოგჯერ განიხილავდა საზოგადოებრივ მოვლენებს.¹

VII

ჩვენთვის საყურადღებოა ის საკითხი, რომ თავის მოძღვრებას ილია ჭავჭავაძე ხშირად ჰუმანიზმის ისეთ მანტიაში ხვევდა, ისეთი ზოგადკაცობრიული მასშტაბით აყენებდა სოციალურ პრობლემებს, რომ თუ მკვლევარი ასო-ასო, ცალკე დებულებებს განყენებულად გამოეყიდა, შეიძლება იქ ბევრი რამ სრულიად საწინააღმდეგო თეორიებსა და რადიკალურად დაპირისპირებულ სკოლებს მიაყუთენოს. ამიტომ ბირველყოვლისა საქირთა ვაგივით ილია ჭავჭავაძის მოძღვრების არსი, მოვახდინოთ მისი მთავარი იდეების კლასიფიკაცია, ყოველივე ეს განვიხილოთ მთლიანობაში, წინ წამოვსწიოთ ის, რასაც ჭავჭავაძეს ვეძახით და ამ თვალსაზრისით დავალაგოთ მიეღვი სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლევარი შეიძლება იქამდეც კი მივადეს, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ინტეგრალური სოციალზმის „თეორიად“ გამოაცხადოს. თქვენ გგონიათ მასალას ვერ იშოვის? რამდენიც გნებაუთ. აიღეთ თუნდაც ბანკის საკითხი. მაგრამ უმჯობესია ცოტა უფრო შორიდან დაეწყეთ.

ილია ჭავჭავაძე ძალიან თანმიმდევარი იყო იმ ძირითადი პრინციპის დაცვაში, რომ ადამიანი, რომელიც ბუნების მეფედ არის აღიარებული, ღირსია

¹ ილია ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა „შვიდობიანად მოეწყობა“ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ წყაბაში — მონარქიული იქნება ის, თვითმპყრობლობით, თუ რესპუბლიკური. მკითხველი ადვილად დაგვეთანხმება, რომ ეს დებულება იდეალისტური და მეტაფიზიკურია.

ბედნიერად ცხოვრობდეს; ვინც არ უნდა იყოს იგი, რაკი ადამიანია, ადამიანური არსებობისათვის არის დაბადებული. თანასწორობა, მშობრული უფლება, თავისუფლება, საყოველთაო ბედნიერება, ადამიანის მიერ აღმართული ცხოვრების უარყოფა, უარყოფა ერთის მიერ მეორის ჩავევისა — ეს იდეები, რომელნიც ჯერ კიდევ „აჩრდილში“ გაისმა ასე მძაფრად და შეუბოვრად, იყო ის საფუძველი, რომელმაც სათავე მისცა ილიას სოციალისტობის თეორიას. რომ სოციალიზმის ელემენტები უხვად გვხვდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ეს უდავოა. მაგრამ თუ სოციალისტურ მიმდინარეობათა ცალკე ჯგუფებს ისე განიხილავთ, როგორც ზევით უარყოფითად მოვიხსენიეთ, ჩვენ შეგვიძლია მასში ინტეგრალური სოციალიზმის ელემენტებიც კი აღმოვაჩინოთ. ის „სოციალისტური“ თეორია, რომელსაც დასაბამი ბელგელმა სოციალისტმა დე-ჰაპმა მისცა გასული საუკუნის 60—70-იან წლებში, კაცობრიობის არსებობას უყურებდა, როგორც უდიდეს ტრაგედიას, რომელშიაც დაჩაგრულია ყველა, ბურჟუაზია იქნება ის, თუ პროლეტარია, გლეხი თუ მემამულე, მაღალი თუ დაბალი ჩინის მოხელე. ეს ტენდენცია არ შეიძლება შეუქმნეველი დარჩეს მკითხველს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ სტატიებშიც. ერთგან ილია პირდაპირ ამბობს, რომ „მართალია გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვია, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტყვიოთ? რაკი ცხოვრებას და ისტორიას გლეხებთან ერთად ეგენიც-გაუჩენია სამართლიანად და უსამართლოდ, განა შესაძლებელია ერთის გაღმის მოსმით, თუნდ იმისთანა ძლიერებით, როგორც დღეს „მოგზაურის“ რედაქციას ქვეყნის სასაჯლოდ თავისი თავი ჰგონია, განა შესაძლებელია, ვამბობ, ისე ამოდენა ხალხი დედამიწის ზურგიდან წაიშალოს!

მართალია, თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავისი დრო მოიჭამა, მაგრამ თავადს, აზნაურს, ვით ცალკე კაცს, ადამიანობა ხომ შერჩა და ვინ რას ემართლება, რომ დღეს კაცი ისე არ გაუვლის გვერდით თავადს თუ აზნაურს, — წიხლი არა ჰქრას, ან მის ხსენებაზე დორბლები არ წამოჰყაროს. ზოგიერთს ასე ჰგონია, რომ, თუ ესე არ მოიქცა, რეტროგრადობას დასწამებენ და ლიბერალობით თავს ევლარ მოიწონებს, რადგანაც ქეშმარიტის ლიბერალობისა არა გავგება რა და მთელი მისი ლიბერალობა ამაზეა ჩამომხმარი და ამაზე შორს აღარ წასულა, ოღონდ წიხლი კი უთავაზოს, თავადია თუ აზნაური“. ამ ვრცელი ამონაწერის შემდეგ კიდევ უფრო ნათელია, რომ ილია გამოდის, როგორც დამკველი არა მარტო თავად-აზნაურობისა, არამედ გლეხობისაც, ამავე დროს, ერთი შეხედვით, ის სწორედ იმ „ჰუმანიურობის“ რკალში აქცევს წმინდა სოციალურ საკითხებს, როგორც ამას ჩადიოდნენ და როგორც ამას ამტკიცებდნენ ლაეროვი, ბენუა მალონი და ათასი ჯურის წვრილბურჟუაზიული სოციალისტები. მაგრამ განა ეს შედარება სწორი იქნება? მეორეს მხრივ, მოგვიჩვენება, თითქოს ბანკის ამოცანაც ილია ჭავჭავაძემ ინტეგრალური სოციალიზმის თვალსაზრისით განიხილა, როცა წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ბანკის მიზანია არამარტო თავად-აზნაურობის, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობა. ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში ინტეგრალური სოციალიზმის აღმოსაჩენად შეგვეძლო ციტატების ზღვა დაგვეყენებინა, მაგრამ ეს საჭიროდ არ მიგვაჩნია, ვინაიდან, ჩვენი მსჯელობის მთელ მანძილზე საკმაოდ

ნათელი მოეფინეთ „აჩრდილის“ ავტორის მისწრაფებას—ანგარიში გაწეოდა არამართო გლახობას, არამედ თავდაზნაურობასაც, რაკი ორივე ადამიანია, ორივე ამ ქვეყნის შვილია. მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ბანკს.

სათავადაზნაურო ბანკის მიზანი ილია ჭავჭავაძემ თითქოს ინტეგრალური სოციალიზმის თვალსაზრისით დაასაბუთა. აბა მოუსმინეთ მას: „ჩვენებური ბანკები დაფუძნებულია თავადაზნაურთაგან და განსაკუთრებულ საგანდა აქვს ბანკის მოგებიდამ გაუძღვეს საზოგადო ჭირსა და ვარამს. ყოველივე ინდივიდუალური შეხედულება ბანკიდან გამოდევნილია. თითონ დამფუძნებელთ არავითარი წილი საკუთრად თავიანთ სასარგებლოდ არ ჩაუდვიათ ბანკის მოგებაში. ყოველი კერძო გამოჩენა, კერძო სარგებლობა უარუყვიათ და გაუბათილებიათ თავისდა სასახელოთ და თითო გროშები ერთმანეთს მიუწებებიათ და შეუწერაეთ საზოგადო საჭიროებისათვის“¹. თავადაზნაურობა, რომელიც „ბანკის მოგებიდამ უნდა გაუძღვეს საზოგადო ჭირსა და ვარამს“—ასეთი თავადაზნაურობა ისტორიაში არ არსებულა; ყოველი საზოგადოებრივი კლასი თუ წოდება საკუთარი კლასობრივი ინტერესებით უდგებოდა სინამდვილეს, განსხვავებულია მხოლოდ პროლეტარიატი, რომელიც სოციალიზმის ჭეშმარიტი მშენებელია, რომელიც სპობს მტრულ კლასებს და ჰქმნის უკლასო საზოგადოებას. თუ ასეა, ამ შემთხვევაში ჩანავი არ შეიძლება გამორიცხულ იქნას მოვლენათა ჯაჭვის საერთო რგოლიდან. და ყველაფერი ილია ჭავჭავაძის მიერ ისეა წარმოდგენილი, რომ თავადაზნაურობის ჩვენს მიერ დახასიათებული გაგება თითქოს მთლიანად გამომდინარეობს „ინტეგრალური სოციალიზმის“ კონცეფციიდან.

განა ამასვე არ მოწმობს „ზოგიერთი რამ“, სადაც პირდაპირ გაშლილია თეზისი იმის შესახებ, რომ თუ დაუკვირდები „იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხაროდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რალაც დაუდგარავს კმაყოფილებით ვჭყუშმალობთ და რომლიდამაც ათასი სხვადასხვაფერი ნაკადული იწრითება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძღურდების“,—ამ გუბეს რომ თვალთა და აფქქარებლივ დააკვირდე მაშინ შენც ჩემთან ამოიკენესებ და იტყვი: „ვართლაო“². თავისი დროის ყოფნა-არყოფნის ამ ჭიდილში ილია ჭავჭავაძე არკვევდა სოციალურ პრობლემას, მაგრამ უკავშირებდა ქართვ ელო ბის ზოგად ცნებას, ურომლისოდ მას საერთოდ ვერ წარმოედგინა ერის ძალა, რომელიც საყოველთაო ბედნიერებას ბურჯად უნდა აგებოდა. ძალაკი არ სჩანდა. არ სჩანდა საერთო სახელიც—ქართველობა. „განეთვითეულდით, ცალ-ცალკე დაეიშალენით, ასოასოთ დაეიჭერთ, და მაგ განთვითეულებამ, ცალკე-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წყებლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტერვეს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვჩრებოდა და აკი აღარ შეგვჩრჩა“. აღარ არიან ქართველები, — ჰკოდებდა ილია, — „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჰარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის“. მაინც რატომ არ არის? იმიტომ, რომ ისინი განცალკევებული არიან, ერთს მეორე სძულს,

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტომი IX, გვ. 151.

² ილია ჭავჭავაძე, ტ. II, 1941 წ., გვ. 52.

თავადს — აზნაური, აზნაურს — თავადი, გლეხს — ორივე, მათი აზრები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ასომთავრული ასომხედრულს გზას უღლებავს, თავადი ზურგს აქცევს აზნაურს, აზნაური — თავადს, ორივე ერთად — გლეხს, გაჯარი კი სამივეს ერთად სიხარბით სწოვს. თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით ცალ-ცალკე დავგორავთო, — ამბობს ილია ჭავჭავაძე და ეს არისო ტრაგედია, რომელმაც დაასამარა საერთო სახელიც — ქართველობა. როდისღა შეიძლება მისი აღდგენა? „თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, სადა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი“. ეს საყოველთაო იდეა ამოძრავებდა ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებასა და ფილოსოფიას, აქ თავს იყრიდა მისი აზროვნების ყველა არტერია და ბუნებრივია, აქვე იყო მისი მოძღვრების ჰუმანისტური და სოციალისტური ნაკადები.

სოციალიზმის ის განშტოება, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში ვერ ამჩნევდა გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას, მთელი კაცობრიობა მიაჩნდა ტრაგედიის ცოცხალ განხორციელებად, ტრაგედიისა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის გაჩენის პირველი დღიდანვე დაიწყო და რომელმაც მთელი კაცობრიობა საშინელებათა უღელში შეაბა; ინტეგრალური „სოციალიზმი“, რომელიც საზოგადოების გაღატაკებულსა და დამონებულ კლასებსა თუ წოდებებს უყურებდა როგორც ერთი უდიდესი საერთო ტრაგედიის შემადგენელ ელემენტებს და მთელ კაცობრიობას განიხილავდა, როგორც მის უდანაშაულო მსხვერპლს — სწორედ ამ სოციალიზმის ზოგიერთ პრინციპს ვხედავთ ილია ჭავჭავაძის თეორიულ სისტემაში. მაგრამ ვხედავთ, თუ ღრმად არ დავუჭვირდებით, ღრმად არ ავწონ-დავწონით და მარტოოდენ გარეგნული, ციტატური შთაბეჭდილებებით დავეკმაყოფილებით. ინტეგრალური სოციალიზმიც იცავდა ადამიანს საერთოდ, კაცობრიობას საერთოდ; ინტეგრალური სოციალიზმიც ქადაგებდა კლასთა თანამშრომლობასა და შეთანხმებას, მათი ინტერესების გაერთიანებას — საყოველთაო ბედნიერებისათვის. ინტეგრალური სოციალიზმიც თავის ეკლექტიკურ ფილოსოფიაში „ზეკლასობრივობის“ წინაშე იხრიდა ქედს. მაგრამ განა შეიძლება ილია ჭავჭავაძე „ინტეგრალური სოციალიზმის“ წარმომადგენლად გამოეცხადოთ ქართული აზროვნების ისტორიაში? ეს ხომ აშკარა შეცდომა იქნება?

ილია ჭავჭავაძე განმანათლებელი იყო თავის მხატვრულ შემოქმედებასა და აზროვნებაში, და როგორც განმანათლებელს, რომელსაც ბედმა არგუნა აქტიურად ემოლვაწნა იმ დროსაც, როცა განმანათლებლების ეპოქა უკვე წარსულს ეკუთვნოდა, როცა ახალ სინამდვილეს სრულიად ახალი შეხედულებები თან მოჰყვა, — არ შეიძლებოდა ის ნაკლიც არ ჰქონებოდა, რაც საერთოდ ამ სისტემისათვის დამახასიათებელი იყო. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ილია ჭავჭავაძის აზროვნების ეს სისტემა რთული, წინააღმდეგობრივი და ჰუმანისტურია თავის მრავალფეროვნებაში. ამ დებულების სრულ ცხადყოფას წარმოადგენს თერგდალეულთა იდეური ბელადის ექსტენსიური პუბლიცისტიკა, რომელიც ზოგჯერ ძალიან უახლოვდება მარქსისტულ ფილოსოფიას, მაგრამ ზოგჯერ ასევე ძალიან დამორებულთა მისგან. ამიტომ შეუძლებელია მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის ნიშნები პირდაპირ ვეძიოთ იქ, სადაც გულუბრყვილო დიალექტიკა თავისი მორცხვი სახით იცქირება, თუმცა მკითხველი ერთი შეხედვით გაოცდება, როცა ილია ჭავჭავაძის ნაწე-

რებში ნახავს ისეთ დღებულეებს, რომლებიც მარქსის შეხედულებებს ძალიან უახლოვდებიან. ავიღოთ დიალექტიკის საკითხი.

ილია ჭავჭავაძეს მშვენიერად ესმოდა სინამდვილის განვითარების სინაგანი ლოგიკა, ცხოვრების დიალექტიკურ წინსვლაში მან ასევე მშვენიერად დაინახა ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ცვლილება და განახლება არსებულის მუდმივი თანამგზავრია, რომ თვით აზრს არსის ძალა წარმართავს, რომ წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, ის, რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის, რომ თვით ჭეშმარიტება შეფარდებითია, თუმცა თავის რელატიურობაში აბსოლუტურსაც გამოხატავს. ვიმეორებთ, ილია ჭავჭავაძეს მშვენიერად ესმოდა, რომ „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაჭვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკედეს და საუკუნოდ დაიშარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილი ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნეღლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისევ უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა“¹. ილია ჭავჭავაძეს ასევე მშვენიერად ესმოდა, რომ ცხოვრება ბადებს მეცნიერებასა და ხელოვნებას, რომლებიც მხოლოდ ცხოვრებისათვის არსებობენ. ცხოვრებას წინ მიჰყავს ისინი, თავის მხრივ ისინიც წინ უბიძგებენ ცხოვრებას. მეცნიერება და ხელოვნება ცნობაში მოყვანილი, დამტკიცებული ჭეშმარიტებებით გადადიან ხალხში, გავლენას ახდენენ, ცვლიან ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებას. ეს იყო სრულიად ახალი, მანამდე უცნობი იდეები საქართველოს სინამდვილისათვის, ახალი მეცნიერული ჭეშმარიტებანი, რომლებსაც გზა უნდა გაეკვლიათ და აღიარება ეპოვათ ხალხის გულში. თანამედროვე მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს იდეები ძალიან უახლოვდება მარქსისტული ფილოსოფიურ მატერიალიზმის დასკვნებს, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ავტორი მარქსისტი არ იყო და შესაძლოა არც იცნობდა იმ ახალ მოძღვრებას, რომელიც უფრო გვიან გაიცნო, შეისწავლა და რომელსაც თავისებური სიმბატიით მიესალმა. თუ რა ღრმა მოაზროვნე იყო ილია ჭავჭავაძე, მარტო იქიდან სჩანს, რომ მან ჯერ კიდევ ადრე, ცხრაასიან წლებში შენიშნა ნოე ეორდანიას თეორიული წაგებ-უკუგებობანი და უყოყმანოდ იწინასწარმეტყველა: „ბ-ნი ეორდანიია, მარქსისტი — კი არა, პამულაა მარქსისა, ელარუნებით მორთულ კაბაში“; „ანბანი პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერებისა რომ ვერ გაუგია და ვერ უსწავლია, მოდიოთ და ახლა დაუჯერეთ, რომ ბ-ნი ნოე ეორდანიია გაკებული და შიგნახედული მარქსისტია“. ასე სწორად გამოიცნო ილია ჭავჭავაძემ ქართული მენშევიზმის მომავალი მეთაურის სრული დაშორება მარქსიზმისაგან და პირდაპირ უთხრა მას: „შენ მარქსისტი არა ხარ, შენგან მწერალი არ გამოვაო“. უშეცდომოდ გამართლდა ილია ჭავჭავაძის პროგნოზი: ეორდანიასო, — წერდა ილია, — ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ეორდანიია და მისნი წილადობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის

¹ ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, გვ. 40.

დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ეკატონოს მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა“¹. ესტუმრება საესებით დადასტურა ეს სიტყვები და ისიც გვიჩვენა, რომ ელლამაძის აზროვნებაში იყო ღრმად დაკვირვებული, საგნის ბოლომდე გამგები ადამიანი და მახვილი პოლემისტი. მას ესმოდა ცნობიერების შეპირობება ყოფიერებით, თუმცა ყოველთვის ვერ იცავდა ამ თეზისს. მაგრამ მის ნაწერებში ხშირად გვხვდება ისეთი შეხედულებანი, რომლებიც მოგვგონებენ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითად დებულებებს, კერძოდ იმას, რასაც ამხანაგი სტალინი ამბობს: „როგორცაა საზოგადოების ყოფიერება, როგორცაა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, — ისეთივეა მისი იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებები, პოლიტიკური დაწესებულებები“. ეს სიზანს ილია ჭავჭავაძის პირველ პუბლიცისტურ თხზულებებში, განსაკუთრებით, მის კლასიკურ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ისეთ დიდ გონებას, როგორიც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა, შეუძმნეველი არ დარჩა თავისი დროის თითქმის არცერთი საკითხი. მის ნაწერებში ჩვენ ხშირად გვხვდება გამოჩენილი რუსი და ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებანი, სიზანს ავტორი ღრმად იცნობს თვითიველი მათგანის მოძღვრებას, იძლევა მათი სისტემების კრიტიკულ გარჩევას. მარქსის გენიას რომ ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა, ეს უდაოა. ამიტომ არის, რომ მის ნაწერებში ზოგჯერ პირდაპირ არის განმეორებული „სახელოვანი მეცნიერის“ კარლ მარქსის სიტყვები, გამოთქმები, ან ის, რაც „კაპიტალის“ გენიალურ ავტორს მოსწონდა შორს რომ არ წავიდეთ აქ კი მართლაც შეიძლება შორს წასვლა, გვიჩვენა გავიხსენოთ მარქსის „აღსარება“, პასუხი თავისი ქალიშვილების — ლაურასა და ენის კითხვებზე. ისე როგორც მარქსს მიაჩნია თავის ყველაზე საყვარელ გამოთქმად — „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არისო“, ილია ჭავჭავაძეც უცვლელად იმეორებს: „ადამიანი ყველგან ყოველ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება“.²

ადამიანის პრინციპით მიუდგა ეს დიდი მოაზროვნე და დიდი მხატვარი მთელ სინამდვილეს. ჰუმანიზმის პრინციპში გადატეხა მან პიროვნებისა და ყოფიერების საჭირბოროტო საკითხები, მაგრამ თავის იდეურ სამყაროს შემოქმედებაში ისეთი ძლიერი მხატვრული აფერადება მისცა, განსხეულების ისეთი იერი შესძინა, ჰუმანიზმის ისეთი შარავანდედი დაადგა, ხელოვნების ისეთი ენით დააწყებინა მეტყველება, რომ მკითხველს გულსა და გონებაში პირველყოვლისა ეპყდებოდა დიდი ხელოვანის მიერ მხურვალე გრძნობით გამოთბარი უმაღლესი ადამიანური აზრები, რომლებიც ხალხის საუკეთესო შეილებს საუკეთესო საქვეყნო საქმეებისა და კეთილშობილური პატრიოტული იდეალებისაკენ მოუწოდებდნენ. მონური ცხოვრების ყრული უნდა გამდნარიყო, არავითარი სხვა გზა არ სჩანდა, ადამიანის ღირსებას დამცველი უნდა გამოჩენოდა, ეპოქის მამოძრავებელ იდეებს მხატვრული მესიტყვე უნდა ეპოვნა, მოვიდა ეს ადამიანიც, რომელსაც მაშინ ყველაზე უკეთესად შეეძლო დროის ჭიდილში მეთაურის ადგილი დაეკავებინა და მოზღვავებული გრძნობებისათვის ფართო გზა მიეცა. ეს ადამიანი ილია ჭავჭავაძე იყო.

¹ ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 131, ხაზი ჩემია — გ. ჯ.

² ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. II, გვ. 62.

მან გაბედულად მოჰკიდა ხელი დიდ საქმეს, დიდ აზრს დიდი გრძნობაც მია-
ყოლა. მაგრამ როცა მონუმენტური შენობა უნდა აიგოს, შესაძლოა რაიმე
ნიმე აგური ხელიდან გაგვიარდეს; მერე რა ვუყოთ? ამით შენობა როდნ
დაინგრევა. თუ მზესაც ლაქები თან ახლავს, საკვირველი არ უნდა იყოს ხარ-
ველები იმ პუმანიზმის სისტემაში, რომელიც ილია ჭავჭავაძემ შეიმუშავა თა-
ვისი დროის მოწინავე იდეებთან ორგანიულ კავშირში, პირველყოვლისა რუ-
სული რაზნოჩინცური მოძღვრებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებაში. აქე-
დან გამომდინარეობს მისი მისწრაფებაც არა ფეოდალური თუ ბურჟუაზიული
კოსმოპოლიტიზმისადმი, რომელიც ყალბია, არამედ ინტერნაციონალიზმისადმი.
თუ პუბლიცისტიკაში ილია ჭავჭავაძე რუსეთისა და ევროპის, აზიისა და ამერიკის
როგორც სოციალურ, ისე ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებს ვრცლად
აშუქებდა, მხატვრული შემოქმედებითაც ის ერთგვარ ხარკს უხდიდა იმ
ბრძოლას, რომელიც სამშობლოს საზღვრებს იქით სწარმოებდა. ეს მომენტი
ძალიან საგულისხმოა. 1860 წელს ილია ჭავჭავაძემ დაწერა მშვენიერი ლექ-
სი, რომლითაც შეაქო ჯუღუბე გარიბალდის ბრძოლა იტალიის განთავისუფ-
ლებისათვის და ინატრა თავის სამშობლოშიც გაეგონა ეს „ხმა ტკბილი“:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბურკლის ხმა მტერევისა!
სიმაართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დამათრგუნელად მონობისა.
აღძობაეებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“

დაახლოებით თერთმეტი წლის შემდეგ პარიზის კომუნის დაცემას ილია
ჭავჭავაძე ღრმა გულისტკივილით გამღეზმაურა. პოეტურ შედეგარში მან გა-
მოჰხატა უდიდესი თანაგრძნობა კომუნარებისადმი, ცხარე ცრემლით დაი-
ტირა ბარიკადებზე დაღუპულნი და ისტორიის შეფერხებად მიაჩნია ის რომ:

„მტერთმამით და მამურალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
ველავ ქვეყნისა მხარავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.
ველავ ეწამა მოყვასისთვის
საოცარი იგი ერი,
ველავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.
ველავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
ველავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულს...
ველავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგენ ძალნი,
და ველავ ღუესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი“.

პარიზის კომუნის შესახებ დაწერილ მსოფლიო პოეზიის შედეგებში,
რომლებსაც ჩვეუ ვიცნობთ, ილია ჭავჭავაძის ამ ლექსს ერთერთი პირველი
ადგილი უნდა მიეკუთვნოს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქარ-

თულმა ლიტერატურამ ილია ჭავჭავაძის ამ ლექსით სოლიდარული გრძობა გამოხატა ფრანგი ხალხისა და ფრანგი კომუნარებისადმი, გვიჩვენა — რომ ინტერნაციონალიზმის იდეა ახლობელი იყო ჩვენი იმდროინდელი მწერლებსათვის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისათვის. მან შეიგნო მცირე ერებისადმი პატივისცემისა და დახმარების დადებული აზრი. მან აღმართა კაცთმოყვარების, დაჩაგრულისადმი თანაგრძობის, ადამიანთა თავისუფლებისათვის მებრძოლი დროშა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის საშინელ წყვედიადში; სწორედ იმ წყვედიადში ჯადოსნური ლამპარით აენთო მისი მოწოდება ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად; სწორედ იმ წყვედიადში, როცა ბევრი საღათას ძილს მისცემოდა, რომ წარსულის დიდებული სურათები კვლავ აღედგინა სიზმარში მაინც და თუ აწმყოთი არა, ისევ წარსულის მოგონებებით ეცხოვრა, ილია ჭავჭავაძემ საბრძოლველად გამოიხმო ხალხის ცოცხალი ძალები, უჩვენა მათ მოქმედების არე, დაანახა თვალისმომკრელი პორიზონტები, რომლებზედაც ელავდნენ ეპოქალური ტრანსპარანტები: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“, „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლასხვა ვარსკვლავს“, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“, „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“. სწორედ ამ დრდი ისტორიული მისიის შესრულებაში, ჯერ კიდევ ადრე, 1858 წელს ილია ჭავჭავაძემ დედის მაღალ და ხალმრთო მოვალეობად მიიჩნია აღეზარდა ისეთი შვილი, რომელსაც ძლიერი სული ექნებოდა, რომელიც დედის მიერ კაცთა სიყვარულით, ძმობით, ერთობით, თავისუფლებით შთაგონებული, მომავლისათვის იბრძოლებდა ბედთან სიკეთისათვის მფეთქავი გულით და ამ ბრძოლაში წინ გაუძღვებოდა ქეშმარიტება, ზოლო უკან დარჩებოდა კვალი განათლებული:

„ჲ არის, დედა, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას —
შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთბოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვეყმს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.
დედა! ისწივე ქართლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ქეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული“.

ეს იყო განმანათლებლის იდეალი, რომელიც ქეშმარიტების სხივით უნდა გაბრწყინებულყო თაობათა გონებაში, რომ ხალხს თავისი წილიდან აღეზარდა სახელოვანი მებრძოლი შვილები, თვით ხალხის ინტერესების დამცველნი. ასეთ შვილთა ფალანგას ეკუთვნოდა თვით ილია ჭავჭავაძე. ასე დაიწყო ახალი ეპოქა, რუსეთში რაზნოჩინეებისა და ჩერნიშევსკის, ზოლო საქართველოში თერგდალეულებისა და ილია ჭავჭავაძის ეპოქა. ასე წარმოგვიდგება აზროვნების ის რთული და ღრმა სისტემა, რომლის მხოლოდ ზოგიერთი საკითხის გარკვევა სცადა წინამდებარე ნაშრომის ავტორმა. აზროვნების

ამ სისტემაში, მხატვრული იყო ის, თუ პუბლიცისტური, ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა როგორც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, რომელსაც ერთნაირი ძალით აწუხებდა ეპოქის მიერ წამოჭრილი ყველა საყიბო. პატრიოტიზმმა მალაშა აზრმა გააშუქა მისი მსოფლმხედველობა და გამოაჩინა თავისი მიმზიდველი შრავალფეროვნებით.

საკმარისია გადახედოთ „აჩრდილს“, „მეფე დიმიტრი თავდადებულს“, „დედა და შვილს“, რომ ნათელი წარმოდგენა მივიღოთ ილია ჭავჭავაძის ღრმა პატრიოტიზმზე. მოხუცის მსასოებელი სიტყვები:

„მარად და უველგან, საქართველო, შე ვარ შენთანა...
შე ვარო შენი თანამდევ, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
იმ გულში შე მაქვს შენი აწყო, შენი წარსული.
შეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედურლო, შენის ტანჯვითა,
შეხისა ცრემლით თვალნი ჩემნი შიტირებია,
შეც წარტყვენივარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწყოთი სული, გული დამწულვებია“.

ვიშვორებთ, მოხუცის ეს სიტყვები თვით ილია ჭავჭავაძის საკუთარი გულისა და სულის ძახილია, უფრო ღრმად და ძლიერად გამოთქმული, ვიდრე „ყვარლის მთებში“ ჭაბუკი პოეტის აღთქმა:

„სამშობლო შთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივიკმ შე დაიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გავურვალად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!“

სამშობლოს სიყვარულში ილია ჭავჭავაძემ ჰპოვა ის დიდი ძალა, რომელიც მთელ მის მოღვაწეობას საძირკვლად დაედო. მან დიდების ჰიშინი უმღერა სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლს, ვინაიდან:

„წმინდაა იგი, ვისაც ეღიბსა,
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟაკს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოქცდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარხვდ ძლიერს აუთრთოლებს ხელს“.

ილია ჭავჭავაძემ მშობელი ქვეყნის სიყვარული ყველა გრძნობაზე მალა დააყენა და კიაზოს ათქმევინა სამშობლოსადმი ჭეშმარიტად დიდი შთაგონებით ანთებული სიტყვები:

„ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შეილის სიყვარულს ჰკლავს შენს
სიყვარულში“.

სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულმა, ღრმა პატრიოტულმა გრძნობამ ილია ჭავჭავაძის მთელ შემეყიდერობას ისეთი ძალა მისცა, რომ ერთბაშად

ამოწინა ფართო მკითხველის საეცებით დამსახურებული სიყვარული სწორედ პატრიოტიზმმა გააშლევინა ფრთა მის დიდ გონებას, დაკვირვებულად და ცხოვრების მდინარეებში, ამოაცნობინა მრავალი დამარხვული ქვეყნის ტება და კი არ შეზღუდა, ყოველმხრივ განუვითარა აზროვნების სისტემა. სწორედ პატრიოტის მოვალეობამ შეაჭიდა ეს ბუმბერაზი ადამიანი თავისი დროის პრობლემებს და იმავე პატრიოტიზმმა უკარნახა ეთქვა ის, რაც მას სწამდა, სჯეროდა, ეთქვა გულწრფელად, მოურიდებლად, ძალღონის დაუზოგავად. სწორედ პატრიოტიზმის სულმა შთაბერა მას სიმართლისათვის სამსახურის იდეა, რომ ყოველივე შეეცნო მეცნიერული თვალთახედვით, ანგარიში არ გაეწია დრომოკმული ცდომილების მლადღებულთათვის, რომლებიც ბრძოლის ნაცვლად მხოლოდ პარაკლისის ზარებს რეკდნენ. სწორედ პატრიოტიზმის ცეცხლმა აანთო მისი შემოკმედების დიდი ჩირაღდანი, რომელიც გზას უნათებდა მთელ თაობას ახალი ცხოვრებისათვის. სწორედ პატრიოტიზმმა მიიყვანა იგი ქვეყნის შეცნობის ღიალექტიკურ მეთოდთან და ათქმევინა, რომ თუ ცდომილებისაყენ ათასი გზა მიდის, ქვეყნისათვისაყენ მხოლოდ ერთად ერთია და ეს გზაც „ჰოს“ და „არას“ დაპირისპირება, მათი შეჭიდება.

რა საოცარი ძალით წარმოსდგება ჩვენს წინაშე ეს დიდი ადამიანი, რომელსაც შეუგნია, რომ „წინააღმდეგობათა გამომვლანება აზროვნებაში და დაპირისპირებული აზრების შეჯახება წარმოადგენს ქვეყნისათვის აღმოჩენის საუკეთესო საშუალებას“, — როგორც ამას ამხანაგი სტალინი ამბობს ძველი დროის ფილოსოფოსებზე, რომლებიც „ღიალექტიკაში გულისხმობდნენ ხელოვნებას—მიეღწიათ ქვეყნისათვის მოწინააღმდეგის მსჯელობაში წინააღმდეგობათა გამოაშკარაებისა და ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით“. ¹ აზროვნების დიალექტიკურმა წესმა ილია ჭავჭავაძეს საეცებით სწორად გადააწყვეტინა საკითხი, რომ ყოველგვარი უარყოფლობა, ყოველგვარი „არა“ ერთი და იგივე როდია, მათ შორის ხშირად გაუვალა უფსკრულია, მაგრამ ეს უფსკრული რომ წარმოვიდგინოთ, უნდა ვიცოდეთ რა არის უარყოფა ცალკე? ეს არის „ჰოს გაბათილება და მის სამაგიეროდ „არას“ გამოება, თუ ესე ითქმის. თუ ამ უარყოფას თავის-თავად შეუძლიან რამ, ხომ ამ გამოებულს არასაც თავისი ქამანდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადმოაბრძანოს, თუ ბოლომდე თავის საკუთარს წერას ჰსურს რომ აყვეს და თავის-თავს არ უღალატოს, თავისი-თავივე უარი არა ჰყოს, არ გააბათილოს“. ² „ჰოს“ ისეთივე უარყოფაა „არასი“, როგორც „არა“ „ჰოსი“ და „ჰოსაც“, ვით „არას“ უარყოფელს, ისეთივე პატივი უნდა ჰქონდეს, როგორც „არას“ „ჰოს“ უარყოფელს“. სქოლასტიკა გონების თავისუფლად მსჯელობის უარყოფა იყო, რენესანსი, რასაც ილია „განახლების ეპოქას“ უწოდებს, სქოლასტიკის უარყოფლად მოგვევლინა, მაგრამ ეს ორი უარყოფლობა დიამეტრალურად გამოირიხებენ ერთმანეთს, თუმცა ორივეს თავისი ჰოს-არა ჰქონდათ და სხვის ჰოს უარყოფდნენ. მაგრამ სქოლასტიკის უფსკრული თიშავს რენესანსისაგან და იგი სასახლოდ მისაჩნევი როდია, მაშინ როცა რენესანსის მიერ სქოლასტიკის უარყოფლობა სასახლოდ არის აღბეჭდილი კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. მეტაფიზიკა ქვეყნისათვის გონების მტერიც, ცალმხრივობა

¹ საკავშირო კ. 3. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, 1938 წ., გვ. 127.

² ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. II, გვ. 188 — 189.

გამორიცხავს კეშმარიტ აზრს. მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში ჩვენ ზოგჯერ ვპოულობთ მეტაფიზიკური და კლასიკური სტრუქტურის შეხედულებების რეციდივებს, სამართლიანობა მოითხოვს აღიარებას იქნას შემდეგი თეზისი: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მარკსიზმის გავრცელებამდე, მთელ ქართულ ლიტერატურას იდეალიზმისა და მეტაფიზიკის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი, ყველაზე დიდი მებრძოლი ილია ჭავჭავაძის სახით ჰყავდა. მის მემკვიდრეობაში ჩაქსოვილი იყო სოციალიზმის ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოწინავე კლასების განათლებას და თვითშეგნების ამაღლებას.

ლეო ქიაჩელი*



5

„გვადი ბიგვა“ ორიგინალური მხატვრული საშუალებებით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იმსხვრევიან და იღუპებიან ჩვენს დიად სოციალისტურ საშობლოში კაპიტალისტური წარსულის უკანასკნელი ნარჩენები, როგორი ძლევამოსილებით მკვიდრებიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში სამეურნეო და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის ახალი, სოციალისტური ფორმები, როგორის ძალით ყალიბდება და იწვრთნება კომუნისმის მშენებელ ადამიანთა სოციალისტური შეგნება, კომუნისტური სულისკვეთება.

კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და საბჭოთა ადამიანის სოციალისტური სულისკვეთების განმტკიცების პროცესის ამსახველი რომანი „გვადი ბიგვა“ ლეო ქიაჩელმა საკომუნისტურ სოფლის ფონზე გაშალა. რომანის გმირებს სოციალისტური სოფლის ადამიანები წარმოადგენენ, მათი მოქმედების არეს—გარდაქმნილი და განახლებული სოფელი შეადგენს.

რომანი ასახავს საკომუნისტურ წყობილების საბოლოოდ გამარჯვებისა და განმტკიცების შედეგად სოფლად დამკვიდრებული შექმნილი და მზიური ცხოვრების სინამდვილეს. ორკეთის კომუნისტურებაში გაშლილი მშენებლობა ახალი ოდებისა, ორკეთელ და

სანარჩელ კომუნისტურთა შეჯიბრი შრომითი გმირობისა და კულტურული ცხოვრების უკეთესი მაჩვენებლებისათვის, ჩაის პლანტაციებით ამწვანებული ველები, ახლად გაყვანილი ფართო მოკირწყლული შარავნები და მათზე მკროლავი ავტო-მანქანები, — „გვადი ბიგვას“ პერსონაჟების მოქმედების ეს კოლორიტულად და ცხოვლად დახატული არე, ეს ფონი რომანის სუვეტური დრამისა, უკვე მკაფიოდ გვაგრძობინებს, რომ სოფლად, ძლევამოსილად განხორციელდა სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა — საბოლოოდ გაიმარჯვა საკომუნისტურ წყობილებამ—ერთხელ და სამუდამოდ განადგურდა განკერძოებული, ერთპიროვნული მეურნეობის მამაპაპული ტრადიცია და სოციალისტური შრომის რელსებზე გადასული საკომუნისტურ გლეხობის ცხოვრება სულ უფროდა უფრო ხალისიანი, შექმნილი, მზიური, კულტურული ხდება.

მავრამ ამ რომანის ძალა და ღირსება იმდენად გარემოცვის აღწერილობაში კი არ მდგომარეობს, არამედ, უმთავრესად პერსონაჟების ხასიათის ცხოვლად და მკაფიოდ დახატვაში და ამ ხასიათების დაპირისპირების ნიადაგზე წარმოშობილი მძაფრი კონფლიქტებისაგან შედგენილი სუვეტური დრამის განვითარებაში.

„გვადი ბიგვა“ შედეგია სოციალის-

* დასასრული. „მნათობი“ № 11.

ტური სოფლის სინამდვილის გულმოდგინედ, დაკვირვებულად შესწავლისა. მწერალი კარგად იცნობს და გულწრფელად განიცდის იმ მოვლენებს, რომელთა ანარეკლსაც მისი წიგნი წარმოადგენს. ამიტომ აქვს მის მიერ მოთხრობილ ამბავს სიმართლისა და რეალობის ძალა. ავტორი ნათლად ხედავს თავის გმირებს, ისინი მწერლის ფანტაზიის ნაყოფნი, გამოგონილი სქემები კი არ არიან, არამედ მის მიერ ორგანიულად ათვისებული რეალობის ნამდვილი გმირები, ცოცხალი, მოქმედი მებრძოლი ადამიანები. მწერალს კარგად აქვს გაგებული და გათვალისწინებული თავისი პერსონაჟების სულიერი სამყარო, მათი ფიქრების, აზრებისა და ინტერესების მოძრაობა. ამიტომ გამოიყურებიან ლეო ქიაჩელის რომანის მთავარი გმირები ასე ცოცხლად და ზორცქმულად. ჩვენ არა მარტო ვხედავთ მკაფიოდ დახატულ მათ პორტრეტებს, არამედ ბუნებრივად შევდივართ მათი სულიერი ცხოვრების სფეროში, მყარდება აქტიური ემოციური და აზრობრივი ურთიერთობა მკითხველსა და რომანის პერსონაჟს შორის. ეს უკვე დიდი ღირსებაა ყოველი მხატვრული ნაწარმოებისა.

მკაფიოდ ინდივიდუალური ხასიათების დაპირისპირებისა და შეჯახების ხიდაგზე აღმოცენებულ, დრამატიულად გამძაფრებულ სიტუაციათა გადმოცემისას ლეო ქიაჩელი ინარჩუნებს მხატვრული წონასწორობის ძალას, თხრობის დამწეიდებულ მანერას. აქვერ ვხვდებით ყალბ პათეტიკას, ზედმეტ თეატრალიზებას. ლეო ქიაჩელი ხატავს ნათელი და გამჭვირვალე საღებავებით. მისი რომანი მსუბუქი იუმორით არის გამსჭვალული, იუმორით, რომელიც ავტორს გამოყენებული აქვს, ერთის მხრივ, იმისათვის, რომ უფრო ცხოვლად და სრულად დახატოს გმირის ბუნება, ხოლო, მეორეს მხრივ,

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დისტანცია თავისი გმირის მიმართ, დადგეს მასზე მალა, რათა მკითხველმა არ დაკარგოს კრიტიკული დამოკიდებულება რომანის ისეთი გმირისადმი, რომლის ბუნებაშიაც დადებითსა და სიმპატიურს გარდა საკმაოდ მოიპოვებთან უარყოფითი ჩრდილოვანი თვისებანი, რომლებიც წარსულის გადაწამების სახით სოციალებენ და თანდათანობით ნადგურდებიან რომანის განვითარების მანძილზე.



რომანის პირველი ოთხი თავი ნაწარმოების საექსპოზიციო ნაწილს შეადგენს. მათში ჩვენ სათითაოდ ვეცნობით „გვადი ბიგვას“ მთავარ მოქმედ პირებს: გვადის, მარიამს, გოჩას, არჩილს. უკვე ამ საექსპოზიციო ნაწილში მწერალი გვაძლევს ამ ტიპების სავსებით დასრულებულ სახეებს. ჩვენთვის უკვე ნათელია ყოველი მათგანის სოციალური ბუნება. მათი ხასიათის თავისებურებანი, მათი ურთიერთობანი, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ასახავს სოფლად შექმნილ ძალთა თანაფარდობის თანამედროვე სინამდვილეს. და ამ პირველსავე თავებში მკითხველი ცხადად და ნათლად ხედავს რომანის მოქმედების არეს, გარემოცვას, გრძნობს იმ სოციალურ ატმოსფეროს, რომელშიაც რომანის პერსონაჟები ცხოვრობენ და მოქმედებენ.

ამგვარად, ამზადებს ავტორი მკითხველს რომანის შემდეგ თავებში დამრული მძაფრი სიუჟეტური დრამისათვის, სადაც ჩვენთვის უკვე ყველაფერი ადვილად გასაგებია და მისახვედრი, თუმცა ამბავი ღიდის სისწრაფით ვითარდება, სიტუაციები მეტად კონდენსირებულად და შეკუმშულად ისახებიან.

რომანის ცენტრალური ფიგურა

გვადი ბიგვა. ავტორის მხატვრული განზრახვის თავისებურობას უნდა მიეწეროს, რომ ახალი, სოციალისტური სოფლის ამსახველი ნაწარმოებისათვის მთავარ გმირად მან აირჩია არა ახალი ადამიანი, არა თანამედროვე სოფლის მოწინავე, წამყვანი ძალა, არამედ წარსულის ნაშთებით ჯერ კიდევ საკმაოდ დატვირთული კაცი, რომელიც ჯერ კიდევ წელში ვერ გამართულა მთელი არსებით, ჯერ კიდევ ვერ დაწმენდილა მისი ხასიათი სიმხდალისა, სიცრუისა, თაღლითობისა და უქნარობის, ფლიდობის და მცონარეობის იმ თვისებებისაგან, რომლებიც მასში გამოუმუშავებია ცხოვრების უკუღმართ პირობებს წარსულში.

გვადი ბიგვა მოქმედების ცენტრში სდგას რომანის მთელი განვითარების მანძილზე. მისი პირველი გამოჩენისთანავე მკითხველისათვის აშკარაა, რომ იგი არ არის დამახასიათებელი და ტიპიური მოვლენა სოციალისტური სოფლის თანამედროვე ცხოვრებისათვის. სახებანჯგვლიანი, მუცელგამობერილი, ჩერებით შეფუთვნილი გვადი, თავისი ხუთი ნახევრად შიშველი ბავშვით, თავისი ღარიბული ძველისძველი ჯარგვალით, — რაღაც საოცარ ანაქრონიზმად გამოსჩანს სოციალისტურ სოფელში დამკვიდრებული მზიური ცხოვრების ნათელ ფონზე. ეს გამოწვევისი, ეს საეკსტრემული და იშვიათი მოვლენა დააყენა მწერალმა თავისი ყურადღების ცენტრში, რათა გვიჩვენოს ის უკანასკნელი ბუდეები, რომლებშიაც თავი შეუფარებიათ ბნელი წარსულის დასაღუპავად განწირულ ნაშთებს, ბუდეები, რომლებიც დიდი სისწრაფით ირღვევიან ახალი ცხოვრების მდინარეებსანთან ყოველი შეხებისა და შეჯახებისთანავე.

სოციალისტურ სოფელში წარმოებული ბრძოლა ძღვევამოსილ ახალსა და სასიკვდილოდ განწირულ ძველს

შორის „გვადი ბიგვაში“ მრავალმხრივ განსახიერებას პოლუფსეკუნტის მხრივ მწერალი გვიხატებს. კონკრეტულ ნეობაში შეპარული, შენიღბული კლასობრივი მტრის გამომგლეჯებისა და განადგურების პროცესს (არჩილ ფორიას ისტორია). მეორეს მხრივ გვიჩვენებს ზოგიერთი კოლმეურნის შეგნებაში ჯერ კიდევ დაუძლეველი კერძო მესაკუთრული სულისკვეთების მძაფრ გამოვლინებას და ამ წინააღმდეგობის დაძლევის პერსპექტივას საკოლმეურნეო გლეხობის მხრივ (გოჩა სალანდიას ცხოვრება). და მესამე მხრივ ჩვენ თვალწინ იშლება გვადის ბუნებაში წარმოებული ბრძოლა მისი ხასიათის დადებითსა და უარყოფითს, მონურსა და ადამიანურს, მახინჯსა და კეთილშობილ თვისებებს შორის.

ეს წინააღმდეგობანი ამოძრავებს რომანის სუბეტურ განვითარებას, რომელიც მთლიანად სოციალისტური სოფლის აღმავლობასა და ადამიანთა ახალი კომუნისტური სულისკვეთების დამკვიდრებას ასახავს.

რომანი იხსნება მისი მთავარი გმირის, გვადი ბიგვას ხასიათის რელიეფურად გამომხატველი სურათით, როდესაც იგი ემზადება ბაზრობაზე წასასვლელად. იგი უნდა გაეპაროს საკოლმეურნეო შრომას, ქურდულად, თავისი ბავშვებისაგან დამალულად გასასყიდად წაიყვანოს თავისი ერთადერთი თიკანი და თან წაიღოს საკუთარ ეზოში მოპარული მანღარინები.

დიდის ვაიევაგლახით, პირფერობისა და სიცრუის დიდი ზელოვნებით დააღწია თავი საკუთარ ბაღლების წინააღმდეგობას, თითქოს გამარჯვებული მიეშურება იგი სოფლის ორღობეში და ესაუბრება თავისთავს. მაგრამ აქ ახალი საფრთხე დაუხვდა მას წინ. გვადის თავის ეზოდან გამოეგზაურა მუშობლად მცხოვრები ქვრივი ქალი შარიაში — სოფლის ერთერთი დამკვ-

რელი კოლმეურნე, გამრჯე, მშრომელი, კეთილსინდისიერი დედაკაცი.

მარიამის სახით მწერალმა დახატა მოწინავე კოლმეურნე ქალის ტიპური პორტრეტი. ავტორი არაფერს გვეუბნება მარიამის წარსულის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის სასებთ ნათელია, რომ მარიამს თავის უანგარო და დაუზარელი შრომით, საკოლმეურნეო მოძრაობაში აქტიური მონაწილეობით შეძლებული ცხოვრება მოუპოვებია და სოფლად საყოველთაო პატივისცემა დაუქსახურებია. იგი პირდაპირი, მტკიცე და მოურიდებელი ხასიათის ქალია, ამავე დროს უალრესად კეთილი და გულისხმიერი აღამიანი. რამდენიმე შტრიხით წარმოგვადგენს მწერალი მარიამის სახეს, გარემოცულს მზიური ცხოვრების მაჩვენებელ მისი პატარა ეზო-ბაღით: „პატარა ფიცრული სახლის წინ, ეზოში მწკრივად დარგული მანდარინის ხეებში ორმოცე წლის დედაკაცი ჩამდგარიყო მუხლებამდე კაბა აკეცილი და ნაყოფის სიმრავლით ძირს დაზნექილ ტოტებს კარგა მოზრდილ ხეს ევერით აკრავდა. წაქარწყებულ მკლავებს საქსოვარში შესრიალებულ მაქოს სისწრაფით მწვანე ფოთლებსა და შეყვითლებულ მანდარინებს შორის გაატარებდა. მამაკაცი მოურიდებლობით განიერად გალაჯულ, წვივებ შიშველ ფეხებზე მაღალი ტანი მსუბუქად დაეყრდნო და მისი ზორბა, მაგრამ მოქნილი ნაქეთების მოძრაობა მკლავთა ტრიალისათვის შეეწყო“.

გვადი ფარულ ტრფილვებს გრძნობს მარიამისადმი, მაგრამ ეს გრძნობა მას ჯერ ვერ გამოუმტლავებია. გვადის შიში იპყრობს, რომ მარიამი მიუხედება ბაზრობაზე გაპარვისა და საკოლმეურნეო შრომისაგან თავდაღწევის განზრახვას, ამხელს და გაკიცხავს მას. დიდრ ენამოქნილობა და კვლამჭვილობა სჭირდება გვადის, რომ ეს სა-

შიშროება თავიდან აიცილოს, ავადმყოფობას მიაწეროს თავისი უკმაყოფილება ქალაქისაკენ, თავის მუხრანულს მარიამს, მოაღბოს იგი და თანაგრძნობა გამოიწვიოს მის გულში.

გვადი მიღწევს ამ მიზანსაც კმაყოფილებით აგრძელებს გზას. სამუშაოდ მიმავალ მეზობელ კოლმეურნეებთან შეხვედრის შიშით გვადი იძულებულია თემშარას გადაუხვიოს და ეზოებზე მიმავალ ბილიკებს გაჰყვეს. ამ ბილიკებმა მიიყვანა ის გოჩა სალანდიას სახლის წინ. აქ რომანის არეზე გავიდის ახალი პერსონაჟი — გოჩა. იგი საშუალო შეძლების გლეხია, გამრჯე, შრომისმოყვარე, მაგრამ ჯიუტი და კერპი ხასიათის კაცი, რომელიც „ცხოვრების ახალ წესებს ჯერ კიდევ ვერ შეწყობოდა“, ჯერ კიდევ მძლავრად არის ფესვებგადგმული მის არსებაში კერძო-მესაკუთრული სულისკვეთება. იგი კოლმეურნეობის წევრია, მაგრამ მთელი დღეები თავის სანიმუშოდ მოვილილ ეზო-გარემოს დასტრიალებს თავს, საკოლმეურნეო შრომას ჯიუტად გაუბრძის. რაკი კოლმეურნეობაში მან მიწა და უღელი ხარი გააერთიანა, ამით კოლმეურნეობის წინაშე თავისი ვალი საბოლოოდ მოხდილად მიიჩნია. მთელს თავის დროსა და შრომას საკუთარ ბაღსა და ოდას ანდომებს, ოდას, რომელსაც იგი ამზადებს თავისი მომავალი სასიძოსათვის, თავისი ერთადერთი ქალიშვილის, კომკავშირელი ნაიას საქმაროდ გოჩას მიერ არჩეულ არჩილ ფორიასათვის.

გოჩას სახით მწერალმა დაგვიხატა ერთ კოლმეურნის ტიპი, რომლის შეგნებაში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის კულაკურ-მესაკუთრული განწყობილებანი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად შეკედლებია კოლმეურნეობას, რათა ამოეფაროს მას და უფრო მოხერხებულად განახორციელოს

თავისი ინდივიდუალურ-მესაკუთრული ინტერესები.

გოჩასა და გვადის მოკლე დიალოგიდან ნათლად ირკვევა, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა, თუმცა ორივე ერთნაირად გაურბის საკოლმეურნეო შრომას. მათ შორის აშკარად თავს იჩენს ინტერესთა და მისწრაფებათა წინააღმდეგობა. ვერავეითარი ენამახვილობა და პირმოთნეობა ვერ შველის გვადის, იგი ვერ ახერხებს გოჩას წყრომის თავიდან აცილებას და ისინი უკმაყოფილოთ გასცილდებიან ერთმანეთს.

შეურაცხყოფილი და დამცირებული გვადი, გოჩასადმი ზიზღით და ბოღმით აღესილი გზას აგრძელებს ქალაქისაკენ, თიკანი გაქცევია მას და ეხლა მხოლოდ მანდარინების ამარა მიემგზავრება ბაზრობაზე. და აი მას გზად შემოხვდა არჩილი — ყოფილი აზნაური და მემამულე, რომელთანაც ოდესღაც გვადი მოჯამაგირედ მსახურობდა. არჩილი კოლმეურნეობაში შემოპარული, შენიღბული მტერია, იგი ორკეთის კოლმეურნეობის ზე-ტყის ქარხნის გამგედ მსახურობს და მთელის არსებით სცილობს შეაფერხოს და ჩაშალოს კოლმეურნეობის ზრდა. მისი გავლენის შეოხებით გასდგომია განზე კოლმეურნეობას გოჩა სალანდია. არჩილი არწმუნებს გოჩას, რომ კოლმეურნეობა მალე დაიშლება, რომ სოციალისტური სოფელი დაინგრევა და ცხოვრების ძველი წესები აღსდგებიან. გვადიც მოქცეულია არჩილის გავლენაში. მას შერჩენია არჩილისადმი ერთგვარი შიში და მოკრძალება. არჩილიც უხვად სარგებლობს ამით და სცილობს გამოიყენოს გვადი თავისი ბნელი საქმეების მონაწილედ.

აი გვადი უკვე ბაზარზეა. ბაზრობა ძლიერ უყვარს გვადის. უცხო ხალხში ტრიალი, ენის ქაველის დაცხრობა, თავის გამოჩენა, პატივისცემის და ყუ-

რადღების დამსახურება ეზიღებოდა მას ბაზრობისაკენ, მაგრამ შემოხვევაში მას დიდხანს არ უდარდა მსახურობა. ფორიამ შეიხმო იგი სასადილოში, სადაც არჩილი თავის კომპინატორ თანამესუფრეებთან ერთად ქეიფობდა.

სცენა სასადილოში ამ რომანის ერთერთი შესანიშნავი ეპიზოდთაგანია. მოქიფებმა უპოვეს გვადის და შეუჭამეს საკუთარ ეზოში მოპარული მანდარინები, რომლითაც გვადი თავის ბავშვებისათვის ფეხსაცმელების ყიდვას აპირებდა. გვადის არ შეუძლიან გულგრილად უცქიროს, თუ როგორ ანადგურებენ მის მანდარინებს ეს ვილაც ოხერი და ბნელი ადამიანები. იგი სიმღერას მოიმღწეებს და თვალებს ძინაბავს, რათა არ დაინახოს ეს მისთვის გულისმომკველელი სურათი.

არჩილმა გვადის ნაპარავი საქონლით დატვირთული ხურჯინი გამოატანა. ხურჯინის შინშიტანისა და შენახვის შემდეგ გვადი ტყისკენ მიემუჩრება, სადაც ორკეთელი კოლმეურნეები ახოს ჰკაფავენ. აქ ჩვენს თვალწინ იშლება დამახული საკოლმეურნეო შრომის პათოსით აღბეჭდილი სურათი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე — გერა ხელმძღვანელობს ამ კოლექტიურ შრომას. აქ ჩვენ ვეცნობით ბრიგადირ ზოსიმეს, კოლმეურნე ონისეს, აქ არის მარიამიც, ნაიაც, მთელი სოფელი ფეხზე დამდგარა და ხალისიანი, კოლექტიური შრომის ფერხულში ჩაბმულა. გვადიც შეუერთდა ამ ფერხულის ორომტრიალს და თუმცა ვერაფერი შშრომელია, მაგრამ თავისი მოხერხებულობით და ენამოქნილობით აქაც ახერხებს მეზობლების თანაგრძნობისა და ყურადღების მოხვეჭას.

კოლმეურნეებმა გოჩა სალანდიას ფურ-კამეჩს ხეები აზიდვიეს. თუ გოჩა გაურბის საერთო შრომას, მისი

კამეჩი მაინც ვამუშაოთო — გადასწყვეტეს მათ. გზად მიმავალმა არჩილ ფორიამ დაინახა ეს ამბავი და სასწრაფოდ აცნობა გოჩას. გაბრაზებული გოჩა მექარით და ლანძღვა-გინებით მიეჭრა კოლმეურნეებს. კოლექტივსა და გაჯიუტებულ გოჩას შორის მომხდარი მკაცრი შეჯახება გოჩას სასტიკი დამარცხებით დამთავრდა: „ვის ეჯობრები, ყაზახო, ა? ვის მეთქი? კარგად გამოიხედე თვალებში... კამეჩის მოკიდავე ხარს რქები არ შერჩებო, ხომ გაგიგონია! კოლექტივი ვართ, კოლექტივი, გაიგე!“ დიდის თავმოწონებითა და სიამაყით ეუბნება გოჩას კოლმეურნე ონისე და მის სიტყვებში, ამ უბრალო და მარტივ სიტყვებში ღრმა სიმართლით არის გამოხატული საკოლმეურნეო წყობილების ძალისა და უპირატესობის აზრის გამტკიცება საბჭოთა გლეხკაცობის შეგნებაში.

რომანის შემდეგი თავები გოჩა სალანდიას ოჯახში აღწრულ წინააღმდეგობათა შესახებ მოგვითხრობენ. მართალია, გოჩას კამეჩი დაუბრუნეს, მაგრამ გოჩას ბოღმა და ბრაზი კოლმეურნეობისადმი ამით არ შენელებულა. ამის შემდეგ მთელის ძალით თავს იჩენს კონფლიქტი გოჩასა და მის ქალიშვილს — კომკავშირელ ნაიას შორის. გოჩას უნდა საბოლოოდ ჩამოაცილოს ნაია კოლექტივსა და კომკავშირს, ცოლად მისცეს იგი არჩილ ფორიას. ნაიას კი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა უყვარს და მთელი არსებით განუყრელად არის დაკავშირებული კოლმეურნეობასთან და სოფლის მოწინავე ახალგაზრდობასთან.

ნაია გარბის სახლიდან ამის შემდეგ რომანის სუეტტი განშტოებულად მიმდინარეობს. მწერალი აგვიწერს პარალელურ სცენებს, ერთდროსვე დროს სხვადასხვა ადგილას მომხდარ ამბებს.

გვადი ბიგვას ჯარგვალში თავისი ნაქურდული საქონლის წაქცევა: მოსულა არჩილ ფორია. ზეგნი: არჩილ ფორია უნდა გვადის დაპირებას შრომის ღირსეულად ანაზღაურების შესახებ, რადაც უმნიშვნელო გროშებს გადუყრის მას და გვადის ხურჯინსაც თან წაიღებს. გაბრაზებული და გაცხარებული გვადი აედევნება არჩილს, რათა თავისი ხურჯინი მაინც დაიბრუნოს.

ამავე დროს სახლიდან გამოქცეული ნაია თავისი მეგობრის, სოფლის სამკითხველოს გამგის — ელიკოს ბინაშეა. მეგობრების საუბარში ირკვევა, რომ არჩილ ფორია საზიზღრად ატყუებს ნაიასაც და ელიკოსაც, ორივეს უგზავნის სატრფიალო ბარათებს, ერთი და იმავე სიტყვებით ორივეს ეფიცება სიყვარულს.

ამავე დროს ელიკოს ოთახს ზემოთ, მეორე სართულში, სოფლის პარტიული ორგანიზაციის კრება მიმდინარეობს. კრებას მსჯელობა აქვს გოჩას შესახებ. ადგენენ ზეგავლენა მოახდინონ გოჩაზე, მოელაპარაკონ მას და ამ გზით გასტეხონ მისი ჯიუტობა. მოლაპარაკებას პარტორგი — გიორგი ივალებს.

ამავე დროს გოჩა სალანდია და მისი ცოლი ტასია თავზარდაცემულნი დაეძებენ ნაიას.

პარტორგანიზაციის კრების დამთავრების შემდეგ ნაია და გერა ერთმანეთს შეხვდებიან. გერას ძებნაში ნაიამ ძლიერი შიში გამოსცადა. ღამით მას ტყვიდან მოესმა გვადის ძახილი, რომელიც ფორიას მისდევდა და თავის ხურჯინს სთხოვდა. ნაიასათვის მოულოდნელი და გაუგებარი იყო ასეთ დროს ეს ძახილი. შიშისაგან გულწრფელს მიუსწრო მას გერამ. მათი საუბარი შეეხებოდა არჩილ ფორიას მვენებლურ საქმიანობას, გოჩას სიფიცხეს, ამავე საუბარში მათ პირველად

გაუმღავენეს ერთმანეთს ურთიერთ სწრაფვა და სიყვარული.

და ამავე დროს ნაიას საძებრად წამოსული გოჩა, ელიკოს ბინასთან ჩასაფრებული, დაინახავს, თუ როგორი ზიზღით და გულის წყარომით გამოავლო ელიკომ მასთან მისული მატყუარა და თაღლითი არჩილი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ელიკოსაც სთხოვდა სიყვარულს და ნაიასაც. გოჩასათვის ცხადი ხდება არჩილის არაშაადობა და ეს გარემოება გადაწყვეტ გველენას ახდენს საერთოდ გოჩას სულისკვეთებაზე. იგი საბოლოოდ ფხიზლდება და თავისუფლდება ფორიას დამღუპველი გველენისაგან.

გვაღიმაც ხომ მთელი არსებით შეიზიზღა არჩილი და მზად არის უაღრესად სასტიკი და დაუნდობელი შურისძიებით გაუსწორდეს მას.

ასე თავდება ამ რომანის პირველი დღე.

ფაბულური მოტივების ასეთი პარალელური განვითარება და შემდეგ ამ ხაზების კვლავ ერთმანეთთან შეხვედრა და გადაჯგვარდინება ამ რომანის სუფთური კომპოზიციის ერთერთი თავისებურებაა.

მეორე დღით არჩილ ფორია კვლავ ესტუმრა გოჩას, მაგრამ გოჩა ხმასაც არ სცემს მას, ზედაც არ შეხედავს. არჩილს არ ესმის გოჩას დამღურების მიზეზი, მას ჰგონია, გოჩა იმიტომ ბრაზობს, რომ არჩილმა მას დროით ვერ ძიაწოდა ოდის დასამთავრებლად საჭირო ფიცრები. ამ საქმის მოსაგვარებლად ისევ გვადის მიაშურებს არჩილი. გვადი პირველად მწყრალად დაუხვდება არჩილს, მაგრამ მალე იგი ერთხელ კიდევ და უკანასკნელად ისევ ფორიას ბრწყალბებში მოექცა. გვადის კოლმეურნობამ ოდის ასაშენებლად ფიცრები მისცა ხე-ტყის ქარხნიდან. არჩილი ჰპირდება გვადის, რომ ზედმეტ ფიცრებს მისცემს იმ პირობით,

რომ ეს ზედმეტი გოჩას უნდა გადაეცეს.

გარკვეული

ამრიგად, არჩილი გველენის დასაყრდენს და გველენის ასპარეზს გვადის ბუნებაში. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ მერყეობს გვადი ზეგვა არჩილსა და კოლმეურნობის შორის, ძველსა და ახალს, მონურსა და ადამიანურ ცხოვრებას შორის. ამ შინაგანი ბრძოლის ამ მერყეობის დასასრული ერთმა ღირსშესანიშნავმა ამბავმა გამოიწვია.

ორკეთელ და სანარჩელ კოლმეურნეებს შეჯიბრება ჟონდათ ახალი ოდების მშენებლობის საქმეში. სანარჩელები ესტუმრენ ორკეთელებს. შეხვედრამ საზეიმო ხასიათი მიიღო. კრებამ შეჯიბრების შედეგების შემოწმებელი კომისია აირჩია და ამ კომისიაში გერამ სოფლის მოწინავე ადამიანთა გვერდით გვადი ბიგვაც დაასახელა. ეს სავესებით მოულოდნელი იყო გვადი ბიგვასათვის. პირველად თავის ცხოვრებაში იგი დააფასეს, საპატიო ყაცად ჩასთვალეს. მთელი კრება ტაშს უკრავდა და ვაშას შესძახობდა გვადი ბიგვას. ამ მოულოდნელმა ბედნიერებამ, ამ უეცარმა და დიდმა სიზარულმა ერთბაშად აღადგინა გვადის ხასიათის ყველა ჯანსაღი და დადებითი თვისებანი. კრებიდან დაბრუნებული გვადი უკვე სულ სხვა ადამიანია. „მისი ცხოვრების სინამდვილე ახლა ისე იყო აყირავებული და მისი აზრები ისეთ ვეება ნახტომებს აკეთებდნენ, რომ გვადის მთელი დედამიწაც კი ეცოტავებოდა მათ დასატყვად“.

გვადი თანდათანობით ეჩვევა და ურიგდება იმ აზრს, რომ იგი სოფლის რჩეული, ადამიანია, მაშასადამე, მან საეესებით უნდა იცვალოს სახე, უკვე აღარ შეუძლია მას ძველებურად ჩამოხფულ ტანსაცმელში იაროს, იცუღლუტოს, იზარმაცოს. საქმიანაც, გა-

რეგული შესახებდობითაც იგი სოფლის მოწინავე კაცს უნდა დაემსგავსოს.

და აი, თავის ჯარგვალში დაბრუნებულ გვადის საკვარტლიდან ჩამოულია სკივრი, რომელშიაც მამაპაპეული ყამა და თავისი ჩოხა-აბალოხი ეკულებოდა. დიდი ხანია, რაც ეს ნივთები მან გადაივიწყა და ამ ხნის განმავლობაში არც კი აღძვრია სურვილი და მოთხოვნილება მოეხმარა ისინი.

დიდის ექსპრესიით და იუმორ-ნარევი სიწრფელით აღწერს მწერალი გვადის გადაცემის სურათს. ბნელი ჯარგვალა ახლა საოცრად გაჩაღებულია, აქ ყველაფერი უძველესი და უმნიშვნელო ნივთებიც კი, რაღაც ახალი სახით, სიამაყით გამოიყურებიან. თითქოს მთელი გარემოცვა გრძნობს გვადის ბუნებაში მომხდარ ვარდატეხას და უერთდება გვადის სიხარულს. გვადის ბავშვები განცვიფრებული და გახარებული ფუსფუსით შევლიან მამას, რომელიც რაღაც უჩვეულო და სხვანაირი სახით სდგას ახლა მათ წინ.

ახლა გვადი უფრო თამამად და გაბედულად მიდის მარიამთან. რომანის ერთერთ მხატვრულად ძლიერ მომენტს წარმოადგენს გვადის და მარიამის ამ ახალი შეხვედრის სურათი. მათ საუბარში გვადი გამოსთქვამს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ იგი შრომაში აღარავის ჩამორჩება, და რომ იგი მზად არის მეტი გმირობისთვისაც, რაც მარიამის აზრით კოლმეურნეს, ახალი სოფლის აღამიანს მოეთხოვება.

ამ შეხვედრისას უკვე ცხადად თავს იჩენს მარიამისადმი გვადის ფარული სიყვარული და თაყვანისცემა: „ბედნიერება მინდა მარიამ... სიყვარული და სიცოცხლე მინდა, მარიამ... შენი

მადლი... შენი წყალობა, მარიამ! — ამბობდა გვადი და მკერფიდნ კისეფი ხმა ამოსდიოდა, თითქმის მხმჩი ხელტემეში დანთებულ ცეცხლს გურგური ამოაქვსო, რომელიც დმუილიან დახილსა ჰგავდა“.

თავდაქერილსა და მტკიცე ხასიათის მარიამს არ შეეძლო არ გააკვირებოდა გვადის ასეთი ქცევა და არ შეეკავებია მისი თავდავიწყებული გატაცება, მაგრამ მას არც ის შეეძლო, რომ არ გაეგო გვადის გრძნობის სიწრფელები და ძალა, არ თანაეგრძნო მისთვის.

შინდაბრუნებულ გვადის თავის ეზოში არჩილ ფორია უხვდება. იგი უკვე გამოუმღვლავნებიათ როგორც კლასობრივი მტერი და მავნებელი, სამუშაოდან მოუხსნიათ და დასაპატიმრებლადაც ეძებენ მას. არჩილს განუზრახავს შური იძიოს კოლმეურნეობაზე, დასწვას ხე-ტყის ქარხანა და მიიმალოს. მან უნდა გვადი გამოიყენოს ამ ბნელი განზრახვის შესაიდუმლედ და ხელისშემწყობად, მაგრამ არჩილმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ გვადი ძველი გვადი აღარ არის, ახლა გვადის უკვე აღარაფერი აქვს საერთო არჩილთან. მას უკვე აღარ შეუძლია კოლმეურნეობის მტერს მტრულად არ დაუხვდეს, მით უფრო არ შეუძლია გვადის გულგრილად უტკიროს ხე-ტყის ქარხნის დაწვას, ქარხნისა, სიდანაც მან ოდის ასაშენებლად ფიცრები უნდა მიიღოს. აქ კოლმეურნეობის ინტერესები უკვე საესებით დაკავშირებულია გვადის ინტერესებთან.

გვადი მკაცრად უკუაგდებს არჩილის ყოველ წინადადებას, თხოვნას, მუქარას, მათ შორის დაძაბული ბრძოლა იწყება. არჩილი ქარხნისაკენ მიეშურება, გვადი ფარულად დაედევნება მას და სწორედ იმ მომენტში, რო-

დესაც არჩილმა ცეცხლს უნდა მისცეს ქარხანა, გვალი და არჩილი პირისპირ შეხედებიან ერთმანეთს, როგორც მტრები და მოწინააღმდეგეები. არჩილს ვერ წარმოუდგენია, თუ გვადის შეუძლია რაიმე წინააღმდეგობის გაწევა, მას გვალი ისევ ის დაძაბუნებული და ბეჩაფი ადამიანი ჰგონია, დამშვიდებით აგრძელებს ქარხნის დაწვისათვის სამზადისს და გვადისაც დაწვით ემუქრება იმ ფიცრებთან ერთად, რომლებიც გვადის ოდისათვის იყო დანიშნული. აქ უკვე აღარ არსებობს უკანდასახევი გზა გვადისათვის. იგი თავგანწირულად და გაბედულად ეკეთება მოწინააღმდეგეს და ყამის მოულოდნელი დაკვრით ჰკლავს მას.

გვადიმ გაანადგურა მტერი, გადაარჩინა კოლმეურნეობის ქონება, საგმირო საქმე ჩაიდინა. მალე მთელი სოფელი გარს შემოერტყა მას, როგორც საერთო საქმისათვის თავგანწირულ მებრძოლს. ყველაზე ახლოს მასთან მარიაში მოსულა. გვადის პატარა ბავშვებიც გამოჩნდნენ შორიდან, მორბიან მამისაკენ. მაგრამ გვადის უნდა, რომ ბავშვებმა იგი სისხლში გასვრილი არ ნახონ: „არა, ჰირიმე! ეს არ იქნება! გაიქეცი ახლავე! შეხვდი, დააბრუნე! უკან, ჯარგვალში წაასხი ყველანი! უთხარი, ბაბაიას კაცი არ მოუკლავს თქვა! სხვაგან არის წასული და მალე დაბრუნდება თქვა! როგორ მოგივიდა, რომ გამოუშვი? მთომ! თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიაში!“

ეგებ გვალი ბიგვას ამ სიტყვებში მწერალს საბჭოთა ხალხის ის დიდი ჰუმანისტური შეგნება უნდოდა გამოეხატა, რომ ჩვენი გმირი ხალხი გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებს მხოლოდ იმისთვის, რომ რეაქციულ სამყაროსთან უკანასკნელი და გადამწყვეტი მებრძოლების შედეგად სამუდამოდ ბოლო მოედოს სისხლის

მღვრელ ბრძოლებს და რომ კაცობრიობას, მომავალ თაობებს, უსისხლო, შშვილობიანი, ჰარმონიული ცხოვრება დაუმკვიდროს.

„გვალი ბიგვას“ ფურცლებზე დატრიალებული მთელი ეს მოქმედება ორი დღე-ღამის მანძილზე ხდება, მხოლოდ ამ მოკლე დროის განმავლობაში ვხედავთ ამ რომანის გმირების ცხოვრებას. მწერალი მხოლოდ გაკვრით გვაცნობს ზოგიერთ მათგანის წარსულს და მით უფრო არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწიათ მის პერსონაჟებს ამ ორი დღის შემდეგ, როგორია მათი მომავალი.

მაგრამ რომანის მანძილზე ავტორმა ისე მოხერხებულად და რელიეფურად გვიჩვენა თავისი მთავარი გმირების ხასიათი და ბუნება, რომ ჩვენთვის სავსებით ნათელი ხდება მათი წარსული და ისიც თუ რა მიმართულება უნდა მიეღო თითოეული მათგანის ცხოვრებას რომანში ასახული ამბების შემდეგ.

მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია, თუ რით უნდა დამთავრებულიყო ნიას და გერას ურთიერთობა. როგორ უნდა შეცვლილიყო გოჩას ცხოვრება. აქი უკვე ვნახეთ გოჩა ორკეთელ კოლმეურნეთა მოწინავე რიგებში სანარიელებთან საზეიმო შეხვედრის დროს და რომანის ფინალურ სცენაშიაც გოჩა მთელ სოფელთან ერთად გამოსჩანდა, როგორც სოფლის საერთო ჰირისა და ლხინის მონაწილე. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ წარიმართა გვალი ბიგვას მომავალი, მისი შემდგომი ურთიერთობა მარიაშთან, მისი ბავშვების ბედი — ყოველივე ეს მეტად მოხერხებულად არის ნანიშნები რომანში.

ამაში მდგომარეობს ამ რომანის თავისებური ძალა, მხატვრული თხრო-

ბის, სიუჟეტური კომპოზიციის თავისებური მანერა.

მაგრამ თუ მოქმედების ასეთმა ვიწროდ განსაზღვრულმა დროულმა ჩარჩოებმა დინამურობა შემატა რომანის სუჟეტურ კომპოზიციას, შეუნელებელი ინტერესით საკითხავი გახადა ეს წიგნი, სამაგიეროდ ამ გარემოებამ რომანზე ნაწილობრივ უარყოფითი გავლენაც იქონია.

მოქმედება იმდენად შეკუმშულად და კონცენტრირებულად ვითარდება, რომ შეუძლებელი ხდება ფონის, გარემოცვის საჭირო სისავსით და სისრულით დახატვა, შეუძლებელი ხდება რომანში იმ მდიდარი ყოფა-ცხოვრებითი მასალის მოთავსება, რომელიც კიდევ მეტად ნათელ წარმოდგენას მოგვეცემდა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს, როგორ შრომობს და იბრძვის მთელი საკოლმეურნეო გლეხობა სოციალისტური სოფლის მშენებლობისათვის. ეს მომენტი მეტად ძუნწად, თუმცა მკაფიო, მაგრამ მაინც შტრიხებით არის წარმოდგენილი რომანში.

ამ რომანში ლეო ქიაჩელი ადამიანთა ხასიათების, გმირის პორტრეტის ძძლავრ მხატვრად გვევლინება. ზოგჯერ იგი რამდენიმე შტრიხით თვალწინ დაგვიყენებს ცოცხალსა და ხელსახებ სახეს.

მაგრამ გმირის გამოხატვის ეს ცხოველმყოფელი ძალა ყოველთვის თანაბარი როდია ამ რომანში. ზოგჯერ მწერალს არ ჰყოფნის საღებავი პერსონაჟის ცოცხლად დახატვისათვის, განსაკუთრებით სოფლის მოწინავე ადამიანების, დადებითი გმირის დახატვისათვის.

გერა, გიორგი, ნაია, ელიკო შედარებით მკრთალად გამოიყურებიან ამ ნაწარმოებში. ისინი ხორცშესხმული მხატვრული განზრახვის მდგომარეობაში არიან დატოვებულნი.

თავის მხატვრული ენერჯის მაქსი-

მუმი ავტორმა ამ რომანში შეგნებულად გვაღი ბიგვას დახატვას მთაწფომა და შექმნა კიდევ უკრულანდ ბრკინალური მხატვრული სახე, რომელიც მკაფიოდ გამოირჩევა ქართული მწერლობის მიერ მოცემულ სახეთა გაღერეაში და იმკვიდრებს მასში თვალსაჩინო ადგილს.

რომანის სტილი სადაა და ბუნებრივი. ავტორი შეგნებულად გაურბის მანერულობას, ხაზგასმულ, განზრახვართულეზულ ფორმას მეტყველები-სა. რომანის ენა შეფარდებულია პერსონაჟის ხასიათთან. გმირების დიალოგსა და ავტორის თბრობას შორის მიღწეულია სრული მთლიანობა სიტყვიერი ქსოვილის მხრივ. დიდის ზომიერებით ახერხებს ავტორი დაიცვას გმირის მეტყველების სპეციფიური ელფერი, მაგრამ სრულიადაც არ დატვირთოს რომანის ენა პროვინციალური გამოთქმებით, კუთხური ჟარგონით. ამ მხრივ ლეო ქიაჩელის მიღწევა სანიმუშოა ბევრი თანამედროვე მწერლისათვის.

რომანის სტილი იმდენად სადაა და ბუნებრივი, რომ ერთის შეხედვით ვერც კი გრძნობთ ავტორის შრომას ენის მხატვრულობის, ფრაზის ინტენსივობის მისაღწევად. ნამდვილად კი მხატვრული მეტყველების ასეთი სისადავე გულმოდგინე და დაძაბული მუშაობის შედეგია.

ლეო ქიაჩელი არ მისდევს სტილის განსაკუთრებულ ჩუქურთმოვანებას. მას ნაკლებად იტაცებს შედარებათა, მეტაფორებისა და აღწერილობათა პოეტური სამკაულების მაცდუნებელი ძალა მხატვრულ პროზაში. მისი ყურადღება და ენერჯია თანმიმდევრულად მიმართულია მძაფრი სუჟეტის გამოკვეთისა და გმირის რელიეფურად დახატვისაკენ. პერსონაჟის სულიერი ცხოვრების, მისი ფიქრებისა და განცდების გაღმოცემისას მწერალი უხვად

და მოხერხებულად სარგებლობს ნიუ-ანსის, დეტალის ხატვის ხელოვნებით.

6

ლიტერატურის ისტორიის მთელი გამოცდილება გვასწავლის, რომ ხალხთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს დიდხანს უსაზრდოებიათ მწერლობა და ხელოვნება იღვების, თემებისა და სახეების ახალი, თავისებური სამყაროთი. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, როგორც ჩვენი სამშობლოს, ისე მთელი კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების უდიდესი მოვლენა იყო. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში მანამდე გაუგონარი მასშტაბის შეჯახება ტირანიისა და დემოკრატიის, ბარბაროსობისა და ცივილიზაციის, რეაქციისა და პროგრესის ძალებს შორის. ამ ომმა ნათელი გახადა რეაქციული სამყაროს უძლეურობა და უპერსპექტივობა — კაცობრიობის ცხოვრების განახლების შესაფერხებლად წარმობულ თავის ვერაგულსა და გაათრებულ ბრძოლაში. განვიღმა ომმა ქვეყანას დაანახა ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მთელი სიდიადე და უპირატესობა, საბჭოთა ხალხის უძლეველობა, საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმაღლე, მორალური კეთილშობილება.

ამ უკვდავი გამარჯობის ღირსეულად აღბეჭდვა სრულყოფილ მხატვრულ სახეებში დღესაც რჩება და დიდხანს დარჩება სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების პირველხარისხოვან შთამავანებულ ამოცანად. უეკველია, რომ მომავალშიც არაერთი შემოქმედის ნიჭი და ენერჯია შეეწირება ამ დიდ თემას. ეგებ ყბადაღებული „დისტანციის თეორიის“ მიმდევრებმა (თუ ახლაც არსებობენ ასეთები) გვითხრან, რომ ამ უდიდესი სა-

კაცობრიო მოვლენის ფართო, მონუმენტურ მხატვრულ ტილოებზე აღბეჭდვა სწორედ შორეულ მომავალს საქმეაო! არა! სწორედ ჩვენი თანამედროვე მწერლობა არის მოწოდებული მართალსა და უქცნობი ძალის მხატვრულ სახეებში მოუთხროს კაცობრიობას, მომავალ თაობებს იმ შეუდარებელი საბრძოლო აღფრთოვანებისა და თავდადების შესახებ, რომელმაც ბარბაროსული წყევდიადისგან იხსნა კაცობრიობა და რომლის უშუალო მოწმე და მონაწილე ჩვენი საბჭოთა მწერლობა იყო.

საბჭოთა ლიტერატურამ უკვე ბევრი რამ გააკეთა ამ მიმართულებით. ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხის მწერლობაში და პირველ ყოვლისა, რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში უკვე შექმნილია სხვადასხვა ეპოქის მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომელთა ფურცლებზეც ღრმა შემოქმედების ძალით და პირუთენელი მხატვრული სიმართლით არის წარმოსახული მოსკოვის გამირული დაცვის, ბლოკადირებული ლენინგრადის კედლებთან თუ ლეგენდარული სტალინგრადის ქუჩებში გადახდილი ბრძოლების, მთელი თვალუწვდენი საბჭოთა ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ცხოვრების ამაღლევბელი, დაუფიქარი ეპიზოდები. მილიონობით ადამიანები ჩვენს ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში განუზომელი ალტაცებით კითხულობენ ამ წიგნებს.

მაგრამ თუ მთლიანად გადავხედავთ სამამულო ომის თემაზე დღემდე გამოქვეყნებული წიგნების სერიას, დავინახავთ, რომ ამ წიგნების უმრავლესობა დოკუმენტური პრუზის ეპოქის მიეკუთვნება. უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ პირადად განცდილისა და ნახულის თხრობასთან ვვაქვს საქმე. ხშირად ეს წიგნები სამხედრო დღიურების, რეპორტაჟის ჩანაწერების, მოგო-

გამარჯვების ნათელი რწმენით და ბრძნული სტრატეგიული გეგმით ამოძრავებს ერთსულოვნად აღმდგარი საბჭოთა ხალხის ამოუწურავ ფიზიკურ და სულიერ ძალებს.

კავკასიის დაცვის სახელოვანი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ამხანაგი ლავრენტი ბერიას სახით რომანში გამოხატულია სტალინური სამხედრო ხელოვნების ეს უმაღლესი და უძლეველი სკოლა. მკითხველის თვალწინ გაივლის ჩვენი შეიარაღებული ძალების აქტიური, ზუსტად მოფიქრებული და გეგმაზომილი უკანდახევის სურათები, დროებითი უკანდახევისა, რომელიც ფიტავდა მტრის ძალებს, სწყვეტდა მტრის ურდოებს მათი ძირითადი ბაზებისაგან და ამასთანავე უზრუნველყოფდა ჩვენს სამხედრო უპირატესობას ბრძოლის გადამწყვეტი მომენტებისათვის. რომანში ასახულია ასეთი გადამწყვეტი მომენტიც. აი, დროებით მტრის მიერ დაპყრობილ სოფელ სოუხე სხვადასხვა მხრიდან იერიში მოაქვს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც სოუს მცხოვრებთაგან შედგენილ მოხალისეთა რაზმთან მჭიდრო საბრძოლო თანამშრომლობით მოქმედებს. აქ უკვე გამარჯვება სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის, აქ უკვე უკანდახევა შეუძლებელია და ამიტომაც აქ ჩვენი უპირატესობა ყოველმხრივ მომზადებულია და უზრუნველყოფილი. გადამწყვეტი შეტევა, იშვიათი გულადობით, სტრატეგიული გონიერებით ჩატარებული იერიში მტრის სრული განადგურებით და უაქცევით მთავრდება. რომანის ფინალური სურათი ჩვენი უძლეველი საბრძოლო დროშების ელფერით არის განათებული, რაც დიადი სამამულო ომის ძლევა მოსილ დასასრულს განასახიერებს. იაფად როდი დაჯდომია ჩვენს ქვეყა-

ნას ეს გამარჯვება. მწერალი გვიჩვენებს იმ ურიცხვას და მჭირფას მსხვერპლს, იმ მრავალ გამსაცდელსა და მწუხარებას, რომელთა წმინდა საფასურითაც ჩვენმა ხალხმა მტერზე გამარჯვება მოიპოვა. მით უფრო დიადია და ძვირფასია ჩვენთვის ის გამარჯვება მით უმეტესი ერთგულებით და თავდადებით უნდა განვამტკიცოთ და დავიცვათ ჩვენ მისი შედეგები — აი რომანის ძირითადი მორალი, მისი მასულდგმულბელი იდეა.

რომანში ნათლად არის აღწერილი და გამოხატული ჩვენი გამარჯვების წყაროები და ფაქტორები: დიდი სტალინის სამხედრო გენია, ბოლშევიკური პარტიის დამარაზმველი და სულისჩამდგმელი მესვეურობა, საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობანი, ჩვენი სამშობლოს ხალხის ურყევი ძმობა. საბჭოთა ადამიანის, ჩვენი ეპოქის დიადი ძვრების ატმოსფეროში აღზრდილი ან გარდაქმნილი ადამიანის მაღალი შეგნებულობა და მორალური სისპეტაკე იყო და არის ჩვენი სამშობლოს ყველა წარმატების ძირითადი საყრდენი. და სწორედ საბჭოთა ადამიანის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს გამოხატვისათვის მიუძღვნია „ჯოტოს მამის“ აეტორს თავისი შემოქმედებითი ენერჯისა და ნიჭიერების მთელი ძალა. რომანში ნათლად ვხედავთ საბჭოთა წრთობის ადამიანების გულადობისა და უშიშროების პატრიოტული თავგანწირულობის, თავდადებულ მეგობრობის და ამხანაგური სოლიდარობის ამაღლებებელ მაგალითებს. მწერალი მოგვითხრობს თავისი გმირების — ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანების კდემამოსილი, ამაღლებული სიყვარულის გრძნობაზე, ოჯახური ურთიერთობის სიწმინდეზე, უანგარო სტუმართმოყვარეობაზე, წინაპართა მიერ

ხანდერძეც საუკეთესო ტრადიციათა ცხოველმყოფელობაზე ჩვენს ღრწში.

რომანის ერთერთ ძირითად მოტივს წარმოადგენს თაობათა პარმონიული ერთიანობა საბჭოთა საზოგადოებაში. მთის კაცის მოხუცი ბათუ ქარდუას ურთიერთობა თავის ჯოტოსთან, მის მეგობრებთან და ახლობლებთან მკვეთრად გვიხატავს საბჭოთა ხალხის ყველა თაობის ადამიანთა განუყოფელ ერთსულოვნებას, რამაც განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ერთიანობაში.

ჩვენი ხალხის ყველა ის მთავარი თვისება, რომლებიც ამ გამარჯვებას ამზადებდა და უზრუნველყოფდა და რომლებიც ახლაც და მომავალშიც ჩვენი სამშობლოს უძლეველობის უპირველეს საწინდარს შეადგენენ, გამოხატულია და ნაჩვენები „ჯოტოს მამაში“ პლასტიკური სიცხადით, მხატვრული თხრობის დამაჯერებელი და შთამაგონებელი ოსტატობით.

მხატვრული აღნაგობის თვალსაზრისით ეს რომანი აღრმავებს და განავითარებს ყველა იმ ძირითად სტილობრივ თავისებურებას, რაც დამახასიათებელი იყო „ტარიელ გოლუა“ და „გვადი ბიგვას“ ავტორისათვის: მშვიდი, ეპიური სიღინჯით გაშლილი თხრობა, რომელიც დროდადრო უკიდურესად დამაბულსა და გამძაფრებულს, ღრმა დრამატიზმით გამსჭვალულ სურათებში გადადის; მწყობრი, სწრაფი თანმიმდევრობით აღმთავალი, მტკიცე სუჟეტურ კალაპოტში მოქცეული კომპოზიცია; ყოფაცხოვრებითი მასალის, მოქმედების ფონის ზედმიწევნითი ცოდნა და ყოველ დეტალში მისი ზუსტი წარმოსახვა; სადა, ბუნებრივი, სიტყვიერი ქსოვილი, რომელშიც გმირის მეტყველების სპეციფიური კოლორიტი, ორგანულად არის შედუღებული თანამედროვე ქართულ

სამწერლო ენის ბუნებასთან, და, რაც მთავარია, — ტიპების ცხოველმყოფელობის იშვიათი უნარი, რაც ცხოველმყოფელობის, როგორც ქემპარიტი რეალისტი ხელოვანის მხატვრულ ინდივიდუალობის უპირველეს ღირსებას შეადგენს.

არცერთ თავის სხვა ნაწარმოებში ლეო ქიაჩელს არ გამოუჩენია ბუნების მხატვრობის ისეთი ძალა და უნარი, როგორსაც „ჯოტოს მამაში“ ვხედავთ. რომანის მთელი სუჟეტი განფენილია მთიანი აფხაზეთისა და შავი ზღვის სანაპირო მიდამოების წარმტაცი ბუნების ფონზე. ამასთანავე რომანის მთავარი გმირი ბათუ ქარდუა — მთის კაცად წოდებული, განთქმული მეჯოგე და მონადირე, მთელი თავისი ცხოვრებითა და არსებით შეზრდილია და შესისხლხორცებული მის აღმზრდელ მთის ბუნებასთან, ამიტომაც ამ რომანში მწერალს ფართო გასაქანი მიეცა ბუნების სურათებისაგან შედგენილი ცხოველი პანორამის დასახატავად, ადამიანისა და გაცოცხლებული, სულჩადგმული ბუნების ურთიერთობის გადმოსაცემად.

რომანში მოცემულია მთის ბუნების მეტყველი პეიზაჟები — წლის ყოველი დროს, დღე-ღამის ყოველ ვითარების ამსახველი სურათები, აქავექარას უღელტეხილის, სანქაროს ბილიკისა და სოუს თავისებური ბუნებრივი გარემოცვის აღწერილობები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ორგანიულად არიან შეხამებული გმირის სულიერი სამყაროს მოძრაობასთან. ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავ ქმნილებათა შემდეგ ქართულ მხატვრულ პროზაში იშვიათად თუ შეგვხვდება ბუნების სურათების ასეთი შთაგონებული, ადამიანთა სულისკვეთებასთან და მისწრაფებებთან ასე შეთანხმებული მხატვრობა.

• •

„ჯოტოს მამაში“ საბჭოთა ადამიანების სახეთა მდიდარი და მრავალფეროვანი გალერეაა წარმოდგენილი, მაგრამ ყველაზე სრულად და მკვეთრად რომანში დახატულია მისი მთავარი გმირის „მთის კაცად“, „ჯოტოს მამად“ წოდებული ბათე ქარღუას სახე. ბათე — წარმოშობით გლეხი, ადრე დაობლებული, ნათესავ მეგობრებს წამოუყვანიათ აღსაზრდელად. იგი ჩინებული მეჯოგე, იშვიათი ვაჟკაცი დამდგარა, ბოლოს საკუთარი ჯოგი გაუჩენია, ხოლო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა, ფიზიკური გონებისა და ნათელი ალღოს ადამიანი, იგი მინდობია საკოლმეურნეო ცხოვრებას და სანჭაროს უღელტეხილის მისადგომთან მდებარე პატარა სოფელ სოუში დასახლებულა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე პატარა სოუ არაფრით იყო ცნობილი და მისი სახელიც თვით სოფლის მცხოვრებთა გარდა ბევრს არავის ვაგონა. სოფლად დაარსებული კოლმეურნეობა მჭკოგეობასა და მეფუტკრეობას ეწეოდა. კოლმეურნეობას მეთაურობდა ყუბანიდან გადმოსახლებული, ძველი პარტიზანი, ფიცხელი გულისა და ნათელი გონების პატრონი კირილე გორაკოვი, სასოფლო საბჭოს კი — ადგილობრივი მოწინავე გლეხი შაკი ზურუბაია. სოფლის ყველაზე გამოჩენილი კაცი კი ბათე ქარღუა იყო: უბაძლო ვაჟკაცი და იშვიათი მონადირე, ზრდილი და გონიერი, შრომისმოყვარე და გულმართალი გლეხი; როგორც თავისი გარეგანი შესახედაობით და ფიზიკური ძალოვნობით, ისე სულიერი თვისებებით, ზნეობისა და გონების ძალით, მთის კაცად წოდებული ბათე ჩვენი მშრომელი გლეხკაცობის

საუკეთესო თვისებათა ხორცშესხეული განსახიერებაა.

ბათეს შინ ყავდა თხუთმეტი წლისაღილი ნათლული, მწყემსი მანუჩა, რომელიც სხვა დადებით ზნერბრივ და გონებრივ ღირსებებთან ერთად, წერაკითხვის მკოდნეც იყო და მუღმივად უკითხავდა ქვეყნიერების ამბებით ღრმად დაინტერესებულ ბათეს — შვილის მიერ გამოგზავნილ ახალ გაზეთებსა და წიგნებს. მთის კაცის ერთადერთი ვაჟი ჯოტო კი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა და მოწინავე კომკავშირელი იყო. მთის კაცი ხშირად დაიარებოდა შვილიან სოხუმში, ნანადირევი მიჰქონდა ძღვნად თავის მოყვარე იულონ გარსიასათვის, რომლის ოჯახშიც ჯოტო ბინადრობდა.

ერთერთი თავის ასეთ მოგზაურობისას სოფლიდან სოხუმს მიმავალ მთის კაცს თავისი ცხოვრების უშესანიშნავესი შემთხვევა დაუდგა. იგი ვხად შეეყარა ავტომანქანით მიმავალ დიდ სტალინსა და ამხანაგ ლავრენტი ბერიას. ბელადისა და მისი თანამებრძოლის ყურადღება მიიპყრო ამ იშვიათი ვაჟკაცური შესახედაობის გლეხმა, რომლის საუცხოვო ცხენი დაეფრთხო ავტომანქანას.

მთის კაცის მიერ ნაამბობის სახით აღწერილი ეს ეპიზოდი ბელადისა და ამხანაგ ბერიას შეხვედრისა ბათე ქარღუასთან, რომანის ერთერთ საუკეთესო ადგილს წარმოადგენს. ეს სურათი განსახიერებაა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუყოფელი ერთიანობისა ხალხთან, იმ უსაზღვრო ზრუნვისა და გულისხმიერებისა, რომლითაც ეპყრობიან რიგითი საბჭოთა ადამიანებს დიდი სტალინი და მისი სახელოვანი თანამებრძოლები, და იმ განუზომელი ერთგულებისა და მადლიერებისა, რომლითაც მოსავეს ჩვენი ხალხი თავის ბრძენ ბელადს, თავისი მშობ-

ლოური პარტიისა და მთავრობის შესვეურებს.

რამდენიმე მეტყველი შტრიხით მწერალმა შესძლო დაეხატა სტალინის დიდი სახე, ამხანაგ ლაერენტი ბერიას მგზნებარე ბუნება. რამდენი ყოვლისმიმწვედომი სიბრძნე, ზალხის ცხოვრების ყოველი წვრილმანის რაოდენი ცოდნა, საბჭოთა ადამიანის ინტერესებისადმი როგორი ყურადღება და მზრუნველობა გამოსჩანს ამ მოკლე საუბარში, ამ მოცულობით მცირე, მაგრამ ღრმად მნიშვნელოვან ეპიზოდში.

ბელადი ესაუბრება გლეხს მთის ცხენის თვისებებზე, ქართული ჯიშის ფუტკარზე, სოუს კოლმეურნეობის მდგომარეობაზე, მთიანი სოფლების მივარდნილობისა და მიუვალობის დაძლევაზე და ყოველი მისი სიტყვა აღბეჭდილია გენიალური სისადავით, უმაღლესი ზალხურობით, აზრისა და გულის განუმეორებელი ნათელით.

ამ შეხვედრით და საუბარით უზომოდ ბედნიერმა მთის კაცმა ძვირფას მგზავრებს მოკრძალებით მიუძღვნა თავისი ნანადირევი არჩვი და შურთხეზი. სამაგიეროდ მეორე დღესვე მიიღო მთის კაცმა ძვირფასი საჩუქარი: საუკეთესო ღირსების სანადირო თოფი, ტყვია-წამლის დიდი მარაგით. ამ შემთხვევამ კიდევ მეტად სახელი გაუთქვა ისედაც თავის კუთხეში კარგად ცნობილ ბათუ ქარღუსს.

ასეთი ბიოგრაფიისა და ბუნების ადამიანი დააყენა მწერალმა თავისი რომანის ცენტრში. მოქმედება იწყება ომის წინა დღეს. მართალია, ჯერ ომის ვაჟანებაც არსად ისმოდა მაგრამ მთის კაცი მაინც გრძნობდა, რომ ეს მშვიდობა აღრე თუ გვიან დაირღვევოდა, ბათუმ კარგად იცოდა, რომ თუ ომის ქარიშხალი ამოტყდებოდა, მისი ჯოტო მყისვე ბრძოლაში გადაეშვებოდა, ასეთია საბჭოთა ახალგაზრდობის, კომ-

კავშირული თაობის ბუნება. მთის კაცი ბევრს ფიქრობდა ომის მოსალოდნელობაზე, რაღაც უცნაურ სიმშრებსაც ხედავდა, რომლებშიც მისი წინაღობა ესახებოდა. და იმ, გაუძარტლდა ეს წინაღობა: სანადიროდ აქავქარას მთებში წასულმა ბათუმ მოულოდნელად გაიგო ჩვენს სამშობლოზე მტრის ვერაგული თავდასხმის ამბავი. ელვის სისწრაფით ამოძრავდა მთა და ბარი. აქავქარის მწყემსების სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც პარტიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი გამოვიდა საბრძოლოდ მომწოდებელი სიტყვით, მეტყველი სურათია იმ საერთო პატრიოტული აღფრთოვანებისა, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა ომის პირველსავე დღეს. მთიანი აფხაზეთის ეს შორეული კუთხეც ბანს აღლევდა და იმეორებდა მთელი ჩვენი ზალხის ერთსულოვან ძახილს: ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

გრიგალისებური სისწრაფით გაემართა მთის კაცი სოხუმისაკენ, რათა ბრძოლის ველზე მიმავალი შეილისათვის მიესწრო. თავგამოდებით მიაქენებდა იგი სანქაროს საზიფათო ბილიკზე თავის საყვარელ ცხენს ჯონდის. მზის ჩასვლამდე უნდა გაეელო მთის კაცს ეს ბილიკი და გზატკეცილზე გამოსულიყო. მთის კაცი თითქოს მზეს ეტოქებოდა სელაში, ამ იღუმალ მეტოქეობის სურათი რომანის ერთერთს უალრესი ექსპრესიულობით აღბეჭდილ პასაეს წარმოადგენს. ბათუმ დაასწრო მზის ჩასვლას. მაგრამ შეილს კი ველარ მიუსწრო სოხუმში, ჯოტო თავის მეგობარ თემურთან და სხვა ამხანაგებთან ერთად უკვე გაფრენილიყო სოხუმიდან სამხედრო საავიაციო სკოლაში ჩასარიცხავად, რათა სახელოვა-

ნი საბჭოთა მფრინავების რიგებში ჩამდგარიყო.

ჯოტოს უახლოესი მეგობარი კი იულონ გარსიას ქალიშვილი ლია მამის მძიმე ავადმყოფობის გამო ჯერ-ჯერობით შინ დარჩენილა. ლიას სახით მწერალი გვიხატავს მოწინავე საბჭოთა ქალიშვილის ზორცქესხმულ ტიპს, სპეტაკი სულისა და უშიშარი გულის კომპლავირულ ქალს, რომელმაც იცის წრფელი და უანგარო სიყვარულიც, მშობლებისადმი მოვალეობის გრძნობაც და სამშობლოსათვის სიცოცხლის მამაცურად განწირვაც.

ომი მძაფრდება. დროებითი წარმატებებით გათავებებული მტერი გააფთრებულად წინ მიიწევს. ბრძოლის ველი უკვე კავკასიონის ქედს მოეზღინა. საფრთხე უშუალოდ დაემუქრა სოუს. მტერს უნდა ხელთ იგდოს საქართველოში შემოჭრის თვალსაზრისით ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. იწყება ბრძოლა სოუსათვის. პატარა, წინათ უცნობი და უმნიშვნელო სოფელი სოუს სახელი ახლა ქვეყნიერებას ეფინება. სოუს მცხოვრებთ ადგილობრივი მოხალისეთა რაზმი შეუდგენიათ მტრის მიერ ზურგში გადმოსროლილ დივერსანტების გასანადგურებლად. მთის კაცი ბათუ ქარღუა, კირილე გორაკოვთან და მაცი ზურუბაიასთან ერთად მეთაურობს ამ რაზმს. ჯოტოს კი, როგორც მამაც სტალინურ შეგარდენს, საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიუღია.

სოხუმს ჩასულმა მანუჩამ გაიგო პირველად ეს ამბავი ლიასაგან და იმ ღამითვე სასწრაფოდ გამოეშურა სოუსაკენ, რათა ეს სასიხარულო ცნობა სოფლისათვის, ჯოტოს მამისათვის საჩქაროდ მიეზარებია. გზაზე, ღამით, სანქაროს ბილიკით ბზიფის აღმართზე მიშავალ მანუჩას წითელარმიელები შემოხვდა. მათ მძიმედ დაჭრილი თა-

ნამებრძოლი მოჰყავდათ თან, მანუჩა ძმურად მიეშველა საბჭოთა მებრძოლებს. გზა ასწავლა მათ, თავისი საგზალი გაუნაწილა, თავისი ცხენი დაუთმო დაჭრილის სატარებლად. მაგრამ მძიმედ დაჭრილი ვანია სადოენიკოვს სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა. მან გზაზე დალია სული. ეს ეპიზოდი, აფხაზეთის მთებში რუსი წითელარმიელის სიცოცხლის დასარულება, ღრმა ადამიანური განცდით და მხატვრული სიმართლით აღწერილი რომანში, მკაფიოდ განასაზიერებს ჩვენი სამშობლოს ხალხების ძმობისა და საბრძოლო თანამეგობრობის დიად გრძნობას, რომელმაც განსაკუთრებული ძალით და ცხოველმყოფელობით იჩინა თავი სამამულო ომის დღეებში.

ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმეში ჩაწვდომის იშვიათი ძალით გადმოგვეყვას მწერალი მთის კაცის განცდებს, როდესაც მას მანუჩა უკითხავს ვაზეთებში გამოქვეყნებულ ბრძანებულებას ჯოტოსათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ და აგრეთვე ჯოტოს წერილს მამისადმი.

თავისი მთავარი გმირის ხასიათის უფრო სრული გამოხატვისათვის ავტორს გადაეყვას მთის კაცი ერთი მდგომარეობიდან — მეორე, — სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაში. სწორედ მაშინ, როდესაც ბათუ ქარღუა თავისი შვილის გმირობისა და დიდების ბედნიერებით იყო მოცული, მას თავს დაატყდა სრულიად მოულოდნელი დიდი უსიამოვნება: სოფელი რაზმელების მიერ დატყვევებულმა დივერსანტმა დაკითხვის დროს უჩვენა, რომ იგი მთის კაცთან, ბათუ ქარღუასთან იყო გამოგზავნილი. მართალია, სოფლის მესვეურებმა არ დაიჯერეს ჯოტოს მამის მოლატეობა, მაგრამ ამ ამბავმა მაინც დიდი შეშფოთება გამოიწვია მოხუცი

მთის კაცის გულში. სწორედ ამ მომენტში მოვიდა საბჭოთა სარდლობის ბრძანება სოუს დროებით ევაკუაციის შესახებ და თანაც შინსახკომის რწმუნებულის მოწერილობა, რომლითაც მთის კაცს დაუყოვნებლივ სოხუმს იბარებდნენ.

არაფინ იცის, თუ რით არის გამოწვეული ჯოტოს მამის ასეთი უეცარი გაწვევა. ვარაუდით ორში ერთი მიზეზი უნდა იყოს: ან დივერსანტის მიერ ბათუს დასახელება თავის სანდო კაცად, ან კიდევ ჯოტოს თავზე დატრიალებული რაიმე ხიფათი.

გონებაამღვრელი მთის კაცი სულისმოუთქმელად მიეშურება სოხუმისაკენ. დანიშნულ დროზე იგი უკვე ქალაქშია. აქ ბათუმ იხილა მტრის თვითმფრინავის თავდასხმის, სურათი. ეს სურათი, უხადო რეალისტური ხელოვნებით დახატული, ცხოვლად აღადგენს მკითხველის მეხსიერებაში სამაჟლო ომის მრისხანე დღეების დამბულ ვითარებას.

სოხუმს გამოწვევის ორი მოსალოდნელი მიზეზისაგან ორივე საშინელია მთის კაცისათვის, მაგრამ იგი მეტის შიშით მიიწვ ჯოტოს ამბავს მოელის. ბრძოლის ველზე წასული შვილისადმი მოყვარული მამის გრძობა, როგორც განზოგადოებული გამოხატულება საბჭოთა ზალხის გრძობებისა თავისი სახელოვანი მეომრებისადმი, უკიდურესი სიმძაფრით არის გამოთქმული მთის კაცის ერთ მცირე მონოლოგში: „ჰოი, ნუ გამაგონებთ ჯოტოს უბედურებას. დალოცვილებო, დამიმალეთ, ნუ მეტყვიით, თუ რამე იცით. სხვას ყველაფერს აიტანს, ყველაფერს შეურიგდება ეს ჩემი ბებერი გული. დეე გაითვლოს ჩემი სიმართლე... უსაზიზღრესი ცილი დამწამონ მტრებმა... არ მეშინია. ვიცი: სიმართლე აღსდგება ისევე და მისი ნათელი ჩემს პატიოსან სახელს კვალად მოეფინება. ჯოტოს უბედუ-

რებას კი ნუ გააგონებთ მის მოხუც მამას! რატომ გინდათ, რატომ მტერი ვიცოდე, ამისათვის თქვენს მტრებს მითხარიო, ცოცხალი არისო, მითხარიო ასე, ტყუილიც რომ იყოს, რადგანაც იმედით ცოცხლობს ადამიანი, რომც არასოდეს არ გაუმართლდეს... ჰოო, იმედი, თუ გინდ ამაო, მაგრამ მაინც იმედი სიკვდილის პირამდე მიპყვება ყველას, ვინც ამ ქვეყანაზე ადამიანად დაბადებულა... ცოტა რამეა იგი, წონა არა აქვს, არც ფასი, ხოლო ყველას, როგორც დიდს, ისე პატარას, — თანაბრად გულის სკივრში აქვს გამოკეტილი, სანამ სული უდგია. ნუ მეტყვიით უარს ამ ცოტა რამეზე, თორემ მოხუცს სიკვდილი გამიჭირდება ანთებული სანთელივით გარს შემოგვევლეთ ყველას...“

მთის კაცის ვარაუდი არ გამართლდა. გამოირკვა, რომ იგი სოხუმს რაიმე ექვემდებარების გამო, ან ცუდი ამბავის შესატყობინებლად როდი ყოფილა გამოძახილი. იგი გამოუწვევია ამხანაგ ლავერენტი ბერიას, რათა განთქმული მონადირისა და ყოფილი მეჯოგისათვის, საიმედო ვაკეკაცის ბათუ ქარდუსათვის უადრესად საპასუხისმგებლო დავალება მიეცა. ამხანაგ ბერიასთან მთის კაცის შეხვედრის ეპიზოდში რომანის სარბიელზე კიდევ ერთხელ გაიელვებს მკვეთრად და ღრმა მხატვრული ტაქტით დახატული სახე ქართველი ზალხის საამაყო შვილისა, რომლის სახელთანაც გახუყრელად არის დაკავშირებული ამიერ-კავკასიის გმირული დაცვის უკვდავი ეპოპეა.

მთის კაცს დაევალა მეგზურობა გაუწიოს წითელი არმიის ერთერთ შენაერთს, უჩვენოს ნაკლებად ცნობილი და ყველაზე მოხერხებული მთიანი ბილიკები მტერზე ზურგიდან შემოვლით მოულოდნელად თავდასახმელად. ჯარის ამ ნაწილში, რომელ-

საც მთის კაცი უნდა გაჰყვეს, მედიცინის დათ ჩარიცხულია ჯოტოს საცოლე ღია, რომელსაც მამა გარდაცვლია და ახლა უკვე აღარაფერი აბრკოლებს, რომ თავისი ძალა და სიცოცხლე სამშობლოში სიცოცხლესა და თავისუფლების საქმეს შესწირას.

მთის კაცი სამი დღით ადრე გაემგზავრა ბილიკების წინასწარ დასათვალეობლად. ამ მგზავრობაში მას შრავალი ხიფათი და განსაცდელი გადახდა თავს. იგი ხელთ იგდეს სანჯაროს უღელტეხილით ბზიფის ხეობაში შემოჭრილმა გერმანელმა ოკუპანტებმა. განუზომელი გულისტყვილი განიცადა ბათუმ, როდესაც თავისი თვალთ ნახა დამპყრობლების მიერ ვერაგულად ხეზე ჩამოხრჩობილი მანუჩას გვამი. მთის კაცი ერთი წუთითაც კი არ შერიგებია საქულველი მტრის ხელში ტყვეობის ხედვას. მას გადაჭრით გადაწყვეტილი ჰქონდა გაქცევა და შესძლო კიდევ მოხერხებულად, თავგანწირულად ხელიდან გასხლტომოდა ოკუპანტებს და მათს სამსახურში მოღალატურად გადასულ სამსონ ლარაძეს.

ტყვეობიდან თავდალწულმა მთის კაცმა ბრწყინვალედ შეასრულა საბჭოთა სარდლობის დავალება. მან უცნობი და მტრის მიერ გაუთვალისწინებელი ბილიკებით მიიყვანა საბჭოთა მებრძოლები სოუს მისადგომებთან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ. სწორედ ამ ასეულს უნდა მიეტანა მტერზე პირველი მოულოდნელი იერიში და ამით სოუსში შემოჭრა გაეადვილებია სამხრეთის მხრიდან სოუსაკენ დაძრულ საბჭოთა ჯარის მთავარი შენაერთისათვის.

რომანის უკანასკნელ თავში აღწერილია ჩვენი ჯარის მიერ სოუს აღება, მტრის განადგურება და უკუქცევა. მკითხველის თვალწინ მხატვრულ საშუალებათა უღრესი ეკონომიით და-

ხატული სამავალითო ბატალერი/სურათია გადაშლილი. სურათის გადამწყვეტ ხელჩართულ ბრძოლის დროს მეზივით ჰქუხს მთის კაცის შეძახილი: „ჰკა, მაგათ“. მტერს ეს ხმა ზებუნებრივ რისხვად ატყდება თავს, ხოლო საბჭოთა მებრძოლებს იგი გმირობისათვის აღაგზნებს, რადგან მთის კაცის ამ შეძახილში მთელი ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის საბრძოლო მოწოდება გაისმის.

მთის კაცი იღუპება სოუსათვის გაჩაღებულ ხელჩართულ ბრძოლაში. გულის სიღრმემდე ჩამწვდენი და წარუშლელი შთაბეჭდილების ძალით ხატავს მწერალი მთის კაცის სიკვდილის სურათს. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან სოუსში შემოჭრილი ერთ-ერთ მთის ძირში იწვა მკერდგამირული ბათუ ქარდუა: „მთის კაცი იწვა პირადმა ძირფესვიანად ამოთხრილი, ტყვიისაგან ვასხეპილი და ცეცხლით გაბუგული ფიჭვების ვეება ძელებს შორის მათებრ ვეება და ცეცხლით შერუჯული“... „სული გაენაბა გარემოს. იგი თითქოს იმის მოლოდინში იმყოფებოდა, თუ რით დამთავრდებოდა ამ ვეება ადამიანის სხეულის უხმო ბრძოლა სიკვდილთან“.

სულთმობრძვე მთის კაცს მოესმის საბრძოლო ყვირის ხმები. ეს ჩვენები სდევნიან და ანადგურებენ მთებში შეხიზნულ უკანასკნელ ნაშთებს დამპყრობელთა ურდოებისა. ამ სასიხარულო ხმაურთან ერთად მთის კაცს ყურში ჩაესმის დაჭრილი თანამომხმეების გულსაკლავი კენესაც, მათ შორის ბათუმ გამოიცილო თავისი საყვარელი მეგობრის მაცი ზურუბაიას ხმაც. ბორგავს მთის კაცი, უნდა ხმა შიამწვდინოს, წამოდგეს, მიეშველოს გასაჭირში მყოფ მოძმეს, მაგრამ ამოდ... მას ხმა წართმევია, მოძრაობის ძალაც.

სიკვდილზე უფრო მწვეველ განიცადა მთის კაცმა, როცა შეიცილო თავის

გულ-მკერდზე დაფენილი თმები ღია-სი. ალბათ სასიკვდილოდ დაჭრილ ბათუს მისაშველებლად მასთან მოსული ღია მოუცელავს მტრის ტყვიას და გოგონა გულმკერდზე დაკედომია თავის საყვარელ მოხუც მეგობარს, თავისი ჯოტოს მამას...

უშწო მთის კაცს ახლა ერთი და დარჩენია: მოუხმოს თავის ჯოტოს, სახელოვან მფრინავს, რომელიც ვინ იცის სად, ფრონტის რომელ უბანზე მუსრავს და ანადგურებს მტერს. ბათუს ეჩვენება, რომ მის დაძაბილზე მართლაც სულმობრძავი მამისავენ მოფრინავს ჯოტო. აი, დაეშვა კიდევ მისი თვითმფრინავი, მთის კაცი ხედავს თავის ერთადერთ პირმშოს, რომლის გარეგნობაშიც საკუთარი სიყრმის სახება წარმოუდგება: „ჰოო, რა ბედნიერია მთის კაცი! რად უნდა ეშინოდეს ახლა სიკვდილის, როცა გრძნობს, რომ შეილის სახით უკვდავი რჩება აქ ქვეყანაზე“.

იწყება მომავლადვი მამის მოჩვენებითი საუბარი შეილთან. არწმუნებს ნაპას, რომ ახლა ყოველგვარი ქრილობის განკურნება შეიძლება, ახლავე გააფრენს მას სამკურნალოდ. მთის კაცი კი ეხვეწება შეილს სასწრაფოდ უშველოს ღიას, მაცი ზურუბაიას, სხვა დაჭრილ თანამოძმეებს, შემდეგ მანუჩას მიხედოს, გმირულად დაღუპულ მანუჩას, რომელიც ახლაც ჩამოღრჩობილი ჰკიდია ხეზე აჭავჭარაში, მერე მოიკითხოს სადღაც კლდე-ღრეში გადაჩეხილი მათი ერთგული ცხენი — ჯონდო და ბოლოს კი... „როცა შეასრულებ ყველა ჩემს თხოვნას, მერე, სულ ბოლოს ჩემთან მოდი... ბევრს არაფერს ვთხოვ, შეილო... ლაკადამი გამაფრინე, ჩემს სამშობლოში, დედაშენთან... თუ მოსარჩენი ვარ, ისევ დედაშენი მომარჩენს, ჯოტო... ბიძაშენთან არის თავშეფარებული... რუსულდანიც იქ იმყოფება მასთან... დღე

ღამე ლოცულობენ შენთვის საცოდავები“...

რამდენი კეთილშობილებაა ცხელს როგორი სიმაღლე და სიღიაღვა მომავლადვი მთის კაცის ამ უკანასკნელ ფიქრებსა და განცდებში!

ბრძოლა მთავრდება, სოუ გაწმენდილია საქმლეელი მტრის ურდოებისაგან. აი, გამარჯვებული თანამებრძოლნი გარს შემოხვევიან მთის კაცს. ბათუმ იცნო თავისი საყვარელი კირილე გორაკოვი, თავისი ჯოტოს ტოლები და მეგობრები. სიხარულის სხივი ეფინება მის მომავლადვ სახეს. იმედიოთა და გამარჯვების სიხარულით მოცული ლეკს იგი სულს.

ასე მძლავრს, ღრმა დრამატიზმით აელერებულ სურათში განასახიერა მწერალმა ძვირფასი მსხვერპლის, მრავალი მძიმე დანაკლისის ფასით მოპოებული, და მით უფრო დიადი ჩვენი გამარჯვება.

გვხვდება „ჯოტოს მამაში“ ცალკეული „პროზაიზმები“, გმირის მოქმედების თუ მისი სულიერი ცხოვრების მოძრაობის ზედმეტად დაწვრილებითი აღწერილობა, რომლებიც „აფუხრუქებენ“ სუფეტის დინამიურ განვითარებას და, მაშასადამე, ანელებენ კიდევ შეთბეკდილებას.

როგორც თავის სხვა ძირითად ნაწარმოებებში („ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“), „ჯოტოს მამაშიც“ ლევო ტიაჩელი ეპოქის ძირითად მამოძრავებელ ძალას, მის ავანგარდს რომანის მეორე პლანზე მიუჩენს ადგილს. მაგალითად, „ტარიელ გოლუაში“ მოქმედების ცენტრში სდგას არა რევოლუციური ბრძოლის პირდაპირი მეთაური, ქალაქთან და მუშათა კლასთან უშუალოდ დაკავშირებული ახალგაზრდა რევოლუციონერი ლევან გო-



• • • **მ. რ. მ. შ.**
 • • • **მ. რ. მ. შ.**

ლუა, არამედ ლევანის მეშვეობით რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმული მოხუცი გლეხი ტარიელი. ასევეა „გვადი ბიგვაშიც“, აქ თხოობის ცენტრში საკოლმეურნეო ცხოვრების შემოქმედი და მესვეური ძალები კი არ დგანან, არამედ საკოლმეურნეო წყობილების მიერ წელში გამართული და აღდგენილი გვადი, რომელიც წარსულის კომპარით იყო დამაბუნებელი. „ჯოტოს მამას“ მთავარ გმირსაც თვით ჯოტო, — საბჭოთა ფორმაციის ადამიანი კი არ წარმოადგენს, არამედ ყოფილი მესაკუთრე მეჯოგე, გულწრფელად და თავდადებულად შესისხლხორცებული ჩვენს სინამდვილესთან, ჩვენი ხალხის საბრძოლო საქმესთან.

ჩვენი ეპოქის დიად მოვლენათა და მათი მამოძრავებელი ძალების გამოხატვის ეს „შემოვლითი გზა“ ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ცხოვრების ერთერთ დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს.

ამის მიუხედავად, როგორც „ტარიელ გოლუა“ და „გვადი ბიგვა“, ლეო ქიაჩელის უკანასკნელი რომანი „ჯოტოს მამა“ თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება, სწორედ ჩვენი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა სიმართლით გამოხატვის თვალსაზრისით. რომანის ღრმა სოციალური მნიშვნელობა და ესთეტიური ღირებულება საესებით უდავო და თვალსაჩინოა.

ასეთია ლეო ქიაჩელის მიერ განვილილი შემოქმედებითი გზა. ასეთია იდეებისა, თემებისა და სახეების ის მდიდარი სამყარო რომელმაც გამოხატულება პოვა მის შემოქმედებაში.

ლეო ქიაჩელს აგრეთვე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. მისი საბავშვო მოთხრობები დამახატურებულად სარგებლობენ ფართო პოპულარობით და სიყვარულით მოზარდ მკითხველთა ფენებში.

ლეო ქიაჩელმა ქართულ მწერლობას შესძინა მ. გორკის, სტენდალის, ანატოლ ფრანსის და მსოფლიო ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებების შესანიშნავი თარგმანები. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საყურადღებო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები მშობლიური და უცხოური ლიტერატურის კლასიკოსთა შესახებ, თანამედროვე მწერლობის საკითხებზე.

ამ ქამად ლეო ქიაჩელი აქტიურ შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწევა. უეჭველია, რომ მის შემდგომს ნაწარმოებებში კიდევ უფრო ღრმად და სრულფასოვანად აისახება საბჭოთა საზოგადოებრივი სინამდვილე, საბჭოთა ხალხის შრომა და ბრძოლა კომუნისმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

პირველი ნაწილი

დასავლეთის თანამედროვე გეოგრაფიული ფილოსოფიის ზოგიერთ მიმართულებათა მოკლე კრიტიკული მიმოხილვა

★

დასავლეთის ბურჟუაზიული ფილოსოფიის ეს მოკლე კრიტიკული მიმოხილვა უმთავრესად შეეხება ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს, — სახელმწიფოს, რომელიც დღეს პრეტენზიას აცხადებს არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობაზე, არამედ იდეოლოგიურ ბატონობაზედაც. სხვა ქვეყნებთან შედარებით შეტი აღგილი დაეთმოდა ინგლისს, რომელმაც იკისრა იმპერიალისტური ამერიკის უმცროსი პარტნიორობა მისი ყველა ავანაჟური ზრახვის განხორციელების ცდაში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულმა ჰეგელიანური იდეალიზმის გამოცოცხლებამ ინგლისში უკვე საუკუნის მიწურულში გამოიწვია აბსოლუტისტური იდეალიზმის გაბატონება. ამ პროცესმა მოიცვა აგრეთვე ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები. აბსოლუტისტური იდეალიზმის მთავარი ფიგურები იყვნენ ბრედლი და როისი. ინგლისისა და გერმანიის იმპერიალიზმის გამწვავებულმა კონკურენციამ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოიწვია ინგლისში ერთგვარი იდეოლოგიური რეაქცია გერმანული იდეალიზმის გაბატონებული გავლენის წინააღმდეგ. ანალოგიური პროცესი—ოლონდ ცოტა სხვა მოტივით—დაიწყო ხგრეთვე ჩრდილო

ამერიკის შეერთებულ შტატებში. სწრაფად მზარდმა ამერიკის იმპერიალიზმმა უკვე იგრძნო თავისი ძალა და საესებით ბუნებრივად შეუდგა საკუთარი იდეოლოგიის შექმნას.

1903 წელს ინგლისურ ფილოსოფიურ ჟურნალ „mind“-ში გამოქვეყნდა მურის წერილი: „იდეალიზმის უარყოფა“. ავტორი აღნიშნავდა, რომ საბოლოო ანგარიშში ყოველგვარი იდეალიზმი აღიარებს პრინციპში თვისის: „esse — pererpi“ („ყოფიერება არის აღქმაში“), რამდენადაც ყოველგვარი იდეალიზმი ამათუიმ ფორმაში აიგივეებს პერცეპციას ანუ იდეას ობიექტთან. ავტორის აზრით კი ცნობიერება უნდა განვასხვავოთ ობიექტისაგან; ის, რაც ჩვენს შეგრძნებაზე მოქმედობს, დამოუკიდებელია ცნობიერებისაგან. ფიზიკური სამყაროს შემეცნება უშუალოა, მისი არსებობა დასკვნა კი არაა, არამედ გამოსავალი პრინციპია.

1902 წელს, ამერიკაში თითქმის ერთდროულად და თითქმის ერთნაირ სათაურიანი წერილებით გამოვიდნენ როისის წინააღმდეგ პერი და მონტეგუ. (პერი: „პროფ. როისი რეალიზმისა და პლურალიზმის წინააღმდეგ“; მონტეგუ: „პროფ. როისი რეალიზმის წინააღმდეგ“).

ხოლო ინგლისში 1907 წ. გამოვიდა ბერტრან რესელის წიგნი „მათემატი-

კის პრინციპები“, რომელიც აგრეთვე ილაშქრებდა იდეალიზმის მანამდე გაბატონებული ფორმის / წინააღმდეგუკვე თვით ეს ფაქტი — რუსელის გამოსვლა — წინასწარ განსაზღვრავდა „ანტიიდეალისტურ“ რეაქციის არსებას, რომელიც სინამდვილეში იყო ბრძოლა იდეალიზმის ერთი სახესხვაობის პოზიციიდან იდეალიზმის მეორე სახესხვაობის წინააღმდეგ, ე. ი. ბრძოლა ამსოლუტისტური-რაციონალისტური იდეალიზმის წინააღმდეგ პოზიტივისტური იდეალიზმის პოზიციებიდან. ეს პოზიტივიზმი, რომლის ერთერთი მთავარი წარმომადგენელი იყო მახი, სხვადასხვა სახით და ფორმით გაბატონდა განსაკუთრებით ამერიკაში. ის გამოდიოდა და გამოდის სხვადასხვა სახელწოდებით: პრაგმატიზმი, ნეორეალიზმი, კრიტიკული რეალიზმი, ნატურალიზმი და სხვ. თანამედროვე ამერიკული პოზიტივისტური იდეალიზმის ნიღაბამოფარებული ფორმა — ე. წ. ნატურალიზმი — არანაკლებ აშკარად ეძებს კავშირს რელიგიასთან, ვიდრე ჯემსის პრაგმატიზმი. ჯემსმა ჯერ კიდევ 1904 წელს გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „არსებობს თუ არა ცნობიერება?“, რომლიდანაც ამერიკული ფილოსოფიის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი ათარიღებს დასაწყისს რეალიზმის ბრძოლისა იდეალიზმის წინააღმდეგ. თუ რას წარმოადგენს აღნიშნული რეალიზმი, რომელიც აითქოს ებრძოდა იდეალიზმს, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ არც ჯემსი და არც ერთი სხვა ზემოდდასახელებული ავტორი არ მიმართავს მატერიალიზმს, როგორც იდეალიზმის საწინააღმდეგო ფილოსოფიას, პირიქით ყველა ისინი გულმოდგინედ ემიჯნებიან მატერიალიზმს და მიმართავენ ისეთ გაურკვეველ, ორაზროვან „იზმებს“, როგორცაა „რეალიზმი“, „კრიტიკული რეალიზმი“, „ნეორეალიზმი“ და სხვ. ცნობი-

ლია, რომ ფილოსოფიის ისტორიაში რეალიზმის სახელწოდებები ყოველთვის არაერთ ანტიმატერიალისტურ მომართულებას.

რაციონალისტური იდეალიზმის წინააღმდეგ აღნიშნული ავტორების ვალაშქრების შემდეგ ის თავს ვერ სწევს ოცდაათიან წლებამდე, როგორც ინგლისში, ისე განსაკუთრებით, ამერიკაში. აღნიშნულ პერიოდში კი, როგორც ჩანს, მძიმე ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით, ძველმა იდეალიზმმა კვლავ ასწია თავი და დაიჭირა შეტევეთი პოზიცია. ამერიკაში გამოდის კოლექტიური შრომა სახელწოდებით: „თანამედროვე იდეალიზმი ამერიკაში“, რომელშიც მონაწილეობენ პალმერი, ლეიტონი, პოკინგი, ბრიტმენი, ურბანი და სხვ.

მართალია, ამ კრებულის საწინააღმდეგოდ გამოვიდნენ პრატი, მური ელისონი, სმარტი და სხვ., მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამჯერად მათს გამოსვლას უფრო შემრიგებლობითი ხასიათი ჰქონდა. მოწინააღმდეგეებმა ერთი მეორე გაიგეს, მიხედნენ, რომ მათ აქვთ საერთო ნიადაგი, რომ მათ ერთიანებს საერთო მიზანი: ბრძოლა მატერიალიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობს შემდეგ ამერიკული ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებათა განვითარება.

II

თუ ჩვენ შევეცდებით გამოვჩინოთ მთავარი დამახასიათებელი ნიშანი თანამედროვე ამერიკული ფილოსოფიის გარეგნულად ეგზომ მრავალრიცხოვან მიმართულებისა, ეს უნდა ვეძიოთ პრაგმატიზმში. თუმცა პრაგმატიზმი ემპირიონალურად ჩაისახა ინგლისში, ის ისე შეეგუა ამერიკულ სინამდვილეს, მიიღო ამერიკული იმპერიალიზმის ინტერესებისათვის იმდენად შესაფერი ფორმები, რომ დღეს ამერიკულ-

ლი ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები თელიან მას წმინდა ამერიკულ შემოქმედებად, ამერიკის წვლილად მსოფლიო ფილოსოფიურ აზროვნებაში. ასეთ შეფასებას აძლევენ პრაგმატიზმს არა მარტო მისი ტრადიციული წარმომადგენლები, არამედ ისინიც, ვინც წინად ებრძოდა მას და არც თელიდა ღირსად ნამდვილი ფილოსოფიური მიმართულება რქმეოდა მავალითად, (ცნობილი იდეალისტი ჰოკინგი თავის საგანგებო ლექციებში ამერიკულ ფილოსოფიურ აზროვნების განვითარების შესახებ (იხ. „Hocking „Lectures on Recent trends in american philosophy“) აღნიშნავს, რომ პრაგმატიზმი უნდა იყოს ის ნიადაგი, რომელიც გააერთმთლიანებს სპეციფიურ ამერიკულ ფილოსოფიურ აზროვნებას.

მეორე ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი შელდონი ამბობს: პროცესის ფილოსოფია (ასე უწოდებს ავტორი პრაგმატიზმს პ. შ.)... გაიზარდა და დამწიფდა მხოლოდ ამ ქვეყანაში (ე. ი. ამერიკაში — პ. შ.)... პროცესის ფილოსოფია... თავისი სიღრმით და მნიშვნელობით ისევე მალა დგას, როგორც მისი მოქიშპე სისტემები — იდეალიზმი, სქოლასტიციზმი, მატერიალიზმი... მისი ნაყოფიერება აძლევს მას — საესებით უნიკალური გზით, უპირატესობას ყველა მათ მიმართ“. (იხ. Sheldon „America's progressive Philosophy“. გვ 2 — 3) არაა გასაკვირი, რომ შელდონი უპირისპირებს პრაგმატიზმს იდეალიზმსაც — ეს ერთგვარი ნიღაბია, რამდენად იდეალიზმი პოპულარობით არ სარგებლობდა და არ სარგებლობს ფართე საზოგადოებრიობაში.

უ. კლაუსნერი სამართლიანად ხედავს პრაგმატიზმის ფესვებს კოლექტიურ კრებულში: „პერსონალური იდეალიზმი“, რომელიც გამოქვეყნდა

ინგლისში 1902 წელს. ამ კრებულის მონაწილენი იყვნენ ოსტინი, ჯ. ლოსოფიური საზოგადოების წევრები, რომელთა შორის უფრო თვალსაჩინონი იყვნენ შილერი და სტოუტი. თვით სახელწოდება კრებულისა ამჟღავნებს პრაგმატიზმის იდეალისტურ გენელოგიას, რამაც წინასწარ განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარების გზები. ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა რუსეთში ბერმანის ტიპის მომარქსისტო ინტელიგენტები გატაცებული იყვნენ პრაგმატიზმით, როგორც „უახლესი“ ფილოსოფიით (არსებითად ბოვდანოვის ემპირიომანიზმი პრაგმატიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა) ლენინმა გენიალურად განსჭვრიტა მისი ნამდვილი ბუნება, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი გამოვლენისა, და თავის უკვდავ მატერიალიზმში და ემპირიოკრიტიციზმში“ და გამანადგურებელი კრიტიკით გაუმასპინძლა მას.

აღნიშნული კრებულის ავტორები ილაშქრებდნენ არა საზოგადოდ იდეალიზმის წინააღმდეგ, არამედ მისი აბსოლუტისტური ფორმის წინააღმდეგ, რომელშიაც, მათი აზრით პიროვნებას, მის თავისუფალ ინიციატივას ადგილი არ რჩება. გასაგებია, რომ უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომელიც წარმოშვა კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტურმა სტადიამ, ვერ ურიგდება პეგლიანურ-აბსოლუტისტური ტიპის ფილოსოფიას.

კრებულში მოთავსებულ წერილში „შეკლომის შესახებ“ სტოუტი აღნიშნავს „როცა ჩვენ ვცდებით, მიზინ ის, რაც არის არარეალური, (ე. ი. შემცდარი — პ. შ.) საესებით იმავე სახით არის მოცემული ჩვენს ცნობიერებაში, როგორც ჩვენს ცნობიერებაში მოცემულია რეალური მაშინ, როცა ჩვენ გვაქვს კეშმარიტი ცოდნა“.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ ის, რაც გაურკვეველია, არ წარმოადგენს თვით აზრის შინაარსს, არამედ ეკუთვნის აზრის „ინტენციას“, ე. ი. მიმართულებას, ანუ უკეთ მიზანდასახულობას. შეცდომა მდგომარეობს ცნობიერების შინაარსის და მისი ინტენციის შეუთანხმებლობაში. ამიტომ ჰუმბოლტი და შეცდომა მიეკუთვნებიან სუბიექტის ინტერესებს.

კიდევ უფრო აშკარად გამოხატა პრაგმატიზმის პრინციპები შილერმა. მისი აზრითაც, სამყარო შესდგება ცდისა და გამაერთიანებელ ანუ დამაკავშირებელ პრინციპებისაგან, ე. ი. სამყარო შესდგება სუბიექტის ცდისაგან. სამყარო პლასტიკურია, ე. ი. იგი არის ის, რასაც ჩვენ მისგან ვქმნით. ყველა აქსიომა დასაწყისში. პოსტულატს წარმოადგენდა, თუმცა არა ყველა პოსტულატი იქცევა აქსიომად. პოსტულირება არის ფილოსოფიური, ე. ი. ხელოვნური პროცესი, დაფუძნებული ადამიანის მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე. ამიტომ პოსტულატებისა და აქსიომების ჰუმბოლტი და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ „მუშაობენ“ (ე. ი. თუ როგორ შედეგს იძლევიან) ისინი ცდის დროს. როგორც ეხედავთ პრაგმატიზმის ე. წ. ანტიიდეალისტური წარმომოხა მხოლოდ ლეგენდაა, რომელიც გამოგონილია იმისათვის, რათა უფრო ღრმად შეენიღბათ იდეალიზმის ეს ახალი სახესხვაობა.

უფრო გარკვეული სახე მიიღო პრაგმატიზმმა ამერიკაში. მისი ფოლენტარისტული პრაქტიციზმი შესანიშნავად ეგუებოდა ამერიკული ბურჟუაზიის სწრაფვას. ერთ-ერთი პირველი ამერიკელი თეალსაჩინო პრაგმატიტი დიუი—დღევანდელი ფილოსოფიური მესიტყვე ამერიკის გაცოფებული იმპერიალიზმისა — არც კი სცნობს საპიროდ პრაგმატიზმის შენიღბვას ანტიმეტაფიზიკური სამოსელით. იგი ჯერ

კიდევ 1903 წელს აყალიბებს ე. წ. ინსტრუმენტალიზმის პრინციპებს. სუბიექტიურ კრებულში „ლოგიკური თეორიის ნაკვეთები“. მსჯელობა გამოცხადებულია ლოგიკის ცენტრალურ პრობლემად, ხოლო შემეცნების აქტი განუყრელადაა დაკავშირებული სუბიექტიურ მისწრაფებასთან, შეფასებასთან და პრაქტიკასთან. რეალობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ ცდის ტერმინებით; ობიექტურად დასაბუთებული ჰუმბოლტი და არ არსებობს. დიუისთან და ჯემსთან ერთად პრაგმატიზმის განვითარებას ამერიკაში ხელს უწყობდა ჩ. პირსი. გამოდიოდნენ რა ერთიანი იდეები ფილოსოფიური პრინციპებიდან, სამივე ისინი ანეთარებდნენ პრაგმატიზმის სხვადასხვა მხარეს და სხვადასხვა სოციალური მიზნებისთვის. პირსის შეხედულებით პრაგმატიზმის მთავარი არე და მიზანი ლოგიკის სფეროშია — ის წარმოადგენს შეთოდს იდეათა და წარმოდგენათა მკაფიოდ გადაქცევისათვის, დიუის მიხედვით — პრაგმატიზმი ინსტრუმენტალურია, ე. ი. ის წარმოადგენს სასარგებლო ინსტრუმენტს, იარაღს მოქმედებისათვის, ხოლო ჯემსისათვის კი პრაგმატიზმი უფრო ფსიქოლოგიურ სფეროს მიეკუთვნება და ამდენად პირადი დაკმაყოფილების საშუალებაა. თუ პირსი უმთავრესად ლოგიკურ და გნოსეოლოგიურ სფეროში ტრიალებდა და საბოლოო ანგარიშში ბერკლისებურ სოლიპიზმს უახლოვდებოდა, ხოლო ჯემსი თავისი „ტრანსცენდენტალური პლურალიზმით“ „თავისებურ“ რელიგიას ასაბუთებდა, დიუი მიმართავს სოციალურ დემოკრატს, რათა ამ სფეროში შეასრულოს ამერიკული იმპერიალიზმის დაკვეთა.

რეაქცია პრაგმატიზმის წინააღმდეგ, რომელმაც თავი იჩინა მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულის დამლევის, უმთავრესად გამოწვეული იყო მისი აშკარა სუბიექტივისტური ტენდენციის გა-

გამომკლავებით, რაც აძნელებდა მის დაკავშირებას მეცნიერებასთან, კერძოდ ბუნებისმეტყველებასთან, ხოლო ასეთი, დაკავშირება. თუნდაც ხლოვნური, როგორც ნილაბი, მეტად სასურველი და საპირო იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის. რა თქმა უნდა, პრაგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვაისმოდა ისეთი აღამიანების ხმებიც, რომლებიც გულახდილად იბრძოდნენ ნამდვილი მეცნიერების ინტერესებისათვის (მაგ. სელარსი), მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიდნენ. ე. წ. „ექვსი რეალისტის პროგრამას და პირველ პლატფორმას“, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკაში 1910 წელს, (პერი, მოტიგუ, სპოულდონგი და სხვ.) ორი წლის შემდეგ მოჰყვა იმავე ავტორთა კოლექტიური კრებული: „ნეორეალიზმი“ მაგრამ ეს „რეალიზმი“ იყო მეტად თავისებური. ფორმალურად ის განზე სტოვებდა ფილოსოფიის ძირითად საკითხს ყოფიერების და აზროვნების, მატერიის და სულის ურთიერთობის შესახებ. ფაქტიურად კი სწყვეტდა ამ საკითხს არათანმიმდევრულ იდეალიზმის საფუძველზე. მეტად უცნაური იყო ეს გადაწყვეტა: ნეორეალიზმის მიხედვით შემეცნების ზომენტში შესაცნობი ობიექტი და შემეცნებელი სუბიექტი ერთი და იგივეა, ე. ი. შესაცნობი ობიექტი მთლიანად ხდება ცნობიერების შინაარსი. ეს იყო ცდა სუბიექტიური იდეალიზმის ობიექტივაციისა პოზიტივიზმის საფუძველზე, მაგრამ თუ რა უნდა გამოსულიყო ამისგან, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ერთერთმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა (ლოჯჯოიმ) ვესლიანად შენიშნა, რომ ნეორეალისტები ბერკლევანურ „რეალიზმის“ წრეში ტრიალებენო. ნეორეალიზმის იდეალისტური ბუნებას მოწმობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ინგლისელ ნეორეალისტთა ჯგუფში შედიოდნენ ბერტრან რუსელი და უაიკჰედი.

ოციან წლებში წამოწეულ „ახალ“

ფილოსოფიურ სკოლას, ე. წ. კრიტიკული რეალიზმის სტრუქტურებით, ფაქტიურად არ შეუძლებს წარმოებას რადგან ამ სკოლასაც არაფერი ჰქონდა საერთო ნამდვილად მეცნიერულ, მატერიალისტურ ფილოსოფიასთან.

ალსანიშნავია, რომ ყველა დასახელებულ მიმართულებას აერთიანებს პოზიტივიზმი, რაც მათ ვითომ მეცნიერულ ხასიათს აძლევს. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს გაქრა იდეალიზმის სხვა ფორმები, ბურჟუაზიული იდეოლოგია ყოველთვის მიმართავდა შენიღბვის მრავალ ფორმას, — მაგრამ მეოცე საუკუნის ამერიკული ფილოსოფიის მთავარ დამახასიათებელ თვისებად მაინც რჩება „ანტიმეტაფიზიკურობა“, მეტაფიზიკასთან ბრძოლის სახით — ბრძოლა უმთავრესად მატერიალიზმის წინააღმდეგ (თვალის ასახვევად — ბრძოლა ნაციონალისტური იდეალიზმის წინააღმდეგაც) ფილოსოფიისა და მეცნიერების „სინთეზი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე მძლავრი, ამერიკული იმპერიალიზმის ინტერესებთან ყველაზე შეგუებული აღმოჩნდა პრაგმატიზმი, რომელიც ღღეს კვლავ გაბატონებულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამის დასადასტურებლად მოვიყვან რამდენიმე ფაქტს უკანასკნელი პერიოდის ამერიკულ ფილოსოფიურ ლიტერატურიდან. პოერლე, მაგალითად, ამტკიცებს, რომ ფილოსოფოსობა არის სპონტანური აქტივობა სამყაროს, როგორც მთელის მიმართ, ფილოსოფიური მეთოდი კი — სხვადასხვა შეხედულებათა აწონ-დაწონვა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. ქემპარიტება — არა ობიექტიურად დემონსტრირება, არამედ მხოლოდ სარწმუნო — იგი არსებითად რწმენაა. რწმენა ცოდნაა, როცა მას თვალსაჩინობა ახლავს, ის რელიგიაა, როცა თვალსაჩინობა არ ახლავს (იხ. Ducasse „Philos-

sophy as a science" გვ. 14). დ რ ე პ ე-
რი ალიარებს, რომ ჰეშმარიტება
ცნობიერების სფეროშია, მისი კრიტი-
კურიშემა მხოლოდ ის, თუ როგორ მუ-
შაობს პრაქტიკაში და რამდენად გაა-
გებია (იხ. Draper What is the truth"
გვ. გვ. 5,19). აქსიომების ან პოსტულა-
ტების შერჩევა ნებაყოფლობითია, არც
ერთ გამოსავალ პრინციპს ან შეხედუ-
ლებას არ შეიძლება მიენიჭოს უპირა-
ტისობა; თუ რომელ მათგანს მივიღებთ,
ეს დამოკიდებულია ჩვენს ინსტიქტსა
და ემოციებზე (იქვე, გვ. 30). შემეცნე-
ბა დამოკიდებულია სუბიექტის საკუ-
თარ ცდაზე და დაკვირვებაზე, ამიტომ
შემეცნებაში პერსონალური მომენტი
შედის, როგორც თანასწორუფლებიანი
ელემენტი ამის გამო ჩვეულებრივ სამ
ელემენტს: სივრცეს, დროს, მატერიას
უნდა დამატოს მეოთხე—„მე“ (გვ. 37,
65) საბოლოო ანგარიშში ჰეშმარიტება
დამოკიდებულია თვალსაზრისზე —
პტოლომეის სისტემა ჰეშმარიტია,
როცა ის გაგებული და მიღებულია
სუბიექტის მიერ (გვ. 86 — 87). ე. ა.
თუ ბურჟუაზიის ინტერესებს შეეფე-
რება, შეიძლება გაზიარებულ იქნას
ყოველგვარი მოძველებული და ფან-
ტასტიური შეხედულება.

ერთერთი „ორიგინალური“ ამერი-
კელი ფილოსოფოსი, სმიტი, თავის წიგ-
ნში „ფილოსოფიური გზა ცხოვრებისა
ამერიკაში“ ვულგარულად გადმოგვ-
ცემს პრაგმატიზმის ნამდვილ ბუნებას
და მიზანს „არ არსებობს ფილოსო-
ფია, — ამბობს ის თავისი წიგნის პირ-
ველ გვერდშივე, — არსებობენ მხოლოდ
ფილოსოფოსები და მათი ფილოსო-
ფიები ყველა ფილოსოფოსთა — რო-
გორც ძველთა, ისე თანამედროვეთა —
თვისება არის ის, რომ ყველა ისინი
წარმოადგენენ სიცოცხლისთან შეხ-
ვედრის გზებს“ (იხ. T. V. Smith „The
Philosophic way of life in America“
გვ. 1). მისი აზრით იდეები არიან მხო-
ლოდ ინსტრუმენტები შეგუებისთვის

(გვ. 3) თავის „ფილოსოფიის“ მიზანს
ეს ახიარებული ავტორი შემოგვანებს
იმით, რომ „ამერიკულ გზაზე ცხოვე-
ბისას“ ე. ი. მის იმპერიალისტურ სა-
ხელმწიფო წყობას, მისს კორუპტირე-
ბულ სასამართლოს, მის რეაქციულ
სენატს და კონგრესს. — განხორციე-
ლებულ იდეალად აცხადებს.

ა ვილსონი წიგნში დამახასიათებე-
ლი სათაურით: „ცხოვრებასთან ანგა-
რიშვაწვეით“ („Reckoning with life“),
რომელშიაც ის ატარებს ბერკლეანურ
გნოსეოლოგიურ პრინციპებს, აღნიშ-
ნავს, რომ ფიზიკური ობიექტები წარ-
მოადგენენ ღირებულებებს ამ სიტყვის
ფართო მნიშვნელობით, ან, სხვანაი-
რად რომ ვთქვათ, სამყარო, რომელიც
იქმნება ჩვენს წარმოდგენაში, იმდენ-
ნადვე არის ჩვენი ინტერესის პრო-
დუქტი, რამდენადაც ის პროდუქტია
ჩვენი შემეცნებითი უნარისა ე. ი. ძირს
ობიექტური სამყარო და მისი კანონ-
ზომიერება, ძირს მათი ამსახველი მეც-
ნიერება, ოღონდ რაიმე სოფისტური
ხერხებით და ხრიკებით „დასაბუთებუ-
ლი“ და დაცული იქნას იმპერიალის-
ტური ბურჟუაზიის ინტერესები.

პერბერტ მიულერი (იხ. მისი წიგნი
„მეცნიერება და კრიტიციზმი“) აშკარა
პრაგმატიკულ პრინციპებს ატარებს,
თუმცა თავის თავს ჰუმანიტისტ უწო-
ლებს (ჰუმანიტისტ უწოდებდა თავის
თავს პრაგმატიზმის ერთერთი მამამთა-
ვარი შილერიც). ის ამტკიცებს, რომ
თანამედროვე აზროვნების (ჩიკლისს-
მება ალბათ ამერიკული აზროვნება)
უმთავრეს მონაპოვარს წარმოადგენს
ფუნქციონალიზმის დამკვიდრება მატ-
ერიალიზმის მაგიერ და რელატივიზ-
მისა — აბსოლუტიზმის მაგიერ.

ცნობილი ფილოსოფოსი ოტო უფ-
რო კატეგორიულად და ვულგარულად
მოითხოვს, რომ დარჩეს მხოლოდ
„ცხოვრების ფილოსოფია“ და განი-
დევნოს როგორც ონტოლოგია, ისე
გნოსეოლოგია.

პრაგმატიზმის ერთერთმა „პატრიარქმა“ დიუიმ რამდენიმე წლის წინათ გამოაქვეყნა სქელტანიანი წიგნი: „ადამიანის პრობლემა“. იმპერიალიზმის ეს ერთგული მსახური ამ წიგნში ცდილობს პრაგმატიზმის პრინციპები გამოიყენოს სოციალური დემაგოგიისათვის. გამოდის რა თავისი ძველი პრაგმატიკული „საგანმანათლებლო“ პრინციპებიდან, (ე. ი. განათლება არის „განსაკუთრებული საშუალება, რომლითაც ხორციელდება კავშირი ცოდნასა და ღირებულებებს შორის, რომლებიც აქტუალურად მუშაობენ“ (იხ. Dewey „The problem of man“ გვ. 143), ავტორი ჩემულობს დასაბუთოს „მეცნიერული მეთოდი“ თანამედროვე სოციოლოგიაში. „თანამედროვეობის მრავალი განსაკუთრებული ბოროტებათაგანი გამოწვეულია კვლევისა და შემოწმების იმ მეთოდის არაბალანსირებული და ცალმხრივ გამოყენებასთან, რომელიც (კვლევისა და შემოწმების მეთოდი — პ. შ.) ქმნის ყოველივე იმას, რასაც უფლება აქვს სახელწოდებაზე „მეცნიერება“ (იქვე, გვ. 11). დიუი ჩივის, რომ ასეთი კვლევისა და ექსპერიმენტის მეთოდი არ არის გამოყენებული თუნდაც მცირედი სისრულით საზოგადოებრივ დაწესებულებების და პროცესების მიმართ, საზოგადოებრივი მიზნებისა და ღირებულებების განსაზღვრისათვის. ავტორი ცდილობს პოზიტივიზმი გადაიტანოს სოციოლოგიაშიც, სადაც ეს პოზიტივიზმი უფრო მახინჯ ფორმასღებულობს, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში. რათა მიჩქმალოს იმპერიალისტური ამერიკის სოციალური ბოროტებათა ნამდვილი წყარო, დიუი ცდილობს მიაწეროს ეს ბოროტებანი იმ გარემოებას, რომ მეცნიერულმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა ვაუსწრო სოციალურ დაწესებულებათა პროგრესს. „აქ, და არა მეც-

ნიერებაში... უნდა ვეძიოთ მეცნიერებაში, როგორც ჰუმანიზმის მტერი, აქ და არა სადმე სხვაგან უნდა წარიმართოს შეტევა მატერიალიზმის წინააღმდეგო“ — ისტერიულად გაიძახის იგი. იმპერიალისტური ბურჟუაზიის ეს ნაცადი იდეოლოგიური მეთმარი კარგად გრძნობს, თუ რამდენად საშიშია ბურჟუაზიისთვის ერთადერთი ნამდვილად მეცნიერული მარქსისტული სოციოლოგია, — ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც თუმცა განიხილავს საზოგადოებრივ განვითარებას, როგორც „ბუნებრივ ისტორიულ პროცესს“, მაგრამ მისი განვითარების კანონზომიერების სპეციფიურობის მიხედვით იყენებს მატერიალისტურ-ლიაქტიკურ მეთოდს. ამიტომ დიუი ცდილობს თანამედროვე ბურჟუაზიულ ბუნებისმეტყველებაში გაბატონებული პოზიტივიზმი უცვლელად გადაიტანოს საზოგადოებრივ მეცნიერებაში. მისი აზრით „უნდა გაქრეს ყოველგვარი საფუძველი იმ შეხედულებისა, თითქოს მორალური მიზნებიც არ განისაზღვრება „ობიექტურ“ ფაქტებით იმავე სახით, როგორც ტექნოლოგიური მიზნები“ (იქვე, გვ. 15). დიუი მოითხოვს, რომ მორალი განისაზღვრებოდეს მეცნიერებით (რა თქმა უნდა იგულისხმება პრაგმატიკული, ე. ი. ბურჟუაზიულ-პოზიტივისტური მეცნიერება) და სოციალური პროგრესი წარიმართებოდეს თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოებრივი აპარატის კონტროლით. დიუის დემაგოგია საზოგადოებრივი მორალის გაუმჯობესების შესახებ, სოციალური პროგრესის შესახებ უფრო საზიანოა და უფრო საშიშია, ვიდრე აშკარა იმპერიალისტური თეორია, ვინაიდან ამ დემაგოგიის მიზანია მიაძინოს მშრომელი მასების სიფხიზლე და იმავე დროს შთააგონოს ხელისუფლებას ისეთი ცვლილებები, რომლებიც ფაქტურად განამტკიცებენ იმპერიალიზ-

მის პოზიციას, მოჩვენებით კი მოატყუებენ ფართო მასებს. ეტყობა, რომ ამ თავის იდეოლოგიურ ვეტერანს ბურჟუაზიამ მისცა სოციალური დაკვეთა — დააცხროს მასების რევოლუციური სწრაფვა მორალის სრულქმნასა და განათლების რეფორმაზე ლაყბობით. აღსანიშნავია, რომ დიდი გააფთრებით მოითხოვს განათლების კლასიკური პრინციპების გაუქმებას და წმინდა პრაქტიციზმზე დამყარებული პროგრამის შემოღებას.

III

შემოქმედებითი უნარს მოკლებული, ლობადი თანამედროვე ბურჟუაზია მიმართავს წარსულს და ცდილობს გამოიყენოს, თავის მიზნებს შეუგუოს ის იდეოლოგიური საჭურველი, რომელიც შეიქმნა ბნელით მოცულ შუასაუკუნოებში და რომლითაც ხელმძღვანელობდა საზარელი ინკვიზიცია. თანამედროვე ამერიკაში (და არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც) აშკარად ანახლებენ სქოლასტიკას, კერძოდ თომა აკვინელის მოძღვრებას. ნეოთომიზმი შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ დამოუკიდებელ, არამედ ერთერთ წამყვან ფილოსოფიურ მიმართულებად. ამ მხრივ დამახასიათებელია თომა აკვინელის თხზულებათა მრავალი ახალი გამოცემა. ერთ-ერთი ასეთი გამოცემის რედაქტორი პროფესორი პეჯისი თავის ვრცელ შესავალ წერილში აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტება უნდა ვეძიოთ აკვინელის ნაწერებში, ხოლო გამოცემის რეცენზენტი ხაზს უსვამს, რომ აკვინელი უფრო უმართებულოდ მიეცა მიეიწყებას, ვიდრე არისტოტელე, რომელიც ხელმეორედ აღმოაჩინეს ორი ათასი წლის შემდეგო (იხ. *Journal of Philosophy* 1945 წ. დეკემბერი, გვ. 722).

რეინპარტი 1944 წელს აქვეყნებს შრომას „რეალისტური ფილოსოფია“,

რომელშიაც ცდილობს განახლოს თომა აკვინელის ფილოსოფიის (უკეთესო რომ ვთქვათ — სკოლასტიკის) პრინციპები. ავტორი უდაოდ თვლის, რომ დემონსტრაცია ღმერთის არსებობისა, განსხვავებით ღმერთის არსების (essence) წარმოდგენისა ანუ გაგებისა მოცემულია აკვინელის „ხუთი გზის“ მეოხებით. არსება ანუ რაობა ღმერთისა შეიძლება შეცნობილი იქნას მხოლოდ ნეგატიური გზით, ე. ი. იმის აღნიშვნით, რაც ღმერთი არ არის.

(ამ ე. წ. უარყოფითი თეოლოგიის აღორძინება იმპერიალისტურ ამერიკაში ერთხელ კიდევ მოწმობს იმ უცნაური შეხედულების მცდარობას, თითქოს ფსევდო-არეოპაგელის უარყოფითი თეოლოგია ყოფილიყოს იდეოლოგიური საწყისი ადრინდელ აღმოსავლურ, კერძოდ ქართულ რენესანსისა).

რეინპარტი ცდილობს თავისი ნეოსქოლასტური ფილოსოფიით გადაწყვიტოს როგორც მეტაფიზიკის, ისე ეთიკის, პოლიტიკის და ეკონომიკის პრობლემები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვილაც ჯონ დამა გამოაქვეყნა წიგნი სათაურით: „პოეზიის ფილოსოფია (ამეხებული თომისტურ პრინციპებზე)“. მისი აზრით, ხელოვნება, კერძოდ პოეზია უნდა ეყრდნობოდეს ინტელექტს, „მსოფლიო გონების წესების კომპლექსთან“ სრული შესაბამისობით. რაც უფრო ვცილდებით გრძნობად რეალობას, მით უფრო ვმაღლდებით ნამდვილი მშვენიერების იერარქიაში. პოეტმა სისტემატურად უნდა ეძიოს სიტყვები ლექსიკონში, რათა სწორად გამოხატოს აზრები, სიტყვის ელერალობას თითქმის არა აქვს მნიშვნელობა ლექსის ანუ პოემის ღირებულებისთვის. ავტორის ეს სქოლასტიკური კონცეფცია ხელოვნებისა დამახასიათებელია იმ მხრივაც, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია არ სჯერდება და ვერც დასჯერდება მხო-



ლოდ ფორმალისტურ ხელოვნებას, რომ მას სჭირია აგრეთვე ისეთი ხელოვნება, რომელიც დიდაქტიკურად დაასაბუთებს მის მიზნებს და მისწრაფებებს. თომა აკეინელის გამოყენება ხელოვნების სფეროშიაც არაა გასაკვირი, რამდენად თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის შემოქმედებითი პოტენცია იმდენად დაცემულია, რომ რაიმე ახალის, ორიგინალურის შექმნა მას არ შეუძლია. ნეოთომიზმის აღორძინება მაჩვენებელია იმ საერთო შემობრუნებისა ფილოსოფიისა და რელიგიის შერიგებისაკენ, რაც დამახასიათებელია დასავლეთის ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, განსაკუთრებით კი ამერიკისა და ინგლისისათვის.

ჰერბერტ დინგლი წიგნში „მეცნიერება და რელიგია“ ოცნებობს შუასაუკუნეებზე, როცა „დუალიზმი არ აწუხებდა ადამიანებს, რომელთაც კმაყოფილებით შეეძლოთ ყველაფერი მოეთავსებიათ თეოლოგიურ სისტემაში...“ ავტორი ჩივის, რომ „აზროვნების ამ მარტივ კავშირში რენესანსთან ერთად შემოიჭრა თანამედროვე მეცნიერების უთანხმოების კილო“. მისი აზრით ისევ მოვა დრო, როცა „ედის მასალა არსებითად ჰომოგენური გახდება“, ე. ი. მატერიალური რეალობა ღვთაებრივ ემანაციად იქნება გამცხადებული, მანამ კი ურჩევს თეოლოგებს პოთომინონ რელიგიის გვერდით მეცნიერება. ცნობილი იდეალისტი ჰოკინგი 1945 წ. აქვეყნებს წიგნს „მეცნიერება და ღმერთის იდეა“. ავტორი ატარებს მოდიფიცირებულ ნეოპლატონიკურ იდეას. მეცნიერება და რელიგია უნდა შერიგდნენ, მაგრამ არამათი სფეროების გაყოფის გზით, როგორც ამას კანტი ცდილობდა, არამედ პოეზიით უნდა განვიხილოთ, როგორც ღმერთის ქმნილება, რომელშიაც ღმერთის მიერ იმთავითვე დამყარებულია მტკიცე წესები და სრულიად

არ არის საჭირო ღმერთის მუდმივი ჩარევა. განა ეს არ მოგვაჯიხნებს ეკლესიის მამების“ („ნეტარ“ ავგუსტინუსი და სხვ). ფილოსოფიურ შემოქმედებას?

ფილოსოფიის, მეცნიერების და რელიგიის შერიგების მთელი რიგ ვულგარულ ცდებთან ერთად, როგორცაა მაგ., ვილაც ფერეს წიგნი „რწმენა და გონება“, (სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ სამივეს — ფილოსოფიას, მეცნიერებასა და რელიგიას — შეაქვს თავისი წვლილი მთლიან ქეშმარიტების შექმნაში), ჩვენ ვხვდებით უფრო აშკარა ცდას თვით რელიგიის „ფილოსოფიური“ დასაბუთებისა. ჰარტმორნი თავის წიგნში სათაურით: „იდეალური ცოდნა განსაზღვრავს რეალობას“ გვარწმუნებს, რომ იძლევა იდეალიზმის ახალ სახეს, თუმცა სინამდვილეში მისი ფილოსოფია წმინდა წყლის ბერკლეანიზმია. „ჩვენი დოქტრინა... არ გულისხმობს, რომ შემეცნების ობიექტი მხოლოდ იდეა არის. იდეა არის მნიშვნელობა ხოლო მნიშვნელობა თავისთავად არ ნიშნავს. რეალობა არის ის, რაც მოცემულია ღმერთის წარმოდგენაში, არის შინაარსი მისი ცნობიერებისა, მაგრამ ის, რაც არის მოცემული არ არის სწორედ მოცემულობა თავის თავად, არ არის უბრალო მდგომარეობა ან ზედსართავი ღვთაებრივი სუბიექტის ანუ სუბსტანციისა, არამედ ინდივიდუალური საგნების სამყარო, სხვა რამ, თუმცა არა განცალკევებული იმისაგან, რაც მოცემულია ღმერთისთვის. მართალია, ამ ინდივიდუალური საგნების ყოფიერება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ისინი იმყოფებიან ღმერთის წარმოდგენაში, მაგრამ ეს ხომ მათი ყოფნაა ღმერთის წარმოდგენაში და ამიტომ მათი ყოფიერება, ეს ზოდვა ერთგვარად დამახასიათებელია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისათვის, რომელიც გრძნობს, რომ ბერკლეანიზმი —

ყველაზე უფრო მისაღები ფილოსოფიური საფუძველია რელიგიისათვის. მრავალი მონოგრაფია ბერკლის შესახებ როგორც ინგლისში და ამერიკაში, ისე საფრანგეთში ეძღვნება იმას, რათა ბერკლის ფილოსოფიას მიეცეს ობიექტიური-იდეალისტური ინტერპრეტაცია, მაგრამ ლენინმა ჯერ კიდევ 40 წლის უკან გენიალურად გაარკვია, რომ ამგვარი ცდა უიმედოა. აღსანიშნავია, სხვათა შორის, გატაცება ბერკლის თხზულებათა გამოცემებით დასავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებში. „უკან ბერკლისაკენ და თომა აკვინელისაკენ“, — ასეთია ერთერთი „მოწინავე“ ლოზუნგი გახრწნის პროცესში მყოფი თანამედროვე, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა.

რელიგიის ფილოსოფიური „დასაბუთების“ ცდა დამახასიათებელია არამარტო ამერიკისათვის. უამრავი სტატიები და მონოგრაფიები ეძღვნება ამ საკითხს ინგლისშიაც. მაგ., უ. ბროუნის სპეციალურ წიგნს უძღვნის იმის დასაბუთებას, რომ არსებობს პერსონალური ღმერთი, თუმცა ამავე დროს მორცხვად დასძენს, რომ მისი პერსონალიზება თავისებური სახისათ (იხ. W. Braum, „Personalit and religion“ London 1945) უბიწიანად „რელიგიური ცდა“ ცდილობს მიანიჭოს რელიგიას „მეცნიერული“ სახე. ამისათვის მან შემოაქვს „ინტელექტუალური ცდის“ ცნება, რომელშიაც ღმერთი გვევლინება ისევე, როგორც გრძნობითი სამყაროს სენსუალური ცდაში. გასაკვირია მხოლოდ, თუ რატომ მალავს ავტორი, რომ ის ნეოპლატონიკური მისტიციზმის აღორძინებას ეწევა? ყოველივეს ეს მოწმობს ბურჟუაზიული იდეოლოგიის დეკადანსს არამხოლოდ შინაარსის, მიზანდასახულობის მხრივ, არამედ ინტელექტუალური პოტენციის მხრივაც. ლენინმა გენიალურად გამსაზღვრა, რომ იდეალიზმი არის გზა ხუცობისაკენ. აქედან გამომდინარეობს, რომ

ძველი ბურჟუაზიული იდეალისტური ფილოსოფიური სისტემებიც საბოლოო ანგარიშში რელიგიას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ მათ არ ახასიათებდა გარეგნულად მაინც ის პრიმიტივიზმი, ის ვულგარიზმი და უხეშობა, რაც დამახასიათებელია თანამედროვე ბურჟუაზიული აზროვნებისათვის.

ვულგარიზმის და პრიმიტივიზმის მაგალითს წარმოადგენს ვილაც უორნერ ალანის წიგნი სათაურით „დროის გარეშე არსებული მომენტი“, რომელიც ახლახან გამოვიდა ინგლისში. წიგნის სათაურთან ერთად დამახასიათებელია თვით ავტორის ეინაობა—მოხელე, ლენინობის ექსპერტი და ინფორმაციის სამინისტროს ყოფილი დედექტიური რომანების ავტორი. ცხოვრობდა კაცი „მშვიდობიანად“ ორმოცდაათი წლის ასაკამდე, „პატიოსნად“ ემსახურებოდა ინგლისურ დაზვერვას, რედაქტორობდა, ლიტერატორობდა და უცებ, სწორედ ორმოცდაათი წლის პასაჟში მას სასწაულებრივ ეწვია სულიერი, სპირიტუალური ილუმინაცია, როგორც გამაბრმავებელი სინათლე, როგორც პავლე მოციქულის ხილვა დამასკის გზაზე, როგორც ნეტარ ავგუსტინეს სულიერი ილუმინაციები და სხვ. და სხვ. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ის შეუდგა, სათანადო ტრაქტატების წერას, რომლებიც დაფუძნებულია „მის პირად ცდაზე“. აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ერთერთ ასეთ ტრაქტატს—მისტიციზმის ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას. ავტორი ამტკიცებს, რომ საცხებით შესაძლებელია ღმერთის ხილვა, მხოლოდ ამისათვის საჭიროა ცდის ფსიქოლოგიურ საფეხურიდან ამაღლდე სპირიტუალურ საფეხურამდე. სიზმრებს უფრო სერიოზულად უნდა შევხედოთ და მაშინ აღმოჩნდება, რომ ისინი გარკვეული წინასწარი ნიშნები არიან. ამ გზით თურმე თვითონ ავტორს გაუხსნია ბევრი საკუთარი სიზმრის აზრი და სხვ. და სხვ. ამაზე უფრო შორს

თუ წავა ბუჩუაზიელი იდეოლოგიის დეკლანსი?

იდეალიზმის და რელიგიის „მეცნიერული“ დასაბუთების ცდის თვალსაზრისით დამახასიათებელია ცნობილი ინგლისელი ასტრონომ ჯინსის ახლანდამოსული პატარა წიგნი „ასტრონომიული ჰორიზონტი“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ კოსმოსი ბოლოვდება და საერთო ჯამი მიკრო ნაწილაკებისა—ფოტონებისა, ელექტრონებისა და სხვ., მთელს უნივერსუმში უნდა შეადგენდეს დაახლოებით რიცხვს 10²⁸. განა ეს „მეცნიერული“ მისტიკა არ ამყარებს ბუჩუაზიელ თუნდაც „ზუსტ“ მეცნიერების პარტიულობას?

თუ ნეოთომიზმის აღორძინება მოასწავებს საერთოდ რელიგიისათვის „ფილოსოფიური საფუძვლის“ ძიებას, კერძოდ უნდა აღინიშნოს კათოლიციზმის ცდა დაიბრუნოს ის საოცნებო გაბატონებული პოზიცია, როგორც მას შუა საუკუნეებში ჰქონდა. ამ მხრივ ყურადღების ღირსია იტალიაში 1946 წელს გამოსული Frederico Sciassa-ს წიგნი: „ლმერთისა და რელიგიის პრობლემა აქტუალიზმის ფილოსოფიასთან დაკავშირებით“ ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ზურგგამაგრებული იტალიური ფაშიზმის მიმალული ავაზაკები თამამად სწევენ თავს მალა და შეტევაზედაც გადადიან. Sciassa არის ფაშისტ-ფილოსოფოსის ჯიოვანი ჯენტილეს ე. წ. აქტუალისტური ფილოსოფიის წარმომადგენელი. თავის შეხედულებას ავტორი გამოხატავს ბუნდოვანი თერმინით—„ქრისტიანული სპირიტუალიზმი“, რაც არსებითად რომაულ კათოლიციზმს ნიშნავს. წინასიტყვაობაში ის გულახდილად გვიბრძნობს წარმოდგინოს „ბანორამული სურათი ლმერთისა და რელიგიის პრობლემისა თანამედროვე ფილოსოფიაში“ (იხ. „Journal of Philosophy“ 1947 წ. აპრილი, გვ. 221). ფილოსოფიურ სამოსელში ავტორი იძლევა რომაული ეკლესიის აპოლოგიას. ის მოითხოვს, რომ

გადაწყდეს ძველი კონფლიქტი გონებასა და რწმენას შორის, ~~ჩრდილქმენას~~ თვის, მისი აზრით, საჭიროა ~~ჩრდილქმენას~~ ლისტური სქოლასტიციზმი გახადოთ მისაღები თანამედროვე სულიერი განწყობილებსათვის. ამ მიზნის მისაღწევად მთავარ პირობად ავტორი თვლის „რელიგიურ რენესანსს“, ურომლისოდ ყოველგვარი მსჯელობა „ეკონომიური, პოლიტიკური, მორალური და ფილოსოფიური რეკონსტრუქციის“ შესახებ ცარიელ სიტყვად ღრება. ცნობილია, რომ ახალი დროის ცივილიზაცია—მეცნიერება და კულტურა აშენდა ანტირელიგიური, ანტისქოლასტიკური რენესანსის საფუძვლებზე. ახლა კი ხრწნადი ბუჩუაზიელი იდეოლოგიის წარმომადგენლები მოითხოვენ უკან დაბრუნებას შუა საუკუნეების ბნელეთისაკენ „რელიგიური რენესანსის“ საშუალებით. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ჯერ კიდევ ომის დროს ნიუ-იორკის ებისკოპოსი სპელმანი მოგზაურობდა იტალიაში, და არა ერთი მოლაპარაკება ჰქონდა რომის პაპთან ვატიკანში. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს დაკავშირებულია კათოლიციზმის საერთო გააქტივებასთან ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც, ცნობილი ისტორიული პირობების გამო, წინათ კათოლიციზმს არც ისე მნიშვნელოვანი პოზიცია ეჭირა. ამერიკული კათოლიციზმი ისევე, როგორც ეს საზოგადოდ სჩვევია ამ აგრესიულ—რეაქციულ კლერიკალურ ორგანიზაციას, ყველაზე უფრო დაინტერესებულია ომის შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებით და არსებითად მოითხოვს, მსგავსად შუა საუკუნეებისა, პოლიტიკის, დამორჩილებას რელიგიისადმი. „ამერიკული კათოლიკური ფილოსოფიური ასოციაცია“ საკმაოდ გავლენიანი ორგანიზაცია გახდა. ის უშვებს თავის პერიოდულ ორგანოს („Proceedings of the American Catholic philoso-



IV

საქართველოს

phical assotiation“), რომელიც ეხება თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. მაგ., XIX ტომში მოთავსებულ სტატიათა უძრავლესობა მოითხოვს, რათა ომის შემდგომი პრობლემების გადაწყვეტისას ფუნდამენტური მნიშვნელობა მიენიჭოს რელიგიას, და რაც შეიძლება შესუსტდეს საერო სული თანამედროობის პოლიტიკისა. უსარგებლოდ არის აღიარებული ყოველგვარი გეგმიანობა მომავალში, რომელიც არ უწყევს ანგარიშს „ადამიანთა აქტიობის ღვაწლებზე წარმართვას“. აღსანიშნავია, რომ კათოლიკური ავტორები ილაშქრებენ „გაერთიანებულ პრაგმატიზმის“ წინააღმდეგ, „მეცნიერების წინაშე პოზიტივისტური მუხლმოდრეკის“ წინააღმდეგ. ამ შუა საუკუნეობრივი კლერიკალური რეაქციის მოციქულებს ზედმეტად მიაჩნიათ იდეალიზმის მეცნიერული შენიღბვა, ისინი მოითხოვენ რელიგიური იდეოლოგიის პირდაპირ გაბატონებას. ვილაც გუსტაფ გუსტაფსონი ამერიკის კათოლიკურ უნივერსიტეტიდან თავის მონოგრაფიაში თომა აკვინელის შესახებ პირდაპირ აღნიშნავს, რომ აკვინელის ფილოსოფია შეიცავს „საბოლოო ჰეგემონიზმს“. დამახასიათებელია ამერიკული ლიბერალიზმისათვის, რომ მისი ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ცნობილი ფილოსოფოსი რალფ პერი იღებს მონაწილეობას აღნიშნულ კათოლიკურ ორგანოში. ის ცდილობს გაამართლოს თავისი ნაბიჯი იმით, რომ ვითომც „სხვადასხვა ფილოსოფიათა კონკურენციის დროს, როცა ყველა მათგანი ცდილობს გახდეს ერთადერთი ბაზისი დემოკრატიისა, ვერც ერთი ვერ გაიმარჯვებს, ხოლო დემოკრატია წააგებს“. ზედმეტია ლაპარაკი იმ „დემოკრატიის“ ბუნებაზე, რომლის საფუძველი უნდა შემუშავდეს კათოლიკურ-რეაქციონერებთან „კოოპერაციის“ გზით, როგორც ეს რ. პერის განუზრახავს.

სანამ გადავიდოდეთ უძრავლესობაზე ბურჟუაზიული ფილოსოფიის „მეცნიერული“ ნიღბის გარჩევაზე, თორღე სიტყვით შევხებით ერთ მეტად მოღურ „უახლოეს“ მოვლენას დეკადენტურ ბურჟუაზიულ აზროვნებაში. ეს არის ე. წ. ექსისტენციალიზმი, რომლის ავტორად ითვლება ფრანგი ბელეტრისტი „ფილოსოფოსი“ სარტრი და რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს როგორც საფრანგეთის, ისე ანგლო-საქსური ქვეყნების მოფილოსოფოსე სალონებში. ამ „უახლოესი“ ფილოსოფიის ფესვები ერთ საუკუნეს მაინც ითვლიან. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დანიამში მისტიკოსმა — ლეთისმეტყველმა კირკეგარდმა წამოაყენა უალრესად დეკადენტური, უიმედობის გამოხატველი პრინციპები. ერთადერთი ხსნა—ქრისტიანობაშიაო — დაასვენდა ავტორი. მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი ციტატი კირკეგარდის შრომებიდან, რომლებიც ახლახან ორ მოზრდილ ტომებად გამოიცა ინგლისულ თარგმანში. „დგება შუალამე, როცა ყველა ადამიანი მოვალეა აიხადოს ნიღბი. თუ ისინი პატიოსნები აღმოჩნდნენ, თავიანთში აღმოაჩენენ უმდაბლეს და უსაშინელეს სანახაობას, რომელიც ბადებს სასოწარკვეთილებებისა და ცოდვილების გრძნობას, რომლის დაძლევა ეგების შესაძლებელი იყოს მხოლოდ ქრისტიანობის თავისუფალი არჩევით. ეს არჩევა არაა რაციონალური, ის უფრო პარადოქსალურია, ერთგვარი ნახტომი უცნობ ბნელეთში“; რათა მორწმუნე გახდეს, — დასძენს კირკეგარდის მთლიანად უნდა მიეწეოს აბსურდს. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი დებულება მეტად ძველია, და ქრისტიანული ეკლესიის ჩამოყალიბების პერიოდს ეკუთვნის. არსებითად კირკეგარდის მიმდევარია გერმანელი ფილოსო-

ფოსი ჰაიდეგერი, რომელმაც დასაწყისი მისცა იმ მიმართულებას, რომლის „პარტიარქია“ დღეს საოტრი. თუ კირკვალი სასოწარკვეთილებიდან მაინც რაღაც გამოსავალს ვეძებდა ქრისტიანობის „თავისუფალი არჩევის“ გზით, ჰაიდეგერის მეტაფიზიკა მხოლოდ სასოწარკვეთილებიდან და უიქლობის სფეროთი სტოვებს ცეკობრიობას. ამის ახსნა შეიძლება ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ ჰაიდეგერი ჰქმნიდა აღნიშნულ მეტაფიზიკას უმთავრესად გერმანიის დამარცხებისა და ვერსალის ზავის ზეგავლენით. საფრანგეთში ანალოგიური იდეები შეიქრა გაბრიელ მარსელის მეშვეობით და მეტად მოდური გახდა 1938—1939 წ. წ., ე. ი. მიუნხენის—საფრანგეთის და ინგლისის სამარცხვინო უომარ კაპიტულაციის—პერიოდში (სარტრი, დე ბევუარი, კამუსი და სხვ.).

ექსისტენციალიზმის პრინციპებს სარტრი ატარებს არა მხოლოდ თავის ფილოსოფიურ ნაწერებში, არამედ რომანებშიც. აი, მოკლედ, ეს პრინციპები: არსებობს ყოფიერება თავის თავში და ყოფიერება თავისთვის. ყოფიერება თავისთვის არის ძირითადი და თავისუფალია ყოველგვარი მიმართებისა და უარყოფითობისაგან. არ შეიძლება წამოიჭრას საკითხი მისი საფუძვლის შესახებ—თუ რატომ არსებობს ის: ის სწორედ არის, არსებობს და ამიტომ სხვა არაფერია, თუ არა აბსურდი (საფუძველს მოკლებული). თავისთვის ყოფიერება კი ყოველთვის დაკავშირებულია ცნობიერებასთან, ხოლო უარყოფითობა ყოველთვის იბადება ცნობიერებაში. „ადამიანი არის ყოფიერება, რომლის მეოხებით არ ყოფნა არსებობს სამყაროში“.—ასეთია სარტრის ერთ-ერთი აფორიზმი.

პიროვნებათა არსებობა შემთხვევითია, რადგან 1) ცნობიერებაში არსებული „მე“-ობა, თვითიდენტურობა დამოკიდებულია სხეულისაგან;

2) ყოველგვარი რეალობა, რაც გაჩნია ცნობიერების ცენტრის გარშემო, მათგან, მოთავსებულია ობიექტში, და არა თვით „მე“-ობაში. ამდებად ცნობიერება განუყრელია იმ სამყაროსგან, რომელშიც ის წაოფიშვა (სამყარო აქ იგულისხმება, როგორც გარემოცვა) „მე“—ვერასოდეს ვერ დაიჭერს თავის „მე“-ობას, მის ნაცვლად მას ყოველთვის ხელში სხვა რაღაც რჩება. აივედროს „მე“ ყოველთვის ცდილობს გახდეს ყოფიერება თავისთავად, რითაც გახთომა მას არ შეუძლია, თუ არ გაინადგურებს თავს. აქედან სარტრის კიდევ ერთი აფორიზმი: „ადამიანის რეალობა არის წვალება ყოფიერების მეოხებით“.

ყოველი ჩვენგანი ცხოვრობს თავის კერძო სამყაროში, რომელიც უმეტეს ნაწილად დამოკიდებულია ჩვენი პირადი მიზნებისაგან. მაგრამ სხვა ადამიანები გარდუვალად არღვევენ ჩვენ კერძობას და ჩვენ არ შეგვიძლია არ ვუყუროთ მათ, როგორც აგრესორებს, რომლებიც ჩვენს სფეროში იჭრებიან და ჩვენთვის ხიფათი მოაქვთ. მხოლოდ სხვების თვალებით, როგორც სარკით, შევიცნობთ ჩვენ თავის თავს, მაგრამ ამ გზით აღმოვაჩინთ ხოლმე ჩვენში ბევრ ასეთ რამეს, რაც უკეთესი იყო არ გეცოდნოდა. ეს გარემოება ბადებს ჩვენში სირცხვილის გრძნობას. ეს გრძნობა ვრცელდება სხვა არსებისადმი ჩვენს სიყვარულზედაც. „მე“-ობის თვითცნობიერების ბუნებაში წარუშლელად ჩაქსოვილია ის თავისებურება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სიყვარული კონფლიქტის გარეშე. აქედან სარტრის ერთერთი აფორიზმი: „ჩემი პირვანდელი დაცემა—ესაა სხვისი არსებობა“. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, ის ყოველთვის დამოკიდებულია ჩვენზე—თუ როგორ რეაგირებას ვახდენთ ჩვენ. არჩევანი—მხოლოდ ჩვენი საქმეა—არჩევის უარყოფაც ხომ არჩევია. არჩევის ამ აუცი-

ლებლობას სარტრი, კირკეგარდის მაგავსად, თვლის მტკივნეულად. მაგრამ ამ ტივილისაგან ჩვენი ხსნა არავის და არაფერს არ შეუძლია.

ასეთია შეტად მოკლედ, ბურჟუაზიული დეკადენტობის „უკანასკნელი“ სიტყვა. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების „მ.წინავე“ წიათომადგენელი თვითონ აღიარებს, რომ ის გახრწნილია, რომ თავის თავში ჩახედვა ბაღებს მასში საზარელ გრძობას. განა ბურჟუაზიული საზოგადოებრიობის გახრწნის ამჟამა მაჩვენებელი არ არის ის გარემოება, რომ ეს კაცთ მოძულე, ანტისოციალური. უაღრესად ენდივიდუალისტური ბოდვა საღდება ბურჟუაზიულ სამყაროში ახალ მიღწევად? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ განწირულ კლასს, რომელსაც დაუკარგავს ყოველგვარი ისტორიული პერსპექტივა, შეუძლია წამოაყენოს ასეთი „ფილოსოფია“? შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სწორედ საფრანგეთში შოიკიდა უფრო ფეხი ამ „ფილოსოფიამ“. საფრანგეთის ბურჟუაზიის არა მარტო მიუხეხნის დროის უიმედო განწყობილება უწყობდა ხელს ამას. ომის შემდგომ პერიოდში საფრანგეთის ბურჟუაზიას უარესი პერსპექტივა დაესახა — გახდეს ამერიკული იმპერიალიზმის მსახური ან „დაუთმოს“ გზა სახალხო დემოკრატიულ ძალებს. რა თქმა უნდა, პირველი პერსპექტივა უფრო მისაღებია მისთვის, ვიდრე მეორე, მაგრამ ის არც იმდენად სანუგეშოა, რომ უაღრეს პესიმიზმს თავი დააღწიოს.

V

ხეშოთ უკვე აღვნიშნე, რომ თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგიური იარაღი — იდეალიზმი სხვადასხვა ფორმით გვევლინება როგორც პოლიტიკაში, ისე იდეოლოგიაშიც. იმპერიალისტური ბურჟუაზია მიმართავს არა მხოლოდ ამჟამა შეტევით ტაქტიკას, არა-

მედ მოხერხებულ შენიღბებასაც, რათა იგივე აგრესიული რეაქციული პოლიტიკაში პაციფისტური, „დემოკრატიული“ სამოსელით შემოსოს. ამჟამა, ხუცურ იდეალიზმის გვერდით, რომელიც ხან ნეოთომიზმის სახით გვევლინება, ხან კი ფილოსოფიისა და ზელებიის შერიგების სახით, ჩვენ ვხედავთ მრავალგვარ ცდებს იდეალისტურ ფილოსოფიისთვის გარეგნულად მეცნიერულ სახის მინიჭებისა.

ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ ლენინმა გენიალურად შენიშნა და გამანადგურებლად გააკრიტიკა ის ტენდენცია ბურჟუაზიული ფილოსოფიისა, რომელიც ვითომც მოძველებული მეტაფიზიკის წინააღმდეგ ბრძოლის ნიღბის ქვეშ არსებითად ებრძოდა მხოლოდ მატერიალიზმს და ფორმით ახალ, თუმცა შინაარსით ძველთაძველ იდეალისტურ ფილოსოფიას აყალიბებდა პოზიტივიზმის სხვადასხვა ფორმათა სახით — წ. ემპირიოკრიტიციზმის, ემპირიომონიზმის, პრაგმატიზმის სახით. თუ იმ დროს პოზიტივიზმი უმთავრესად ფიზიკის სფეროთი იფარგლებოდა, შემდეგში ის შეიქრა მათემატიკისა და ლოგიკის სფეროში, სოციალურ მეცნიერებათა სფეროში და უკანასკნელ დროს კი მთელი აზროვნების სფეროს დაუფლებას ჩემულობს. ეს გასაგებია. თუ ნამდვილი მეცნიერული ფილოსოფიის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო მოვლენათა კავშირის გამოჩენა, ობიექტურ სინამდვილეში მიმდინარე პროცესების კანონზომიერების აღმოჩენა, პოზიტივიზმი, პირიქით უარყოფს ყოველგვარ ახსნას, ე. ი. ყოველგვარ კანონზომიერებას და ამრიგად უფრო ეგუება იმ კლასის იდეოლოგიას, რომელსაც ისტორიული პერსპექტივა არ გააჩნია, რომელსაც მომავალში ჩახედვა აშინებს და ამიტომ გაურბის ისტორიული პროცესის კანონზომიერების აღმოჩენას.

„ლოგიკური“ პოზიტივიზმი იყო შემ-

დგომი ნაბიჯი მახის „ფიზიკური“ პოზიტივიზმისა, მათ შორის გადასასვლელი ხიდი აღმოჩნდა „მათემატიკური“ პოზიტივიზმი, ე. ი. მათემატიკის მოწყვეტა ყოველგვარ ობიექტურ კანონზომიერებიდან. შემთხვევითი როდია, რომ ლოგიკური პოზიტივიზმის მამამთავარი აღმოჩნდა ბერტრანი რუსელი, რომელმაც საკვებით მიიღო მახის „ნეიტრალური მონიზმი“ და რომელმაც სწორედ მათემატიკის გამოყენებით სცადა დაესაბუთებია, რომ ლოგიკურ კანონებს არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან, კიდევ მეტი, თვით ლოგიკური კანონები არსებითად კანონები კი არა არიან, არამედ უბრალო აღწერა აზროვნების ფაქტებისა.

ძნელი არ არის გაევიგოთ უშუალო კავშირი პოზიტივიზმისა და იდეალიზმის შორის. მოვლენათა შორის კანონზომიერი კავშირი გულისხმობს მათს მატერიალობას. ამას ადასტურებს ენგელსის შესანიშნავი განმარტება „ანტი-დიურინგში“, რომ სამყაროს ერთიანობა მის მატერიალობაშია. ის „ერთიანი ფრონტი“ პოზიტივიზმისა, დაწყებული მათემატიკით და დამთავრებული ლინგვისტიკით, რომელიც არსებობს ბურჰუაზიულ ქვეყნებში, არსებითად არის ერთიანი ფრონტი ბრძოლისა ნამდვილი მეცნიერული მატერიალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ.

აგიღოთ, მაგ., პოლონური სკოლა მათემატიკური ლოგიკისა (რომელიც პანურ პოლონეთში წარმოიშვა) და რომლის წარმომადგენლებმა (ხეისტეკი, ლუკასევიჩი, ტარსკი და სხვ.) მაშინვე პოვეს აღიარება ოფიციალურ ბურჰუაზიულ აკადემიურ წრეებში. ტარსკის, ე. წ. „მეტალოგიკა“ ანუ „მეტათეორია“ მოითხოვდა ენის სრულ გასიმბოლრებას. ამ მიზნით ტარსკი შეიკრა სემანტიკაში და შეეცადა შეემუშავებია „უმარღესი ლოგიკური ტიპის“ ენა, ე. ი. ისეთი ენა, რომელშიაც უნდა მოიხსნას მცდარისა და ქეშმარიტის

პრობლემა. მისი მთავარი დებულება შემდეგში მდგომარეობს: ამა თუ იმ დებულების განსაზღვრა ყოველი ფორმალური ენისათვის შესაძლებელია მხოლოდ მორფოლოგიური თერმინების საშუალებით, ე. ი. ისეთი თერმინების საშუალებით, რომლებიც შეეხებიან მხოლოდ გამოთქმათა სახეს და მათ შორის ურთიერთობას. ეს დებულება ააშკარავებს, რომ ე. წ. პოლონურ სკოლის ლოგიკური პოზიტივიზმის საფუძველს, ისე, როგორც რუსელის მოძღვრებისას, შეადგენს პიუმეს და მილის ფილოსოფია, ხოლო უფრო ახალი დროიდან—პუანკარეს, დიუგემას და მახის ე. წ. „მეცნიერული“ პოზიტივიზმი. ტარსკიზე უფრო შორს მიღის მისი თანამოაზრე ადი უნკევიჩი, რომლის მტკიცებით, ყველა ფილოსოფიურ და მათემატიკურ სიძნელეთა დაძლევა ადვილად შესაძლებელია ადეკვატური ენის საშუალებით. ძნელი არ არის ამ სიმბოლიზმის სოციალური აზრის გაგება: სინამდვილის აქტუალური პრობლემები შეიცვალოს სიმბოლოებით და ამით „მოიხსნას“ ყველა რეალური წინააღმდეგობა, რაც თანამედროვე ბურჰუაზიულ საზოგადოებას ღრღნის.

ეს „ხერხი“, ძალიან ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე ბურჰუაზიულ იდეოლოგიაში. ჯერ კიდევ ორიოდ ათეულ წლის წინად ამერიკელმა ფილოსოფოსმა მაკიიმ თავის წიგნში „ენის ლოგიკა“ წამოაყენა დებულება, რომ ძირითადი გნოსეოლოგიური პრობლემა ჩვენი წარმოდგენის გარეშე ნივთების არსებობის შესახებ მხოლოდდამხოლოდ ენობრივია. აგრორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრძოლა სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმართულებათა შორის. წმინდა სიტყვიერი ხასიათისა და თუ ისინი შეთანხმდებიან ენის შესახებ, ყველაფერი რიგზე იქნება. მორისი, რომელიც ითვლება ე. წ. ბიპევიორისტული სემიოტიკის

დამაარსებლად, კიდევ უფრო შორს მიღის და ამტკიცებს, რომ არა მარტო ფილოსოფიური, არამედ სოციალური პრობლემებიც ადვილად წყდება სემიოტიკის მეშვეობით. 1946 წელს გამოშვებულ წიგნში „ნიშანი, ენა და ქცევა“ ის პირდაპირ აღნიშნავს, რომ „განათლების სისტემა, რომელიც სათანადო ადგილს უთმობს სემიოტიკას, ძირშივე მოსაზრება განხეთქილებასა და ოპოზიციის მეცნიერებასა და ჰუმანიზმს შორის“. ერთერთ ძირითად ფილოსოფიურ-ლინგვისტურ პრობლემად ავტორი სთვლის ზმნა „to mean“-ის შეცვლას ზმნით „to signify, რომელიც წარმოსდგება სიტყვიდან „sign“ (—ნიშანი). ზმნა „to mean“ გამოხატავს საგნის შინაარსს, შინაგან აზრს, და სწორედ ამიტომ არ მოსწონს ის ავტორს, რომელსაც სურს გააუქმოს საგნის დამოუკიდებლობა. „to signify“ კი უფრო გარეგნულია, არბიტრარულია, მის გარშემო შეთანხმება ადამიანებს შორის ადვილად შესაძლებელია. იმავე აზრებს უფრო ვულგარულად გამოხატავს ვილამ უენდელ ჯონსონი, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანთა ყველა სიმწელე ენის დეფექტიდან გამომდინარეობს. ის სიტყვა - სიტყვით სწერს, რომ ადამიანი თვითონ არის დამანაშავე იმაში, რომ ლაპარაკით ითრევის თავის თავს სიმწელეებში („man is able to talk himself into difficulties“). ფ. ჯონსი თავის სტატიაში „კომუნიკაცია ფილოსოფიაში“ („Philosophy of science“ აპრილი 1947) ამტკიცებს, რომ საბოლოო ანგარიშში ყველა ფილოსოფიური განსხვავება ვერბალურია. გონება უსასრულოდ გულუბნეა ცნებების შექმნაში, მაგრამ მისი ძალა აშკარად შეზღუდულია სიტყვების შექმნაში. ვილამ ფლუგელმა სპეციალური „იზმიც“ შემოიღო ამ მიმართულების გამოსახატავად. თავის წიგნში: „ადამიანები, მორალი და საზოგადოება“ ის ზემოაღნიშნულ აზრებს უწო-

ლებს „თერაპევტიულ პოზიტივიზმს“ მისი აზრით მეცნიერებმა ჩაშინებულმა შესახებ (სემიოტიკა) „გვერდულ“ შეპყრობულ გამოხმაურებათა (responses) აღმოჩენაში, რომლებიც ყველა სხვაზე უფრო კარგად უწყობენ ხელს ჩვენს შეგუებას პოლიტიკური კონფლიქტების თანამედროვე სიტუაციის ბოპოქარ სტიმულებთან.

შეიძლებოდა მოგვეყვანა მრავალი ანალოგიური მაგალითი, მაგრამ ესეც საკმარისია. უნდა აღინიშნოს, რომ პანაიკად გამოცხადებულ სემოტიკის წარმომადგენლები თავიანთ მასწავლებლად თვლიან ცნობილ ნეოკანტიანელ ერნსტ კასირერს, რომელიც უკანასკნელ დროს ამერიკაში იყო ვიდასახლებული და იქ გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინათ. კასირერმა პირველმა აღნიშნა ის სიმბოლოები, რომლებიც გამოხატავენ არა იმას, რაც არსებობს, არამედ იმას, რაც გამომდინარეობს „ჩვენი ზრუნვიდან, შფოთვიდან და ბრძოლიდან“. ამასთანავე დაავიწყებული მითოლოგიის როლის გაბერვა კასირერს უკანასკნელ ლიტერატურულ გამოსვლებში. 1944 წ. ნიუ-იორკში გამოქვეყნდა მისი წიგნი: „ნარკვევი ადამიანის შესახებ. საბუნებისმეტყველების ფილოსოფიის შესავალი“. ამ წიგნში ადამიანი გამოცხადებულია არსებითად ყველაფრის მასიმბოლოებელ ცხოველად, „მოკლედ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ,—სწერს კასირერი,— რომ საერთოდ ცხოველს გააჩნია პრაქტიკული წარმოსახვა (imagination) და გონება, იმ დროს როცა მხოლოდ ადამიანს აქვს განვითარებული მათი ახალი ფორმა: სიმბოლიური წარმოსახვა და სიმბოლიური გონება“. სიმბოლო არის თურმე ის გასაღები, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია შევიპრათ ადამიანის ყოველგვარ მეცადინეობაში და აქტიობაში რელიგიის, ენის, ხელოვნების, მეცნიერების და სხვ. სფეროში და აღმოვაჩინოთ „მრავალგვარი ძაფი, რომ-



VI

ლებისგან იქსოვება სიმბოლური ბადე, საკაცობრიო ცდის დახლართული ქსოვილი“. ლოგიკური პრიზტივიზმის ერთერთი „დედაბოძი“ კარნაპი განსაზღვრავს ფილოსოფიას როგორც მეცნიერების ენის „ლოგიკურ სინტაქსს“, ტრადიციულ ფილოსოფიაში გარდა „პრობლემათა ლოგიკური ანალიზისა“—ყველაფერი მეტაფიზიკაა და უნდა განიდევნოს. სინტაქსი უნდა ეხებოდეს მეცნიერების ენის მხოლოდ გარეგნულ ფორმას და არა მის კონკრეტ, ემპირიულ შინაარსს. მეცნიერების ენა უნდა იყოს „გადმოთარგმნა მეტყველების მატერიალური სახისა ფორმალურ სახედ“. დიუკასი ფილოსოფიის მეცნიერებად გადაქცევის საშუალებად აცხადებს ულტრაპოზიტივიზმს „მეტაფილოსოფიის“ სახით („მეტალოგიის“ „მეტაამთემატიკის“ და სხვ. მსგავსად) (იხ. Ducasse „Philosophy as a science“).

სიმბოლიზმის და პოზიტივიზმის (რომლებიც ერთი მეორეს განსაზღვრავენ და აესუბენ) სოციალურ და იდეოლოგიურ საფუძველთან ერთად, რომელიც ზემოთ აღვნიშნე, აგრეთვე უნდა აღინიშნოს მეთოლოგიური საფუძველი. ყოველი სახე გნოსეოლოგიური, ლოგიკური თუ სხვა ჯურის სიმბოლიზმისა ეყრდნობა ასახვის პრინციპის უარყოფას, ე. ი. უარყოფას უშუალო კავშირისა შემმეცნებელ სუბიექტსა და შესაცნობ ობიექტს შორის. როგორც ეს გენიალურად განსაზღვრა ლენინმა, სუბიექტისა და ობიექტის გნოსეოლოგიური გათიშვა იწვევს ან ცნობიერების ემპირიული შინაარსის ჰიპოსტაზირებას და აქედან მეცნიერების დაყვანას წმინდა აღწერამდე (პოზიტივიზმი), ან წმინდა აღწერამდე (პოზიტივიზმი) ან პირდაპირ ღმერთის მოშველიებას. ყოველივე ეს დამახასიათებელია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისათვის.

ცხადია, არიან მოაზროვნენ, რომელთაც არ აკმაყოფილებს პოზიტივისტური კვაზიფილოსოფია და რომელნიც გრძნობენ, რომ ძირითადი ფილოსოფიური პრობლემებისაგან გვერდის აქცევა დაუსჯელად ვერ ჩაივლის. პოზიტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ორი პოზიციიდან სწარმოებს: მეცნიერულ-მატერიალისტურიდან და მეტაფიზიკულ-იდეალისტურიდან. რაც შეეხება პირველი პოზიციის წარმომადგენლებს, როგორც ეტყობა, „სიტყვის თავისუფლების“ ქვეყნებში, შეერთებულ შტატებში, ინგლისში და სხვა „დემოკრატიულ“ ქვეყნებში, მათ ნაკლებად აძლევენ შრომების გამოქვეყნების შესაძლებლობას. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში მათი ნაწარმოებები ნაკლებად გვხვდება, მაგრამ რომ ისინი არსებობენ და განაგრძობენ ბრძოლას მეცნიერებისათვის, სჩანს თუნდაც ისეთი თვალსაჩინო ამერიკელი ფილოსოფოსის გამოსვლებიდან, როგორიცაა როი ვუდ სელარსი. ის იმდენად ცნობილი ფიგურაა ამერიკულ აზროვნებაში, რომ მას ვერ ატყრძალავენ გამოსვლას ოფიციალური იდეოლოგიის შენიღბული ცენზორები. რა თქმა უნდა, სელარსი არ არის „დასრულებული“ დიალექტიკოსი—მატერიალისტი (მის შესახებ იხ. ჩემი წერილი „მნათობის“ 1—5 ნომერში. 1947 წ. იანვარი). მაგრამ ის ენერგიულად იცავს მატერიალისტურ პრინციპებს, თავისი შეხედულებას ის უწოდებს „რეფორმირებულ მატერიალიზმს“, რითაც ხაზი უნდა გაუსვას, რომ ის ძველ მატერიალიზმზე უფრო მაღლა სდგას. არსებითად ის ვერ მაღლდება იმ ერთადერთ მეცნიერულ ფილოსოფიამდე, როგორიცაა დიალექტიკური მატერიალიზმი, თუმცა ემპირიულად გრძნობს დიალექტიკის პრობლემებს და ზოგჯერ კონკრეტ სა-

კითხებს კიდევაც სწყვეტს დიალექტიკურად. სწორედ მეტაფიზიკურობა ხდის მის მატერიალიზმს არათანმიმდევრულად (აზროვნების გენეზისის საკითხი, კატეგორიების ისტორიული ბუნების საკითხი და სხვ.).

ანტიპოზიტივისტურ ბანაკს ეკუთვნიან პ. ვეისი, ს. პეპერი, კარმიკაელი, დ. მიულერი, ჯ. უაილდი და სხვ. მაგრამ ისინი ებრძვიან პოზიტივიზმს მეტაფიზიკურ პოზიციებიდან. მაგ. კარმიკაელი წერილში „პირველი ფილოსოფია უნდა იყოს პირველი“ („Philosophical review“ მაისი 1947) აღნიშნავს, რომ ემპირიციზმს და პოზიტივიზმს, როგორც ლოგიკურს, ისე ნატურალისტურს, საბოლოო ანგარიშში სოლიპსიზმისაკენ მივყევართ. „თუ პოზიტივიზმს რაიმე მეტის მოცემა არ შეუძლია ობიექტურ კატეგორიათა სფეროში, ვიდრე გრძნობითი მოვლენებისა, მაშინ ცხადია, რომ მისი აუცილებელი ზედარი სოლიპსიზმია, ხოლო თუ ის მზადაა მოგვეცეს მეტი რამ, მაშინ ის უთმობს პოზიციას მეტაფიზიკას“. ასეთივე დასკვნას, უფრო კატეგორიულ ფორმებში იძლევა მიულერი „არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მტკიცებას, რომ „ცდამიუწვდომელ“ (inexperiensable) „ფენომენს“ (ინტერფენომენს), როგორცაა სინათლის ტალღები, ელექტრონები და სხვ. მხოლოდ ლოგიკური კონსტრუქციები არიან, რომელთაც ფიზიკური რეალობა არ გააჩნიათ, დამ რომ, ამიტომ ახსნა არ გულისხმობს მეტაფიზიკურ შენაერთებს (entit'ies), არაგის შეუძლია ფენომენების წარმოქმნა ანუ კონტროლი ლოგიკური კონსტრუქციების მეშვეობით. მოთხოვნა, რომ ინტერფენომენებს გააჩნდეს ლოგიკური თვისებები, ემშინავს უბრალოდ ახალ სფეროში გამოყენებას იმ დებულებისა, რომ ბუნება გონებისთვის მისაწვდომია (is intelligible), ასე რომ ჩვენ არ შეგვიძლია ფენომენა ან მაკროსკოპიული სხეულებ-

ბი გაავიგივეოთ კანონებთან და განტოლებებთან, რომლებიც მათს შესაძლებლობისთვის მისაწვდომად ხდის. ასევე არ შეგვიძლია ჩვენ გაავიგივეოთ ინტერფენომენები მათს ლოგიკურ სტრუქტურასთან. ისინი მეტაფიზიკურ შენაერთებს წარმოადგენენ, მათ სივრცე და დრო უკავიათ, მათ გააჩნიათ მასა ანუ ენერჯია და სხვ“ (იხ. Philosophical review“ მაისი 1947, გვ. 312). ადვილი შესამჩნევია, რომ თუმცა ავტორი ტენდენციურად გაურბის თერმინ „მატერიალიზმს“, მაინც ის არსებითად მატერიალისტურ პრინციპს იცავს ფიზიკური სხეულების (როგორც მაკროკოსმიულის, ისე მიკროკოსმიულის) ჩვენი წარმოდგენებისა და ცნებებისაგან დამოუკიდებლობის შესახებ.

VII

დამახასიათებელია, რომ ამერიკის მთავრობა, ასე ვსთქვათ, ორგანიზებულად აფრცელებს იდეალიზმს. რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა სახელმძღვანელო: „ფილოსოფიის შესავალი“ („Preface to philosophy“), განკუთვნილი ამერიკის შეიარაღებული ძალებისთვის, რომლის შედგენა დავალებული ჰქონდა კომისიას ცნობილი იდეალისტის ჰოკინგის მეთაურობით. ჰოკინგი პირდაპირ აღიარებს ამ წიგნში, რომ „უმაღლესი ჰეგემონიკა რელიგიის სფეროშია“ და რელიგიის ავტორიტეტს ასამაღლებლად დასძენს, რომ შეცდომები და დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია რელიგიის ისტორიასთან. უნდა მიეწეროს არა თვით რელიგიას, არამედ რელიგიის უხეირო მსახურთ. წიგნის ერთერთი საავტორო „ნატურალისტი“ რანდალი არსებითად იმავე შეხედულებას ადგია, ოღონდ მორცხვად შენიშნავს, რომ „ყველა რელიგიის ფესვები სოციალურ გრძნობებშია“. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ სახელმძღვანელოს ერთერთი თა-

ნაავტორი პენდელი ქადაგებს „მსოფლიო გაერთიანებას“ და „მსოფლიო მთავრობას“. ეს იდეა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამერიკელი იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის ზრახვების გამოხატულებაა.

დიდი ხანია, რაც ამერიკაში თავი იჩინა ასე ვსთქვათ „პრინციპულმა“ ექლექტიზმმა, ე. ი. ისეთმა ფილოსოფიამ, რომელიც არ მალავს, რომ სხვადასხვა პრინციპზეა აგებული. მაგ., ზემოდ ხსენებული ცნობილი ფილოსოფოსი შელდონი რამდენიმე წლის წინათ აქვეყნებს სქელტანიან წიგნს „ამერიკის პროგრესიული ფილოსოფია“¹¹ რომელშიაც ის ფილოსოფიის ამოცანად სახავეს სხვადასხვა მიმართულებათა შერეობას. მისი აზრით, დღემდე ფილოსოფოსები ზარჯადღენ თავიანთ ენერჯიას უმთავრესად მოპირდაპირეთა სისტემების უარყოფისთვის იმდროს, როცა მათ უნდა ეცადათ გამოენახათ მათში ჰეშმარტი ელემენტები. სწორედ სხვადასხვა მიმართულებათა შეთავსება, შერეობა არის პროგრესიული ფილოსოფიის ამოცანა. ამის და მიხედვით შელდონი ამჩნევს პროგრესიულ ჰეშმარტ ელემენტებს არა მხოლოდ იდეალიზმში, მატერიალიზმში და მათს სახესხვაობებში, არამედ სქოლასტიციზმშიაც, რომელსაც დიდ ადგილს უთმობს თავის წიგნში.

როგორც ვიცით, ვულგარული მექანიციზმი იდეალიზმის აუცილებელი თანამგზავრია. ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, სოციალოგიაში „ნოვატორები“ აღრმავებენ ფრეიდიზმს ან რომელიმე სხვა ვულგარულ მიმართულებას. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ვილაც ეშბი თავის შრომაში „ნერვიული სისტემა, როგორც ფიზიკური მანქანა“, ცდილობს ურთულესი პროცესები დაიყვანოს უბრალო მექანიკურ მოძრაობაზე. მისი მტკიცებით, ტვინი არის

ფიზიკური მანქანა, რომელიც „ადაპტური“ ქცევის საშუალებების ინსტიტუტებს ფიზიკურ წონასწორობას გარემოცვასთან. უმაღლესი გონებრივი პროცესები, რომლებიც ადამიანის ტვინში ხდება, ავტორს მიიჩნია მხოლოდამხოლოდ „ადაპტური“ ქცევის გამოვლინებად.

დობსი აქვეყნებს შრომას „სუბსტანცია“ ფსიქოლოგიაში“, რომელიც ავტორისავე შენიშვნით ემყარება დიოკის კვანტრობრივ მექანიკას. ის ამტკიცებს, რომ „მე“ (the self) და მისი ტენდენციები წარმოადგენენ მხოლოდ სტატისტიკურ ალბათობის ცნებას.

რ. უესტი თავის წიგნში „სინიდიის და საზოგადოება“ ცდილობს ახსნას საზოგადოებრივი ორგანიზაციის პრობლემები ფრეიდიისტული ფსიქოლოგიის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ავტორი ფრეიდიზმს იყენებს ისეთი უცნაური დასკვნისათვის, როგორიცაა სუვერენული სახელმწიფოების ლიკვიდაცია და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარება. საერთოდ, „მსოფლიო მთავრობის“ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ და სხვა ამგვარი მოთხოვნისება, თითქმის წესად გარდაიქცა თანამედროვე ამერიკაში. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს უნდა ემსახურებოდეს იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებას ამერიკული იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობისკენ მისწრაფებისთვის. ვფიქრობ, შორეულად მიიწე ამ მიზანს ისახავს ისეთი ცდებიც, რომლებიც მიმართულია „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ მსოფლმხედველობათა შერეობისკენ. თავისთავად ცხადია, რომ ამ გეოგრაფიულ პრინციპს, რომელიც მოწოდებულია შესცვალოს ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობის პრინციპი, არაფერი აქვს საერთო ნამდვილ მეცნიერებასთან, (თუმცა, სამწუხაროდ ამ ანკესზე ეგებიან ზოგჯერ მომარქსისტო

ელემენტებიც). ნორტოპმა 1946 წ. ნიუ-იორკში გამოაქვეყნა მოზრდილი წიგნი ორიგინალური სათაურით „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრა“ („The meeting of East and West“). ავტორი გვარწმუნებს, რომ მსოფლიო კონფლიქტები თავიანთ საფუძვლებში უმთავრესად იდეოლოგიური და ფილოსოფიური ბასიათისაა. ამიტომ მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭიროა ყოველისმომცველი ფილოსოფიის შექმნა. ავტორი ცდილობს გაარჩის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციათა განსხვავების ფილოსოფიური საფუძველი და წამოაყენოს თავისი საკუთარი ფილოსოფია. ავტორი ამტკიცებს რომ აღმოსავლეთის ცივილიზაცია ემყარება „საგანთა ესთეტიკურ კომპონენტს“, გაგებულს როგორც, ესთეტიკური კონტინუუმი“ (ბრაჰმანიზმი, ტაოიზმი, კონფუციანიზმი, ნირუანა), დასავლეთის ცივილიზაცია კი „საგანთა თეორეტიკულ კომპონენტს“ (ახალ დროში—გალილეო, ძველად—არისტოტელი). რამდენად ორივე მხოლოდ „ნაწილობრივ ჰემშარიტებს“ შეიცავს, საჭიროა მათი სინთეზი და მაშინ „ყველა სოციალური კონფლიქტი შეიძლება ადვილად გადაწყდეს“. ბევრი მოფიქრება არაა საჭირო იმის გასაგებად, თუ რა სოციალურ-კლასობრივი საფუძველი უდევს ამ „ყოველისმომცველ“ ფილოსოფიას.

VIII

უკანასკნელ დროს ამერიკაში ძალიან გაბზირდა „ფილოსოფიურ“ — პოლიტიკური ტრაქტატები, რომელთა მიზანია ამერიკული იმპერიალიზმის პოლიტიკური პროგრამის „ფილოსოფიური“ დასაბუთება. ჯ. ფრანკი წიგნში: „ბედისწერა და თავისუფლება“ გაცოფებით იბრძვის ყოველი სახის ისტორიული დეტერმინიზმის წინააღმდეგ. ძს დასცინის მათ, ვინც შესაძლებლად

სთელის მომავლის განსწერტს „ჩემის ანგარიშგაუწვევლად, თუ მას ვერ შეეცდებიან ამ მომავალში“. მისი მხარე პრინციპის გამოყენება ისტორიულ მოვლენათა ახსნაში ავტორს ყოველად მიუღებლად მიაჩნია. ამ მხრივ ის აკრიტიკებს არა მხოლოდ მარქსიზმს, რომელსაც „დიალექტიკურ მისტიკას“ უწოდებს, არამედ გერმანულ ფილოსოფიასაც, რომელიც ისტორიულ კანონზომიერებას აღიარებს თუნდაც იდეალისტურ საფუძველზე.

თანამედროვე ამერიკის სოციოლოგიური „მეთოდოლოგიის“ დონისთვის დამახასიათებელია ვიღაც ნორმან კუზნის წიგნი „პოეტური“ სათაურით. „თანამედროვე ადამიანი მოქმედებულა“. წიგნის „თეორიული“ ნაწილი არკვევს პრობლემას მეცნიერებასა და მორალს შორის არსებული ბრძოლის შესახებ. ავტორი დაასკვნის, რომ ეს ბრძოლა უკვე მოიგო მეცნიერებამ. ამის ერთერთი მთავარი არგუმენტია ატომური ყუმბარა, რომელმაც, ავტორის აზრით, უნდა გადასჭრას ყველა პოლიტიკური საკითხი, უპირველეს ყოვლისა მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბების საკითხი, რომელიც ავტორს თითქმის უშუალო პრაქტიკულ ამოცანად მიაჩნია (წიგნი გამოვიდა 1945 წ.).

მორალის საკითხს ეხება აგრეთვე ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსი ბენედეტო კროჩე. ორიოდვე წლის წინათ გამოქვეყნებულ წიგნში: „პოლიტიკა და მორალი“ კროჩე ამტკიცებს, რომ პოლიტიკური მოქმედება ხელმძღვანელობს სარგებლობის გრძობით და უტილიტარულ მიზნისკენა მიმართული. აქედან პოლიტიკური მოქმედება თავისთავად არ შეიძლება კვალიფიციურებულ იქნას არც როგორც მორალური, არც როგორც ამორალური. ამ დებულებაში ადვილი შესამჩნევია მაკიაველისტური პანგები, მაგრამ კროჩე ხომ ლიბერალად ასაღებს თავს! ამი-

ტომ ის ერთგვარ ნიღაბს მიმართავს. რამდენად პოლიტიკური მოქმედება ხდება მორალური ცნობიერების ფართო არეში, იმდენად პოლიტიკა, ვინდათუ არა, აუცილებლად დაკავშირებულია ამა თუ იმ მორალურ იდეებთან. და სწორედ „ეს უწყვეტი ტრანსფორმაცია მორალისა პოლიტიკაში უდევს საფუძვლად კაცობრიობის ეთიკურ პროგრესს“. ამრიგად, პოლიტიკის ამორალობა პრინციპია, ხოლო მისი მორალთან დაკავშირება — ნებაყოფლობითი პრაქტიკა. ნიღაბი არ შეეფერება „ვეტერან“ კროჩეს ან უკეთ რომ ვსთქვათ ამ ნიღაბქვეშ ადვილად ხედავენ მის ნამდვილ სახეს მისი იმპერიალისტური „ბოცები“.

კლასიკური განათლების წინააღმდეგ ბრძოლა დამახასიათებელია თითქმის ყველა ბურჟუაზიული ქვეყნისთვის. ამერიკაში დიდი ხანია დიუი და მისი მომხრეები მოითხოვენ განათლების სისტემის რადიკალურ რეორგანიზაციას, რათა სკოლამ აშხალოს არა ინტელიგენტი, არამედ ბიზნესმენი, „საქმიანი“ კაცი. ეს პრობლემა იმდენად აინტერესებს დიუისს, რომ ის თითქმის მთავარ დასკვნად მიაჩნია თავის ინსტრუმენტალიზმიდან. მას მხურვალე მიმბაძველი აღმოაჩნდა საფრანგეთში ექზისტენციალისტ პერენის სახით. მართალია, მათი მოტივები სხვადასხვაგვარია, მაგრამ სულიერი ნათესაობა მაინც ცხადია. პერენი აცხადებს, რომ „საფრანგეთში (ისევე, როგორც ყველგან) შეტად ბევრია ლაყბობა და სწავლება, რაც არსებითად უსაქმობას ნიშნავს იმ აზრით, რომ თვით მოლაყბეთ და მასწავლებელთა ნამდვილად არ სჯერათ, რომ საერთოდ არსებობს ქვეშაირიტება, რომელიც შეიძლება განიმარტოს და სხვას გადაეცეს“. ამიტომ ის მოითხოვს ძირშივე ამოთხაროს „Culture generale“ სკოლებში და სწავლება განისაზღვროს ფრანგული და რომელიმე უცხო ენით, მათემატი-

კით სპორტით და ტექნიკური გაწვრთვებით. ასეთი სისტემის პრეფერენტულობა ჯანსაღი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ გონებრივადაც, ვინაიდან ნაკლებ იქნება დაინტერესებული ცხოვრების აზრითა და შინაარსის, რთული კითხვებით. პერენი სწუხს იმაზე, რომ თანამედროვე სისტემა იძლევა ზედმეტ „ინტელექტუალურს“, ვიდრე ქვეყანას ესაჭიროება. რითი განსხვავდება პერენის „სისტემა“—გერმანელი ნაციისტების სისტემისაგან?



ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, თუ საით მიდის თანამედროვე ხრწნადი ბურჟუაზიული იდეოლოგია. ათასგვარ ახალ „იზმებთან“ ერთად, რომლებიც ძველი რეაქციული იდეალიზმის უხეირო გადაცმას წარმოადგენენ, ხდება მობრუნება საშუალო საუკუნეების ბნელეთისაკენ, რომლის პრაქტიკას უკვე დიდი ხანია პოლიტიკაში იყენებენ თანამედროვე „ცივილიზებული“ იმპერიალიზმის განგსტერები. პატიოსან ფილოსოფ-მეცნიერთა ხმა უფროდაუფრო ნაკლებ გაისმის „სიტყვის თავისუფლების“ ქვეყნებში, რადგანაც არა მარტო წმინდა პოლიტიკური ორგანოები, არამედ მეცნიერული ორგანოებიც იმპერიალისტური ზუბრების ზილშია, ხოლო უნივერსიტეტების კათედრებზე არანაკლებად აქტიურობს „ანტიიმპერიკული მოქმედების გამომკველვი კომისია“ (თანამედროვე „ცივილიზებული“ ინკვიზიცია), ვიდრე სახელმწიფო დაწესებულებებში ან თუნდაც პოლივულში. იმპერიალისტური ქვეყნების მთელი ფილოსოფიური პროდუქცია ამჟღავნებს თანამედროვე ბურჟუაზიული აზროვნების იმპოტენტობას, თუმცა აგრესიულობაში ის არ ჩამორჩება იმპერიალიზმის პოლიტიკურ მეს-

ჭეებს. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მას-თან ბრძოლა ზედმეტია. რამდენად შინაარსულად ღარიბია თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია, იმდენად მოხერხებულია ის გარეგნული ფორმების გამოჩენაში, „მოდურ“ თეორიების შეთხზვაში და განსაკუთრებით მათ რეკლამირებაში. მათი მხილება და მზის სინათლეზე გამოტანა, მათი გამანადგურებელი კრიტიკა ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვა-ვიწყდეს დიდი სტალინის მითითება კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ. ბრძოლა უცხოეთის მიმართ სამარცხვინო ქედის მოხრის გამონაშთების წინააღმდეგ გულისხმობს არა მხოლოდ მშობლიური მეცნიერებისა და კულტურის ისტორიული პრესტიჟის აღდგენას და დაცვას, არამედ, განსაკუთრებით, თანამედროვე, საბჭოთა მეცნიერების და კულტურის უდიდეს უპირატესობა-

თა ჩვენებას ბურჟუაზიულ კულტურას-თან შედარებით. ამასთან ^{ქრისტე} მუ-
დამ უნდა გვახსოვდეს ^{საბჭო} მატე-
რიალურ-ტექნიკურ მომზადებას ყო-
ველთვის თან სდევს მისი იდეოლოგი-
ური მომზადება. დღესაც ომის გამჩა-
ლებლები ინგლის-ამერიკელი იმპერია-
ლისტური ბანაკიდან დიდ ყურადღებას
უთმობენ მსოფლიო საზოგადოებრივი
აზრის იდეოლოგიურ „დამუშავებას“. ამ მიზანს ემსახურება იმპერიალისტუ-
რი ქვეყნების ოფიციალური იდეოლო-
გია. ჩვენი ვალია დაუღალავად ვამე-
ლაწვით და ვაცამტვეროთ იდეოლო-
გიური რეაქციის ყველა და ყოველგვა-
რი გამოვლინება. ჩვენი ამოცანა ამ
მხრივ შესანიშნავადაა განსაზღვრული
საკ. კომ. პარტიის (ბ) ცენტრალური
კომიტეტის დადგენილებებში იდეო-
ლოგიური მუშაობის შესახებ, რომლე-
ბიც მიღებულია დიდი სტალინის ინი-
ციატივით, და ამხანაგ ჟღანოვის გა-
მოსვლაში გასული წლის ფილოსო-
ფიურ დისკუსიაზე.

ნიკოზ ბალახაშვილი

ყალბი მონობრაუია ნიკოლოზ ბარათაშვილზე



„ი. ბარათაშვილის ინტელექტი სეკტიკურად იშვებნებდა თვით სულის ტივილებს ზემოდა“.

„ნ. ბარათაშვილმა შესაძლო აზრის უკიდურესი დებრესიის შესაფერი პოეტური ენითა და ბიბლიური ზმით გამოთქმა“.

„გრძნობის სამყარო მის ლირიკაში აყვანილია უმაღლეს რანგში“.

„ეს არის სატრფოს სახის აყვანა უმაღლეს ინსტანციაში“.

„ნ. ბარათაშვილის იმ ლექსებში, რომელთა ადრესატები ცნობილია, ჩვენ საქმე გვაქვს განწყობილების მატერიალიზაციასთან“.

„პოეტის ლექსების ამ ციკლისათვის დამახასიათებელია გრძნობის ფსიქოლოგიზაცია“.

რაშია აქ საქმე? რომელ რანგზე და ინსტანციებზეა აქ ლაპარაკი? რა აზრის დებრესია აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილს. როცა „ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და საღრმე მისცა“. (ილია ჭავჭავაძე). რა არის ეს „მატერიალიზაცია-ფსიქოლოგიზაცია“? რომელი სალი გონების კაცი მსჯელობს ასე?

„მის არსებაში თანდათან მტკიცდება რწმენა ყოველივე ხილულის ამოგებისა, გაგება ცხოვრებისა, როგორც ბედისწერის მიერ დადგმული ფარისისა“.

„ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებას არსებობდა არავითარი ევოლუცია არ განუცდია“.

„სკესში, ზოგჯერ მიზანტროპიად კი, — აი, რაზედ მტკიცებებს მისი ბარათების გარკვეული ნაწილი“.

აი, აღმოჩენა: ბარათაშვილი — მიზანტროპი, ბარათაშვილი კაცთმოძულე! — ყოჩად „მკვლევარო“, მართლად კაცთმოძულე უნდა ყოფილიყავ, რომ ასე შეგეტყვასებია ჩვენი უკუდავი პოეტის ლეაწლი — ეტყვის შეურაცხყოფილი მკითხველი ასეთ „მკვლევარს“.

მაგრამ დავიწყით თავიდან: საბჭოეთში 1947 წელს გამოსცა ა. გაწერელის ნაშრომი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. რო-

გელიც ავტორის განცხადებით „ნ. ბარათაშვილის სათუბილურ დღეებში, 1945 წლის სექტემბერს დაიწერა და იმავე წლის ოქტომბერს იყო გადაცემული დასაბეჭდად. ნარკვევის დაწერის შემდეგ რამდენიმე ახალი და მნიშვნელოვანი მასალა იქნა მოპოვებული პოეტის ბიოგრაფიაზე (ცნობა ნ. ბარათაშვილის ურთიერთობაზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან, ახალი ფაქტები მგონის საშინაურის შესახებ თბილისსა და ვანჯაში და სხვ.), რომლის ანარკელს მკითხველი ვერ იპოვებს ამ წიგნში. დანტერესებულ მკითხველს შეუძლია სხვა წყაროებთან შედარება ამჟამად საგრძნობი ბარგეზები ჩვენს ნარკვევში“ (გვ. 3).

ეს რა განცხადებაა? განა ყოველი უკანასკნელად გამოსული შრომა, თუ ის სერიოზულია, არ უნდა იტყვევდეს ყველა იმ მინაკვლევებსა და აღმოჩენებს, რომელიც ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის დარგში უკვე მიღწეულია?

1945 წლის ოქტომბრიდან 1947 წლის დეკემბრამდე იმოუდნა დროა ვახული, რომ სერიოზული მკვლევარი მოაზრებებდა თავის ნაშრომში შეეტანა აუცილებელი შესწორება-დამატებანი.

მაგრამ პირველ ყოვლისა, გაწერელის უნდა ავუხსნათ, რომ „ცნობა ნ. ბარათაშვილის ურთიერთობაზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან“, მცდარია, (იხილეთ „ლიტ. ძიებანი“ III ტომი), რადგან ყველა დოკუმენტებში მოხსენებული „ბარათივი“ სულბან ბარათაშვილია და არა პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ამას თავი დაეანებოთ, სარეცენზიო წიგნი თავისთავად უარეს იდეოლოგიურ და ფაქტიური ხასიათის შეცდომებს შეიცავს. რადგან ბარათაშვილის ბიოგრაფიული კონცეპციის კვლევას გაწერელია 1832 წლის შეთქმულებიდან იწყებს, ჩვენც ამ საკითხიდან დავიწყით.

გაწერელია კიდევ ერთხელ ჭკვება ზღაპრებს

ამის შესახებ, ვითომ 1832 წლის შეთქმულება დეკაბრისტების 1825 წლის აჯანყების და პოლონეთის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ამბების გამოძახილია. აი ამონაწერი გვ. 29-იდან:

„1825 წელს მოხდა ე. წ. დეკაბრისტების გამოსვლა პეტერბურგში სენატის მოედანზე. 1830 წელს პოლონეთში იფეთქა ნაციონალურ-გამანთავისუფლებელმა ამბოხებამ, რომელიც შაკური რეპრესიებით ჩაქრო ნიკოლოზ პირველმა 1831 წ. ყოველივე ეს გამოძახილს პოულობდა საქართველოში და უწინარეს ყოვლისა ქართულ ემიგრაციაში, რომელიც რუსეთს (მოსკოვსა და პეტერბურგში) გადასახლებულ ბატონიშვილებისაგან შესდგებოდა. ამის შემდეგ სასჯებით გასაგებია თუ დეკაბრისტების გამოსვლისა და პოლონეთის აჯანყების წრონოლოგიური რკალი (1825 — 1830) აქცევა ქართველ შეთქმულთა ორგანიზაციის ჩამოყალიბების ხანა“.

ერთი გვერდის შემდეგ, იგივე თქმული ოდნავი ვარიაციით: „შეთქმულების მთავარი მიზანი იყო საქართველოს განთავისუფლება მონარქული იმპერიის ზღვებისაგან და სრული აღდგენა ქვეყნის სუვერენიტეტისა, მაგრამ ახალი საქართველო შეთქმულების ყველა წიერს ერთნაირად როდესაც ესახებოდა. ორგანიზაციის პროგრესიულ ნაწილს, რომელიც დასავლეთის პეტანისტურ იდეებზე იყო აღზრდილი და დეკაბრისტების პროგრამიდან ბევრ რასში იზიარებდა, ახალი საქართველო სრულიად არ წარმოედგინა იმ საზიო, როგორც ჰქონდა მას უკანასკნელი მეფის დროს, ანუ სრული დაცემის მომენტში (1801). ყოველ შემთხვევაში თუ წმინდა რესპუბლიკური წყობის მომხრეთა თვალსაზრისს არ გუემარჯვინია შეთქმულთა შორის (რადგან 1832 წლის შეთქმულების უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურებისაგან შესდგებოდა), სამაგიეროდ მომავალი საქართველო უმრავლესობას ესახებოდა კონსტიტუციურ მონარქიად, ეფლებრივად შეზღუდული მეფით სათავეში. აქვე იხივ უნდა დავსძინოთ, რომ შეთქმულთა რადიკალურ ნაწილს თავისი მსჯელობის საგნად არა ერთხელ ჰქონია ვერისის ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილება და კერძოდ საფრანგეთის მაგალითი მათთვის ერთგვიან პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა. ამ წ რ ე შ ი რესპუბლიკური იდეები იყო გამტკიცებულნი. ხალხის როლს სახელმწიფო მმართველობაში იხინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და სრულიად აცარისახებდნენ მიზნად მე-18 საუკუნის ფეოდალურ საქართველოს უბრალო რესტავრაციას“ (გვ. 31—33).

ამ გრძელი ციტატის ამოწერა დაგვიკრძა იმისათვის, რომ მკითხველს არაფერი უქონდეს წარმოდგენილი, თუ რამდენად უმეცრეა გვერტი. ხალხთა ბრძენმა ბელადმა ი. ბ. სტალინმა ამ შეთქმულების შესახებ თავისი გენიალური ფორმულა ჩამოაყალიბა გერ კიდევ 1904 წელს წერილში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატებს ნაციონალური საკითხი?“ ამხანაგი სტალინი წერდა:

„იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული თავად-აზნაურობის „ნაციონალური საკითხი“, როცა „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ—ქართველმა თავად-აზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკარდისა „უბრალო ქვეშევრდობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართული მეფეები და თავად-აზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედობადაც ეს იყო ფეოდალურ-მონარქული „ნაციონალიზმი“. ვერც ერთი შესაძინებელი კვალი ვერ დანინა ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტი ვერ ისახელა მან თავი“ (ი. ბ. სტალინი. „თხზულებანი“, ქართ. გამოც., 1947 წ., ტ. I, გვ. 32 — 33).

აი, ამ სახელმძღვანელო ფორმულით უნდა აქნეს კვლევული 1832 წლის შეთქმულება. გაწერულას კი თავისი უმეცრების გამო ძველი, საღიდა ყურმოკრელი თეორიები გამოაქვს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში.

გაწერელია იმისათვის, რომ დაამტკიცოს ზოგიერთი შეთქმულების „დეკაბრისტობა“ თუ „რესპუბლიკანობა“ დოკუმენტების ფალსიფიკაციისაც კი გწევა. მონოგრაფიის მე-33 გვერდზე ვკითხულობთ:

„სოლომონ დოდაშვილი კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ზოგიერთ შეთქმულს „მე მინდა საქართველოს განთავისუფლება არა იმისთვის, რომ ვინმე ბავრატონთა გვირისანი გამეფდეს საქართველოში, არამედ რათა საქართველო შეიქმნას რესპუბლიკად“ (ვახტანგ ორბელიანის ჩვენებიდან“.

გაწერელია არ ისახელებს, როგორც ეს მას სჩვევია, თუ საიდან ამოაძრვ მან ეს ციტატა, მაგრამ ჩვენ ვხელოვ გვიარკვეთ მკითხველს. ციტატა ამოღებულია პროფ. გ. ფოსალიშვილის წიგნიდან „1832 წლის შეთქმულება“, თბილისი, 1935 წელი. და მოთავსებულია 92 გვერდზე. შეურყენელი საზიო ციტატა ასე იკითხება:

„ვახტანგ ორბელიანი უჩვენებს: „...1832 წელს დოდაშვილისაგან გვიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც ტფილისიდან ოქტომბრი ბატონიშვილს

გაცილებდი, იმან შიხრა, დიამ ბატონო ქართ-ველებო ეცადეთ საქართველოს განთავისუფლე-ბასრ. თემცა მე საქართველოს განთავისუფლე-ბა იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვა-რიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მავგარ სახელ-მწიფოდოა".

როგორც შეითხველი ხედავს, გაწერელის ოქროპირ ბატონიშვილის სიტყვები სოლომონ დოდაშვილისათვის მიუწერია, რათა ამ უკანას-კნელის „რესპუბლიკობა“ დამტკიცებია. რა შეიძლება ეწოდოს ასეთ „მკვლევარს“?

ამ ციტატასთან დაკავშირებით მკითხველს აღძვრება კითხვა, ნუ თუ „ბაგრატიონნი“ ოც-ნებობდნენ საქართველოს რესპუბლიკაზე? რა თქმა უნდა არა. ეს იყო ფანდი, ანკესი, დაბა-ლი წოდების ამბობებში ჩასათრევად. საწუხარ-ოდ, ბატონიშვილებს ამ ანკესზე ბევრი წა-მოვეო და მათ შორის სოლომონ დოდაშვილიც. აბა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული 1832 წლის შეთქმულების მასალებში ვკითხულობთ:

„Учитель Тифлисской гимназии Соломонъ Додасъ показываетъ, что еще находясь въ 1827 году въ Москвѣ въ домѣ Царевича Окропира, онъ получилъ наставление отъ сестры его Царевны Тамары внушать ученикамъ, своимъ не забывать Грузин. свихъ царевичей (რეფული XX, გვ. 3768).

ამრიგად გაწერელის მიერ აგებული 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური კონცეპცია საესებით ემცერტლია და სრულად არა ჰგავს ამდროინდელ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების რეალურ სიტუაციას. ამასთან და-კავშირებით უაღბია აგრეთვე მისი მტკიცება, ვითომ „ბარათაშვილი შეთქმულთა იდეური მემკვიდრე აღმოჩნდა ქართულ ლიტერატურა-ში“ (გვ. 35).

მაგრამ გაწერელია ნ. ბარათაშვილის არა მარ-ტო პოლიტიკური კონცეპციაში ვერ ერკვევა, იგი ვერ ერკვევა აგრეთვე ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის შეფასებაში.

გაწერელის აზრით „ნიკ. ბარათაშვილის შე-მოქმედებას არსებითად არავითარი ევოლუცია არ განუცდია“ (გვ. 71). შამსადამე გამოდის, რომ „კავკასიური მოთბობის“ (1833 წ.), „ბედი ქართლისას“ (1839) და „მერანის“ (1842) ბარათაშვილი შემოქმედების ერთ წერტილზე ყოფი-ლა გაუიწელი. ეს ისეთი აბსურდია, რომელსაც ლიტერატურის არმოდანე აკაცი კი ვერ იტყ-ვის. გაწერელის „მონოგრაფიაში“ ნ. ბარათა-შვილი გამოუყვანილია, როგორც პასეისტი, „რო-მელიც შთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით არის დაკავშირებული ქვეყნის წარსულთან“

(გვ. 74). სიცრუეა თავიდან ბოლომდე თვით ისეთ ლექსებშიაც კი, და პოეტურ მტკიცებუ-ლისაში“, სადაც ბარათაშვილზე „ქვეყნის წარსულის საკითხებს არკვეს, იქაც კი პოეტი მომავლისაკენ იუბრება და წარსულის მასალაზე მომავლის პრობლემებს აყენებს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო აკაცი წერეთელი ვერ იტყოდა. რომ ნ. ბარათაშვილი „გახდა წინამორბედად ჩვენის ახალის ცხოვრების განთავისუფლ“.

იმის მიგერ, რომ თავის მონოგრაფიაში გა-წერელიამ ბარათაშვილის მემკვიდრეობის მასა-ლაზე გაარკვეოს მ. გორკის მიერ მოცემული პასიური და აქტიური რომანტიზმის ცნებების გამოყენის საკითხები და ხაზი ვუსვავს ბარათა-შვილის რომანტიზმის აქტიურ, რევოლუციურ-ბუნებრივ ხასიათს ჩვენი „მკვლევარი“ სრუ-ლიად საწინააღმდეგო შეხედულებებს აწვითა-რებს. თურმე ბარათაშვილს „ეკლუზიასტის პეს-ნიზში ჰკეებადა“ და პოეტის უდიდეს დამსა-ხურებდად სთელს იმას, რომ „მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში მხოლოდ ნ. ბარათაშვილმა შესძლო აზრის უკაც რესი დებრესიის შესა-ფერი პოეტური წნა და ბიბლიოტრი ხმით გა-ფორმება“ (გვ. 108). თურმე თვის ზოგერთი ბა-რათებში ბარათაშვილის „ზოგჯერ მიზანტრო-პიაც კი“ (გვ. 64) ახასიათებს და ნ. ბარათაშვი-ლის „არსებაში თანდათან მტკიცდება გავება ცხოვრებისა, როგორც ბედისწერის მიერ დად-გმული ფარსისა“ (გვ. 68).

ნ. ბარათაშვილი, — ეს უადრესად ნაციონალურ-ი პოეტი, რომელიც ღრმად დაკავშირებულია თავის ხალხთან და თვის ქვეყანასთან, გაწერე-ლის თვალსაზრისით კოსმოპოლიტა: „მერან-ში“ მან აღმოაჩინა „კოსმოპოლიტიკური ფიჭ-რები“ (გვ. 116) და „ლირიკულ ლექსებში კი იგი (ე. ი. ბარათაშვილი) გვევლინება მსოფლიოს მოქალაქედო“ (გვ. 91). საბჭოთა საზოგადოებ-რიობის აზრი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება გაწერელის ამ „დებრესიულ“ აზრებს; ბარათა-შვილის პოეზიის მთავარი მოტივებია: პატრიო-ტიზმი, ბრძოლის წურჭული თანამომშობთა სო-ციალთაფის, კეთმოწყვარეობა, საკაცობრიო საქმისათვის უანგარო სამსახური, მაღალი მო-ქალაქობრივი შეგნება, გამამზნეველები რწმენა და ოპტიმიზმი.

ვერც „სიყვარულის საკითხი ნ. ბარათაშვი-ლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში“ (გვ. 91—106) აქვს გაწერელის გამოარკვეული. აქ ჩვენი „მკვლევარი“ ასეთ აბლა-უბლას გვაწვდის: „ნ. ბარათაშვილის აზრით, სიყვარული არის ღვთაებრივი ემანაცია, რომელიც ჩვენგან და-მოუთქვებული სუბსტანციის საბით პრსებობს აღამაინში“ (გვ. 101). ან და „აღამაინში, რო-

ვორც ღვთაების ნაწილში, სიყვარულის აბსოლუტური და „საუკუნო მადლი“ შეიძლება ზოგჯერ დროებით განსორციელდეს. მაგრამ ეს არ უარყოფს თვითონ სიყვარულის, როგორც სულის უმაღლესი პოტენციის, არსებობას“ (გვ. 101). ნუთუ ასე უნდა ახსნას საბჭოთა მკვლევარმა ბარათაშვილის სასიყვარულო ლირიკა? ამას მოსვენება „სატრფოს სახის აყენი უმაღლეს ინსტანციაში“ (გვ. 103). და ახალი ცნობა იმის შესახებ, რომ ბარათაშვილის „ინტელექტი სემპტიკურად იმპერსონალიზებული სულის ტრივიუმს შემოიღო“ (გვ. 107).

ახლა შევეხოთ იმ თავს, სადაც „მერანი“ არის განხილული (გვ. 112 — 129). აქ გაწერულიას საბჭო, როგორც ნაბოლარა ფორმალისტისა მთელი თავისი სისრულით ელინდება. მართალია, ამ თავის დასაწყისში იგი ედილობს „მერანის“ შინაარსობრივი-იდეური მხარის გამოკვევას, რისთვისაც ილია ჭავჭავაძის ცნობილი განმარტებაც კი მოჰყავს, მაგრამ ეს, ეტყობა მხოლოდ თვალის ასახვევად არის მოყვანილი, რადგან ჯერ ერთი, მას ილიას განმარტებაც ვერ გაუგია სათანადოდ („მერანი“ ქართველი ფაუსტის სულიერი დრტივივა“ არისო, ამბობს გაწერულია, გვ. 128), და მეორეც ისა, რომ იგი ამ თავის უდიდეს ნაწილს „მერანის“ ფორმალისტურ გარჩევას ანდომებს. ვეა-ფშაველი თავის შესანიშნავ ლექსში მკაფიოდ განმარტავს: „სული ძლიერო“ მიმართავს იგი ბარათაშვილს, „შენი მერანი კვლავაც რბის მისი ნავალიც შთენილია“. ცნობილია, რომ „მერანში“ ნ. ბარათაშვილის უღრმესი ჰუმანიზმი, კეთილშობილური ოპტიმიზმი და ავტორის მხად-ყოფნა გამოხატული შესწირის თავი, რათა „მომშესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“. ჩვენი „მკვლევარი“ კი დამდგარა „ბრძენის“ პოზაში და ვკანსავლის: „ეს არის გმირული ყოფინა სოფლის დათმობაზე, „გვიერი ლტოლვა“ კოსმიურ სფეროში გადასვლისათვის, ყველა მიწიერი, მატერიალური ზუნდებისაგან თავის დაღწევა სრული განთავისუფლების მიზნით. ეს არის თავდავიწყებული ტკბობა თვითონ სრბოლით, ქროლით“ (გვ. 117).

გაწერულიას ეტყობა ყური მოუტრავს და არ ასვენებს ფორმალისტი მკვლევარების „დაფნის

გვირგვინი“ და თავის „ოპოპორ“ ფორმალისტურ ვარჯიშობის საგნად გამოყენებულად მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი მკვლევარის მკვლევარი პირდაპირ, ex abrupto იწყება ძირითადი მოტივით — სრბოლით, რაც რიტმის ტენილი სხვათა არის გადმოცემული:

პირბის, მიმადრენს, უგზო-უყვლოდ, ჩემი მერანი,
 ეკან მომხზავის თვალბედითი, შავი ყოჩანის:
 ვასწი, მერანო, შენს ტენებს არ აქვს
 სამძლვარი,
 და ნიავს მიეც ფიჭვი ჩემი შავად
 მღელვარია!

ლექსის ამ სტროფში მერანის ფრენა და მზედრის ფიჭვების მღელვარება მოტივირებულია არა მარტო რიტმით, არამედ ზგერათა ორკესტრული ელერიითაც, თანხმოვან „რ“-ს დომინანტით.

პრ — ფრ — რნ
 ————— რნ
 რნ — რჭ — ვრ
 ————— ქრ — ვრ

ასეთია ჩვენი „მკვლევარის“ ფორმალისტური ვარჯიში, და მხოლოდ ერთ რამეში უნდა დავეთანხმობთ გაწერულიას, რომ „ამ მხრივ ბარათაშვილის ქმნილება ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავილილი“ (გვ. 118). დიალ, ამგვარ ჩხირკედელაობაში პირველობა უთუოდ გაწერულიას ეკუთვნის. შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ ამაში მას არაფერ შეედავება.

ზემოთ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გაწერულიას სხვევია წყაროების იგნორირება. სერიოზულ ლიტერატურულ ან მეცნიერულ შრომაში ეს პირდაპირ აღმამოთებელია. წინასიტყვიობაში („ავტორისაგან“) გაწერულია არ ასახელებს პროფ. ჩხეტას, რომელმაც ახალი ფაქტები მგოსნის სამსახურის შესახებ თბილისსა და ვანჯაში“ აღმოაჩინა (გვ. 3). 1832 წლის შეთქმულების შესახებ ცნობებიდან ვახტანგ ორბელიანის ჩვენება გადმოწერილია პროფ. გ. ვოზალიშვილის ცნობილ წიგნიდან, მაგრამ გაწერულია არც კი ასახელებს წყაროებს.

ებება რა „ნიკ. ბარათაშვილის ენასა და სტილს“ (გვ. 129 — 139) გაწერელია სრულიად არ ახსენებს ს. ვორგაძეს, რომელმაც უკრ კიდევ 1922 წლის გამოცემაში შესანიშნავი გამოკვლევა მოათავსა: „ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“, სადაც დეტალურად არის გარჩეული შავთელისა და ჩაბრახაძის 20 მარცვლიანი საზომის გამოყენება ბარათაშვილის ლექსებში და სხვა საკითხები. გაწერელია სწერს, რომ „მერანში“ არ არის მოცემული „უცხოეთში დაბრუნებული ოფიცის სულიერი განწყობილება“ (ე. ი. ილია ორბელიანის ტყვეობაში ყოფნისა. გვ. 116) და „მკვლევარს“ ჰგონია, რომ ახალი რამ აღმოაჩინა“ (ეს დებულება იხ. ა. ჟურნალის წიგნში „ნ. ბარათაშვილი. პოეტრ და მოქალაქე“, 1930 წ. 2 გამოცემა, გვ. 83). ლექსში „ომი საქართველოს თავდაზნაურ-გლეხთა“, რომ ბოლო სტროფის მეორე ტაქტი უნდა იკითხებოდეს „მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეციო წარმართთა“ და არა „იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა“ პირველად გ. ლეონიძეს აქვს დოკუმენტირებული (იხ. „ლიტ. მემკვიდრეობა“, 1935 წ. ტ. I, გვ. 638). გაწერელია როგორც ყოველთვის აქვე ხელცივობს და უშალავს საბჭოთა მკითხველს ნამდვილ წყაროებს, რითაც ალბად უნდა თავისი „მეცნიერული ავტორიტეტის“ აწევა. მაგრამ, მკითხველმა უკვე იცის, რომ წყაროების იგნორირება და მისალის კვლევის დროს ხელცივობა გაწერელისთვის უკვე ხისტიმად გადაიქცა.

სარეცენზიო წიგნში მრავალი ფაქტიური შეცდომაა აღნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს. გაწერელისათვის რუსი ზალბის გენიალური პოეტრ ალ. პუშკინი საქართველოში 1828 წელს ჩამოსულა (გვ. 17), მაშინ როდესაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალ. პუშკინი საქართველოში ჩამოვიდა 1829 წლის გაზაფხულზე.

მონოგრაფიის 34 და 44 გვერდებზე ა. გაწერელია „თბილისის მაშინდელ გუბერნატორად“ ასახელებს იოსებ ფალავანდიშვილს, როცა თბილისის გუბერნატორად ნიკოლოზ ფალ-

ვანდიშვილი იყო. არც ისაა მართალი ვითომ ალ. ჰავევაძემ „ქართულად სიძაგუნა...“ ერთნულ პოეზიის დიდი წარმომადგენლების საადინა და ჰაფიზის ლირიკის ნიმუშები“ (გვ. 58) საიდან იქვს გაწერელიას ასეთი ცნობები, იხ. იქნებ მინ ახალი ზელანწერები „აღმოაჩინა“?

საოცარ სენსაციას წარმოადგენს შემდეგი ფაქტი. სარეცენზიო წიგნის 96 და 97 გვერდებს შუა ავტორის მოთავსებული აქვს ქალის სურათი, რომელსაც ჰევემოდ აწერია „ეკატერინე ჰავევაძე-დადიანისა“. თუმცა აღნიშნული სურათის შესახებ ა. გაწერელია მონოგრაფიის წინასიტყვაობაში შენიშნავს: „წიგანკში იხეუდება... ეკატერინე ჰავევაძე-დადიანის სურათი, რომლის ორიგინალი ვაღმოგვცა ბ. ჯაიანმა და რომელიც დადიანების საგვარეულო რელიკვიითა შორის აღმოჩნდა. ზემირო ვაღმოვიცით ეს სურათი უქველი გამოხატულება ეკატერინესი, თუმცა ჩვენ კატეგორიულად არ ვიცავთ მის უტყუარობას. შემდეგი ძიება ალბად გამოარკვევს: ნამდვილად დაუცავს თუ არა ეკატერინეს გამოსახულება იქ გამოქვეყნებულ პორტრეტს“ (გვ. 3). მაგრამ თუ კი გაწერელია „არ იცავს ამ სურათის უტყუარობას“, რატომ ათავსებს მას წიგნში? რატომ აწერს სურათს „ეკატერინე-დადიანისა“. ეს ზომ კატეგორიული მტკიცებაა, საქმე იმაშია, რომ ცრუ-აღმოჩენებით გატაცებულ ავტორს სურს რაღაც ლიტერატურული „სენსაცია“ შექმნას. აღნიშნულ სურათს არაფერი აქვს საერთო ეკატერინე ჰავევაძე-დადიანთან, მასზე გამოსახულია რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის შვილზე მარიამ ალექსანდრეს ასული. პორტრეტი შესრულებულია ცნობილი მხატვრის ნეფდის პიერ (იხ. კრებული: „К трехсотлетию царствования Дома Романовых. Альбом портретов и снимков с исторических картин“. СПб. 1913 г.) რაც შეეხება იმას, რომ პორტრეტი ნაპოვნია დადიანების რელიკვიითა შორის, ეს რა ვასაყიროა, როცა დადიანების ოჯახი, როგორც ცნობილი ძალიან დაბლოებული იყო ალექსანდრე მეორის ოჯახთან.

სარეცენზიო წიგნი კიდევ ბევრ „ხარვეზს“ შეიცავს, მაგრამ ჯერჯერობით ამით დაგმაყოფილდეთ.

ქუჩნალ „მნათობის“ 1948 წლის ნომრების შინაარსი დოკუმენტები

- ვ. შურაბდელის ოპერის „დიადი მეგობრობის“ შესახებ, — სპ. კ. პ. (ბ) ც. კის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილება, № 3.
- ა. ა. ედნოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები: საკავშირო კომუნისტური პარტიის (მოლშევეკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან: ანდროა აღეკსანდრეს-ძე ედნოვი; ამხანაგ ვ. მ. შოლოტოვის სიტყვა, № 9.
- დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXI წლისთავი, — ვ. მ. შოლოტოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1948 წლის 6 ნოემბერს, № 11.

არგანები, მოთხრობები, პიესები, ნარკვევები, მოგონებები

- აბაშიძე ნინო — დედა, მოთხრობა, № 10.
- ახოვანი ზაჩატური — სომხეთის წყლული, ნაწევრები რომანიდან, თარგმანი არტ დავითიანისა, № 10.
- ავალიანი ლადო — ყარბი მგოსანი, ნოველა, № 5.
- ახათიანი ლევანი — პატარა ამბები დიდ პოეტზე, № 7.
- ბაქრაძე დავითი — გმირთა სისხლით, ნარკვევი, № 6, 7, 8, 10, 11, 12.
- ბუაჩიძე ვერა — შრომის ჯილდო, მოთხრობა, № 12.
- გამსახურდა კონსტანტინე — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი II, № 2, 3, კარი III, № 11, 12.
- გოგიავა კლიმენტი — სოციალისტური შრომის გმირები, ნარკვევი, № 11.
- გოგოქური დავითი — შეხვედრა, მოთხრობა, № 12.
- გულია გიორგი — გაზაფხული საქენში, მოთხრობა, თარგ. პ. ბახტურიძისა, № 8, 9.
- დავითაშვილი მიხეილი — გენერალი ლესელიძე, ნარკვევი, № 2.
- დავებუაძე ორბე — ამერიკელი ნოველა, № 7.
- ვაკელი იონა — თამარ მეფე, პიესა, № 5.
- ვანნაძე ნატო — სამი თვე ევროპაში, ნარკვევი № 6.
- წედვინიძე ელიზბარი — შენც მშენებელი ხარ, მოთხრობა, № 1; საინვილოში, ნარკვევი, № 4; დროში, მოთხრობა, № 10.
- თავაძე სოლომონი — მასის განთიადი, რომანი № 7, 8, 9, 11, 12.
- კაკაბაძე პოლიკარპე — შეხვედრა მშენებლობაზე, პიესა № 2; დიმიტრი მეორე, პიესა № 10.
- ლისაშვილი იაკინთე — ზემი სოფელი, ნარკვევი, № 1.
- ლომაძე ანდრო — სერიალქონთან, მოთხრობა № 1; ნახევარმთვარის შუქზე, მოთხრობა, № 6.
- მაკავარიანი ზაქარია — მოგონება ვასილ პეტრიაშვილზე, № 9.
- ნაკაშიძე ნინო — საბავშვო ურნალი „ანკადელი“, მოგონება № 3.
- ნარ-დოსი — შავი ფულების სარგებელი, თარგმანი არტ. დავითიანისა, № 1.
- ურრული ვარლამი — ავტობიბილი მოდელს ნარკვევი, № 10.
- ქიანელი ლეო — ჯოტოს მამა, რომანი, № 1, 2, 4, 5, 7.
- შანშიაშვილი ხანდრო — ურბი მფლობელი, პიესა, № 4.
- შენგელაია დემნა — წითელი ყაყაჩო, რომანი (პირველი ნაწილი) № 1, 2, 3, 4.

პროზები და ლმსები

- ახაშვილი ალექსანდრე — ნინო ნაკაშიძის, № 3, ხანდრო შანშიაშვილი, № 12.
- ახაშიძე გრიგოლ — ზემოსვანეთი, № 10.
- ამაშუკელი კონსტანტინე — უანში, № 12.
- ამილულაშვილი შალვა — ბაქურციხელი ნილბანდი, პოემა, № 10.

- ანტოკოლსკი პავლე — შვილი, პოემა, თარგ. კარლო კალაძისა, № 1, 3, 4.
 ახალგაზრდა რუსი პოეტების ლექსები — ს. გუდზენკო — იმიერკარბატები, დ. დ. დონი — ლედა, ნ. ტრიპკინი — გამოსვლა, — თარგ. ალექსო შენგელაძისა, № 2.
 ბოზობიძე კალე — სიმღერა ლენინზე № 1; შრომის გმირი, № 4.
 ვალაკტიონ ტაბიძე — სამი ლექსი, № 10.
 გორგანელი ვახტანგი — ხრამქესი, № 2, შწყემსი, № 9.
 ვარკაძე ვასო — მეგობრისადმი, № 6.
 ვაკელი იონა — შესტური ლაშქრული, 2.
 ზანგურაშვილი მიხეილი — შენ აბრეშუმზე ყვავილებს ხატავ, № 3.
 ზარიანი ნაირი — ლექსები: მოსკოვს — თარგ. შალვა ამისულაშვილისა, მშობლიურა სახლი, თარგ. ზურან ღორთქიფანიძისა, № 6.
 თუმანიანი ოვანესი — საიათნოვა, თარგ. იოსებ გრიშაშვილისა; სატრფოს, თარგ. გრიგოლ ცეცხლაძისა, № 4.
 კალაძე კარლო — გმირის ვარსკვლავი, № 6; ახლა თუ არა, როდის ვიმღეროთ? № 11.
 კუპჩიძე გიორგი — მოხუცი დარაჯი, № 3; მთაში, № 8; ტყის მცველი, № 12.
 კუშელავა ბონდო — გიორგი ქუჩისეილი, № 1.
 კუსივი ლ. — ოსტრი ლექსები, თარგ. კარლო კალაძისა, № 8.
 ლერმონტოვი მიხეილი — სიმღერა მეფე ვასილის-ძეზე, ახალგაზრდა ოპრინიკე კირიბევეჩისა და შამაც ვაჟარ კალაშნიკოვზე, თარგმანი კოლაუნა დირაძისა, № 5.
 ლომსაძე შოთა — თაფარაენელ ქაბუკს, № 12.
 მამტორია ოთარი — ორი ლექსი, № 4; რიონის სიმღერა, № 8.
 მარგინი რევაზი — მულახი-ჩემი სოფელი, № 1.
 მოძღვრისეილი სამუელა — სიმინდების სიმღერა, № 8.
 ნადირაძე კოლაუ — ნაენობ კოლმეურნე ქალს, № 3; ამერიკელ ომისგამაღებლებს, № 4.
 ნავაი ალიშერი — ორი ლექსი, თარგ. ირ. აბაშიძისა, № 6.
 ნონეშვილი იოსები — რიგა, № 9.
 პატარაძე მიქელი — ოთხი ლექსი, № 8.
 ტურული ვარლამი — შრომის გმირებს, № 5, ოთხი ლექსი, № 7; ყაზბეგის წიგნში, № 9.
 სინაური ანდრია — ლექსები, № 7.
 ხულავა შალვა — მთაში, № 10.
 ხულავური არჩილი — გმირი, № 6.
 ფორჩხიძე შალვა — გაზაფხულის დილა, № 7.
 ქვლიაძე მიხეილი — ლენინგრადი, № 6.
 შექსპირი ულიამი — ქარიშხალი, პესა, თარგ. ვახტანგ ქვიციანიძისა, № 6.
 შერაზადაშვილი ზაქარია — ორი ლექსი, № 7; ბელტები, № 12.

ქრიტიკა და ლიტერატურის ისტორია.

- ალბაზიშვილი შალვა — რუსული პოეზიის ანთოლოგია ქართულ ენაზე, № 8; ებრაძოლოთ თარგმანის შალვა ზარისხისათვის, № 11.
 ბალაზაშვილი იაკობი — ყალბი მონოგრაფია ნ. ბარათაშვილზე, № 12.
 ბაქრაძე კ. — პროფ. ს. დანელიას რეცენზიის შესახებ, № 9.
 ბერაძე პანტალემონი — ჰეგელმეტრის გენეზისისათვის, № 7.
 ვაწარელია აკაკი — მასალები ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის, № 1, 3.
 გოლცივი ვიქტორი — ლექსები სლავურ ძმობაზე, № 3.
 გორგილაძე ლ. — ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობისათვის, № 4; სამოციანი წლების ქართველი განმანათლებლები, № 9.
 გოზალიშვილი შალვა — ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის“ ერთადერთი ხელნაწერის გამო, № 9.
 დელბა შიხა — „კომუნისტური მინიფესტის“ ასი წლისთავი, № 3.
 ეგნატაშვილი ვ. — დიდი რევოლუციონერი და კრიტიკოსი ბ. გ. ბელინსკი, № 6.
 თაყაიშვილი ექვთიმე — როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? № 8.
 კანდლაკი ბორისი — ალ. ყაზბეგი და ხალხური შემოქმედება, № 9.
 კაშმაძე შალვა — ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ მუსიკაში, № 5.
 კლდიაშვილი ხერგო — სანდრო შანშიაშვილი, № 10.

- მაკავარიანი ვ. — ომისგამაღლებლები ისტორიის სამსჯავროს წინაშე, № 7.
 მიტანი მ. — კომუნისმის საპროგრამო დოკუმენტი, № 2.
 ნარიაკაშვილი ს. — ელექტრული მოვლენები დამიანის თავის ტვინში, № 9.
 ნიკოლაძე ანა — ვორკი და საქართველო, № 4.
 ელენტი ბესარიანი — ლეო ქიაჩელი, № 11, 12.
 რადიანი შალვა — კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება, № 5.
 რატანი პ. — ილია ჭავჭავაძე და შესამე დასი, № 8.
 ფიცხელაური ს. — ბალნეოლოგიური კურარტი თბილისში, № 11.
 ღვინიაშვილი ანა — ცეკვატი — ანა ხაბტაშვილი, № 1.
 უახუზიშვილი სიმონი — ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, № 3.
 შადური ვანო — მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ზელოვნების შესახებ, № 8.
 შარია პეტრე — დასავლეთის თანამედროვე ბურჟუაზული ფილოსოფიის ზოგიერთ მიმართულებათა მოკლე მიმოხილვა, № 12.
 შენგელაია დემნა — ილქსანდრე ყაზბეგი, № 3.
 ჭანიშვილი კ. — მოწინავე შინურიული ბიოლოგიური მეცნიერებებისათვის, № 9.
 ჭილია ს. — გალაკტიონ ტაბაძე, № 1, 6.
 ჭიაურელი ვლადიმერი — ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორია, № 10.
 ჭიაურელი შიხილი — მოსკოვის სამხატვრო თეატრი, № 10.
 ჯაოშვილი თამარი — ივ. თარხნიშვილის წერილები რუბინისადმი, № 11.
 ჯიბლაძე გიორგი — ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგიერთი საკითხისათვის, № 11, 12.

ბიბლიოგრაფიები

- აღმაშვილი შალვა — ფ. რ. შატობრიანი „სამი მოთხრობა“, № 2; კ. ლორთქიფანიძე „უსახელო შალოზზე“, № 3; იოჰან ვოლფჟანგ გუტე, № 4.
 ამისთლაშვილი შალვა — ექვტორ გაბესკირიას ლექსები, № 4.
 აბაბული ი. — ვრ. აბაშიძე „ჯაბუგუბუბუბუ“, № 3.
 დანელია ს. — ლოგიკის ზოგიერთი საკითხისათვის, № 8.
 გორდენიანი ბენი — შალვა კვასხვაძე „ანტონ ვოგიაშვილი“, № 3.
 გუგუშვილი პ. — ვ. ი. ბაჭრაძე „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819—1845 წწ“, № 5.
 თეატრალი — მ. ლერმონტოვი „მასკარადი“, № 5.
 თევზაძე ანდრო — მ. დავითაშვილი — 21.000 კილომეტრი მტრის ზურგში, № 5.
 იანქოშვილი მ. — გი. დე. შოპანის ნოველათა ახალი თარგმანი, № 10.
 ვ. იარალი — ხარიტონ ვარდოშვილი — „ლექსები“, № 6.
 კუპრაძე ვ. — „პაინრობ პაინეს ლექსები“, № 10.
 მებუჯე გ. — დემნა შენგელაია „მოთხრობები“, № 7.
 მინადორაშვილი დ. — მარიამ გარიყული „მოთხრობები“, № 5.
 რობაქიძე ალ. — „ანალები“, № 5.
 სამხარაძე გ. — ს. გერსამია „ქეთისის თეატრი“, № 4.
 ს. მ. — დავით სულიაშვილი „წარსულიდან“, № 6; არჩილ ჩაჩიბაძე „მოთხრობები“, № 7.
 შამათაძე დავით — შალვა ამისთლაშვილი „თალარი“, № 2; გალაკტიონ ტაბაძე „შლვა აბაშურა“, № 6.
 ცისკარიშვილი ვ. — ვ. ი. ტყეშელაშვილი „Вардзия“, № 3.
 წყერაძე ს. — შურჰან ლეზანიძე „ძმები“, № 5.
 ზუროძე ბ. — პ. ლანდია „სამეურნეო გამოანგარიშება და კალკულაცია“, № 8.
 ჯიბუტი ვლადიმერი — გიორგი ნატროშვილი „ლიტერატურული ეტეულები“ № 17; გიორგი ჯიბლაძე „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“, № 4; ერ. ასტეადატუროვი „შოა მღვიმელი“, № 8.

3360 8 836.

29
КНИЖНАЯ ПЕЧАТА

№ 1.12 ММ

ОБРАЗОВАНИЕ
И НАУКА



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОбИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ